

ვალერი მოსიაშვილი

ზულის მიმოქცევისა
და
კრედიტის თეორიები
(ლექციების კურსი)

თბილისი
2009

უკ (UDK) 336.74+336.77

მ-866

მოსიაშვილი ვ. – ფულის მიმოქცევისა და კრედიტის თეორიები.

თბილისი 2009. 246 გვ.

წინამდებარე ლექციების კურსში ლოგიკური თანამიმდევრობითაა განხილული ეკონომიკის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: ფულის წარმოშობა, არსი და ფუნქციები; ფულის მიმოქცევა; ფულადი სისტემები; ინფლაცია; მიზეზები, დაძლევის გზები; კრედიტის ფუნქციები და ფორმები; საკრედიტო სისტემა; ფასიანი ქაღალდები და ფასიანი ქაღალდების ბაზარი; ცენტრალური ბანკები; კომერციული ბანკები; საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები; საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობები; საერთაშორისო ანგარიშსწორება; საგადასახდელო ბალანსი; გლობალური პრობლემებით დასაქმებული ორგანიზაციები.

შინაარსის ადვილად აღქმის მიზნით თითოეული თემა დაყოფილია საკითხებად, თითოეული თემის ბოლოს მოტანილია კითხვები თვითკონტროლისათვის და ტესტები შექმნილი ცოდნის შესაფასებლად. წიგნი განკუთვნილია ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის კურსის მსმენელთათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის. იგი აგრეთვე დიდ დახმარებას გაუწევს ეკონომიკის აღნიშნული საკითხების შესწავლით დაინტერესებულ სხვა პირებსაც.

რედაქტორი: მ. ვანიშვილი
ასოც. პროფესორი

რეცენზენტი: ნ. თვედორაშვილი
ასოც. პროფესორი

ISBN 978-9941-0-1165-8

თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის აკადემიური საბუღოს მიერ რეკონენდირებუ-
ლია დამხმარე სახელმძღვანელოდ
(ოქმი №5 05.02.2009წ.)

წინასიტყვაობა

ფულის არის, ფუნქციების, ფულის მიმოქცევის, ინფლაციის და მათზე მოქმედი ფაქტორების კვლევა ეკონომიკური მეცნიერების ინტერესის ცენტრშია. აღნიშნულ საკითხებს მიეძღვნა მრავალი მეცნიერული ნაშრომი, სადაც მეტ-ნაკლები სისუსტიტაა გაშუქებული მოცემული პრობლემის ცალკეული ასპექტები. ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში აღნიშნული საკითხების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყანამ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და დაადასაბა საბაზრო ეკონომიკის გზას.

ფაქტია, რომ ფულად-საკრედიტო სისტემა თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს წარმოადგენს, რომელიც ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში განვითარების რიგი თავისებურებებით ხასიათდება და მის გამართულ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობა. საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება და პერსპექტივაში განვითარება წარმოუდგენელია ფულად-საკრედიტო სისტემის წარმატებული ფუნქციონირების გარეშე, რადგან იგი უშუალო უემოქმედებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროზე, განსაკუთრებულად მისი განვითარების ვექტორს.

“ფულის მიმოქცევისა და კრედიტის თეორიების” ლექციების კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ:

– შეისწავლონ ფულის არსი, ფუნქციები, თვისებები, სახეები და თეორიები;

– გაეცნონ ფულის მიმოქცევას, ფულის მასის მაჩვენებლებსა და ფულის მიმოქცევის სიჩქარეს;

– შეისწავლონ ფულად სისტემათა ტიპები და საქართველოს ფულადი სისტემა;

– განსაზღვრონ ინფლაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზები, შედეგები, ანტიინფლაციური პოლიტიკა, ფულის რეფორმის სახეები;

– დაეუფლონ კრედიტის ფუნქციების, ფორმების, დაკრედიტების პრინციპების საკითხებს;

– დაახასიათონ საკრედიტო სისტემის არსი და სტრუქტურა, როგორც ზოგადად ასევე ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე;

– აითვისონ ფასიან ქაღალდებთან მუშაობის უნარჩვევები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოპერაციათა სახეები;

– გაეცნონ ცენტრალური ბანკის წარმოშობის წინაპირობებს და მის მიერ განხორციელებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას;

– შეისწავლონ კომერციული ბანკების საქმიანობა, ოპერაციათა სახეები, ლიკვიდობის მანუენებლები და რისკების მინიმიზაციის პრობლემები;

– ჩამოაყალიბონ საერთაშორისო საგაღურო სისტემის ელემენტები და განვითარების ეტაპები;

– გაერკენენ საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობათა ფორმებში, ექსპორტ-იმპორტის დაფინანსების საკითხებში;

– გაეცნონ საერთაშორისო ანგარიშსწორების ძირითად ფორმებს;

– შეისწავლონ საგადასახდელო ბალანსის მუხლები და ზღვრული პარამეტრები;

– განსაზღვრონ გლობალური პრობლემებით დასაქმებული ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

კურსის შინაარსის ადვილად აღქმის მიზნით თითოეული თემის ბოლოს მოტანილია კითხვები თვითკონტროლისათვის და ტესტები შექმნილი ცოდნის შესაფასებლად. “ფულის მიმოქცევისა და კრედიტის თეორიების” ლექციების კურსი ძირითადად და უფრო მეტად მნიშვნელოვანი თემების მოკლედ გადმოცემას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, მასალა რომელიც წარმოდგენილია კურსის თემების შინაარსის მთლიან კომპლექსს ვერ ამოწურავს და არც აქვს პრეტენზია, რომ წარმოდგენილი საკითხები განხილულია ამომწურავად და სრულყოფილად. ცალკეული თემების უფრო სიღრმისეულად შესწავლის მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ თანდართულ რეკომენდირებული ლიტერატურის სიას.

ავტორის აზრით ლექციების კურსში განხილული ბევრი საკითხი დისკუსიას გამოიწვევს, დახლეული არ იქნება შენიშვნების, ნაკლოვანებებისა და სასარგებლო რჩევარეკომენდაციებისაგან. ყოველი შენიშვნა თუ სურვილი ნაშრომის სრულყოფა-გაუმჯობესებისაკენ მიმართული მთლიანად იქნება გათვალისწინებული.

თემა 1. ფულის წარმოშობა, არსი და ფუნქციები

*უფულო ერთი ერთა შორის და
უფულო კაცი ადამიანთა შორის ერთა
ფულიანისა*

ი. ჭავჭავაძე

1.1. რა არის ფული?

კითხვაზე, თუ რა არის ფული, ადამიანთა უმრავლესობა შემდეგნაირად გიპასუხებთ: „ბანკნოტები, მონეტები, ჩეკები.“ მაგრამ მრავალი მოსაზრების გამო ეს მთლად სწორი პასუხი არ გახლავთ. მოცემულ კითხვაზე სწორი პასუხი ასეთია: ფული არის ყველაფერი ის, რაც ჩვეულებრივ საქონელსა და მომსახურებაზე გაცვლით მიიღება. წარსულში ბევრი ნივთი გამოიყენებოდა როგორც ფული – ნიჟარები, სპილოს ძვალი, მარილი – ამის მხოლოდ მაგალითია. სინამდვილეში ფულია ყველაფერი ის, რასაც ადამიანები გადახდის საშუალებად მიიჩნევენ. მაგალითად, დღეს ნაყიდი საონლისა და მომსახურების გასასტუმრებლად ქალაქის ნაჭრები გამოიყენება. ბანკნოტებს თავისთავად ფასეულობა არ გააჩნიათ, ისინი ხომ უბრალოდ ქალაქია. ფულად მხოლოდ მაშინ გადაიქცევიან, როდესაც ყველა თანახმაა მიიღოს ისინი, როგორც გადახდის საშუალება.

გარიგებაში ფულის გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა დღევანდელ მრავალფეროვან, რთულ სასოგადოებაში. ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე ეკონომიკაში არ არსებობდეს ერთეული, რომელსაც საქონლისა თუ მომსახურების გასაცვლელად გამოიყენებთ. ასეთ პირობებში ადამიანები მხოლოდ ბარტერის (ერთი საქონლისა და მომსახურების მეორეზე გაცვლის) იმედზე იქნებიან მათთვის საწირო საგნების შექმნისას. იმისათვის, რომ სილამაზის საღონის მომსახურებით ისარგებლოთ, მის მფლობელს რაიმე ღირებულება უნდა შესთავაზოთ. შეგიძლიათ გამოყენებული ინვენტარი გაურეცხოთ ამ საღონი დაუსუფთაოთ. ეკონომიკა, რომელიც ბარტერზეა დამყარებული, სერიოზული პრობლემის წინაშე დგას საკუთარი შეზღუდული რესურსების ეფექტიანი განაწილებისას. ასეთ ეკონომიკაში ვაჭრობა მოითხოვს ორმხრივ დამთხვევას – იშვიათ მოვლენას, როდესაც თითოეულ

მოვაჭრე მხარეს აქვს ისეთი საქონელი ან მომახურება, რომლის მიღებაც მეორეს სურს. ფულის არსებობა ვაჭრობას აადვილებს.

მართალია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა საქონლის ღირებულება აისახება ფულით, მაგრამ ფულით საქონელთა გაცვლას წინ უძღოდა ღირებულების ფორმების განვითარების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი. საქონელწარმოების საწყის ეტაპზე დამახასიათებელი იყო ღირებულების მარტივი, ანუ შემთხვევითი ფორმა, როცა ერთი საქონელი სხვა საქონელზე იცვლებოდა პირდაპირ, რაიმე საერთო სააღრიცხვო საშუალების, ანუ ფულის გამოყენების გარეშე.

შემდგომ პერიოდში ნატურალურმა გაცვლამ ადგილი დაუთმო საქონელთა უფრი რეგულარულ გაცვლას სხვა საქონელზე, როცა ერთი და იგივე საქონელი თავის ღირებულებას მრავალ საქონელში გამოხატავდა. ღირებულების ამ ფორმას ეწოდება სრული ანუ გაშლილი ფორმა. შემდეგ, საქონელგაცვლის განვითარებამ გამოიწვია ღირებულების ისეთი ფორმის წარმოშობა, როცა მრავალი საქონელი ერთი განსაკუთრებული საქონლით, როგორც ეკვივალენტი, გამოხატავდა თავის ღირებულებას. განსაკუთრებული საქონელი ერთ ქვეყანაში შეიძლება ყოფილიყო ძვირფასი ლითონი, მეორე ქვეყანაში – პირუტყვი და ა.შ. გაცვლის ამ ფორმას ეწოდება ღირებულების საყოველთაო ფორმა. ამ ფორმის დროს ყველა საქონელი თავის ღირებულებას გამოხატავდა ერთადერთი საქონლით და ერთსახოვნად. ღირებულების საყოველთაო ფორმაში შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი საქონელი. ამავ დროს საქონელი, რომელიც იმყოფება საყოველთაო აკვივალენტურ ფორმაში, როგორც ეკვივალენტი, ყველა სხვა საქონლის მიერ გამოირიცხება მათი წრიდან. როცა ეს გამოირიცხება საბოლოოდ იქცევა ერთი სპეციფიკური, განსაკუთრებული სახის საქონლის ხედრად. მაშინ მივიღებთ ღირებულების ფულად ფორმას. ამ საქონლის პრივილეგიური მდგომარეობა ისტორიულად მოიპოვა ერთმა განსაზღვრულმა საქონელმა – ოქრომ.

ფულის წარმოშობამ საქონელთა სამყარო გაყო ორ პოლუსად: ერთზე მოთავსდა ფული, როგორც განსაკუთრებული საქონელი, ხოლო მეორეზე ყველა დანარჩენი

საქონელი, რომლების ფულის მომართ იმყოფებიან ღირებულების შეფარდებით ფორმაში.

და მაინც, რა არის ფული? ეკონომისტები ამ სიტყვას უფრო სპეციფიკური მნიშვნელობით იყენებენ: „ფული ეკონომიკაში არსებული აქტივების სიმრავლეა. რომელთაც ადამიანები რეგულარულად იყენებენ სხვა ადამიანებისაგან საქონლისა და მომსახურების შესაძენად. ნაღდი ფული ის აქტივია, რომლის გამოყენება შეიძლება სასურველი საქონლისა თუ მომსახურების შესაძენად.“¹ მაგრამ, თუ რომელიმე ღიდი ფორმის უდიდეს ნაწილს ფლობთ, მაშინ მდიდარი ხართ, თუმცა ეს აქტივი ფულად არ ითვლება. ამ სიმდიდრით, თუ ნაღდი ფული არ გაგანინიათ, საქონელსა და მომსახურებას ვერ შეიძენთ. აღნიშნული განმარტებით, ფული შეიცავს სიმდიდრის მხოლოდ იმ რამდენიმე სახეობას, რომლებიც რეგულარულად მიიღება გამყიდველების მიერ საქონლისა თუ მომსახურებუს სანაცვლოდ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არის ფულის სხვა განმარტებები, ზოგიერთი მას განმარტავს, როგორც ნებისმიერ საქონელს, რომელიც ფუნქციონირების მიმოქცევის საშუალების, საანგარიშო ერთეულისა და ღირებულების დაზოგვის, ანუ მისი შენახვა-შენარჩუნების სახით (დ. პარისი), ან როგორც საქონლისა და მომსახურების ანაზღაურების, ღირებულების გაზომვისა და ღირებულების შენარჩუნების საშუალებას (ე. დოლანი, კ. კემბელი) ან მიმოქცევის საშუალებას, საანგარიშო ერთეულის და გადახდის საშუალებას (რ. მილერი), ან გადახდის საშუალების, საანგარიშო ერთეულის, ღირებულების შენახვის საშუალების, გადაავადებულ გადასახდელთა საზომის სახით (ს. ფიშერი, რ. დორბუმი, ან შმალენ'სი).

ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია ფულის წარმოშობის ორი თეორია: რაციონალისტური და ევოლუციური. რაციონალისტური თეორიის თანახმად, ფული წარმოიშვა როგორც ადამიანთა შორის შეთანხმების შედეგი. ფული გამოიგონეს სპეციალური ინსტრუმენტის სახით, რომელიც ემსახურებოდა ღირებულებათა გადაადგილებას გაცვლით ბრუნვაში. ევოლუციური თეორიის შესაბამისად, ფული ევოლუციური პროცესის შედეგია, ადა-

¹ გ. მენქიუ - ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2000, გვ. 783

მიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად ადამიანთა საქონელთა საერთო მასიდან გამოიყო სოციურთი სახის საქონელი და საქონელმომოქცევაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. ფულის წარმოშობის რაციონალისტური თეორია არისტოტელესთანაც გხედება.

ეკონომიკურ თეორიაში ასევე გხედება ფულის წარმოშობის სუბიექტივისტურ - ფსიქოლოგიური თეორია. ჯ. ჯელბრეიტის აზრით, ფულის ფუნქციების ძვირფას ლითონებთან და სხვა საგნებთან შერწყმა ადამიანთა შორის შეთანხმების პროდუქტია. ნობელის პრემიის ლაურეატი კ. სამუელსონი ფულს განსაზღვრავს, როგორც ხელოვნურ სოციალურ პირობითობას. კ. მარქსის მიხედვით... გაცვლის პროცესი ამასთან ფულის შექმნის პროცესიც არის.

12. ფულის ფუნქციები და თვისებები

ფულის არსსა და ფუნქციებში უკეთ გასარკვევად განვიხილოთ, თუ რა ნიშანთვისებები უნდა გააჩნდეს ამა თუ იმ საქონელს, რომ რომ იგი ყველას მიერ ფულად იქნეს აღიარებული და ჩათვლილი. ეს თვისებები კი შემდეგია:

1. ხანგამძლეობა. ადამიანები ფულად ისეთ რამეს ვერ მიიღებენ, რაც ადვილად დაქარგავს თავის თვისებებს, დაიშლება ან დაზიანდება.

2. ტრანსპორტაბელურობა. ადამიანს უნდა შეეძლოს თან წაიღოს და ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ატაროს საკმაოდ ბევრი ფული, ანუ ის, რასაც ბევრი მსყიდველობითი უნარი გააჩნია. თვითონ მასალა, რომლითაც ფულია დამზადებული, არ უნდა იყოს დიდი მოცულობის, ან ძალიან ძვირფასი იმასთან შედარებით, რა ღირებულებასაც თვითონ ეს ფული შეიცავს.

3. გაყოფადობა (დანაწევრებადობა). ფული უნდა დაიყოს (დანაწევრდეს) უფრო წერილ ნაწილებად ისე, რომ არ ფუჭდებოდეს და ფასეულობას არ კარგავდეს. არავითარი სირთულე არ უნდა წარმოიქმნას მსხვილ ან უფრო წერილმან ნაყიდობათა ანაზღაურებისას.

4. წარმოების შეზღუდულობა. რაც გინდა შეირჩეს ფულის სახით - მისი დიდი რაოდენობით წარმოება ხელ-

მიუწვდომელი უნდა იყოს, სხვანაირად მას არ ექნება ფასეულობა და ფულობას ვერ გასწევს.

ფულის აქ ჩამოთვლილი თვისებები გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ გამოიყენებოდა ასე ფართოდ ფულის სახით ოქრო და ვერცხლი. ისინი მყარი ლითონებია, ადვილად დაიყოფა ნაწილებად, ადვილია მათი თან ტარებაც, ხოლო მათი ბაზარზე მიწოდება შედარებით შეზღუდულია. ორივე ეს კეთილშობილი ლითონი ძალზე მაღლა ფასობს საიუველირო მრეწველობაში.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ლითონებს უბრალოდ წონიდან ანგარიშსწორების დროს. მონეტების შემოღებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ოქროსა და ვერცხლის გამოყენება და ბევრად უფრო მოხერხებული პირობები შექმნა გაცვლის პროცესისათვის. ეს ლითონები ფულის როლში მრავალი საუკუნის მანძილზე იდგნენ კონკურენციის გარეშე და მხოლოდ შედარებით ახლო ხანებში შევიდა მიმოქცევაში მონეტები, რომლებიც არც ოქროსა და არც ვერცხლს არ შეიცავენ.

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის პირობებისათვის ფული ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას: გაცვლის საშუალება, ღირებულების საზომი, დაგროვების საშუალება.

გაცვლის საშუალება ის არის, რომ რასაც მყიდველები გამყიდველებს აძლევენ საქონლისა და მომსახურების შექენისას. როდესაც ფეხსაცმლის მაღაზიაში ფეხსაცმელს შეიძენთ, მაღაზია გაძლეეთ ფეხსაცმელს, თქვენ კი მაღაზიას ფულს აძლევთ. მყიდველიდან გამყიდველთან ფულის ასეთი გადასვლა ხელს უწყობს ამ გარიგების განხორციელებას. როცა მაღაზიაში შედიხართ, დარწმუნებული ხართ, რომ მაღაზია თავისი საქონლის სანაცვლოდ თქვენს ფულს მიიღებს, რადგან ფულის გაცვლის საყოველთაოდ მიღებული საშუალებაა.

ღირებულების საზომის ფუნქციას ადამიანები ფასების განსაზღვრისა და ვალების აღრიცხვისათვის იყენებენ. როდესაც საყიდელზე მიდიხართ, ხედავთ, რომ ტყავის ქურთუკი 500 ლარი ღირს, ფეხსაცმელი კი - 100 ლარი, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ტყავის ქურთუკი 5 ფეხსაცმელი ღირს, ხოლო ტყავის ქურთუკი 1/5 ფეხსაცმელი. მაგრამ ფასები ასეთ სახეს არასოდეს იღებენ. ამის მსგავსად, თუ ბანკიდან სესხს იღებთ, თქვენი მომავალი

სასესიო გადასახადების სიდიდე ლარებით არის გამო-
ხატული და არა საქონლისა და მომსახურების რაოდე-
ნობით. როდესაც ეკონომიკური ღირებულების გაზომვა და
აღრიცხვა გესურს, ვიყენებთ ფულს, როგორც ღირე-
ბულეზის საზომს.

დაგროვების საშუალება - ეს არის ადამიანების მიერ
მსყიდველობითი უნარის აწმყოდან მომავალში გადატანის
განსაკუთრებული შესაძლებლობა. როდესაც გამყიდველი
დღეს ფულს იღებს საქონლისა და მომსახურების
სანაცვლოდ, შეუძლია ეს ფული შეინახოს და სხვა დროს
სხვა საქონელი და მომსახურება იყიდოს. რა თქმა უნდა
ფული არის დაგროვების ერთადერთი საშუალება ეკონო-
მიკაში. აწმყოდან მომავალში მსყიდველობითი უნარის
გადატანა შესაძლებელია აგრეთვე აქციების, ობლი-
გაციების, უძრავი ქონების, ხელოვნების ნიმუშების და
სხვათა მეშვეობით. ტერმინი სიმძიდრე დაგროვების ყველა
სახის საშუალების ერთიანობის აღსანიშნავად გამოიყენება,
ფულისა და არამონეტარული აქტივების ჩათვლით.

გარდა ჩვენს მიერ განხილული ფულის ძირითადი
ფუნქციებისა, ზოგიერთი ეკონომისტი აღნიშნავს სხვა
ფუნქციებსაც. მაგალითად ჯ.ფ. სტენლეიკი გამოყოფს
გადახდათა გადავადების საშუალების ფუნქციას,²
რომელსაც შემდეგნაირად ახასიათებს: ფულის გარეშე
ძნელი იქნებოდა არა მარტო საქონლითა და მომსახურებით
ვაჭრობა, გართლდებოდა აგრეთვე სესხის მიცემა და
კრედიტის აღებაც. თუ ფული არ იქნებოდა, სესხის აღების
მსურველებს მოუწევდათ ბევრი ძეგნა იმ ადამიანებისა, ვინც
კრედიტით მისცემდა მათთვის ამჟამად საჭირო საქონელს
ამ შემთხვევაში ვალის გადახდა იმავე საქონლით უნდა
მომხდარიყო ან განვადებით, ან საკრედიტო პერიოდის
გასვლის შემდეგ, - მთლიანად. დღეს ადამიანები
სესხულობენ ფულს (უფრო ზუსტად, მის მსყიდველობით
უნარს) და იყენებენ მას თავიანთი საჭირო საქონლის ან
მომსახურების საყიდლად. ფული მოხერხებული
საშუალებაა ვალის სიდიდის განსაზღვრისათვის და მის
გასაგტუმრებლად.

² ჯ.ფ. სტენლეიკი - ეკონომიკის დამწებთათვის, თბ., 1995, გვ. 219

ზოგიერთი ავტორი მიუთითებს ფულის ოთხ ძირითად ფუნაქციას: 1) ღირებულების საზომი; 2) მიმოქცევის საშუალება; 3) დაგროვების საშუალება; 4) გადახდის საშუალება.³ ხოლო ზოგიერთ ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნულია ფულის ხუთი ფუნქციის შესახებ: 1) ღირებულების საზომი ფუნქცია; 2) მიმოქცევის საშუალების ფუნქცია; 3) ღირებულების შენარჩუნების (დაგროვების) ფუნქცია; 4) გადახდის საშუალების ფუნქცია; 5) მსოფლიო ფულის ფუნქცია.⁴

როდესაც ეკონომისტებს სურთ აღწერონ აქტივის უნარი, სწრაფად გადაიცვალოს ეკონომიკაში არსებული გაცვლის საშუალებაზე (ვალუტაზე), იყენებენ ტერმინს ლიკვიდურობა. ვინაიდან ფული ეკონომიკაში არსებული გახველის საშუალებაა, ის ყველაზე ლიკვიდური აქტივია არსებულ აქტივებს შორის. სხვა აქტივები სხვადასხვა ლიკვიდურობით ხასიათდებიან. აქციებისა და ობლიგაციების უმრავლესობა ადვილად შეიძლება გაიყიდოს მცირე დანახარჯებით, მაგრამ აქციები და ობლიგაციები შედარებით ლიკვიდური აქტივებია. მათგან განსხვავებით, საცხოვრებელი სახლის, მიწის ნაკვეთის, ცნობილი მხატვრის ნახატის გაყიდვა გარკვეულ დროსა და ენერჯიას მოითხოვს, ამიტომ ეს აქტივები ნაკლებად ლიკვიდურია.

როდესაც ადამიანები არჩევიანის წინაშე დგანან, თუ რა სახით შეინახონ საკუთარი სიმდიდრე, უნდა შეადარონ თითოეული შესაძლო აქტივის ლიკვიდურობა და ამ აქტივის, როგორც დაგროვების საშუალება. სრულყოფილებისგან შორსაა, როდესაც ფასები იზრდება, ფულის ღირებულება მცირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც საქონელი და მომსახურება ძვირდება, შენახულ თითოეულ ლარს ნაკლების ყიდვა შეუძლია.

³ ლ. ჩიქავა - ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., 1997, გვ. 300

⁴ გ. ცაავა, ბ. ბიწაძე, ს. ლიპარტია, ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2006, გვ. 40-41

13. ფულის სახეები

XVII საუკუნეში ადამიანებმა თავისი ძვირფასეულობის, განსაკუთრებით ოქროსა და ვერცხლის შენახვა დაიწყეს ოქრომჭედლებთან, მათ გამაგრებულ და დაცულ შენობებში (საკავეებში). ოქრომჭედლები მეანაბრეებს აძლევდნენ იმის დამადასტურებელ ხელწერილს, რომ მათგან შესანახად წაიბარეს ძვირფასი ლითონები და სხვა ძვირფასეულობა. ეს ხელწერილები გადაიქცა ოქროს წერილობით (საქაღალდო) მოთხოვნად, ანუ ოქროს შემცვლელად, რადგან ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა მათი ოქროსუ გადაცემა. დროთა მსვლელობაში მეანაბრეებმა ისწავლეს ამ ხელწერილების გამოყენება თავიანთი ვალების დაფარვის საშუალებად. ისინი ასეთ შემთხვევაში ხელწერილსუ უბრალოდ წააწერდნენ ხოლმე, რომ თავის ოქროსუ საკუთრების უფლებას გადასცემენ სხვა პირს. რამდენადაც ასეთი პრაქტიკა სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებდა, ოქრომჭედლებმა დაიწყეს განსახდერული ნომინალის მქონე ხელწერილების გამოწერა, მაგალითად: 2, 5, 10 და ა.შ. მათ დაიწყეს აგრეთვე ხელწერილების გაცემა „წარმომდგენსუ“ რაც იმას ნიშნავდა, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც ასეთ ხელწერილს წარმოადგენდა, უფლება ჰქონდა ოქრომჭედლისგან მიეღო ხელწერლში აღნიშნული ოქროს (სხვა ფასეულობის) რაოდენობა. „წარმომდგენსუ“ უფლებით გაცემული ასეთი ხელწერილი ფაქტობრივად თანამედროვე ბანკნოტის პირველსახეს წარმოადგენდა. დაიწყეს მათი მიღება ფულის სახით და ადამიანებს შეეძლოთ ნებისმიერ დროს გაეცვალათ იგი ოქროსუ. ეს ბანკნოტები მოლიანად იყო უსრუნველყოფილი იმ ოქროთი, რომელიც ოქრომჭედლების სეიფებში ინახებოდა.

ფულის განვითარების ახალი ეტაპი დადგა მაშინ, როდესაც ოქრომჭედლებმა (რომლებიც უკვე ისეთ როლში მოგვევლინენ, ვისაც ახლა ბანკირს უწოდებენ) დაიწყეს იმაზე მეტი ხელწერილების გაცემა, ვიდრე მათთან შენახული ოქროს ღირებულება იყო. ასეთი მოქმედება მათ სავსებით გონივრულად მიაჩნდათ, რადგან გადახდების განსახორციელებლად სულ უფრო მეტი ხალხი იყენებდა ბანკნოტებსა და სულ უფრო ნაკლები - საკუთრივ ოქროს. მაშინაც კი, როდესაც ერთნი მიდიოდნენ ხელწერილებით

და ოქრო გაჰქონდათ, აუცილებლად გამოინდებოდნენ მეორენი, რომლებსაც ოქრო მოჰქონდათ განძის სახით შესანახად. მეტწილ შემთხვევებში ოქრო გამოუყენებლად, უბრალოდ ეწყო სეიფებში. ახლა უკვე თითქმის ბანკირებად ქცეულმა ოქროს საქმის ოსტატებმა გადაწყვიტეს, რომ მათ ყოველგვარი საშიშროების გარეშე შეუძლიათ გაადიდონ ბანკნოტების (ხელწერილების) გამოშვება და იმავედროულად ყოველთვის დააკმაყოფილონ ბანკნოტების მფლობელთა პრაქტიკულად ნებისმიერი მოთხოვნა ოქროსზე.

ამ მომენტამდე ოქროს საქმის ოსტატები - ბანკირები ფულს არ ქმიდნენ. ადამიანები უბრალოდ ცვლიდნენ ფულს ერთ ფორმას (ოქროს) მეორეზე (ბანკნოტებში). ახლა კი ფული უკვე იქმნებოდა, რამდენადაც ბანკირებმა ისეთი რაოდენობის ბანკნოტების გამოშვება დაიწყეს, რომელიც აღემატებოდა მათზე მითითებულ ოქროს ღირებულებას. ეს დამატებითი ფული სესხების სახით გამოიცემოდა, რომელზეც ბანკები პროცენტს ახდევინებდნენ. ფულადი ემისიის ნაწილს, რომელიც არ არის ოქროთი უსრუნველყოფილი, რწმუნებითი ანუ ფიდუციალური ემისია ეწოდება.

იმ პერიოდში ნებისმიერს შეეძლო გამხდარიყო ბანკირი და დაეწყო ასეთი ბანკნოტების გამოშვება. ეს გახდა ბევრი ბანკის გაკოტრების მიზეზი, რადგან ყოველთვის არსებობდა მეტი ფულის გამოშვების ცდუნება, ხოლო ვალების დაფარვა, ანუ სხვა სიტყვებით, მეანაბრეებისათვის ოქროს დაბრუნება წარმოდგენილი ბანკნოტების მიხედვით, შეუძლებელი იყო. მთავრობებმა ხელი მოჰკიდეს საბანკო საქმიანობის რეგულირებას.

ეს რაც შეეხება ქალაქის ფულის წარმოშობას, რომელსაც დეკრეტულ ფულსაც უწოდებენ და განმარტავენ, როგორც შინაგანი ღირებულების არმქონე ფულს, რომელიც მთავრობის დეკრეტის გამო იხმარება, როგორც ფული. ხოლო როდესაც ფული რეალური ღირებულების ფორმას იღებს, მას საქონლური ფული ეწოდება. ტერმინი რეალური ღირებულება იმას ნიშნავს, რომ ერთეულს გარკვეული ღირებულება ექმნება მაშინაც კი, როდესაც არ გამოიყენება, როგორც ფული. საქონლური ფულის ერთ-ერთი მაგალითია ოქრო. ოქროს რეალური ღირებულება აქვს, ვინაიდან ის მრეწველობაში და საიუველირო ნაწარმის დამზადებაში გამოიყენება. იმის მიუხედავად, რომ ოქროს ფულის სახით

ადარ ვიყენებთ, ოქრო ისტორიულად ყოველთვის ფულის ფართოდ მიღებული სახეობა იყო, ვინაიდან ის შედარებით ადვილად გადასატანი და გასაზომოა, ამასთან მისი გაყალბება ძნელია. როდესაც ეკონომიკა ოქროს ფულად იყენებს (ან იყენებს ქალაქის ფულს, რომელიც მოთხოვნისთანავე ოქროზე გადაიკვლება), ამბობენ, რომ ფუნქციონირებს ოქროს სტანდარტი.

თანამედროვე პირობებში, ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე მიმოიქცევა სამი ტიპის ფული: 1) ხურდა ფული (ბინოლური მონეტა); 2) ქალაქის ფული; 3) საკრედიტო ფული.

ფულადი მიმოქცევის აუცილებელ ატრიბუტს ხურდა ფული ან წერილი მონეტა წარმოადგენს, რომელიც ცნობილია ბინოლური მონეტის სახით. ხურდა ფული გადახდის კანონიერი საშუალებაა, თუმცა ქალაქის ფულისაგან განსხვავებით, მათი გადახდის სფერო შედარებით შეზღუდულია. საქართველოში ამჟამად მიმოიქცევა 5, 10, 20, 50 თეთრიანი და 1 ლარიანი მონეტები. მთლიანობაში ხურდა ფული არ წარმოადგენს დიდ თანხას, იგი მიმოქცევაში არსებული ფულის ნაღდი ნაწილია. იმის გამო, რომ ამ მონეტაში ლითონის ღირებულება უფრო ნაკლებია ვიდრე მისი ნომინალური ღირებულება, მათ ხშირად „სიმბოლურ ფულს“ ან არასრულფასოვან მონეტებს უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ცენტრალურ როლს ასრულებს ქალაქის ფულის სისტემის შექმნასა და რეგულირებაში (მაგ. ფულის გამყალბებლების დასჯაში), ასეთი მონეტარული სისტემის წარმატებით ფუნქციონირებისათვის სხვა ფაქტორებიცაა საჭირო. ქალაქის ფულის მიღება იმდენადვე დამოკიდებული სამთავრობო დეკრეტებზე, რამდენადაც პროგნოზებსა და სოციალურ აღმონებებზე.

საკრედიტო ფული (საბანკო დეპოზიტები) საქონლური და ქალაქის ფულის პარალელურად ვითარდებოდა, როგორც ფულის მესამე ჯგუფი. მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ფულის შენახვა ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე რკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. იგი გამოირჩევა საიმედოობითა და მოხერხებულობით. ეს არის ბანკებში დეპონირებული თანხები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება გამოიწეროს ჩეკი.

საჩეკო ანაბრები (საკრედიტო ფული 'სოგადად') ასპარეზზე მონეტისა და ქალაქის ფულზე გვიან გამოვიდა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში ანგარიშსწორების განხორციელებისას პირველ ადგილზეა. დეპოზიტის დამადასტურებელი ჩეკით (ისევე, როგორც ჩეკულებრივი ქალაქის ფულით) შეგიძლიათ შეიძინოთ ნებისმიერი საქონელი. საჩეკო ანაბრების ძირითადი სახეობაა ანაბრები მოთხოვნამდე, რომლითაც მფლობელის დასტურით შეიძლება თანხების გადარიცხვა ვალების დასაფარავად. დასაელეთის ქვეყნებში ფართოდ გაერცელებული ფორმაა საჩეკო დეპოზიტით ნაყიდი საქონლის საფასურის გადახდა.

(ვნობილია სახელობითი და უსახელო (წარმომდგენზე) ჩეკები. ჩეკი სახელობითია იმ შემთხვევაში, როცა მასზე აღნიშნულია ფულის მიმღების გვარი, მისი გაცემა სხვა პირზე არ შეიძლება. ფულს მხოლოდ ის პირი მიიღებს, ვისი გვარიც აწერია მას. უსახელო ჩეკს ფულის მიმღების გვარი არ აწერია. ფულის მირება შეუძლია ყველას, ვინც მას წარადგენს ბანკში. ასეთი ჩეკი ხელიდან ხელში გადადის და მას ამიტომ ჩეკი წარმომდგენელზე ეწოდება. ასევე არსებობს ე.წ. ორდერული ჩეკი. ამ ჩეკის ხელიდან ხელში გადაცემა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მასზე არსებობს გადასაცემი წარწერა, მისი მიმღები გვარის აღნიშვნით. არსებობს აგრეთვე ე.წ. ხანდაზმული ჩეკიც. ამ ჩეკით მართალია არ შეიძლება ნაღდი ფულის გაცემა. მაგრამ ჩეკის წარმდგენს ბანკში მიმდინარე ანგარიშზე ჩაერიცხება მასში აღნიშნული თანხა.

რამდენადაც ჩეკი ასრულებს მიმოქცევისა და გადახდის საშუალების ფუნქციებს, იგი ცვლის ფულს მიმოქცევაში და ამდენად ნაღდი ფულის დიდ ეკონომიას იძლევა. როდესაც ჩეკი ხელიდან ხელში გადადის, ადგილი აქვს ფულის ეკონომიას. ფულის ეკონომიას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც ჩეკის მეშვეობით ხდება ერთი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერა და მისი მეორე ანგარიშზე ჩაწერა. ჩეკების გაერცელებამ ხელი შეუწყო უნაღდო ანგარიშსწორების წარმოშობასა და მის შემდგომ განვითარებას, აქ მხედველობაშია ურთიერთ-მოთხოვნათა ჩათვლის განვითარება. უნაღდო ანგარიშსწორების მთელ სისტემას კლირინგი ეწოდება.

ისტორიულად საკრედიტო ფულის პირველ ფორმას თამასუქი წარმოადგენს. რომელიც აღმოცენდა საქონლის ნისიად, კრედიტით გაყიდვის საფუძველზე. თამასუქი არის მოწმობა, რომელიც შეიცავს გამცემის წერილობით გალდებულებას, თამასუქის წარმდგენს ან მასზე აღნიშნულ პირს გადაუხადოს განსაზღვრული თანხა დაწესებულ ვადაში.

1. 4. ფულის თეორიები

ეკონომიკურ ლიტერატურაში, ფულის თეორიებიდან ცნობილია სამი ძირითადი მიმართულება: მეტალისტური, ნომინალისტური და რაოდენობრივი.

ფულის მეტალისტური თეორია ფულს აიგივებდა ძვირფას ლითონებთან - ოქროსთან და ვერცხლთან და ეხმიანებოდა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეპოქას. ეს თეორია გამოხატავდა საეჭრო კაპიტალის ინტერესებს. მოკვლეული თეორიის შესაბამისად საზოგადოების სიმდიდრის წყაროა ოქრო და ვერცხლი და არა მატერიალური ღირებულებით, რომელიც შრომით იქმნება. ამასთან, ამ თეორიის მიმდევრები უარყოფდნენ მიმოქცევაში ლითონის ფულს ქაღალდის ფულით შეცვლის აუცილებლობას. მეტალისტების აზრით, ფული მიჩნეული იყო ოქროს ბუნებრივ თვისებად.

ფულის მატერიალისტურმა თეორიამ შემდგომ პერიოდში ცვლილება განიცადა, ამ თეორიის აღსეგება მოხდა ოქროს სტანდარტის ეპოქაში. მისი პირველი მეტამორფოზა დაკავშირებულია გერმანიაში ოქრომონეტური სტანდარტის შემოღებასთან (1871 - 1873წ.წ.), როდესაც გერმანელი ეკონომისტები ფულად მიიჩნევდნენ (კ.კნისი და სხვ.) არა მარტო კეთილშობილ ლითონებს, არამედ ცენტრალური ბანკის ბანკნოტებსაც, რომლებიც ლითონზე ხურდავდებოდა. მეტალისტური თეორიის მეორე სახესხვაობა წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მისი წარმომადგენლები აღიარებდნენ რა ოქრომონეტური სტანდარტის აღდგენის შეუძლებლობას, ცდილობდნენ თავიანთი თეორიის დაკავშირებას ოქროს მონომეტალიზმის ორი ახა-

ლი შეეკეცილი ფორმის: ოქროზოდური და ოქროდვეიზური სტანდარტების შემოღებასთან.

ფულის მეტალისტური თეორიის მესამე სახესხვაობა (ნეომეტალიზმი) წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომისტების მიერ (ჯ. რუეფი, მ. დებრე. ა. ტულემანი-საფრანგეთი, რ. პაროდინგლისი) შემოთავაზებული იქნა საერთაშორისო ბრუნვაში ოქროს სტანდარტის აღდგენის იდეის აუცილებლობა. ამერიკელი ეკონომისტი მ. პეილპერინი და ფრანგი ეკონომისტი შ. რისტი უფრო შორს წავიდნენ და წამოაყენეს ოქროს სტანდარტის ქვეყნის საშინაო ბაზარზე აღდგენის მიზანშეწონილობის იდეაც. უფრო მეტიც, რეტონ-გუდსის საერთაშორისო სავალუტო სისტემის კრახის (XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისი) პერიოდში ფართო დისკუსიის საგანი გახდა ოქროს სტანდარტის შემოღების იდეა. ამ იდეის ხორცშესხმა განიზრახა ამერიკის პრეზიდენტმა რ., რეიგანმა. 1981 წელს იდეის მიზანშეწონილობის შესასწავლად სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა, რომელმაც არ ჩათვალა გამართლებულა ოქროს სტანდარტის ხელახლა შემოღება.

ფულის ნომინალისტური თეორია წარმოიშვა მსოფლიო მონათმფლობელური წყობილების ეპოქაში. იგი უარყოფს ფულის შინაგანი ღირებულების არსებობას, რომ გამართლოს მონეტის გაყალბების შესაძლებლობა ხაზინის შემოსავლების გადიდების მიზნით. ეს თეორია უარყოფს ფულსა და ძვირფას ლითონებს შორის შინაგან კავშირს, ფულს მიიჩნევს საანგარიშო ერთეულად, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი ღირებულება.

ფულის ნომინალისტური თეორიის აღორძინების ეპოქად მიჩნეულია XVII-XVIII სს., როცა მიმოქცევის არხები არასრულფასოვანმა მონეტებმა ამოაგოს. ამ თეორიის ფუძემდებლების - ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ბერკლის და ეკონომისტის ჯ. სტიუარტის აზრით, ფული შექმნა სახელმწიფომ, ფულის ღირებულება განისაზღვრება მისი ნომინალით და ფულის არსი დატვიანილია იდეალური ფასების მასშტაბზე. ფულის ნომინალისტური თეორიის წარმომადგენლები უარყოფდნენ ფულის ღირებულებით ბუნებას და მას განიხილავდნენ როგორც გაცვლის ტექნიკური იარაღი.

გერმანელმა ეკონომისტმა გ. კნაპმა ნომინალისტური თეორიის არსი ნათლად ჩამოაყალიბა 1905 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში - „ფულის სახელმწიფო თეორია“. მისი აზრით ფული წარმოადგენს სახელმწიფო მართლწესრიგის პროდუქტს, რომელსაც მხოლოდ გადახდის საშუალების ფუნქციის შესრულება შეუძლია. ფულის ნომინალისტური თეორია განითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა ჯ.მ. კეინზმა. მან თავის ნაშრომში „ტრაქტატი ფულის შესახებ“ (1930წ) აღნიშნა, რომ ოქროს ფული „ბარბაროსობის გადმონაშთი“ და „საზიდრის მეხუთე თვალია.“ ჯ.მ. კეინზი იდეალურ ფულად ქალაქის ფულს მიიხსენებდა, რომელიც ოქროზე უფრო ელასტიურია და საზოგადოების აყვავებას უზრუნველყოფა. ფულის ნომინალისტური თეორიის თანამედროვე მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენელია დიდი ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი პ. სამუელსონი, რომელიც თვლის, რომ ფული პირობითი ნიშანია, ხელოვნური სოციალური პირობითობაა.

ფულის ნომინალისტური თეორიის თანამედროვე ნაირსახეობათა ძირითადი პოსტულატებია: ფულის საქონლური წარმოშობის იგნორირება, მისი ძირითადი ფუნქციების უგულებელყოფა, ფულის ფასების მასშტაბთან გაიგივება, იდეალურ საანგარიშო ერთეულად წარმოიხენა და სხვ.

(ფულის რაოდენობრივი თეორიის არსი მდგომარეობს ფულის ღირებულებისა და ფასების განსაზღვრის საფუძვლად მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის წარმოიხენა.) აღნიშნული თეორია პირველად წამოყენებული იქნა XVII ს. ფრანგი მეცნიერის ე. ბოლენის მიერ. XVIII ს. ამ იდეას მხარი დაუჭირეს შ. მონტესკიემ, დ.იუმმა, ჯ.ს. მილმა. ფულის რაოდენობრივი თეორია - მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანად. რიკარდომ. მისი აზრით, ფულს შინაგანი ღირებულება არ გააჩნია, ფული მას მიმოქცევაში მოძრაობის შედეგად იძენს.

ფულის რაოდენობრივ თეორიას სხვადასხვა დროს შეეხნენ თავიანთ ნაშრომებში რ.კანტილიონი, დ.იუმი, პ. ტორნტონი, ა.მარშალი, ი.ფიშერი, დ.პატინგინი და სხვ. ამ მკვლევართა მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა იმ ფაქტორების შესწავლას, რომლებიც განსაზღვრავდნენ ხანგრძლივი პერიოდისათვის ფასების საერთო დონეს.

(ფულის რაოდენობრივი თეორია ფასების საერთო დონის განმსაზღვრველ ფაქტორთა შესწავლისას იქიდან გამომდინარე, რომ ფასების ცვლილებები პირველ რიგში განისაზღვრება ფულის რაოდენობით.) ეს ჰიპოთეზა ჩვეულებრივად გაცვლის ტოლობის სახით წარმოგვიდგება:

$$M \times V = P \times Y$$

სადაც M – არის ფულის რაოდენობა;

V – ფულის ბრუნვის სიჩქარე;

P – პროდუქციის ფასი;

Y – პროდუქციის რაოდენობა (რეალური მშპ).

მოცემული რაოდენობრივი განტოლება (ფიშერის ფორმულა) ერთმანეთთან აკავშირებს ფულის რაოდენობას, ფულის ბრუნვის სიჩქარეს და ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას.

ფულის რაოდენობრივი თეორიის მიმდევრები ასაბუთებდნენ, რომ ეკონომიკა შეიძლება იყოს შეწონასწორებული სრული დასაქმების პირობით. ამასთან ისინი უშვებენ ეკონომიკის შეწონასწორების მდგომარეობიდან გადახრას საკრედიტო-ფულად სფეროში წონასწორობის დარღვევის გამო. როცა ფულის მასის ზრდა ჩამორჩება წარმოების გაფართოებას, შეიძლება მან უემოქმედება მოახდინოს ფასებსა და ხელფასზე შემცირების პოზიციიდან. ბაზარზე არასაკმარისი კონკურენციის პირობებში ეს გამოიწვევს წარმოების მოცულობისა და დასაქმების დონის შემცირებას და არა ფასების და ხელფასის შემცირებას.

XX საუკუნის 30-იანი წლების „დიდმა დეპრესიამ“ ფულის რაოდენობრივი თეორიის პოპულარობას მოუღობოლო, ხოლო საბოლოო დარტყმა მიაყენა ჯ.მ.კეინის წიგნმა „დასაქმების, პროცენტისა და ფულის თეორია“ (1936წ).

შემდგომ 70-იანი წლებიდან გაძლიერდა მონეტარიზმი, რომელიც წარმოდგენილი იყო ჩიკაგოს სკოლის სახელწოდებით და რომელსაც მეთაურობდა ამერიკელი ეკონომისტი მ. ფრიდმენი და ე.წ. „რაციონალური მოლოდინის“ სკოლა. მ.ფრიდმენმა თავის მონეტარული თეორიას ფულზე, ანუ მოთხოვნის თეორიას უწოდა „ფულის უახლესი რაოდენობრივი თეორია.“ მისივე მოსაზრებით „ფულის უახლესი რაოდენობრივი თეორია“ ეს არის ფულზე მოთხოვნის თეორია და არა თეორია, რომელიც იძლევა გამო-

საშეგები პროდუქციის მოცულობის, ფულადი შემოსავლების სიდიდის, ან ფასების დონის განმარტებებს.

ფულის უახლესი რაოდენობრივი თეორიის მთელი შინაარსი დაიყვანება ორ ძირითად დებულებაზე: 1) ფულის მიმოქცევის სინქარის ელასტიურობა სარგებელთან საბოლოო სიდიდეა, ამიტომ ასეთი დამოკიდებულება მყარია; 2) სარგებლის განაკვეთი განისაზღვრება ეკონომიკის რეალურ სექტორში (ე.ი. საქონელთა ბაზარზე).

მონეტარიზმი ძველი რაოდენობრივი თეორიისაგან იმითაც განსხვავდება, რომ ამ კონცეფციის მომხრეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგების დაგვიანებას, დროში გაწელვას. წარსულში ასეთი დაგვიანების შესაძლებლობას აღიარებენ ი. ფიშერი და კ. უორბერტონი. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგების დაგვიანების სრულყოფილი გაგება დაიწყო 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში მ. ფრიდმენის ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ.

მ. ფრიდმენი 75 წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოქნილმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს წონასწორობის დარღვევა. ამიტომ გაცილებით უკეთესია განვახორციელოთ ფულადი მასის გაფართოების ტემპების სტაბილიზაციის ისეთი პოლიტიკა, რომელიც პროდუქციის მოცულობის მატების ტრენდული ტემპის ტოლი იქნება. მ. ფრიდმენი სასურველად თვლიდა წელიწადის ფულადი მასის მატების 4%-იან ტემპს. ამ დასკვნამდე ფრიდმენის მისვლა გამოიწვია იმ აქსიომატურმა გარემოებამ, რომ ეკონომისტებს შეუძლიათ საიმედოდ იწინასწარმეტყველონ სამეურნეო კონიუქტურა არა უმეტეს ერთ წელსე მეტი პერიოდისათვის და არ შეუძლიათ გაითვალისწინონ ფულად-საკრედიტო სფეროში მომხდარ ცვლილებათა შედეგების გამოვლინების დაგვიანება.

კითხვები თვითკონტროლისათვის

1. ფულის წარმოშობის რომელი თეორიებია ცნობილი ეკონომიკურ ლიტერატურაში?
2. რა ძირითადი ნიშანთვისებები უნდა გააჩნდეს ამა თუ იმ საქონელს, რომ იგი ყველას მიერ ფულად იქნეს აღიარებული?
3. რომელ ძირითად ფუნქციებს ასრულებს ფული?
4. ფულის რომელ ძირითად ფუნქციებს გამოჰყოფს ჯ. ფ. სტენლეიკი?
5. რა ტიპის ფული მიმოიქცევა სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე?
6. რა ეწოდება უნაღდო ანგარიშწორების სისტემას?
7. რომელი ფულის თეორიებია ცნობილი ეკონომიკურ ლიტერატურაში?
8. რომელ თეორიას ჩაუყარა საფუძველი მ. ფრიდმენმა?

ტესტები

- 1) ეკონომიკურ მუცნიერებაში ცნობილია ფულის წარმოშობის ორი თეორია:
 - ა) რაციონალისტური და ირაციონალისტური;
 - ბ) ევოლუციური და რევოლუციური;
 - გ) ირაციონალისტური და რევოლუციური;
 - დ) რაციონალისტური და ევოლუციური.
- 2) თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე მიმოიქცევა
 - ა) ორი ტიპის ფული;
 - ბ) სამი ტიპის ფული;
 - გ) ოთხი ტიპის ფული;
 - დ) ხუთი ტიპის ფული.
- 3) ქაღალდის ფულს ასევე უწოდებენ:
 - ა) დეკრეტულ ფულს;
 - ბ) დეკორატიულ ფულს;
 - გ) ბილონურ ფულს;
 - დ) სასაქონლო ფულს.
- 4) ისტორიულად საკრედიტო ფულის პირველ ფორმას წარმოადგენდა:
 - ა) თამასუქი;
 - ბ) აქცია;
 - გ) ობლიგაცია;
 - დ) ჩეკი.

5) ფულის აიგივებდა ძვირფას ღვინოებთან – ოქროსთან და ვერცხლთან და ეხმიანებოდა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეპოქას:

- ა) ნომინალისტური თეორია; ბ) რაოდენობრივი თეორია;
- გ) მეტალისტური თეორია; დ) მარქინალისტური თეორია.

6) “ფულის უცხოური თეორია” მ. ფრიდმენმა უწოდა:

- ა) ბიმეტალიზმს; ბ) მონომეტალიზმს;
- გ) ნომინალისტურ თეორიას; დ) მონეტარისმს.

7) მ. ფრიდმენი სასურველად თვლიდა წელიწადში ფულად მასის მატების:

- ა) 4% – იან ტემპს; ბ) 5% – იან ტემპს;
- გ) 6% – იან ტემპს; დ) 7% – იან ტემპს.

8) თეორიას, რომლის არსი მდგომარეობს ფულის ღირებულებისა და ფასების განსაზღვრის საფუძველად მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის წარმონეწაში, ეწოდება:

- ა) მეტალისტური თეორია; ბ) ნომინალისტური თეორია;
- გ) კეინსური თეორია; დ) რაოდენობრივი თეორია.

9) თეორიას, რომელიც უარყოფს ფულის შინაგანი ღირებულების არსებობას, რომ გაამართლოს მონეტის გაყალბების შესაძლებლობა ხაზინის შემოსავლების გადიდების მიზნით, ეწოდება:

- ა) მეტალისტური თეორია; ბ) ნომინალისტური თეორია;
- გ) მონეტარისმი; დ) რაოდენობრივი თეორია.

10) მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ანგარიშსწორების განხორციელებისას პირველ ადგილზეა:

- ა) ლითონის ფული; ბ) ქაღალდის ფული;
- გ) დეკრეტული ფული; დ) საკრედიტო ფული.

თემა 2. ფულის მიმოქცევა

*დედა გვაუდეს კახა, თეიათონ იყო ბუში,
ოღონდ გქონდეს ფული, ნაგირკავენ გულში.
გერმანული ანდაზა*

2.1. ფულის მიმოქცევის არსი

ფულის მოძრაობას, მის მიერ ფუნქციების (გაცვლის საშუალება, ღირებულების საზომი, დაგროვების საშუალება) ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესრულებას ფულის მიმოქცევა ეწოდება.

ფულის მიმოქცევა ობიექტურად განპირობებულია საქონლური წარმოებისა და საქონლური მიმოქცევის არსებობით. სასაქონლო ბაზარი დაყოფილია საქონლად და ფულად, რომელთა შორის ჩამოყალიბებული წინააღმდეგობა და მისი გადაწყვეტა ეკონომიკის სრულ-განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველია. ფულის მიმოქცევა კონკრეტული ისტორიული განვითარების შედეგია. ნებისმიერი ქვეყნის სუვერენიტეტის დონე პირდაპირ დამოკიდებულია ეროვნული ფულის ფუნქციონირებასთან, რომელიც თავის მხრივ, განაპირობებს საკუთარი ფულადი სისტემისა და ფულის მიმოქცევის ფორმირება-განვითარებას.

ფული საქონლური მიმოქცევის განუყოფელი ელემენტია, რომელიც მოწოდებულია მუდმივად მიმოქცეოდეს საქონლურ სამყაროში, მაშინ, როდესაც საქონელი მიმოქცევის სფეროში ყოველთვის დროებითი სუბსტანციაა. იგი მუდამ გადადის მიმოქცევიდან მოხმარების სფეროში და პირიქით.

ფულის მიმოქცევიდან უნდა განეასხეავოთ ფულის ნიშნების მიმოქცევა, რომელიც სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა ფულის ნიშნების განუწყვეტელ გადასვლას ერთი იურიდიული ან ფიზიკური პირიდან მეორესთან. ბანკი ფულის ნიშნებს აძლევს იურიდიულ პირებს, რომელიც რომელიც თავდაპირველად შეიტანება მათ საღაროში, საიდანაც გაიცემა მუშებსა და მოსამსახურეებზე ხელფასის სახით. მოსახლეობა თავის მხრივ, საღაროდან მიღებული ფულით მაღაზიაში ყიდულობა მათთვის საჭირო საქონელს ან იხდის გაწეული სამსახურის საფასურს. მაღაზია გაყიდვული საქონლიდან მიღებული ფულის ნიშნებით იძენს ახალ

საქონელს, ან შეაქვს ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე. ბანკი კი ისევე აბრუნებს ინკასირებულ ფულის ნიშნებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებსე და ა.შ.

როგორც წესი მიმოქცევა შეიძლება მხოლოდ ნაღდი ფულის ნიშნების, ხოლო ბანკის დეპოზიტურ ანგარიშებზე ჩანაწერების სახით არსებული ფულის ნიშნები არ მიმოქცევა. თითოეული გარიგება ან გადახდა მოითხოვს საბანკო ანგარიშზე ახალი ჩანაწერის გაკეთებას. ერთი ჩანაწერით რამდენიმე გარიგების მომსახურება არ შეიძლება. სწორედ ამიტომ ფულის ნიშნების მხოლოდ ფულად საგადასახდელო ბრუნვის იდენტურია, რომელიც თავის მხრივ ფულადი ბრუნვის ნაწილია, როცა ფული წარმოდგენილია მხოლოდ გადახდის ფუნქციის სახით.

აეტირთა ერთი ნაწილი მიუთითებს, რომ ბრუნვა შეუძლია მხოლოდ ნაღდ ფულის. აეტირთა მეორე ნაწილის ასრით, ფულის ბრუნვა გაიგივებულია ფულის მიმოქცევასთან და ის წარმოდგენილია ფულის მოძრაობად ნაღდ და უნაღდო ფორმით, რომელთაგან ფულის ბრუნვა ემსახურება საქონელბრუნვას, არასასაქონლო გადასახდელებს, ანგარიშწორებებს მეურნეობაში. აქვე მითითებულია, რომ ფულის მიმოქცევა და არა ფულის ბრუნვა, ხორციელდება ორი ფორმით: ნაღი და უნაღდო.

ნაღდი ფულის მიმოქცევა – არის მომსახურების სფეროში ნაღდი ფულის მოძრაობა და მის მიერ გაცემის ფუნქციის შესრულება. ნაღდი ფული გამოიყენება:

- საქონლისა და მომსახურების წრებრუნვისათვის;

ანგარიშსწორებისათვის, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული

- საქონლისა და მომსახურების მოძრაობასთან, კერძოდ: ხელფასი, პენსია, დახმარება, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების ანაზღაურება და სხვა.

ნაღდი ფულადი ბრუნვა მოიცავს მთლიანი ნაღდი ფულადი მასის მოძრაობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში შემდგომ სუბიექტებს შორის: მოსახლეობასა და იურიდიულ პირებს შორის, ფიზიკურ პირებსა და იურიდიულ პირებს შორის, მოსახლეობასა და სახელმწიფო ორგანოებს შორის, იურიდიულ პირებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის.

ნაღდი ფულადი მოძრაობა ხორციელდება სხვადასხვა სახის ფულის მეშვეობით: ბანკნოტები, მეტალის მონეტები, სხვა საკრედიტო ინსტრუმენტებით (ვექსილები, საბანკო ვექსილები, ჩეკები, საკრედიტო ბარათები).

ნაღდი ფულის ემისიას ახორციელებს ცენტრალური (ეროვნული, სახელმწიფო) ბანკი. იგი უშვებს ნაღდი ფულის გარკვეულ რაოდენობას მიმოქცევაში, ან იღებს მათ, თუ ის (ფული) გახდა უვარგისი, ასევე თუ საჭიროა შეცვლა ფულის ახალი ნიმუშების კუპიურებზე და მონეტებზე.

ცენტრალური (ეროვნული) ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო სისტემის ეფექტური და გამართული საქმიანობისათვის, მისი საშუალებით მთელი ქვეყნის მასშტაბით ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება – გატარებისათვის და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებისა და განვითარებისათვის შეიძლება მიღებულ იქნას გადაწყვეტილება იურიდიული პირებისათვის ნაღდი ფულის ბრუნვის მოცულობის შეზღუდვაზე. სამეურნეო სუბიექტებს შეიძლება დაუწესდეთ ნაღდი ფულის ლიმიტი. ყოველდღიურად ისინი დაითვლიან ყველა შემოსულ და მიმოქცევაში გასულ ფულს და ჩარიცხავენ საღარიბოში, თუ ფულის ნაშთი დღის საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის აჭარბებს დადგენილ ლიმიტს, მაშინ ლიმიტსზედა თანხები ჩაირიცხება სარეზერვო ფონდში. მაგრამ პრაქტიკაში ეს და სხვა ანალოგიური ხასიათის შეზღუდვები ჯერ-ჯერობით სუსტად შემქმედებენ. უნაღლო მიმოქცევა ეს არის ფულის უნაღლო მოძრაობა, რომელიც წარმოდგენილია დეპოზიტების სახით. საკუთრების ფორმის მრავალსახეობის, სასაქონლო ფულად ურთიერთობათა განვითარების პირობებში იურიდიული და ფიზიკური პირების საქმიანობის მხედველობაში მიღებით უნაღლო ანგარიშსწორების წესები ითვალისწინებენ მათ მიერ ანგარიშსწორების ფორმების შერჩევის თავისუფლებას, ამ ფორმის ხელშეკრულებაში ასახვას და ჩაურევლობას მათ სახელშეკრულებო ურთიერთობებში.

ბანკების საანგარიშსწორებო ოპერაციებს აწარმოებენ ორგანიზაციების საბანკო ანგარიშებიდან საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე. ბანკი ორგანიზაციების ფულად სახსრებს ინახავს მათ ანგარიშზე შემოსულ თანხებს, ასრულებს ორგანიზაციების

განკარგულებებს ანგარიშიდან სახსრების გადარიცხვის და გაცემის, აგრეთვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა საბანკო ოპერაციების ჩატარების შესახებ.

უნაღლო ანგარიშსწორების დროს შეიძლება გამოყენებული იქნას:

- საგადასახადო მოთხოვნა-დავალება;
- საგადასახადო დავალება;
- აკრედიტივი;
- ჩეკები;
- ინკასო.

გადამხდელსა და სახსრების მიმღებს შორის ანგარიშსწორების ფორმები განისაზღვრება ხელშეკრულებით (უფრო დაწვრილებით უნაღლო ანგარიშსწორების ფორმებს განვიხილავთ სხვა თავებში).

როცა ვსაუბრობთ ფულის მიმოქცევის ნაღდი და უნაღლო ფორმის შესახებ, ეფიქრობთ მნიშვნელოვანია განვიხილოთ ფულის მიმოქცევის კანონი (ბერძ. gesets desge edum aufs), რომელიც კ. მარქსმა წამოაყალიბა.

$$W = \frac{PQ - K + a - b}{R}$$

სადაც W არის მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობა;

PQ მიმოქცევაში არსებული საქონელთა ფასების ჯამი;

K - კრედიტით გაყიდული საქონლის ფასების ჯამი;

a - ვადადამდგარი გადასახადები;

b - ურთიერთდამფარავი ვალდებულებები;

R - ფულის ერთეულის ბრუნვის სინქარე.

ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობა განისაზღვრება მიმოქცევაში არსებული საქონელთა ფასების ჯამს გამოკლებული კრედიტით გაყიდული საქონელთა ფასების ჯამი, მიმატებული ვადადამდგარი გადასახადები, გამოკლებული ურთიერთდამფარავი ვალდებულებები და გაყოფილი ერთსახელოვანი ფულის ერთეულის ტრიალის (ბრუნვის) საშუალო სინქარესთან.

ფულის მიმოქცევის ზოგადი კანონიდან გადახრა განპირობებულია არასრულფასოვანი ფულის ფუნქციონირებით, არამედ ღირებულების ნიშნის ფუნქციონირებით, რის გამოც, მოთხოვნილებაზე მეტი ოდენობის ქაღალდის ფულის მიმოქცევაში გაშვება იწვევს საქონელთა ფასების საერთო დონის გადიდებას. საქონელთა ფასების ჩამოყალიბება წარმოებს მიმოქცევამდე, ხოლო მიმოქცევაში შემოდის იმდენი ფულის მასა, რამდენიც აუცილებელია ბაზარზე არსებული საქონელთა ფასების ჯამის სარეალიზაციოდ. განხილული ფულის მიმოქცევის კანონი ზოგადი კლასიკური კანონია და იგი თანაბრად ეხება ფულის ნებისმიერ სახეს. ამასთან, არსებობს ფულის მიმოქცევის განსაკუთრებული კანონები ლითონის, ქაღალდის და საკრედიტო ფულისათვის.

2.2. ფულის მასა და ფულის მიმოქცევის სიჩქარე

ნაღდ და უნაღდო სარეალიზაციო და საგადასახადო საშუალებათა ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების ბრუნვას ქვეყნის მასშტაბით, ფულის მთლიან მასას უწოდებენ. ფულის მასის სტრუქტურაში გამოყოფენ აქტიურ და პასიურ ნაწილს. აქტიურს განეკუთვნება ფულადი საშუალებები, რომლებიც რეალურად ემსახურებიან მიმოქცევის სფეროს, ხოლო პასიურს – ფულის დაგროვება და ნაშთები ანგარიშებზე, რაც წარმოადგენს პოტენციურ საანგარიშსწორები საშუალებებს.

თითოეული ადამიანის წარმიდგენაში ფული უპირველეს ყოვლისა, ქაღალდის და ლითონის ფულთან ასოცირდება. სინამდვილეში ფულის მთლიანი მასა ფრიად რთული ელემენტია. ფულის მასის დასადგენად გამოიყენება სხვადასხვა დაჯგუფება. რომელთაც ფულად აგრეგატებს (მანქანებლებს, პარამეტრებს) უწოდებენ. ზოგადად ცნობილია შემდეგი ფულადი აგრეგატები.

M1 – ამ ფულად აგრეგატში შედის ნაღდი ფული, რომელიც მიმოქცევა ბანკების გარეთ, ანაბრები მოკითხვამდე და სხვა საჩეკო ანაბრები, საგზაო ჩეკები, ზოგჯერ საკ-

რედიტო ბარათებიც. ეს არის ფულის ერთობლივი რაოდენობა, რომელიც გამოიყენება მიმოქცევის საშუალებად და მომსახურებას უწევს მიმდინარე საგადასახადო ბრუნვას.

M2 - ფულადი აგრეგატი, რომელშიც შედის M1-ს პლუს მცირე მოცულობის ვადიანი ანაბრები (არასაჩეკო შემნახველი და წვრილი ვადიანი დეპოზიტები) და სხვა ადვილად ლიკვიდური დანაზოგები (ე.ი. დანაზოგები, რომლებიც ადვილად შეიძლება იქცეს ნარდ ფულად);

M3 - ფულადი აგრეგატი, რომელშიც შედის M2-ს პლუს მსხვილი ვადიანი ანაბრები, აგრეთვე ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, სახაზინო ვალდებულებები, სერთიფიკატები) და საბიუჯეტო, სასოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშებზე არსებული თანხები, ბიუჯეტის (სახელმწიფო და ადგილობრივი) სახსრები, კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრები;

M4 - ფულადი აგრეგატი, რომელშიც შედის M3-ს პლუს ბანკებში შენახული არაფულადი ლიკვიდური სახსრების (სახაზინო თამასუქები, თერამეტოეიანი დაფარვის ვადის მქონე ფასიანი ქაღალდების დიდი ნაწილი და სხვა). ე.ი. ეს მოიცავს ყველა ლიკვიდურ საშუალებას და ამიტომ იგი ითვლება ყველაზე ფართო მასშტაბის ფულად აგრეგატად. მოცემული ფულადი აგრეგატი გამოიყენება მხოლოდ სოციერთ ქვეყანაში.

ფულის მასის განსაზღვრისათვის ქვეყნები იყენებენ აგრეგატების სხვადასხვა რაოდენობას (გერმანიასა და იაპონიაში - სამ-სამი, ინგლისსა და საფრანგეთში ორ-ორი, აშშ-ში - ოთხი, რუსეთში - ოთხი, საქართველოში სამი).

საქართველოში მიმოქცევაში მთლიანი ფულადი მასის გასაანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი სამი ფულადი აგრეგატი:

M0 - მოიცავს ფულადი აქტივების ყველაზე ლიკვიდურ ნაწილს - ბანკების გარეთ არსებულ ნარდ ფულს (არ მოიცავს იმ ნარდ ფულს, რომელიც რესურსების სახით კომერციული ბანკების საცავებში ინახება);

M2 - მოიცავს M0-სა და კომერციულ ბანკებში არსებულ არასაბანკო და არასახელმწიფო დეპოზიტებს ადგილობრივ ვალუტაში; განისაზღვრება როგორც ფული, რო-

მელიც გარკვეული პერიოდის ამოწურვის შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანგარიშსწორებისათვის;

M3 - მოიცავს M2-სა და მოსახლეობის უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ანაბრებს კომერციულ ბანკებში.

საქართველოში მთლიანი ფული მასის მოცულობა და დინამიკა 2001 2005 წლებში მოცემულია ქვემოთ (ნახ. 2.1.).

ფულის მასა აგრეგატების მიხედვით საქართველოში (2001-2005 წ.წ. წლის ბოლოსათვის, მლნ. ლარი)

ნახ. 2.1.

	2001 წ.	2200წ.	2003 წ.	2004წ.	2005წ.
M3 (ფართო ფული)	732,4	863,8	1060,4	1511,9	1911,2
M2	403,8	462,3	527,4	846,1	1069,9
MO	348,9	390,8	441,8	616,0	736,3
სადეპოზიტო ვალდებულებებში (ეროვნულ ვალუტაში)	55,0	71,5	85,9	230,1	333,6
სადეპოზიტო ვალდებულებებში (უცხოურ ვალუტაში)	328,6	401,3	533,0	665,8	841,3
ლარები მიმოქცევაში	365,7	417,2	473,2	676,2	811,4
წყ.: საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2006. თბ., 2007. გვ. 255					

ფულის მასის მოცულობაზე შემოქმედებს ორი ფაქტორი ფულის რაოდენობა და მისი მიმოქცევის (ბრუნვის) სიჩქარე.

ფულის რაოდენობა განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ (საქართველოში ეროვნული ბანკის მიერ) - ფულის ემისიით. ემისიის ზრდა განპირობებულია საქონლის ბრუნვის საჭიროებით და სახელმწიფო ინტერესებიდან, ბიუჯეტის დეფიციტიდან გამომდინარე.

ფულის მასაზე შემოქმედი მეორე ფაქტორი, ფულის მიმოქცევის სიჩქარე, ანუ მათი ინტენსიური მოძრაობა მიმოქცევისა და გადახდის ფუნქციების შესრულებისას. ამ

მანქანების გასაანგარიშებლად იყენებენ ირიბ მეთოდებს, მათ შორის:

ა) მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ღირებულებაში ფულის მიმოქცევის სინქარე (ან შემოსავლების წრებრუნვაში) გაიანგარიშება როგორც თანაფარდობა:

მშპ ან ეროვნული შემოსავალი

/ფულადი მასა (აგრეგატი M1 და M2).

ეს მანქანებელი ნათლად მიანიშნებს ფულის მიმოქცევისა და ეკონომიკური განვითარების პროცესებს შორის ურთიერთკავშირს.

ბ) საგადასახადო ბრუნვაში ფულის მიმოქცევა გაინსახლდება თანაფარდობით:

საბანკო ანგარიშგება, ფულადი სახსრები

/მიმოქცევაში ფულადი მასის საშუალო წლიური სიდიდე.

ეს მანქანებელი გეინვენებს უნაღდო ანგარიშსწორების სინქარეს. შეიძლება გამოყენებული იქნეს ფულის მოძრაობის სინქარის განსახლდერის სხვა მანქანებლები.

ფულის მიმოქცევის სინქარეზე გაგლენას ახდენს საერთო ეკონომიკური ფაქტორები, წარმოების ციკლური განვითარება, ზრდის ტემპი, ფასების დინამიკა, მონეტარული ფაქტორები, საგადასახადო ბრუნვის სტრუქტურა, საკრედიტო ურთიერთობების განვითარება, კრედიტის საპროცენტო განაკვეთის დონე და სხვა. გამომდინარე იქიდან, რომ ფულის მიმოქცევის სინქარე მიმოქცევაში ფულადი მასის რაოდენობის უკუპროპორციულია, მათი ბრუნვადობის დანქარება ნიშნავს ფულადი მასის ზრდას. ფულის მასის გადიდება ბაზარზე საქონლისა და მომსახურების იმავე მოცულობის დონისას მიეყავართ ფულის გაუფასურებასთან, რაც საბოლოოდ ინფლაციური პროცესის ერთ-ერთ ფაქტორია.

როგორც წესი, ადამიანები ფულს იყენებენ გარიგებათა მისახლენად. ფულის რაოდენობასა და გარიგებათა მთლიან მოცულობას შორის კავშირი გამოიხატება განტოლებით, რომელმაც მიიღო ფულის რაოდენობრივი თეორიის ფორმულის სახელწოდება:

$$MV = PT$$

სადაც M - არის ფულის რაოდენობა;

V - ფულის ბრუნვის სინქარე;

P - ფასები;

T - გარიგებები.

სიმარტივისათვის დაეუშვათ, რომ ერთი წლის მანძილზე იყიდება მხოლოდ 500 კგ ხორბალი, 1 კგ 60 თეთრად, მაშინ T ტოლია წელიწადში 500 კგ ხორბლის, ხოლო P-60 თეთრს. ღარების მთლიანი თანხა, რომელიც გარიგებაში მონაწილეობს, ტოლია $P \times T = 60 \times 500 = 300$ ლარს წელიწადში. დაეუშვათ, რომ ეკონომიკაში სულ მიმოიქცევა 50 ლარი. ასეთ შემთხვევაში ფულის ბრუნვის სინაქრე იქნება: $V = PT/M = 300/50 = 6$.

ეს ნიშნავს, რომ თუ ეკონომიკაში მიმოიქცევა სულ 50 ლარი, მაშინ წლის განმავლობაში 300 ლარის თანხის გარიგებათა განსახორციელებლად საჭირო იქნება თითოეული ლარი წლის მანძილზე ხელიდან ხელზე 6-ჯერ გადავიდეს.

ფულის რაოდენობრივი თეორიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე XX-ში მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ცნობილია კვლავწარმოების ნეოკლასიკური თეორიის პოზიციიდან ფულის რაოდენობრივი თეორიის ორი, ტრანსაქტიური და კემბრიჯის ვარიანტები. ფულის რაოდენობრივი თეორიის ტრანსაქტიური ვარიანტი შემუშავებული იქნა ამერიკელი ეკონომისტის ი. ფიშერის მიერ (უფრო დაწვრილებით ამის შესაბამის პირველ თავში).

ფულის რაოდენობრივი თეორიის კემბრიჯის ვარიანტი, ანუ საკასო ნაშთების ვარიანტი შემუშავებული იქნა ინგლისელი მეცნიერების: ა. მარშალის, ა. პიგეს და დ. რობერტონის მიერ. ეს ვარიანტი რამდენადმე განსხვავდება ი. ფიშერის ვარიანტისაგან. ამ ვარიანტის საფუძველია არა ფულის მიმოქცევა, არამედ სამეურნეო სუბიექტების მიერ ფულის დაგროვება:

$$M = KPQ$$

სადაც M - ფულის რაოდენობაა;

P - ფასების დონე;

K- წლიური შემოსავლის ნაწილი, რომლის დაგროვებაც გადაწყვეტილი აქვს მეურნეობრივ სუბიექტებს;

Q - საქონლის ფიზიკური მოცულობა.

საყურადღებოა, რომ კემბრიჯის სკოლის მეცნიერული მიღწევები შემდგომში განავითარა ინლისელმა ეკონომისტმა ჯ.მ. კეინსმა და მივიდა ფულის რაოდენობრივი თეორიის

საწინააღმდეგო დასკვნამდე, კერძოდ: საპროცენტო განაკვეთი არსებით გაველენას ახდენს ფულის მოთხოვნაზე.

ჯ. მ. კეინსმა თავის ნაშრომებში უკუაგდო ფულის ბრუნვის სინქარის, როგორც მუდმივი სიდიდის კლასიკური მოდელი და ჩამოაყალიბა ფულზე მოთხოვნის თეორია, რომელშიც მთავარი ყურადღება გამახვილებულია საპროცენტო განაკვეთის გაველენაზე. კეინსის ამ თეორიამ მიიღო ლიკვიდობის უპირატესობის თეორიის სახელწოდება. მასში განხილულია საკითხი – რატომ უჭირავთ ადამიანებს ხელში ფული. ამასთან კეინსი გამოყოფს ამ გადაწყვეტილებაზე გაველენის მომხდენ ფაქტორებს, მისი აზრით, ფულზე მოთხოვნა სამ მოტივზეა დამოკიდებული: ტრანსაქციური მოტივი, სიფრთხილის მოტივი და სპეკულატიური მოტივი.

კითხვები თეოკონტროლისათვის

1. რაში მდგომარეობს ფულის მიმოქცევის არსი?
2. რა განსხვავებაა ფულის მიმოქცევისა და ფულის ნიშნების მიმოქცევის შორის?
3. როგორ წარმოგვიდგება ნაღდი ფულის მიმოქცევა?
4. რაში მდგომარეობს ფულის მიმოქცევის კანონის შინაარსი?
5. რაში მდგომარეობს ფულის უნაღდო მიმოქცევის თავისებურება?
6. რომელი ფულადი აგრეგატები გამოიყენება საქართველოში?
7. რაში მდგომარეობს ფულის რაოდენობრივი თეორიის ტრანსაქციურ და კემბრიჯულ ვარიანტებს შორის განსხვავება?
8. ჯ. მ. კეინსის მიხედვით რა ფაქტორები ახდენს გაველენას ფულის მოთხოვნაზე?

ტესტები

- 1) ფულის მიერ ფუნქციების ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესრულებას ეწოდება:
- ა. ფულის მიმოქცევის კანონი; ბ. ფულის ბრუნვა;
გ. ფულის მიმოქცევა; დ. ფულის გადაადგილება.

*ფული შეექმნება გრძობა; ადამიანს იგი უნდა
ქონდეს, რადგან უიმისოდ დარჩენილ ხელ
გრძობას მოღიანად ვერ გამოიყენებს.*

ს. მოემი

3.1. ფულად სისტემათა ტიპები

ფულადი სისტემა არის სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში დადგენილი ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციული ფორმა, რომელიც ისტორიულადაა ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ეროვნული კანონმდებლობით. ფულადი სისტემა პირველად XVI-XVII საუკუნეებში ჩამოყალიბდა საბაზრო ეკონომიკის წარმოშობისა და განვითარების კვალობაზე, თუმცა მისი ზოგიერთი ელემენტი უფრო ადრეულ სტადიაზე შეიმჩნეოდა. ფულადი სისტემის ფუნქციონირება ყოველთვის განპირობებული იყო კონკრეტული ისტორიული პირობითობითა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებით. ამიტომაც, რომ სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული ფულადი სისტემები მოქმედებენ, მათ თავიანთი საკუთარი ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული ფორმა და შინაარსი გააჩნიათ.

საბაზრო ურთიერთობათა განვითარება-სრულყოფის შესაბამისად ფულად სისტემებში მიმდინარეობს არსებითი ხასიათის ცვლილებები. ფულადი სისტემის ტიპები დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ფული როგორი ფორმით ფუნქციონირებს: როგორც საქონელი - საყოველთაო ექვივალენტის, თუ ღირებულების ნიშნის ფორმით. აქედან გამომდინარე გამოყოფენ ფულად სისტემათა ორ ძირითად ტიპს:

1) ლითონური მიმოქცევის სისტემა, როდესაც ფულადი საქონელი უშუალოდ იცვლება და ასრულებს ფულის ყველა ფუნქციას, ხოლო საკრედიტო ფული დახურულად დამკვიდრებულია ლითონზე;

2) საკრედიტო და ქალაქის ფულის მიმოქცევის სისტემა, როდესაც ოქრო მიმოქცევიდანაა გამოდევნილი.

იმისათვის, რომ ფულადი სისტემების არსი სრულყოფილად იქნეს განხილული, საჭიროა თავდაპირველად ვიმსჯელოთ ფულადი სისტემის ელემენტებზე. თანა-

მედროვე ფულადი სისტემისათვის დამახასიათებელია შემდეგი ელემენტები:

- ა) ფულის ერთეული;
- ბ) ფასების მასშტაბი;
- გ) ფულის სახეები;
- დ) საემისიო სისტემა;
- ე) სახელმწიფო ან საკრედიტო აპარატი.

ფულის ერთეული - არის კანონმდებლობით დაწესებული ფასის ნიშანი, რომელიც გამოიყენება ყველა საქონლის ღირებულების საზომად და მათი ფასების გამოსახატავად. ყოველ ქვეყანას თავისი ფულის ერთეული გააჩნია (მაგ.: აშშ - დოლარი, შეიცავს 100 ცენტს, დიდი ბრიტანეთი - გირვანქა სტერლინგი, შეიცავს 100 პენსს, ევროკავშირის ქვეყნები - ევრო, შეიცავს 100 ევრო ცენტს, იაპონია - იენა, შეიცავს 100 სანამის, საქართველო - ლარი, შეიცავს 100 თეთრს და ა.შ.).

ფულის ერთეულის სახელწოდებას სახელმწიფო ადგენს. თავდაპირველად ფულის ერთეულის სახელწოდება წონით ერთეულს გამოხატავდა. მაგ.: შუა საუკუნეებში ინგლისის „გირვანქა სტერლინგი“, საფრანგეთის „ლივრი“, გერმანიის „მარკა“, ეს მხოლოდ წონის გამოხატველი სახელი იყო. შემდგომში იგი ფულად ერთეულად გადაიქცა, მაგრამ მას თავისი პირვანდელი სახელწოდება მაინც პირვანდელი შემორჩა. ერთი გირვანქა სტერლინგი თავდაპირველად, მართლაც ერთი გირვანქა ვერცხლი იყო. შემდგომში, როდესაც ღირებულების საზომის ადგილი ოქრომ დაიკავა, უკვე ერთი გირვანქა სტერლინგი დაერქვა ისეთ წონას, რომელიც ვერცხლის გირვანქა სტერლინგის 1/15-ს შეადგენდა.

ფასების მასშტაბი. ეს იგივე ფულის ერთეულში მოცემული ძვირფასი ლითონის გარკვეული წონითი რაოდენობაა. მაგ.: აშშ-ის დოლარი შეიცავდა 0,736701 გრამ წმინდა ოქროს, ინგლისის გირვანქა სტერლინგი - 2,1 გრამ წმინდა ოქროს, საფრანგეთის ფრანკი - 0,16 გრამ წმინდა ოქროს, იაპონიის იენა - 0,00246853 გრამ წმინდა ოქროს, იტალიის ლირა - 0,00142187 გრამ წმინდა ოქროს და ა.შ.

სახელმწიფოს ფულადი ნიშანი (ფულის სახეები), როგორც გადახდის კანონიერი საშუალება. მაგ. საქარ-

თველოში მიმოიქცევა შემდეგი საბანკო ბილეთები: 500, 200, 100, 50, 20, 10, 5, 2, 1 ლარის სახით.

სახელმწიფო აპარატი არის ფულადი სისტემის ელემენტი, რომელიც მართავს ფულის მიმოქცევას ქვეყანაში.

საემისიო სისტემა ნიშნავს ცენტრალური ბანკის მიერ საბანკო ბილეთების გამოშვებას, ხოლო ხაზინის მიერ სახაზინო ბილეთებისა და მონეტების ემისიას კანონმდებლობით დადგენილი საემისიო წესების შესაბამისად.

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, არჩევენ ფულის ორ სახეს – ნამდვილს, ანუ სრულფასოვან ფულს ოქროს ან ვერცხლის მონეტების სახით და არასრულფასოვანს – ხურდა (ბინოლურ) მონეტებს, ქაღალდის ფულს (სახაზინო ბილეთები, საკრედიტო ფული, თამასუქი, ჩეკი, ბანკნოტი).

ნამდვილი, ანუ სრულფასოვანი ფულის ნომინალური ღირებულება ძირითადად შეესაბამება მონეტაში მოცემული ლითონის ღირებულებას. ნამდვილი ფულის ძირითადი სახეა მონეტა.

მონეტა არის ლითონიდან დამზადებული ფულის ნიშანი, რომლის წონა და სინჯი დამოწმებულია კანონით. ყოველ მონეტას თავისი გარეგანი ფორმა და წონითი ოდენობა გააჩნია. მონეტის წარმოშობა დაკავშირებულია წონითი ფულის გაქრობასთან. ყოველი ყიდვა-გაყიდვის დროს აუცილებელი იყო ფულის აწონვა და მისი სინჯის დადგენა. მონეტის სახით წარმოიშვა საანგარიშო ფული, რამდენადაც მონეტის წონა და სინჯი ცნობილი იყო, ამან გაადვილა მონეტის დათვლა. სასაქონლო წარმოების განვითარების კვალობაზე ღირებულების ქაღალდის ნიშანი მიმოქცევიდან დენის სრულფასოვან ოქროს მონეტებს, რომელიც წარმოების კაპიტალისტური წესის საერთო კრიზისის პირობებში საბოლოოდ გაქრა მიმოქცევიდან.

მონეტის წონის შერჩევის დროს სახელმწიფო ჩვეულებრივ სპეციალურად, შექმნილ საზომს იყენებდა. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებში წონის საზომი ხშირად იცვლებოდა. მაგ., რომაული გრინვა 327 გრამს, რუსული გირვანქა – 417 გრამს, ტროას გირვანქა – 273 გრამს და სხვ. XVII საუკუნის საქართველოში წონის საზომად მიღებული იყო ლიტრი, ჩარექი, მისხალი, რომელიც 4,436 გრამს უდრიდა.

ცნობილია მონეტის ორი სახე: ძირითადი მონეტა და ნაკრები მონეტა. ძირითადი მონეტა ეს იგივე ფულის ერთეულია, ხოლო მონეტა, რომელიც ფულის რამდენიმე ერთეულს შეიცავს ნაკრები მონეტაა. ძირითადი მონეტის ნაწილს წილადი მონეტა ეწოდება. მაგ., ინგლისში, ლითონური ფულის მიმოქცევის დროს ძირითადი მონეტა იყო გირვანქა სტერლინგი, რომელიც მართლაც გირვანქა ვერცხლს შეიცავდა, ხოლო ნაკრები მონეტები იყო 1, 2, 5, 10 და 50 პენსნიანი მონეტები. მონეტა არის იდეალური (საანგარიშო) და რეალური. იდეალური მონეტა არ იჭრება, იგი მხოლოდ საანგარიშო ერთეულია, ხოლო რეალური იჭრება და ბრუნვაში რეალური სახით მიმოიქცევა.

ცნობილია ძირითადი მონეტის დაყოფის შემდეგი წესი: კვარტალური, ე.ი. 1:2:4:8:16 და ა.შ. დუოდეციმიალური - 1:3:6:12 და ა.შ., დეციმიალური - 1:10:100 და ა.შ. დეციმიალური წესი გაერცხელებული იყო აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში, საქართველოში (XVIII ს.) და სხვ. ინგლისში გაერცხელებული იყო დუოდეციმიალური წესი. მაგ., 1 გირვანქა სტერლინგი შეიცავდა 20 შილინგს, შილინგი თავის მხრივ იყოფოდა 12 პენსად, ე.ი. 1 გირვანქა სტერლინგი შეიცავდა 240 პენსს.

მონეტა, როგორც წესი არ იჭრებოდა წმინდა ძვირფასი ლითონისაგან, მას ურევენ უფრო დაბალი ხარისხის მაგარ ლითონს. მონეტაში მოცემულ ძვირფას ლითონს ფაინი ეწოდება, ხოლო უბრალო ლითონს - ლიგატურე.

ძვირფასი ლითონების ნაწილების რიცხვს სინჯი ეწოდება. ამიტომ ყველა მონეტაში არსევენ: მონეტის საერთო წონას, ძვირფასი ლითონის წონას, უბრალო მონეტის წონას. ძირითადად გაბატონდა შეფარდება 9:10, ე.ი. მონეტაში 9 ნაწილი ძვირფასი ლითონია, 10 უბრალო ლითონი, ინგლისმა შეინარჩუნა ისტორიულად ჩამოყალიბებული სინჯი 11:12, ე.ი. 11 ნაწილი ძვირფასი ლითონია და 12 ნაწილი უბრალო ლითონი. გამომდინარე იქიდან, რომ მონეტაში არსებული წესით დადგენილი წონისა და სინჯის დაცვა შეუძლებელია, ამდენად ნებადართულია ერთგვარი გადახრა კანონით დადგენილი წონისა და სინჯისაგან. ამ გადახრას რემედიუმი და ტოლერანსი ეწოდება. მიმოქცევაში არსებული მონეტის ცვეთასთან დაკავშირებულია კანონით დადგენილი წონის მინიმუმის შენარჩუნება. თუკი მონეტა აკარ-

გავს კანონით დადგენილი წონის მიზნომუშე მეტს, ასეთი მონეტა ამოღებული უნდა იქნეს მიმოქცევიდან. ამ ღონისძიებას დემონეტისაცია ეწოდება.

სახელმწიფო ჭრიდა ორი სახის მონეტას - სრულფასოვან მონეტასა და არასრულფასოვან მონეტას. სრულფასოვან მონეტაში ნომინალური და რეალური ღირებულება ერთმანეთის ტოლია, არასრულფასოვან მონეტაში რეალური ღირებულება ნაკლებია ნომინალურზე. არასრულფასოვან მონეტას ბინოლურ მონეტას, წვრილ ან ხურდა მონეტას უწოდებენ. იგი წვეულებრივ ვერცხლის, სპილენძის, ნიკელის, ბრინჯაოსა ან ალუმინისაგან იჭრება.

ბინოლური მონეტის მოჭრის აუცილებლობა განაპირობა იმან, რომ ძვირფასი ლითონის სრულფასოვანი წვრილი მონეტის მოჭრა, ჯერ ერთი, ტექნიკურად ძნელია და მეორე, მიმოქცევისათვის არაა ხელსაყრელი. იგი ემსახურება რა წვრილ მიმოქცევას, ხშირად გადადის ხელიდან ხელში და ადვილადაც ცვდება. სწორედ ამიტომ მათი მოჭრა უფრო ადვილია და მიმოქცევისათვის უფრო ხელსაყრელი. ბინოლური მონეტები (ხურდა ფული) გადახდის კანონიერი საშუალებაა, თუმცა, საბანკო ბილეთებისაგან განსხვავებით, მათი გადახდის სფერო რამდენადმე შეზღუდულია. ეს იმიტომ, რომ ისინი წვრილ მიმოქცევას ემსახურება.

ფულის ერთეულში მოცემული ძვირფასი ლითონის წონითი რაოდენობის შეფარდებას დოსტი ეწოდება. ფულის ერთეულში წმინდა ლითონის წონასა და სინჯს, როგორც წესი, სახელმწიფო ადგენს. მაგ., მეფის რუსეთში დადგენილი იყო შემდეგი სამონეტო დოსტი, I მანეთი შეიცავდა ოქროს 17,424 წილს, ხოლო სინჯი უდრიდა 900/1000. არსებობდა მეორე წესიც, რომლის მიხედვით გაინსასღერებოდა ფულის ერთეულის ის რაოდენობა, რომელიც უნდა მოჭრილიყო წმინდა ლითონის წონითი ერთეულისაგან. მაგ., საფრანგეთში ერთი კილოგრამი ოქროდან, რომლის სინჯი 900/1000 იყო, 31 ფრანკი იჭრებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდაპირველად ფულის ერთეულის სახელწოდება ეს იგივე მისი (მონეტის) წონითი ერთეულის ნაწილების სახელწოდება იყო. დროთა განმავლობაში ფულის სახელწოდება სცილდება თავდაპირველ წონით სახელწოდებას. ფასი იქცევა ფულად სახელწოდებად, ხოლო ფული-საანგარიშო ფულად. ფულადი

სახელწოდების დაცვილება წონითი სახელწოდებისაგან ისტორიულად განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

ა) განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებში უცხო მონეტების შემოღებამ;

ბ) სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების შედეგად მიმოქცევაში დაბალი ღირებულების ლითონის ნაცვლად უფრო მაღალი ღირებულების ლითონის დამკვიდრებამ;

გ) მონეტების გაფუჭების პრაქტიკის ფართოდ დანერგვამ, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მისი წონა და სინჯი.

ცნობილია მონეტის მოჭრის ორი სისტემა - თავისუფალი და დახურული. თავისუფალია ნამდვილი, სრულფასოვანი მონეტების მოჭრა, ხოლო დახურულია არასრულფასოვანი მონეტების მოჭრა. ეს რომ ასე არ იყოს, მიმოქცევა გაივსებოდა ბილონური, არასრულფასოვანი მონეტებით, იგი დაიკაიებდა სრულფასოვანი მონეტების აღვილს მიმოქცევაში და მოშლიდა ფულის მიმოქცევას. ბილონური ფულის შესლუდვა უზრუნველყოფს მიმოქცევაში ხურდა ფულის მხოლოდ აუცილებელი რაოდენობით გამოშვებას.

მონეტის გაფუჭება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი ფინანსური ღონისძიება, მნიშვნელოვნად ამცირებდა მოსახლეობის შემოსავალს, ხელს უწყობდა საქონლის იმპორტს და აბრკოლებდა ექსპორტს. აფერხებდა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ვაჭრობას. ის უპირატესად ხელსაყრელი იყო მევაღეებისათვის და არა კრედიტორებისათვის. იმის გამო, რომ მიმოქცევაში უამრავი გაფუჭებული მონეტა ტრიალებდა, საჭირო ხდებოდა მონეტის წონისა და სინჯის მუდმივად შემოწმება.

ცნობილია მონეტის გაფუჭების სამი ხერხი:

- 1) მონეტის გაფუჭება მისი მოცულობის შემცირებით;
- 2) მონეტის გაფუჭება მისი სინჯის შემცირებით. ამ დროს მონეტაში უხვად ურევდნენ უბრალო ლითონს, რაც საგრძნობლად ამცირებდა მის რეალურ ღირებულებას;
- 3) დაბალი ღირებულების ლითონის სედაპირის უფრო მაღალი ღირებულების ლითონით დაფარვა.

მონეტის გაფუჭების შედეგად ნორმალურ და რეალურ ღირებულებას შორის მიღებული სხვაობა სახელმწიფოს შემოსავალს შეადგენს. მონეტის გაფუჭება იწვევს ფასების

ზრდას. თუმცა ეს ზრდა ყოველთვის მონეტის გაფუჭების მოცულობის იდენტური არაა.

ისტორიაში ცნობილია ფულადი სისტემის სხვადასხვა ტიპები (ლითონური, ქაღალდისა და საკრედიტო). ლითონური ფულადი სისტემისათვის დამახასიათებელია ორი ძირითადი ტიპი – ბიმეტალიზმი და მონომეტალიზმი.

ისეთ ფულად სისტემას, როცა საყოველთაო ეკვივალენტის როლში ორი ლითონი (ძირითადად ოქრო და ვერცხლი) გამოდის ბიმეტალიზმი ეწოდება. მოცემული სისტემის დროს ორივე ლითონიდან თავისუფლად იჭრება სრულფასოვანი მონეტები, ორივე გადახდის კანონიერი საშუალებაა მიმოქცევაში. ბიმეტალიზმის სისტემის დროს იჭრება არასრულფასოვანი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, რომლებიც აგრეთვე გადახდის კანონიერი საშუალებებია, მაგრამ მხოლოდ კანონით დაწესებულ ფარგლებში.

არსებობს ბიმეტალიზმის სამი სხვადასხვა სისტემა:

1. პარალელური ვალუტის სისტემა;
2. ორმაგი ვალუტის სისტემა;
3. კოჭლი ვალუტის სისტემა.

პარალელური ვალუტის სისტემის დროს ორივე ლითონის (ძირითადად ოქროსა და ვერცხლის) მონეტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმოქცევა. ორივე ლითონის მონეტას თავისი ღირებულება გააჩნია. ოქროსა და ვერცხლის მონეტების ფასი ბაზარზე ორნაირია. ორივე ლითონის ღირებულება ცვალებადია და ამიტომ მათი ფასიც ცვალებადია. ეს გარემოება ართულებს მიმოქცევას, ამიტომ სახელმწიფო ყოველნაირად ცდილობს თავიდან აიცილოს ეს გარემოება ოქროსა და ვერცხლს შორის თანაფარდობის დაწესების გზით.

ორმაგი ვალუტის სისტემის დროს საქმე გვაქვს ფულის ისეთ მიმოქცევასთან, როდესაც ოქროსა და ვერცხლს შორის ღირებულების თანაფარდობა სახელმწიფოს მიერაა დაწესებული. ამ სისტემის დროს ოქროსა და ვერცხლის მონეტებიც, სახელმწიფოს მიერ დაწესებული ღირებულებითი თანაფარდობის მიხედვით იჭრება, რის გამოც ორივე ფულზე ფასები ერთნაირია. ორმაგი ვალუტის სისტემა უმთავრესად ფეოდალურ სასოგადოებაში გამოიყენებოდა. ფეოდალები ოქროსა და ვერცხლის ღირე-

ბულებას შორის ისეთ შეფარდებას აწესებდნენ, რაც მოცემულ მომენტში მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო.

„ოქლი“ ვალუტის სისტემის დროს, როგორც ოქროს, ისე ვერცხლის სრულფასოვანი მონეტები გადახდის კანონიერი საშუალებაა. ამ სისტემის თავისებურება ის არის, რომ ოქროს მონეტების მოჭრა თავისუფალია, ხოლო ვერცხლის - შესუღღული (დახურული). ოქროსა და ვერცხლის ღირებულების თანაფარდობაზე დიდი გავლენა იქონია XIX-ში ახალი ოქროს საბადოების აღმოჩენამ, ოქროს მდიდარი საბადოები აღმოაჩინეს ჯერ კალიფორნიაში, ხოლო შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რის გამოც ოქროს მოპოვებამ 1899 წლისთვის სარეკორდო ციფრს 14838 ათას უნციას მიაღწია. რაც შეეხება ვერცხლს, მისი მოპოვება, მართალია 1801-1830წწ. დაეკა, მაგრამ შემდგომში შესამჩნევად გაიზარდა. ამასთან ვერცხლის წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდამ საგრძნობლად შეამცირა ვერცხლის ღირებულება. ამ გარემოებათა გამო ოქროსა და ვერცხლს შორის თანაფარდობა 1801-1830წწ. იყო - 1:15,61; 1841-1850წწ. - 1:15,83; 1851-1855წწ. - 1:15,41; 1856-1860წწ. - 1:13,30; 1861-1865წწ. - 1:15,40; 1896-1900წწ. - 1:33,54. ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში ოქროსა და ვერცხლის ღირებულებას შორის თანაფარდობა მრავალჯერ შეიცვალა, მაგრამ ეს შეცვლა უპირატესად ოქროს სასარგებლოდ მიმდინარეობდა.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში (XIX ს.), როდესაც საერთაშორისო ვაჭრობამ დიდ მასშტაბებს მიაღწია, კიდევ უფრო გაძლიერდა ოქროს, როგორც მსოფლიო ფულის მნიშვნელობა, დაიწყო ოქროს მონომეტალიზმის სისტემის აღზევება. იგი პირველად შემოღებულ იქნა ინგლისში 1816 წელს, ესპანეთში - 1871-1873წწ. საფრანგეთში - 1876-1878წწ., სკანდინავიის ქვეყნებში - 1872 წელს, რუსეთში 1895-1897წწ., იაპონიაში - 1899 წელს, აშშ-ში - 1900 წელს. აღნიშნული სისტემის შემოღების დაგვიანება აშშ-ში იმით აიხსნება, რომ იქ, როგორც ვერცხლის მიმოწდებელ ქვეყანაში, მძლავრი იყო ვერცხლის მწარმოებელთა ინტერესები და გავლენა სახელმწიფოზე.

მონომეტალიზმი წარმოადგენს ისეთ ფულად სისტემას, რომლის დროსაც საყოველთაო ექვივალენტის როლს ერთი რომელიმე ლითონი - ვერცხლი ან ოქრო ასრულებს.

ოქროს მონომეტალიზმის ინტენსიური სრდის მიუხედავად ბევრ ქვეყანას (ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, მექსიკა და სხვ.), მაინც შემორჩა ვერცხლის მონომეტალიზმი. ამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთის ბირჟებზე ხშირად ამბობდნენ: „ყვეთელ ადამიანს თეთრი ფული აქვს, თეთრ ადამიანს ყვეთელი“.

ვერცხლის მონომეტალიზმის დროს ნებადართულია სხვა ლითონების (სპილენძის ან ოქროს) მონეტების მოჭრა. სპილენძის ფული, როგორც ხურდა ფული, ნაკლებად გამოიყენებოდა. არსებული წესის მიხედვით არაეის არ ჰქონდა უფლება ოქროს მონეტები მოეთხოვა.

ოქროს მონომეტალიზმის სამი სახე არსებობს: 1. ოქრო-მონეტური; 2. ოქრო-ზოდური; 3. ოქრო-ღვეილური.

ოქრო-მონეტური სისტემის დროს გადახდის კანონიერი საშუალებაა ოქრო. ამასთან ხდება როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის მონეტების მოჭრა, მაგრამ ისინი ხურდა ფულის როლს ასრულებენ. აღსანიშნავია, რომ ოქროს მონეტების მოჭრა და მიმოქცევა სრულიად თავისუფალია, ასევე თავისუფალია ქაღალდის ფულის ნიშნების გადახურდავება ოქროს მონეტებზე. ოქროს ქვეყნებს შორის თავისუფლად მოძრაობს.

ოქრო-ზოდური სისტემის დროს მონეტები არ იჭრება, მიმოქცევა მხოლოდ ლითონის ოქროთი უსრუნველყოფილი ხურდა მონეტები და ბანკნოტები. ბანკნოტები გადახდის კანონიერი საშუალებაა, ხოლო ხურდა მონეტები მხოლოდ ვიწრო სფეროს ემსახურებიან. ბანკნოტების ოქროს ზოდებზე რეგლამენტირებულია. ოქრო-ზოდური სისტემის დროს მიმოქცევაშია მხოლოდ ბანკნოტები და ვერცხლისა და სპილენძის ხურდა მონეტები. ბანკნოტები, როგორც გადახდის კანონიერი საშუალება, უსრუნველყოფილია ნაწილობრივ ოქროთი და ნაწილობრივ ისეთი უცხო ვალუტით, რომელიც შეიძლება ოქროზე გადახურდავდეს. ასეთი ვალუტის მონაწილეობა უსრუნველყოფაში ოქროს მარაგის სიმცირეს ნიშნავს.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრია-უნგრეთში შემოიღეს ოქროს მონომეტალიზმის სისტემა ოქროს მიმოქცევის გარეშე. აქ საემისიო ბანკი, მართალია მიმოქცევაში უშვებდა ოქროთი უსრუნველყოფილ ბანკნოტებს, მაგრამ მათი გადახურდავება ოქროზე არ წარმოებდა. ამავდროულად

ოღში გერმანიაში თავის ერთ-ერთ კოლონიაში გამოუშვა ბანკნოტები, რომელთა ერთი მესამედი ოქროთი, ხოლო ორი მესამედი - გერმანიის რეიხსბანკის ბანკნოტებითა და ფასიანი ქაღალდებით იფარებოდა. ანალოგიური კოლონიური ტიპის ოქრო-დვეიზური სისტემა შექმნა დიდმა ბრიტანეთმა. მაგ., ინდოეთში დამყარდა განსასღერული შეფარდება რუპიასა და გირვანქა სტერლინგს შორის. ამ შეფარდების მიუხედავად, ხდებოდა რუპიის გადახურდავება ინგლისურ დვეიზებზე, რის შედეგადაც რუპია გირვანქა სტერლინგზე მიჯაჭვული აღმოჩნდა, რაც ხელს უწყობდა მონოპოლიების მიერ ინდოეთის კოლონიური ძარცვის გაძლიერებას. ასევე მოხდა ალჟირში, ინდო-ჩინეთსა და სხვა კოლონიურ ქვეყნებში.

კიდევ უფრო გაძლიერდა ქვეყნებს შორის უთანაბრო განვითარება, რამაც თავის მხრივ, გააძლიერა ოქროს მარაგის უთანაბრო განაწილება. 1913 წლისათვის მთელი კაპიტალისტური სამყაროს ოქროს მარაგი შეადგენდა 4070 მლნ დოლარს, რომელიც შემდეგნაირად იყო განაწილებული: აშშ - 1290მლნ დოლარი, დიდი ბრიტანეთი - 279მლნ დოლარი, იტალია - 267მლნ დოლარი.

მართალია, პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში მთელ რიგ ქვეყნებში შედარებით განმტკიცდა ოქრო-მონეტური სტანდარტი, მაგრამ ეს მოხდა მისი სოგიერთი პრინციპის დარღვევით. ამის მაგალითია მონეტების მოჭრის შეზღუდვა, რამაც მიმოქცევიდან ოქროს მონეტების გადინება გამოიწვია. 1913 წლისათვის ოქროსა და ვერცხლის მონეტები კაპიტალისტური ქვეყნების მიმოქცევის ერთ მეექვსედს შეადგენდა, მ.შ. ოქროსი - ერთ მესამედ ნაწილს. მიუხედავად ამისა, ქვეყნების ფულადი სისტემა, ფულადი რეფორმების ჩატარების გსით, მაინც შედარებით სტაბილური რჩებოდა. რეფორმების შედეგად სოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში, შემოღებულ იქნა ოქრო-სოდური სისტემა, ხოლო უმრავლეს ქვეყანაში (გერმანია, ავსტრია, დანია, ნორვეგია და სხვ.) - ოქრო-დვეიზური სისტემა და მაინც მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მეტად ძლიერი დარტყმა მიაყენა ოქროს მონომეტალიზმის სისტემის ყველა ფორმას. თითქმის ყველა ქვეყანამ შეწყვიტა ფულის გადახურდავება ოქროზე. ოქროს

სტანდარტი გაუქმდა. დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში გაბატონდა ქაღალდის ფულის მიმოქცევა.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფულადი სისტემისათვის დამახასიათებელია:

ოქროსთან უშუალო კავშირის შეწყვეტა;

გადახურდაეებული საკრედიტო ფულის გაბატონება, რომელიც თავისი ვუნებით ქაღალდის ფულის იდენტიურია;

ოფიციალურ ოქროსა და ვალუტის რეზერვების დაკრედიტებით უზრუნველყოფა;

უნაღდო ბრუნვის ფართოდ განვითარება და ნაღდი ფულადი ბრუნვის შემცირება;

- ფულის მიმოქცევის სახელმწიფო რეგულირება.

ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების თანამედროვე ფულადი სისტემისათვის დამახასიათებელია:

- ფულში ოფიციალური ოქროს შინაარსის ბანკოტების ოქროთი უზრუნველყოფისა და ოქროზე გადახურდაეების გაუქმება;

- ოქროზე გადახურდაეებულ საკრედიტო ბილეთებზე გადასვლა, რომელიც თანდათანობით ქაღალდის ფულად გარდაიქმნება;

- ფულის მიმოქცევაში გაშვება არა მარტო ეროვნული მეურნეობის დაკრედიტების მიზნით, არამედ სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად;

ფულის მიმოქცევაში უნაღდო ბრუნვის დომინირება;

ფულის მიმოქცევის სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების გაძლიერება.

3.2. საქართველოს ფულადი სისტემა

საქართველოს ფულადი სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს აწესებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონი (მიღებული საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 23 ივნისს დადგენილებით). საქართველოს ოფიციალური ფულის ერთეულად აღიარებულია ლარი. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ლარი წარმოადგენს გადახდის ერთადერთი კანონიერ საშუალებას.

ეროვნული ბანკი ადგენს და არეგულირებს ლარის გაცვლის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ. თუ ეროვნული

ბანკი არ გამოაცხადებს ღარიის ოფიციალურ კურსს უცხოური ვალუტის მიმართ, მაშინ კურსი განისაზღვრებს ბაზარზე თავისუფალი მოთხოვნის და მიწოდების საფუძველზე. საქართველოს ეროვნულ ბანკს ექსკლუზიური უფლება აქვს განახორციელოს ბანკნოტების და მონეტების, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის კანონიერი საშუალებების ემისია.

ეროვნული ვალუტა ღარი (მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული, მდინარე, ვადიანი და საბანკო ანგარიში) უსრუნველყოფილია ოქროს მარაგით, უცხოური ქვეყნების სავალუტო კრედიტებით და საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა აქტივებით. ბანკნოტების და მონეტების ემისიის გამოყენება უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად აკრძალულია.

ეროვნული ბანკის მიერ გადახდის კანონიერი საშუალებების სახით გამოშვებულ ბანკნოტებსა და მონეტებს, რომლებიც მიმოქცევიდან არ არის ამოღებული, შესასრულებლად იღებენ ნებისმიერი სახელმწიფო და კერძო ვალის დასაფარავად ქვეყნის ტერიტორიაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის კანონიერ საშუალებად მიჩნეული ბანკნოტებისა და მონეტების ნომინალი, წონა გაფორმება და სხვა მახასიათებლები განისაზღვრება ქვეყნის ბანკთაბანკის - ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი უსრუნველყოფს ბანკნოტების ბეჭდვას და მონეტების მოჭრას, მიმოქცევაში გასაშვები ბანკნოტების საიმედო შენახვას. აგრეთვე საბეჭდო ფორმების, შტამპებისა და მიმოქცევიდან ამოღებული ბანკნოტებისა და მონეტების შენახვას და აუცილებლობის შემთხვევაში, მათ განადგურებას.

ეროვნული ბანკი მიმოქცევიდან ამოიღებს და გაანადგურებს შემდგომი გამოყენებისათვის უვარგის ფულის ნიშნებს და ცვლის მათ ახლით. ქვეყნის მთავარი ბანკი უშუალოდ აკონტროლებს ნაღდი ფულის მარაგს, ადგენს მისი ემისიის გეგმებს, ბანკნოტებით და მონეტებით უსრუნველყოფს ეროვნულ ეკონომიკას.

ნებისმიერ პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, თუ იგი:

გააყალბებს გადახდის კანონიერი საშუალებად გამოყენებულ ბანკოტს და მონეტას. უკანონოდ დაბეჭდავს ან სახეს შეუცვლის, მიუხედავად იმისა, საქართველოში ხდება ეს თუ საზღვარგარეთ. იგივე ქმედებას ჩაიდენს ნებისმიერ ვალუტაში დენომინირებული ჩეკის, ფასიანი ქაღალდის, ან საგადასახდლო ბარათის სახით;

- ფლობს, გადაზიდავს ან გამოუშვებს ისეთ ბანკოტებს, მონეტებს, ჩეკებს, ფასიან ქაღალდებს ან საგადასახდლო ბარათებს, იცის რა მისი გაყალბების, უკანონო ბეჭდვის, ფალსიფიკაციის ან ამოშლის შესახებ;

- ამზადებს, ფლობს ან გადაზიდავს ნებისმიერი სახის საბეჭდო ფორმებს, მატრიცებს, ქაღალდს, საღებავს და სხვა საგნებს და ნივთიერებებს, იცის რა რომ ისინი გამოიხსნულია ბანკოტების, მონეტების, ჩეკების, ფასიანი ქაღალდების ან საგადასახდლო ბარათების გაყალბების უკანონო ბეჭდვის, ფალსიფიკაციის ან ამოშლისათვის.

ეროვნული ბანკი ფლობს, ინახავს და მართავს ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს, რომელიც შედგება ყველა ან ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივებისაგან, ულიკვიდო აქტივების ან იმ აქტივების გამოკლებით, რომლებიც წარმოადგენენ სავალო ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალებებს, ან ნებისმიერ სხვა აქტივებს, რომელთა რეალიზაცია სხვადასხვა მიზეზების გამო ეროვნულ ბანკს არ შეუძლია უმოკლეს ვადაში ასეთია:

ა) ოქრო;

ბ) უცხოური ვალუტა ბანკოტებისა და მონეტების სახით, საზღვარგარეთ საბანკო ანგარიშზე რიკხული უცხოური ვალუტის ნაშთები;

გ) ნებისმიერი სხვა საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სარეზერვო საშუალებები, მ.შ. საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან სახსრების შექმნის უფლება სარეზერვო ტრანშის ფარგლებში და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნასესხობის სპეციალური უფლების საქართველოს მინისტრთა კაბინეტის კუთვნილი მარაგი;

დ) უცხოური ვალუტით გამოხატული და ასანაზღაურებელი გადასაყვანი და მარტივი თამასუქი;

ე) სახელმწიფოსათვის, ცენტრალური ბანკების ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული ან გარანტირებული სავალო ვალდებულებებში უცხოური ვალუტით გამოხატული და ასანაზღაურებელი ფორვარდული კონტრაქტები და შეთანხმებები ფასიანი შექმნის შესახებ მათი შემდგომი გამოსყიდვით.

კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რას წარმოადგენს ქვეყნის ფულადი სისტემა?
2. ფულად სისტემათა რომელ ძირითად ტიპებს გამოიყოფენ?
3. დაახასიათეთ ფულად სისტემათა ძირითადი ელემენტები.
4. ლითონური ფულადი სისტემის რომელი ძირითადი ტიპებია ცნობილი?
5. განმართეთ ბიმეტალისმი და მისი ძირითადი სახესხვაობები.
6. დაახასიათეთ მონომეტალისმი და მისი სახესხვაობები.
7. რა ძირითადი ნიშნებია დამახასიათებელი განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფულადი სისტემისათვის?
8. დაახასიათეთ საქართველოს თანამედროვე ფულადი სისტემა.

ტესტები

1) სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში დადგენილი ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციული ფორმა, რომელიც ისტორიულადაა ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ეროვნული კანონმდებლობით არის:

ა) საკრედიტო სისტემა;

ბ) საბანკო სისტემა;

გ) ფულადი სისტემა;

დ) სავალუტო სისტემა.

თემა 4. ინფლაცია: არსი, მიზეზები, შედეგები, დაძლევის ბუნება.

როცა მოაურობა ყველს აუფასურებს, რათა ყველა მორწმუნე მოატყუოს, ამ მოვლენას ზრდილობიანად უწოდებენ ინფლაციას

ბ. შოუ

4.1 ინფლაციის არსი და სახეები

ინფლაცია ეწოდება სიტუაციის, როდესაც ფასები განუწყვეტლივ იზრდება. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ფასი ერთნაირი ტემპით იცვლება, ან თუნდაც ერთი მიმართულებით. ზოგიერთი ფასი შეიძლება ძალზედ მაღლა ავირდეს, სხვები ნელ-ნელა ეტაპობრივად გაიზრდოს, ხოლო ზოგიერთები შემცირდეს კიდევ. ჩვენ ვამბობთ, რომ ინფლაცია მიმდინარეობს, როდესაც ადგილი აქვს მიმოქცევის არხების გასეზებას ჭარბი ქაღალდის ფულით, ფულის გაუფასურებას, ფასების განუწყვეტლივ სრდას საშუალოდ.

ინფლაცია შეიძლება ამასთან ერთად წარმოვიდგინოთ, როგორც სიტუაცია, როდესაც ეცემა ფულის ღირებულება. თუ ფასები მაღლა იწევს, მაშინ ლარის მსყიდველობითი უნარი ეცემა მისით (ღარით) სულ უფრო და უფრო ნაკლები საქონლისა და მომსახურების ყიდვა შეიძლება.

ინფლაცია ბუნებრივი და გარდაუვალი მოვლენაა იმ ადამიანისათვის ვინც საქართველოში გაიზარდა გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ. მაგრამ სინამდვილეში ინფლაცია სულ არ არის გარდაუვალი. მე-19 საუკუნეში იყო საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდები, როდესაც ფასების უმეტესობა შემცირდა— ანუ ადგილი აქონდა მოვლენას, რომელსაც დეფლაცია ეწოდება. მაგალითად, 1896 წ. აშშ-ის ეკონომიკაში ფასების საშუალო დონე უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 1880 წელს. ფერმერებმა, რომელთაც დიდი ვალები დაუგროვდათ, ზარალი განიცადეს, როდესაც მარცვლეულის ფასების შემცირებამ მათი შემოსავლები და აქედან გამომდინარე, ვალების გადახდის უნარი შეამცირა. ამიტომ ფერმერები ისეთი სამთავრობო პოლიტიკის შემოდ ბას ითხოვდნენ, რომელიც დეფლაციის პროცესს საპირისპირო მიმართულებით შეაბრუნებდა.

როცა ინფლაციაზე ვსაუბრობთ, ლაპარაკია არა ცალკეული საქონლის ფასების, ან მომსახურების ცალკეულ

სახეობაზე ფასების მატებაზე, არამედ მათი ერთობლივი ფასებისა და ტარიფების საერთო დონეზე. იმის დასადგენად, აქვს თუ არა ადგილი ინფლაციას და რამდენად მაღალია მისი დონე, საჭიროა ერთმანეთს შევადაროთ ფასებისა და ტარიფების საერთო დონე მიმდინარე და საბაზისო პერიოდისათვის.

ფასების საეთო დონის ცვლილება ფასების ინდექსით გამოიხატება. ფასების ინდექსი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ფასთა ერთობლიობის შ ფარდებას საბაზისო პერიოდის ფასთა ერთობლიობასთან. ფასების ინდექსი პროცენტებით ან კოეფიციენტებით აღინიშნება.

ათასობით დასახელების საქონელთა ფასების დაჯამება ტექნიკურად საკმაოდ რთული და პრაქტიკულად განუხორციელებელი საქმეა, ამიტომ ფასების ერთობლიობას საქონელთა გარკვეულ რაოდენობაზე ანგარიშობენ. ამ საქონელთა ერთობლიობას, რომლის მიხედვითაც გაიანგარიშება ფასების ინდექსი „საბაზრო კალათას“ ან „სამომხმარებლო კალათას“ უწოდებენ. საბაზისო და მიმდინარე პერიოდების სამომხმარებლო კალათები ინტენსიური ინდა იყოს, ე. ი. უნდა აერთიანებდესერთნაირი დასახელების საქონლისა და მომსახურების სახეებს. სამომხმარებლო კალათა შედგება იმ საქონლისა და მომსახურების სახეებისაგან, რომელსაც მოქალაქე შეიძენს დროის გარკვეულ მონაკვეთში.

ინფლაციის ტემპის დასადგენად, საჭიროა წინაწლის ინდექსი გამოვაკლოთ მიმდინარე წლის ინდექსს, მიღებული სხვაობა გაყოთ წინა წლის ინდექსზე და გავაამრავლოთ 100-ზე. მაგალითად, თუ 2007 წელს ფასების ინდექსი 180-ის ტოლია, ხოლო 2008 წელს 190 შეადგენს, მაშინ ინფლაციის ტემპი შემდეგნაირად გაიანგარიშება: $(190-180) / 180 \times 100 = 5,6$ ე.ი. ინფლაციის ტემპმა 2008 წელს წინა წელთან შედარებით შეადგენს 5,6 პროცენტი.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი გაიანგარიშებს „სამომხმარებლო ფასების ინდექსს„. სამომხმარებლო ფასების ინდექსი ასახავს ფასების საშუალო ცვლილებას საქონლისა და მომსახურების ფიქსირებულ კალათაზე, რომელსაც მოხმარებისათვის შეიძენს მოსახლეობა. საქონლისა და მომსახურების ფასები, რომლებიც გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოსათვლელად, გროვდება საქართველოს ხუთი ქალაქის (თბი-

ლისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი) საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში - მაღაზიებში, ბაზრებში, ბენზინგასამართ სადგურებში, ვაჭრობისა და მომსახურების სხვა ობიექტებში. სამომხმარებლო კალათაში შ მავალი 311 დასახელების საქონლისა და მომსახურების შეწონვის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია შინამეურნეობათა გამოკვლევის საფუძველზე.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ითვლება მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებლად, რომელიც ახასიათებს ინფლაციის დონეს და გამოიყენება ეკონომიკაში ფასების ცვლილების დონესთან დაკავშირებული პროცესების ანალიზისა და პროგნოზირებისათვის.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი ასწახაეს ადგილობრივი მწარმოებლების მიერ საკუთარ პროდუქციაზე დადებული ფასების დონის საშუალო ცვლილებას. იგი მოიცავს ეკონომიური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის C, D, და E სექციების (შესაბამისად, სამთომოპოვებითი მრეწველობა; დამამუშავებელი მრეწველობა; ელექტროენერჯის; აირისა და წყლის წარმოება და განაწილება). სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გამოთვლაში ჩართულია 600-ზე მეტი საწარმოს პროდუქცია. წონები მწარმოებელთა ფასების ინდექსისათვის შედგენილია სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის სტრუქტურის მიხედვით.

ინფლაციის სახეები. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ფასების (ფასების ინდექსის) ზრდის ტემპის მიხედვით გამოიყოფა ინფლაციის სამი სახეობა: ზომიერი, ჭეხილი და ჰიპერინფლაცია. ზომიერი ინფლაციის დროს ფასები ნელა (შუამჩნევლად) მიმდინარეობს. ამ დროს ფასების ზრდის ტემპი წლის მანძილზე 10%-ს არ აღემატება, ფულის კურსი უცვლელია, ღირებულება (ფულის) შენარჩუნებულია, ფასების ზრდის შ დეგი უმნიშვნელო.

ეკონომიკური თეორიის ერთერთი მიმდინარეობა, კერძოდ ნეოკეინსიალობა, ინფლაციის ამ სახეობას მიიჩნევს ეკონომიკურ განვითარებაზე კეთილმოყვულ ფაქტორად. იგი ნიძლევა მოთხოვნა-მიწდების ცვალებადი პირობების შესაბამისად ფასების კორექტირების საშუალებას. განვითარება

რებული ქვეყნების ეკონომიკისათვის მეტწილად ინფლაციის აღნიშნული სახეობაა დამახასიათებელი.

ტენებითი ინფლაცია. ტენებადია ინფლაცია, როცა ქალაქის ფული სწრაფად უფასურდება. ამ დროს ფასები ქაოსურია და იზრდება წელიწადში 200%-მდე, წარმოება დეზორგანიზებულია, ყველა ცდილობს მოიმარაგოს საქონელი და თავიდან მოიშოროს გაუფასურებული ქალაქის ფული. ამის გამო იწყება ფულის ინტენსიური მატერიალისაცია საქონელში. ინფლაციის ეს სახეობა არც თუ ისე იშვიათია თვით განვითარებულ ქვეყნებში.

ჰიპერინფლაცია. ეს ინფლაციის განსაკუთრებული სახე, რომლის დროსაც მისი ზრდის ტემპი, ჩვეულებრივ 200%-ს აღემატება წელიწადში. ჰიპერ ინფლაციის დროს მიმოქცევაში გაშვებული ფულის რაოდენობა და ფასები საკმაოდ მაღალი ტემპებით მატულობს. ფასები და ხელფასი ცილდება ერთმანათს. ასეთ ვითარებაში შიძლება ითქვას, ნადგურდება ეროვნული მეურნეობა და ცხოვრების დონის დაკვირვება ყველასე უზრუნველყოფილი ფენებიც კი გრძნობენ.

ჰიპერინფლაცია იშვიათი მოვლენაა, მაგრამ მრავალმა ქვეყანამ უკვე განიცადა მისი მწვავე შედეგები. აგალითად, გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ 1921 წლის იანვარში გასული 0,3 მარკა ღირდა, ორ წელიწადსე ნაკლები ხნის შემდეგ კი ეს რიცხვი 70 000 000 მარკამდე გაიზარდა. ბოლივიაში 1984 წელს ინფლაციამ შეადგინა 200 %, ხოლო 1985 წელს თითქმის 800 %, არგენტინაში ფასების ზრდის ტემპმა 1984 წელს 1000 %-ს მიაღწია, 1983-94 წლების საქართველოში კუპონის გაუფასურების საშუალო თვიური ტემპი 100 %-ს შეადგენდა.

როგორც ზომიერი, ისე ტენებითი და ჰიპერინფლაცია განეკუთვნება ე.წ. ღია ინფლაციას და თავს იჩენს ბაზრებზე, სადაც მოქმედებს თავისუფალი ფასები. მისგან განსხვავებით, ფარული ინფლაციის დროს, რომელიც წარმოიქმნება მკაცრად რეგულირებადიან ფიქსირებული ფასების მქონე ეკონომიკაში, ფასების ზრდა არც კი იყოს შესაძლებელი. ამ დროს ფულის გაუფასურება გამოხატულებას პოულობს მწვავე დეფიციტსა და გრძელ რიგებში. საქონლის იშვიათობის გამო, დიდი ძალისხმევის გარეშე ვერ ხერხდება ფულით მისი შეძენა.

სხვადასხვა ჯგუფის საქონლის ფასების ზრდის დაბალანსებების მიხედვით გამოყოფენ ინფლაციის ორ სახეობას: დაბალანსებულ და დაუბალანსებელ ინფლაციას.

დაბალანსებული ინფლაციის დროს ფასების ზრდა საქონლისა და მომსახურების უმრავლესობაზე სომიერი და ერთდროულია. ამიტომ სხვადასხვა ჯგუფის საქონლის ფასების დონეთა ურთიერთთანაფარდობა უცვლელი რჩება.

დაუბალანსებელი ინფლაციის დროს სხვადასხვა ჯგუფის საქონელზე ფასები იზრდება განსხვავებული ტემპით, ამიტომ ფასების დონის მიხედვითმათ შორის თანაფარდობა სისტემატურად იცვლება.

მესამე ჯგუფის კირიერიუმის (ინფლაციის მოსალოდნელობა) თვალსაზრისით გამოყოფენ მოსალოდნელ და მოულოდნელ ინფლაციას.

მოსალოდნელი ინფლაციის გარდაუქმობა წინასწარვე ცნობილია და შეიძლება მისი პროგნოზირება გარკვეული პერიოდისათვის. არცთი იშვიათად „იგეგმება“ იგი ქვეყნის მთავრობის მიერ, ამიტომ შედარებით ორგანიზებულ ხასიათს ატარებს.

მოულოდნელი ინფლაცია ხასიათდება ფასების უეცარი (მოულოდნელი) ნახტომისებური აწევით, რაც ფრიად უარყოფით გავლენას ახდენს ფულის მიმოქცევაზე და გადასახადებით დაბეგრის სისტემაზე.

4.2 ინფლაციის გამომწვევი მიზეზები.

დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ინფლაციის მიზეზების ახსნას მაკროდონეზე მიმიდინარე პროცესების, ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე ცდილობენ. ინფლაციის მიზეზებს შორის წინა პლანზე წამოიწევა ისეთი მაკროეკონომიკური პროპორციების დარღვევა, როგორცაა წინასწარობა მოხმარებასა და დაგროვებას შორის, გადახდისუნარიან მოთხოვნასა და შესაბამისი მოცულობის საქონლისა და მომსახურების მიწოდებას შორის, სახელმწიფო შემოსავლებსა და სახელმწიფო ხარჯებს შორის, საკრედიტო რესურსების მოცულობასა და რეალურ მოხმარებას შორის, ფულის მიმოქცევის კანონის

მოთხოვნასა და ამ ის მიმოქცევაში რეალურად არსებული ფულის მასის მოცულობას შორის და სხვა. ჭარბი მოთხოვნით გამოწვეულ ინფლაციას (მოთხოვნის ინფლაცია) და წარმოების დანახარჯების სრლით გამოწვეულ ინფლაციას (დანახარჯთა ანუ მიწოდების ინფლაცია.)

ჭარბი მოთხოვნით გამოწვეული ინფლაცია. იმ სიტუაციაში, როდესაც ერთობლივი მოთხოვნის გადიდება წარმოშობს ფასების დონის ზრდას, საქმე გვაქვს ჭარბი მოთხოვნით გამოწვეულ ინფლაციასთან. ფასების დონის ზრდა, საბოლოო ანგარიშით გადაიზრდება ნომინალური ხელფასის გადიდებაში და ამრიგად გამოიწვევს წარმოების რეალური მოცულობის ზრდას მოკლევადიან მონაკვეთში. გრძელვადიან ინტერვალში კი ნომინალური ხელფასი გაიზრდება და წარმოების რეალური მოცულობა დაუბრუნდება თავდაპირველ დონეს, მაგრამ ფასების დონე უფრო მაღლა აიწვს.

ტრადიციულად, ცვლილებები ფასების დონეში ჭარბი ერთობლივი მოთხოვნით აიხსნება. ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს სახელმწიფოს (ძირითად სამხედრო და სოციალური) შეკვეთების გაფართოება, წარმოების საშუალებებზე მოთხოვნის გადიდება, შემოსავლის ზრდის კვალობაზე მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ამაღლება და ა.შ. ბევრ შემთხვევაში სახელმწიფოს არ ძალუძს უპასუხოს ამ ჭარბ მოთხოვნას პროდუქციის შესაბამისი მოცულობის გადიდებით, იმიტომ რომ ყველა არსებული რესურსი მთლიანად გამოყენებულია. ასევე ვითარებაში ეს ჭარბი მოთხოვნა აპრობებს საქონლის ფასების ზრდა და მოთხოვნის ინფლაციას. ინფლაციის ეს ტიპი, ჩვეულებრივ წარმოიბა სრული დააქმები და წარმოებრივ იმპარტთა რუი დატვირთვის დროს.

ამრიგად, მოთხოვნის ინფლაციას იწვევს ისეთი ფაქტორები, როგორია: ეკონომიკის მილიტარიზაცია და სამხედრო ხარჯების ზრდა; ახემწიფო ბიუჯეტი დეფიციტი და შიდა სამხედრო ხარჯების ზრდა; ბანკების საკრდიტო ექსპანსია; იმპორტირებული ინფლაცია (აქტიური სგადასახდლო ბალანსის მქონე ქვეყნების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვისას საქონელბრუნვის მოთხოვნის ზევით ეროვნული ვალუტის ემისია) და სხვა.

წარმოების დანახარჯების გზით გამოწვეული

ინფლაცია. წარმოების ხარჯების გადიდება, ნებისმიერი ფასების დონის პირობებში, იწვევს ფასების დონის ზრდას. ახლა საჭიროა ხარჯების ზრდის თეორია განვიხილოთ გრძელვადიან კონტექსტში. დაეუშვათ, რომ პროფკავშირების წყალობით ნომინალური ხელფასის ზრდამ გაუსწრო შრომის ნაყოფიერების ზრდას. ხელფასის ზრდის კვალობაზე შემცირდება წარმოების მოცულობა, რომელსაც მოჰყვება ფასების დონის ამაღლება.

წარმოების ხარჯების ზრდით გამოწვეული ინფლაცია ეკონომიკური პოლიტიკის ავტორებს აყენებს დილემის წინაშე. წარმოების დაქვეითებას და მის თანმხლებ უმუშევრობას მთავრობამ შეიძლება დაუპირისპიროს მასტიმულირებელი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ერთობლივი მოთხოვნის ასამაღლებლად. მაგრამ მასტიმულირებელი პოლიტიკა შეიძლება უარყოფითი შედეგების მომტანი გამოდგეს, რამდენადაც ერთობლივი მოთხოვნის ზრდა კიდევ უფრო მეტად ამწვავებს ინფლაციას, ხელს უწყობს ფასების ზრდას. მის საპასუხოდ დასაქმებულები შეეცდებიან თავიანთი მინიმალური ხელფასის გაიდბას. ნომინალური ხელფასის გადიდებას. ნომინალური ხელფასის ამაღლება კი გამოიწვევს წარმოების ხარჯების შემდგომ ზრდას, რომელსაც მეწარმეები უპასუხებენ გამოშვების მოცულობის შეცირებით. წარმოების მოცულობის შემცირება კი გამოიწვევს უმუშევრობის დონის ამაღლებას და ეკონომიკაში სტაგფლაციის პრობლემის კვლავწარმოებას. მოკლედ, რომ ითქვას მთავრობა კვლავ დაიწყებს ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას და კვლავ განმეორდება აღნიშნული სცენარი.

დაეუშვათ, რომ მთავრობამ შეიტყო უარყოფითი შედეგების მიღების საშიშროების შესახებ და ურითქვა ერთობლივი მოთხოვნის გადიდებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავრობამ თავის ნებაზე (Laisser faire) მიუშვა წარმოების ზრდის ხარჯებით გამოწვეული ინფლაცია. მისი შედეგი იქნება წარმოების დახურვა, მასობრივი უმუშევრობა და გაკოტრება. მაშასადამე, შრომის ბაზრის შეკუმშვა სამარისი იქნება, რათა გამოიწვიოს ნომინალური ხელფასის დაცემა და ადრინდელ პოზიციაზე ერთობლივი მიწოდების დაბრუნება. შესაბამისად, ფასები დაუბრუნდება ადრინდელ

დონეს, ხოლო გამოშვების პოტენციური დონე აღდგება გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდების დონეზე.

აღნიშნული მსჯელობიდან შეიძლება გაკეთდეს ორი დასკვნა:

ა) თუ წარმოების ხარჯების ზრდით გამოწვეული ინფლაციის პირობებში მთავრობა შეეცდება სრული დასაქმების მიღწევას, სავარაუდოა ინფლაციური სპირალის გაჩენა;

ბ). თუ მთავრობა არ შეეცდება, შემოქმედება მოახდინოს წარმოების ხარჯების ზრდით გამოწვეულ ინფლაციაზე, ერთობ სავარაუდოა დაქვეითების გაფართოება. თუმცა, საბოლოო ანგარიშით, უნდა ველოდოთ, რომ დაქვეითება მოახდენს წარმოების ხარჯების თავდაპირველი ზრდის ლიკვიდაციას, ეკონომიკა განსაზღვრული დროის განმავლობაში იქნება მაღალი ინფლაციისა და რეალური გამოშვების დაკარგვის მდგომარეობაში.


ინფლაცია შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო ერთობლივი მოთხოვნის გადიდება, წარმოების ხარჯების ზრდამ და სტრუქტურულმა ფაქტორებმა, რომლებიც აგეაცილებენ ხელფასის შემცირებას, არამედ ის შეიძლება წარმოშვას აგრეთვე მოლოდინმა.

თუ ფირმები გადაწყვიტავენ მიღეისას იხელმძღვანელებენ ინფლაციური მოლოდინით, ფასები კიდევ უფრო უმართავი გახდება. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკისადმი უნდობლობა შესამჩნევ გაელენას ახდენს ამ მოლოდინზე და შეიძლება უფრო მეტად შეუწყოს ხელი ფასების ზრდას.

უმუშევრობის ნორმასა და ინფლაციის ტემპებს შორის არსებობს პროპორციული დამოკიდებულება. ეს პროცესი საფუძვლიანად შეისწავლა ინგლისელმა ეკონომისტმა ო. ფილიპსმა. მან XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში შეიმუშავა ორიგინალური მოდელი, რომელიც ცნობილია ფილიპსის მრუდის სახელწოდებით.

მან ყოველმხრივ გააანალიზა ინგლისის ეკონომიკის 1861-1956 წწ. პერიოდი და მივიდა ასეთ დასკვნამდე: უმუშევრობის დონის ზრდა 2,5-3%-ის სიხშირით იწვევს ფასებისა და ხელფასების ზრდის მკვეთრ შენელებას და პირიქით, უმუშევრობის შემცირებას თან სდევს ფასებისა და ხელფასის გადიდება, რასაც საბოლოო ანგარიშით, ინფლაციამდე მიუყვართ (ი.ხ ნახ. 4.1) გამოდის, რომ

სახოგადოებამ უმუშევრობის დონის შემცირება უნდა უზრუნველყოს ინფლაციის ტემპების დაჩქარების ხარჯზე, რაც წინააღმდეგობრივი ხასიათის მატარებელია.



უმუშევრობის დონე

ნახ. 4.1. ფილიპის მრუდი

ფილიპის მრუდი საშუალებას იძლევა ინფლაციისა და უმუშევრობის ტემპებს შორის მრავალ შესაძლო შეთანაწყობის ვარიანტიდან შეირჩეს ოპტიმალური ვარიანტი.

სამწუხაროდ XX საუკუნის 60 იანი წლებიდან ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში (აშშ, კანადა, საფრანგეთი, იაპონია და სხვა) გამწვავდა ინფლაციური პროცესი. მაგალითად აშშ ში 70-იან წლებში ფასების 'ზრდის კვალობაზე' ეკონომიკა შეარყია მოწოდების მთელმა რიგმა მოკურმა ცვლილებებმა, რამაც ინფლაციის ტემპი მნიშვნელოვნად გაზარდა. 80-იანი წლების დასაწყისში შეიმჩნეოდა სტაგფლაციური პერიოდი - მაღალი ფასები და ეკონომიკის სტაგნაცია. ხელისუფლების ფისკალური და ფულადი პოლიტიკა, რომელიც თაქდაპირველად მიმართული იყო სრული დასაქმების უზრუნველსაყოფად, გადართული იქნა ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ორ ფაქტორს

შორის კავშირურთიერთობა ფილიპსის მრუდით შესწავლილ იქნა მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ უფრო ადვილია ქვეყანამ იაროს უმუშევრობის დონის შემცირების გზით (მრუდის მალდა), ვიდრე პირიქით. ამ გარემოებამ განაპირობა ის რომ, თანამდროვე პერიოდში ინფლაცია ჩაითვალა ნორმალურ მოვლენად და შესაბამისად დაიწყეს ბაზართან მისის მისადაგება. XX საუკუნის დასასრულისათვის ინფლაციის ტემპები ზომიერი გახდა, ხოლო უმუშევრობის დონე კი შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

ამერიკელი ეკონომისტების პ. სამუელსონისა და რ. სოლოუს მიერ მრუდიერთგვარი მოდიფიცირების (ეკრძოდ ხელფასის განაკვეთების საქონლური ფასების ზრდის ტემპებით შენაცვლების) შემდეგ, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებმა ფილიპსის მრუდი საფუძვლად დაუდეს თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკას და სცადეს დასაქმებას და ინაფლაციას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დამყარება. მგვარი რეგულირების პრაქტიკამ ცხადყო, რომ ფილიპსის მრუდის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ მოკლე პერიოდის ეკონომიკურ სიტუაციებში, რადგანაც გრძელვადიან (5-10 წელი) პერიოდში, უმუშევრობის მაღალი დონის მიუხედავად, ინფლაცია განაგრძობს ზრდას, რაც აიხსნება გარემოება ფართო წრით.

43 ინფლაციის შედეგები

თუ საზოგადოების რიგითი წევრის აზრს გავიხიარებთ ინფლაციის შესახებ, დაგვრჩება შთაბეჭდილება: ინფლაცია საზოგადოების თითოეულ წევრს მძიმე შრომითი მოპოვებული ლარის მსყიდველობით უნარს კპარავს. ღოდესაც ფასი იზრდება, შემოსავლის თითოეული ლარით საქონლისა და მომსახურების ნაკლებ რაოდენობას ყიდულობს. როდესაც ინფლაცია გარკვეული დროის მანძილზე გრძელდება, ადამიანები იძენენ გარკვეულ გამცდილებას და იწყებენ ფასების მომავალი ნახტომის წინასწარ ჭერეტას. მუშები იწყებენ თავიანთი მოთხოვნების წამოყენებას, ხელფასების მომატების შესახებ ფასების უკვე მომხდარი და აგრეთვე მომავალი ზრდის საფუძველზე. ანალოგიურად ამისა,

ფირმებს ჩვევად აქვთ ქვეყნული უფრო მაღალი ფასები და-
აწესონ თავიანთ საქონელზე. ასეთი მოქმედებები განა-
პირობებენ ინფლაციის ტემპის დასქარებას.

ინფლაციის დროს ადამიანები ცდილობენ თავიანთი
შემოსავლების გადიდებას, რათა მოახდინონ ფასების
ზრდის კომპენსირება. ზოგიერთს ეს უკეთესად გამოსდის
სხვასთან შედარებით. ზოგიერთ პროფკავშირს ხელსაყრელი
პოზიცია აქვს ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების დროს
და შეუძლია დაიცვას თავის წევრების რეალური ხელფასი.
სხვა პროფკავშირული ორგანიზაციები კი, რომლებიც
ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან,
შეიძლება ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, როდესაც მათი
წევრების ხელფასი ზრდას ვერ დაეწევა.

ზოგიერთი კატეგორიის მუშებს ხელფასი ავტომატურად
ეზრდებათ, რადგანაც იგი მიბმულია საცალო ფასების
კრებისთ ინდექსთან. მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფი,
მაგალითად ისინი, ვინც კერძო დახმარებებს ღებულობენ, ან
ისინი, ვისი შემოსავლებიც ფასიანი ქაღალდებიდან
ფიქსირებულ პროცენტებს შეადგენს, რეალური შემოსავლის
დაცემას ვერ გაეძივებიან. აქედან შეიძლება გაკეთდეს
დასკვნა, რომ ინფლაცია ზეგავლენას ახდენს შემოსავლების
განაწილებაზე.

საბანკო ეკონომიკის პირობებში ერთ-ერთი უარყოფითი
შედეგია ურთიერთნდობის შერყევა. თანამშრომლობა, რო-
მელიც საზოგადოებისა და ცივილიზაციის საფუძველია,
საზოგადოების წევრებისაგან მოითხოვს თვით შეზღუდვას
და საკუთარი მიზნის მიღწევის დროს სხვა ადამიანების ინ-
ტერესების გათვალისწინებას: თუ ადამიანები იმ დასკვნამდე
მივლენ, რომ მათ ატყუებენ, მაშინ ისინი ადვილად ჩამო-
იცილებენ შემთავლებელ ეთიკურ ნორმებს. რადგან ამ
შემთხვევაში, ინფლაციის მოსვენებით დანაკარგს ემეტება
სიმდიდრის რეალური განაწილება და მან შეიძლება გამო-
იწვიოს უსამართლობის საყოველთაო შეგრძნება.

ინფლაციის პირობებში ფულის მსესხებლები იგებენ
გამსესხებელთა ხარჯზე. მაგალითად, დაეუშვათ, რომ ვი-
ღაც 1000 ლარს სესხულობს ერთი წლით და ამ წლის
განმავლობაში ფასები 15 %-ით იზრდება. როდესაც ამ ვალს
გაისტუმრებენ, 1000 ლარით უფრო ნაკლების ყიდვა იქნება
შესაძლებელი, ვიდრე მაშინ, როდესაც მას სესხულობენ.

ბუნებრივია მსესხებელმა ნასესხებ თანხაზე პროცენტი უნდა გადაიხადოს, მაგრამ თუ ეს პროცენტი 15 %-ზე ნაკლები იქნება, დაბრუნებული თანხის მსყიდველობითი უნარი უფრო ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე სესხად აღებული თანხის.

წარმოადგენს რა ყველაზე მსხვილ მსესხებელს თავის ქვეყანაში, მთავრობა ამით სარგებლობას ღებულობს ინფლაციისაგან. მას შეუძლია თავისი ვალი დააბრუნოს ფულით, რომლის ღირებულებაც ნასესხებზე უფრო ნაკლებია. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი გრეგორი მენქიუ, თავის პოპულარულ წიგნში „ეკონომიკის პრინციპები“, აღნიშნულ სიტუაციას მოიხსენებს, როგორც ინფლაციის გადასახადს, მას განმარტავს შემდეგნაირად „ინფლაციის გადასახადი – შემოსავალი, რომელსაც მთავრობა იღებს ფულის გამოშვების გზით, ამავე სახელმძღვანელოში ავტორი ინფლაციის შედეგად საზოგადოების დანახარჯებიდან გამოაყოფს.

– „გაცვეთილი ფეხსაცმლის,, დანახარჯები – მოსახლეობის მიერ რესურსების ფუჭად ფლანგვა, როდესაც მას ინფლაციის დროს ხელზე ნაკლები ფულის ფლობის სურვილი უბიძგებს;

– „მენიუს“ დანახარჯები- ფასების ცვლილებასთან დაკავშირებული დანახარჯები;

– ფარდობითი ფასების ცვალებადობა და რესურსების არასწორი განაწილება;

– გადასახადების დამახინჯება ინფლაციის შედეგად;

– გამოთვლების მოუწესრიგებლობა და მოუქნელობა.

4. 4. ანტიინფლაციური პოლიტიკა. ფულის რეფორმა

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარებისას არსებობს ორი ალტერნატივე: ინფლაციური პროცესებისადმი შეგუება (ადაპტირება) და აშკარა ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება.

პირველ მათგანის (ადაპტაციური პოლიტიკის) არსი ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკის სუბიექტები (სახელმწიფო, ფირმები, საოჯახო მეურნეობები) თავიანთ მოქმედებაში წინას-

წარვე ითვალისწინებენ ინფლაციის ნეგატიურ შედეგებს. მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია ინფლაციით გამოწვეული დანაკარგების კომპენსაციის ორი მეთოდი: ფიშერის ეფექტი (ინფლაციის დონის ცვლილებების შედეგად სარგებლის ნომინალური განაკეთის ექვივალენტური (ველილება) და ინვესტიციის პირველი საწყისი თანხის ინდექსაცია, რომლის კოეფიციენტიც ასევე ინფლაციის ტემპებით განისაზღვრება.

საოჯახო მეურნეობები ინფლაციისადმი ადაპტირებას ცდილობენ შემოსავლის დამატებითი წყაროების გამოძებნით, ფულადი სახსრების საქონლურ ფასეულობებში სწრაფი მატერიალიზაციით, კონტრაქტების დადებისას ხელფასების ინფლაციური კორექტირებით და ა. შ.

ინფლაციის პირობებში ფირმები აგრეთვე ცვლიან თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკას. ს გამოიხატება, მაგალითად იმაში, რომ ისინი ხელს კიდებენ მხოლოდ მოკლევადიანი პროექტების რეალიზაციას, რათა სწრაფად დაიბრუნონ დაბანდებული თანხები. აუდა ამისა, ცდილობენ საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნაკლებობა შეივსონ აქციებისა და ობლიგაციების გამოშვების საფუძველზე, გარეშე წყაროების გამოყენების საფუძველზე. გარეშე წყაროების გამოყენებით, ბანკში ანგარიშებზე შეინახონ რაც შეიძლება მცირე ოდენობის თანხები, მოგების დიდი ნაწილი მოახმარონ წარმოების განვითარება-გაფართოვებას და ა. შ.

ადაპტაციური პოლიტიკისაგან განსხვავებით აშკარა ანტიინფლაციური პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ და გატარებულ გრძელვადიან ღონისძიებათა კომპლექსს. გრძელვადიანი ანტიინფლაციური პოლიტიკა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა:

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, არა ფულის ემისის გაძლიერებით, არამედ გადასახადების გადიდებით და სახელმწიფო ხარჯების შემცირებით;

- ფულის მიმოქცევის რეგულირება, კერძოდ ფულის მასის ყოველწლიურ მატებაზე მკაცრი ლიმიტების დაწესება, რაც ხელს შეუწყობს ინფლაციის დონის კონტროლს;
- ინფლაციაზე გარე ფაქტორების გავლენის შესუსტება. მხედველობაშია, ბიუჯეტის დასაფარავად, მთავრობის მიერ

უცხოური კრედიტებისა და სესხების აღ ბისადმი ფრთხილი დამოკიდებულება;

- მოკლევადიანი ანტიინფლაციური პოლიტიკა მიმართულია ძირითადად ინფლაციის ტემპების დროებით შემცირებისაკენ. მაგალითად, სოლიდურ შედეგს იძლევა, ერთობლივი მოთხოვნის გაუდიდებლად ერთობლივი მიწოდების გაფართოება. მ მიზნით სახელმწიფო:

სრულყოფს სამუშაო ძალის მომსაღებას და გადამსაღებას და ზრდის მის მობილობას;

სუბსიდიების მიცემით წაახალისებს კაპიტალდაბანდებათა ზრდას უფრო ახალი მანქანა-მოწყობილობების შესაძენად;

- ახედენს თავისი საკუთრების პრევატიზებას, რათა მოიძიოს სახსრები ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად;

- უქმნის ხელსაყრელ პირობებს მკირე და საშუალო ბიზნესს;

ანტიინფლაციური პოლიტიკის განხორციელებისას ღრმად ინდა იქნეს გაანალიზებული და გათვალისწინებული მისი ნეგატიური შედეგებიც, რადგან არაა გამორიცხული, ნეგატიურმა გადააჭარბოს პოზიტიურსდა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სასოგადოებას. დასაველეთის ექსპერტების გათვლით, ინფლაციის 1%-ით შემცირებისათვის აუცილებელია, წლის განმავლობაში უმუშევრობის ფაქტობრივმა დონემ 2%-ით მაინც გადააჭარბოს მის ბუნებრივ დონეს, რაც ოუკენის კანონის თანახმად, რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს, პოტენციურ შესაძლებლობასთან შედარებით, 5%-ით შეამცირებს.

აშშ-სა და რიგ სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიმდინდი კოპულარობით სარგებლობს მონეტარუი ანტიინფლაციური კონცეფცია, რომლის მთავარი შემოქმედია მ. ფრდმენი. ამ კონცეფციის თანახმად, ანტიინფლაციურმა პოლიტიკამ აუცილებლად უნდა მოიცვაას ორი ბლოკე: ერთობლივი მოთხოვნის რეგულირება და ერთობლივი მიწოდების რეგულირება.

ერთობლივი მიწოდების რეგულირება საკმაოდ სასარგებლო ღონისძიებაა, მაგრამ სასურველ ეფექტს მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ იძლევა და გრძელვადიან ანტიინფლაციურ სტრატეგიას განეკუთვნება. მიმართულებით სწრაფ და რადიკალურ შედეგებს

ერთობლივი მოთხოვნის შესლულდა იძლევა. მონესტარისტთა მტკიცებით, მისი რეალიზაცია იყოფა სამ ეტაპად:

1. ტარდება კონფისკაციური ხასიათის ფულის რეფორმა. ოსახლეობის ხელით არსებული ფულის მასის სწრაფი და მკვეთრი შემცირება, ცხადია უკლებ აქვეითებს მოთხოვნას;

2. ხდება ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და კრედიტის გაძვირება.

3. ცირდება საგადასახადო განაკვეთები და მსხვილი კომპანიების მიერ გამოშვებული ნაწარმით ბაზრის გაჯერებას თან სდევს ფასების შემცირება.

მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში ცნობილია ფულის რეფორმის რამდენიმე სახე:

1. ერთი ფულადი სისტემიდან მეორესე გადასვლა (მაგ., ბიმეტალიზმიდან მონომეტალიზმზე) ან ერთი ფულადი საკონლის შეცვლა სხვა ფულადი საკონლით (მაგალითად, ვერცხლის შეცვლა ოქროთი და სხვა);

2. გაუფასურებული ან არასრულფასოვნად ქცეული ფულის ნიშნების შეცვლა სრულფასოვანი ფულის ნიშნებით;

3. ფულის ემისის სისტემის შეცვლა;

4. ვალუტის სტაბილიზაცია ან ფულის მიმოქცევის მოწესრიგება.

5. ახალი ფულადი სისტემის ჩამოყალიბება სახელმწიფოებრიობის გარდაქმნასთან დაკავშირებით.

არსებობს ფულისა და მისი მიმოქცევის სტაბილიზაციის რამდენიმე მეთოდი:

დეფლაცია – მიმოქცევაში მყოფი ფულის მასის შემცირება სუბსტიტუტის მიმოქცევიდან ამოღების გზით;

ნულიფიკაცია – ძველი ფულიდი ნიშნების გაუქმება და ახალი ნიშნების შემოღება;

დენომინაცია – ფულის ნიშნების ნომინალური ღირებულების შეცვლა, გარკვეული თანაფარდობით მათი გადასვლა უფრო მსხვილი ნომინაციის ფულად ნიშნებზე, ფასების, ტარიფების, ხელფასების, დეპოსიტების ერთდროული გადაანგრაიშებით ახალ ერთეულზე;

დევალვაცია – ფულის ერთეულში ფულადი ლითონის შემცველობის ან უცხოურ ვალუტასთან მისი კურსის შემცირება;

რევალვაცია - ფულის ერთეულში ფულადი ლითონის შემცველობის ან უცხოურ ვალუტასთან შედარებით მისი კურსის გადიდება.

4.5. ჰიპერინფლაციური პროცესის თავისებურებები საქართველოში

საბაზრო ეკონომიკაზე გარადამავალი პერიოდი საქართველისათვის ურთულესი აღმოჩნდა. კონომიკის განვითარება მძაფრ წინააღმდეგობათა და მოვლენათა მკვეთრი ცვლილებების პირობებში მიმდინარეობდა. ჩვენ სინამდვილეში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ვარიანტით წარიმართა. ვეჟანა მოიცვა ღრმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც განაპირობა სხვადასხვა ობიექტურმა და სუბიექტურმა პირობებმა. შტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების თანახმად 1994 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას 1990 წლის ანალოგიური მაჩვენებლის 27,5 % შეადგინა.

საქართველოს ეროვნულ მეურნეობას მძიმე დარტყმა მიაყენა ეკონომიკურმა ბლოკადამ, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ანგარიშსწორების ბლოკირება, ანუ რუსეთის ცენტრალური ბანკიდან რუსული რუბლის საბანკო ნიშნების მოწოდების შეწყვეტა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საკორესპოდენტო ანგარიშებზე ოვერდრაფტების გახსნისა და გაზრდის შესაძლებლობის მოსპობა. მის გამო ქვეყანაში შეიქმნა ნაღდი ფულის დეფიციტი, რომლის აღმოსაფხვრელადაც 1993 წლის 5 აპრილის მიმოქცევაში შემოღებულ იქნა ეროვნული ბანკის კუპონი. ველა სამანეთო ანგარიში ავტომატურად გადაიქცა საკუპონე ანგარიშად. მიუხედავად ანუ მიმოქცევის, საშუალებად გამოცხადდა, მან მაინც ვერ შეძლო გამხდარიყო ნამდვილი ფული, ანუ მიმოქცევის, დაზოგვის და ღირებულების გაზომვის საშუალება. უპონოს მდგომარეობა შეარყია იმ ფაქტმა, რომ უემოაღნიშნული აგვისტოს დადგენილება ცხოვრებაში რეალურად არ განხორციელებულა, თითქმის ყველა საბაზრო გარიგებაში კელაე გამოიყენებოდა

რუსული რუბლი ან აშშ დოლარი, ხოლო კუპინის გამოყენება შეისლუდა მხოლოდ მთავრობის მიერ კონტროლირებადი გარიგებებით.

საქართველოში ადგილი ჰქონდა ფასების დონის რამდენიმე ეტაპად ამაღლებას. 1991-92 წწ. ინფლაცია ძირითადად განპირობებული იყო ფასების ლიბერალიზაციით, ხოლო 1993-94 წ.წ. კი ფულის ჭარბი ემისიით და ინფლაციური მოლოდინით გამოწვეული ფულის მიმოქცევის სინქარის მკვეთრად ამაღლებით. კონომიკის სამინისტროს მონაცემების თანახმად სამომხმარებლო საქონელზე ფასები და ტარიფები საშუალოდ გაიზარდა 1992წ. - 25-ჯერ, 1993წ. - 92-ჯერ, 1994 წ. - 120-ჯერ, 1995 წ. - 57%-ით.

ერთდროულად გამოვლინდა, როგორც მოთხოვნის ინფლაცია ისე დანახარჯების ინფლაცია. მოთხოვნის ინფლაცია ძირითადად გამოწვეული იყო ფულის ჭარბი ემისიით.

ფულის ჭარბი ემისიის არხებს წარმოადგენდა:

ბიუჯეტური ემისია, რომელსაც შემოსავლების შემცირების პირობებში მთავრობა მიმართავდა საკუთარი მხარდი დანახარჯების დასაფინანსებლად. მთავრობა ხარჯავდა მეტს, ვიდრე ბანკებში აქტივზე ქონდა თნხები.

ეროვნული ბანკის ემისია, რომელსაც იგი მიმართავდა სხვადასხვა მიზნებისათვის. შ. აღსანიშნავია შეღავათიანო კრედიტების დიდი მასშტაბებით გაცემა;

- ყოფილი სახელმწიფო-კომერციული ბანკების ავტომატური ოვერდრაფტი, რაც ბანკებს საშუალებას აძლევდა გაესესხებინათ უფრო მეტი თანხა, ვიდრე აქტივზე ქონდათ;

- საპენსიო ფონდის ხაზით ემისია, რომელიც ხორციელდებოდა ბიუჯეტური ემისიის მსგავსად;

კავშირგაბმულობის სამინისტროს ემისია, რომელსაც იგი ახდენდა უცხოეთიდან, ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან უნაღდო ანგარიშსწორების სახით გადმორიცხული თანხების განაღდების გზით.

დანახარჯებით ანუ ერთობლივი მიწოდების შემცირებით განპირობებული ინფლაცია საქართველოში გამოიწვია:

სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე და სხვა ნედლეულზე ფასების ამაღლებამ;

- არსებული სამეურნეო კავშირების მოშლით გამოწვეულმა ერთობლივი მიწოდების შემცირებამ;

- კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებით განპირობებულმა ერობლივი მიწოდების შემცირებამ და სხვა.

ინფლაცია საქართველოში გამოწვეული იყო მთელი რიგი მიზეზებით, მაგრამ ინფლაციის გამკაცრება და მისი გადაზრდა ჰიპერინფლაციაში ძირითადად განპირობებული იყო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად და შეღავათიანი კრედიტების მისაცემად განხორციელებული ფულის ჭარბი, უკონტროლო ემისიით და ინფლაციური მოლოდინით განპირობებული ფულის მომიქცევის სინქარის გადიდებით. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 1992 წლის დეკემბერში მიმოქცევაში იმყოფებოდა 746 მილიარდი მანეთი 1993 წლის ივლისში 347.2 მლრდ კუპონი. 1993 წლის დეკემბერში 1834 მლრდ კუპონი, 1994 წლის დეკემბერში 37609 მლრდ კუპონი. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელების დაწყების შემდგომ პერიოდში საქართველოში ინფლაციის ტემპი მკვეთრად შემცირდა. შეიქმნა ეროვნული ვალუტის - ლარის შემოღებისათვის რეალური პირობები.

1995 წლის 25 სექტემბრიდან მიმოქცევაში გამოშვებული იქნა 1, 2, 5, 20, 50 და 100 ლარის ღირებულების საბანკო ბილეთები, ასევე 1, 2, 5, 20, და 50 თეთრის ღირებულების მონეტები. იმავე წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფულის ერთეული "ლარი" რომელიც იყოფა 100 თეთრად გამოცხადდა ერთ დერთ ეკონომიკურ საგადასახდელო საშუალებად.

ლარის გაცვლა კუპონზე ხორციელდებოდა 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე კუპონის ლარზე გაცვლის კურსი განისაზღვრა შეფარდებით 1 000 000 (ერთი მილიონი) 1 (ერთი) ლართან. აღნიშნულ პერიოდში ბანკებში შეწყდა იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ანგარიშებიდან არსებული ყველა სახის ფულადი ნიშნის გაცემა და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები. 2 ოქტომბრამდე კუპონმა ლართან ერთად შეინარსუნა კანონიერი საგადასახდელო საშუალების ფუნქცია.

საქართველომ ლარის შემოღებით შეიძინა ნიშნენლოვანი სახელმწიფოებრივრივი ატრიბუტი - ეროვნული ფულის ნიშანი. მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის დამკვიდრების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის მოქმედი პროგრამა, რომ-

ლის ერთ-ერთ პრიორიტეტად მინიჭული იქნა მატერიალური სფეროს სწრაფი აღდგენა.

კითხვები თვითკონტროლისათვის

1. განმარტეთ ინფლაციის არსი და დაახასიათეთ მისი სახეები?
2. როგორ გამოითვლება ინფლაციის ტემპი?
3. დაახასიათეთ ინფლაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზები?
4. ააგეთ და განმარტეთ ფილიპსის მრუდი?
5. რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ინფლაციას?
6. ჩამოთვალეთ ინფლაციის პირობებში სასოგადოების დანახარჯები?
7. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ფულის რეფორმის ძირითადი სახეები?
8. რა თავისებურებებით ხასიათდებოდა კიპერინფლაცია საქართველოში?

ტესტები

1. ფასების საერთო დონის ცვლილება გამოიხატება:
ა) ფასების კოეფიციენტით; ბ) ფასების ნომინალით;
გ) ფასების დინამიკით; დ) ფასების ინდექსით.
2. ფასების საშუალო ცვლილებებს საქონლისა და მომსახურების ფიქსირებულ კალათაზე, რომელსაც მოხმარებისათვის შეიძენს მოსახლეობა, ეწოდება:
ა) სამრეწველო ფასების ინდექსი;
ბ) სამომხმარებლო ფასების ინდექსი;
გ) ფასების რეალური განაკვეთი;
დ) ფასების ნომინალური განაკვეთი.
3. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ინფლაციის სახე?
ა) ზომიერი ინფლაცია; ბ) ფრიქციული ინფლაცია;
გ) ჭენებადი ინფლაცია; დ) კიპერინფლაცია.

4. ზომიერი, ჭკნებადი და კიპერინფლაცია განეკუთვნება:

- ა) დაბალანსებულ ინფლაციას; ბ) ღია ინფლაციას;
- გ) დაუბალანსებელ ინფლაციას; დ) ფარულ ინფლაციას.

5. სხვადასხვა ჯგუფის საქონლის ფასების ზრდის დაბალანსებულობის მიხედვით გამოყოფენ ინფლაციის შემდეგ სახეებს:

- ა) დაბალანსებულს და დაუბალანსებელს;
- ბ) დაბალანსებულს და დაუბეგმავს;
- გ) დაბეგმილს და დაუბეგმავს;
- დ) ღიას და ფარულს.

6. სიტუაციას, როდესაც ერთობლივი მოთხოვნის გადიდება წარმოშობს ფასების დონის ზრდას, ეწოდება:

- ა) დანახარჯთა ანუ მიწოდების ინფლაცია;
- ბ) ზომიერი ინფლაცია;
- გ) დაბალანსებული ინფლაცია;
- დ) მოთხოვნის ინფლაცია.

7. შემოსავალი, რომელსაც მთავრობა იღებს ფულის გამოშვების გზით, არის:

- ა) ინფლაციის შემოსავალი; ბ) ინფლაციის დანაკარგი;
- გ) ინფლაციის გადასახადი; დ) ინფლაციის დანახარჯი.

8. ფულის ერთეულში ფულადი ლითონის შემცველობის ან სხვა უცხოურ ვალუტასთან შედარებით მისი კურსის გადიდებას, ეწოდება:

- ა) დევალვაცია; ბ) რევალვაცია;
- გ) დეფლაცია; დ) ნულიფიკაცია.

9. საქართველოს შუალედური ფულის ნიშანი კუპონი, მიმოქცევაში შემოდებულ იქნა:

- ა) 1993 ელს; ბ) 1994 წელს;
- გ) 1995 წელს; დ) 1996 წელს.

10. საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი, მიმოქცევაში შემოდებულ იქნა:

- ა) 1993 წლის 25 მაისს; ბ) 1993 წლის 25 ნოემბერს;
- გ) 1995 წლის 25 მარტს; დ) 1995 წლის 25 სექტემბერს.

კრედიტი ორპირი მახელილია. ვინც კრედიტით მოაპოვებულ ფულს საქმეს მოახმარებს და მით საქმეს შემოსავლისათვის გაიძლიერებს, მისთვის კრედიტი მისწრაფებაა, და ვინც გაფლანგავს და ჭერში ქედის სროლით ლხინს მოანდომებს, მისთვის ყელის გამოსაჭრელია და საფლავის მოხრულია

ი. ჯავჭავაძე

5.1. კრედიტის არსი და საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების ძირითადი ეტაპები

კრედიტი ლათინური სიტყვაა და პირდაპირი გაგებით სესხს, ვალს ნიშნავს, რომელიც გაიცემა ფულადი ან ნატურალური ფორმით დაბრუნების, ვადიანობის და ფასიანობის (სარგებლის, პროცენტის) პირობით. კრედიტი გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობას კრედიტორსა და მსესხებელს შორის. ფულთან ერთად კრედიტის წარმოშობა კაცობრიობის უდიდეს აღმოსენათა რიცხვს მიეკუთვნება.

კრედიტი წარმოიშვა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლისა და მონათმფლობელური წყობილების აღმოცენების პერიოდში, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი ქონებბრივი დაყოფის ნიადაგზე. კრედიტს გასცემდნენ საზოგადოების ყველაზე მდიდარი ფენები წერილ მწარმოებლებზე, თავდაპირველად ნატურალური ფორმით (მარცვალი, პირუტყვი და სხვ.), ხოლო შემდეგ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების კვალობაზე, ფულადი ფორმით.

კაპიტალიზმამდე ყველაზე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში კრედიტი საგახშო ფორმით არსებობდა. საგახშო კრედიტი ეს არის სარგებლის მიღების მიზნით სესხად გაცემული ფულადი სახსრები. საგახშო კრედიტის წარმოშობის ისტორიული პირობებია: 1) შრომის საზოგადოებრივი დანაწილება; 2) წარმოების საშუალებებზე და პროდუქტებზე კერძო საკუთრების წარმოშობა; 3) საქონელგაცვლის განვითარება; 4) ფულის წარმოშობა; 5) ქონებრივი დიფერენციაცია პირველყოფის საზოგადოებაში.

კრედიტმა თავისი ისტორიული განვითარების პერიოდში განვლო რამოდენიმე თანმიმდევრული ეტაპი, რომელთაგან თითოეული ხასიათდება რადიკალური გარდაქმნებით როგორც მათი გავრცელების შესრულების ფუნქციებით, ასევე უშუალო მონაწილეობით, ესენია:

1. პირველადი ნაბიჯი. ამ ეტაპის ძირითადი დამახასიათებელი იყო სასესხო კაპიტალის ბაზარზე სპეციფიკური შუამავლების სრული არ არსებობა. საკრედიტო ურთიერთობები მყარდებოდა პირდაპირ თავისუფალი ფულადი სახსრების მფლობელსა და მსესხებელის შორის. კრედიტის დამახასიათებელი თავისებურებები იყო:

- სასესხო ურთიერთობების სრული დეცენტრალიზაცია, რომელიც განისაზღვრება მხოლოდ კრედიტორსა და მსესხებელს შორის პირდაპირი მოლაპარაკებებით;

- გავრცელების შესუფთვით (კრედიტი გამოიყენებოდა ძირითადად მიმოქცევისა და ნაწილობრივ არასამრეწველო მოხმარების სფეროში, შემდგომი კაპიტალიზაციის გარეშე).

სასესხო სახსრების გამოყენებისათვის საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) ძალიან მაღალი ნორმა.

ამ ეტაპის დასრულება დაკავშირებული იყო წარმოების კაპიტალისტური ხერხის შემოღებასთან, რამაც განაპირობა სამეწარმეო საჭიროებისათვის სასესხო საფინანსო რესურსების მოთხოვნის მკვეთლი ზრდა (ანუ შემდგომი აუცილებელი კაპიტალიზაცია). მსესხებლების ინდივიდუალური კაპიტალი რეალურად არ იყო საკმარისი დაეკმაყოფილებინა აღნიშნული მოთხოვნები, რამაც ზოგიერთი მათგანი იძულებული გახდა თავის საქმიანობაში გამოეყენებინა სხვა მესაკუთრეებიდან მოზიდული ფულადი სახსრები (ანალოგიური ფუნქციების შესრულება დაიწყო ეგრეთწოდებულმა გადამცველებმა, სხვა საფინანსო ურთიერთობების ტრადიციულმა მონაწილეებმა, რომლების ადრე სოციალიზდებოდნენ მხოლოდ ეროვნული ვალუტის გაცვლაში).

2. სტრუქტურული განვითარება. კრედიტის განვითარების აღნიშნული ეტაპი ხასიათდებოდა სასესხო კაპიტალის ბაზრის სპეციფიკური შუამავლების გამოყენებით საკრედიტო საფინანსო ორგანიზაციების სახით. პირველი ბანკები, რომლებიც წარმოქმნიდნენ მსესხებლებისა და გადამცველი დაწესებულებების ბაზარზე, თვის თავზე აიღეს უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, რომელთა საქმიანობა

მომავალში გასდება ტრადიციული უმრავლესი საკრედიტო ინსტიტუტისათვის;

- თავისუფალი საფინანსო რესურსების აკუმულირება მათი შემდგომი კაპიტალიზაციით და მსესხებლის სახელაურის გადახდის საფუძველზე გადაცემით;

- ზოგიერთი საგადასახადო საშუალებების ანგარიშსწორების მომსახურება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის (მომავალში-სახელმწიფოსათვის);

რიგი სოციალური საფინანსო ოპერაციების განხორციელება (მაგ. სავექსილო მიმართვისათვის, უძრავი ქონების განკარგვის მექანიზმების მომსახურება).

სპეციალისებული შუამავლების მომსახურებაზე გაზრდილმა მოთხოვნამ და სასესხო კაპიტალის ბაზარზე შესაბამისად მაღალმა მოგების ნორმამ განაპირობა საბანკო სისტემის მკვეთრი განვითარება სფეროებიდან მათთან კაპიტალის გადაღინებით (ახლად შემნილი ორგანიზაციების დამფუძნებლად უკვე გამოდიოდნენ არა უბრალო გამსესხებლები, არამედ სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალისტები). სასესხო კაპიტალის ბაზარზე ურთუერთობებმა მიიღო მნიშვნელოვანი ხარისხამდე ფორმირებული ხასიათი და ადგენენ: დაკრედიტების ტიპიურ პროცედურას, საშუალო რეგიონალურ და საშუალო ნაციონალურ სასესხო პროცენტის განაკვეთს, მხარეთა პასუხისმგებლობის მექანიზმს და ა.შ. მაგრამ მთლიანობაში, საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობა წარიმართებოდა დეცენტრალიზებული წესით, რაც ობიექტურად ეწინააღმდეგებოდა სასესხო კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

3. თანამედროვე მდგომარეობა. ამ ეტაპის ძირითადი მახასიათებელია სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ცენტრალური (ეროვნული) ბანკის სახით საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირების ცენტრალიზაცია, პირველი სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტების შექმნამ, რომლებიც უფლებამოსილები არიან საკოორდინაციო და ნორმატულ-მეთოდური უსრუნველყოფის მონოპოლიური უფლებით, საკრედიტო ფულად ურთიერთობებში დასაბამი მისცა ფულის მიმოქცევის უნაღლო ანგარიშსწორების სრულფასოვანი სისტემის ფორმირებას, აგრეთვე კომერციული ბანკების მომსახურებისა და ოპერაციების მნიშვნელოვანი გაფართოებას. შემდგომში ცენტრალური ბანკის

საქმიანობა უპირველეს ყოვლისა ვითარდებოდა ფულად-საკრედიტო ბერკეტების გამოყენების მიმართულებით, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ეფექტურ რეგულატორს ეკონომიკაში.

5.2. კრედიტის ფუნქციები

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებული აზრი, რომ კრედიტის როლი და ადგილი განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა მისი შესრულებული ფუნქციებით. კრედიტების თეორიაში, კრედიტის ფუნქციების რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ შეხედულებათა ერთიანობა არ არის. კრედიტის ფუნქცია ახასიათებს იმ საქმიანობას, რომელსაც კრედიტორი და მსესხებელი ასრულებს საკრედიტო ურთიერთობების პროცესში. გავრცელებულია მოსაზრება, რომ კრედიტი შემდეგ ექვს ფუნქციას ასრულებს: 1) გამანაწილებელი ფუნქცია; 2) მიმოქცევის დანახარჯების ეკონომიის ფუნქცია; 3) კაპიტალის კონცენტრაციის დანქარების ფუნქცია; 4) საქონელბრუნვის მომსახურების ფუნქცია; 5) სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანქარების ფუნქცია; 6) მიმოქცევის საკრედიტო იარაღების შექმნის ფუნქცია. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

გამანაწილებელი ფუნქცია. თანამედროვე პირობებში სასესხო კაპიტალის ბაზარი ისეთ როლში გამოდის, როდესაც სამეურნეო საქმიანობის ერთი სფეროდან (ან სფეროებიდან) დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსების სხვა სფეროში „გადადინება“ ხორციელდება. რითაც უფრო მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობა ჩნდება. ამ ფუნქციის შესრულებისას დარგობრივ ტერიტორიალურ და საწარმოთა დონეზე, როგორც საკრედიტო ურთიერთობების სუბიექტებს შორის ღირებულების გადანაწილება ხორციელდება. კრედიტო ამ შემთხვევაში დინამიურად განვითარებად ობიექტებში კაპიტალის დაბანდებით დამატებით ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფას ახორციელებს და ეკონომიკის სტიქიური მაკრორეგულატორის როლში გამოდის.

მიმოქცევის დანახარჯების ეკონომიის ფუნქცია. მოცემული ფუნქციის პრაქტიკული რეალიზაცია, უშუალოდ კრედიტის ეკონომიკური არსიდან გამომდინარეობს, რომლის ასევე სამრეწველო და სასაქონლო კაპიტალების წრებრუნვის პროცესში დროებით გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსებიც გამოდის. მეურნე სუბიექტების ფულადი სახსრების შემონატანებსა და ხარჯებს შორის დროებითი განსხვავება შეიძლება როგორც ფინანსური რესურსების სიჭარბით, ასევე ნაკლებობითაც გამოიხატოს. სწორედ ამიტოს მაკუთარი საბრუნავი დროებით უკმარისობის შესავსებად ფართო გამოყენებას ღებულობს ისეთი სახეობების სესხები, რასაც პრაქტიკულად ყველა კატეგორიის მსესხებლები იყენებენ და ამით კაპიტალის ბრუნვალობის არსებითი დანქარება, აქედან გამომდინარე კი - მიმოქცევის საერთო დანახარჯების ეკონომიაც მიიღწევა.

კაპიტალის კონცენტრაციის დაჩქარების ფუნქცია. კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი ეკონომიკის სტაბილური განვითარებისა და ნებისმიერი მეურნე სუბიექტის პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს. ამ ამოცანის გადაწყვეტაში რეალურ დახმარებას ნასესხები სახსრები ახორციელებენ, რაც წარმოების პროცესების (ან სხვა სამეურნეო ოპერაციების) მასშტაბების - არსებითად გაფართოებას და ანით მოგების დამატებითი მასის უზრუნველყოფას უწყობს ხელს.

საქონლებრუნვის მომსახურების ფუნქცია. აღნიშნული ფუნქციის რეალიზაციისას კრედიტი აქტიურად შემოქმედებს არა მარტო სასაქონლო, არამედ ფულადი მიმოქცევის დანქარებაზე და ამით ფულადი მიმოქცევიდან ნაღდი ფულის გამოდევნას ახორციელებს. ფულად მიმოქცევაში ისეთი ინსტრუმენტების დამკვიდრებით, როგორებიცაა თამასუქები, ჩეკები, საკრედიტო ბარათები და ა.შ., იგი უზრუნველყოფა ნაღდი ფულით ანგარიშსწორების უნაღდო ოპერაციებით ჩანაცვლებას, რაც შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმს ამარტივებს და აჩქარებს. ამ ამოცანის გადაწყვეტაში აქტიურ როლს თამაშობს კომერციული კრედიტი, როგორც საქონელგაცვლის თანამედროვე ურთიერთობების აუცილებელი ელემენტი.

სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესის დანქარების ფუნქცია. ამ ფუნქციის შესრულებაში კრედიტის როლი ჩანს სა-

მეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციის საქმიანობის დაფინანსების პროცესის მაგალითიდან, რომლის სპეციფიკურობას ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს კიდევაც კაპიტალის საწყის დაბანდებასა და მზა პროდუქციის რეალიზაციას შორის დროებითი უფრო მეტი გარღვევა, ვიდრე სხვა ნებისმიერ დარგებში. ამიტომ სამეცნიერო ცენტრების უმეტესობის ნორმალური ფუნქციონირება საკრედიტო რესურსების გამოყენების გარეშე შეუძლებელია. კრედიტი ასევე აუცილებელია ნოვაციური პროცესების განსახორციელებლად, წარმოებაში სამეცნიერო სიახლეებისა და ტექნოლოგიების უშუალოდ დასანერგად.

მიმოქცევის საკრედიტო იარაღების შექმნის ფუნქცია მისი განვითარება საბანკო სისტემის განვითარებასთან არის დაკავშირებული. ფულის საბანკო ანგარიშზე შენახვამ საქონელზე და მომსახურებაზე, სხვა სახის ფულადი ვალდებულებების უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელების შესაძლებლობა წარმოშვა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ნაღდი-ფულადი ბრუნვა და აქედან გამომდინარე, მიმოქცევის დანახარჯებიც, რომელიც ნაღდი ფულის დაბეჭედასთან, გადათვლასთან, ტრანსპორტირებასთან (ინკასაცია) და დაკვასთან არის დაკავშირებული.

კრედიტის ფუნქციების განსხვავებული კლასიფიკაცია მოცემულია ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში (რ. კაკულია, გ. ხელაია, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ. 2002), რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით: 1) ფულადი კაპიტალისა და მობილიზაციის; 2) ფულადი კაპიტალის გადანაწილების; 3) მიმოქცევის ხარჯების ეკონომიის; 4) კაპიტალის კონკურენციისა და ცენტრალიზაციის; 5) საბაზრო ეკონომიკის რეგულირების.

53. კრედიტის ფორმები

ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს კრედიტების ერთიანი კლასიფიკაცია. ეს დაკავშირებულია განსხვავებასთან სხვადასხვა ქვეყნებში ფულად ურთიერთობათა, საკრედიტო სისტემის, საბანკო სისტემის განვითარების დონეში, ასევე მათში ჩამოყალიბებული კრედიტების გაცემის მეთოდებში. გასესხებულ ღირებულებასთან დამოკიდებულებაში განასხვავებენ კრედიტის საქონლურ, ფულად და შერეულ (ფულად-საქონლური) ფორმებს.

კრედიტის საქონლური ფორმა წინ უსწრებდა ფულად ფორმას. ისტორიულად პირველი კრედიტორები, პირველი კრედიტორები, რომლებსაც ჭარბი სამომხმარებლო საქონელი გააჩნდათ და გასცემდნენ მას სესხის სახით. კრედიტის თანამედროვე საქონლურ ფორმას წარმოადგენს საქონლის ნისიად გაცემა. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ კრედიტორი განიცდის ფულის საჭიროებას, ამიტომ იგი იძულებულია განუადებით გასცეს საქონელი და ვადის გასვლის შემდეგ ანაზღაურება მიიღოს ფულადი ფორმით.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის ტიპურია კრედიტის ფულადი ფორმა, რაც თავის მხრივ განპირობებულია იმით, რომ ფული წარმოადგენს საყოველთაო ექვივალენტს, მიმოქცევისა და გადახდის უნივერსალურ საშუალებას. კრედიტის ფულადი ფორმის განვითარების გარეშე წარმოდგენილია თანამედროვე საბაზრო ურთიერთობები.

თანამედროვე ეკონომიკისათვის ასევე დამახასიათებელია კრედიტის შერსული (ფულად-საკრედიტო) ფორმა. კრედიტის ეს ფორმა ფართოდ გამოიყენება განვითარებადი ქვეყნების მეურნეობრივ ცხოვრებაში. მაგალითად, ქვეყნის შიდა ვაჭრობაში დომინირებს საქონლის ნისიად გაყიდვა და მისი ღირებულების კრედიტის ფულადი ფორმით დაბრუნება. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობასი საქესპორტო საქონლის ღირებულების ანაზღაურება წარმოებს კრედიტის ფულადი ფორმით.

იმის მიხედვით, საკრედიტო გარიგების დროს კრედიტორის როლში ვინ არის წარმოდგენილი, განას-

ხევაეებენ კომერციულ, საბანკო, სახელმწიფო და საერთაშორისო კრედიტებს.

კომერციული კრედიტი ისეთი ფორმის კრედიტია, რომელსაც მეწარმეები კელაგწარმოების პროცესში აძლევენ ერთმანეთს (საქონელი ნისიად). ამ ფორმის კრედიტს ხშირად სათამასუქო კრედიტს უწოდებენ. სამეურნეო პრაქტიკაში გამოიყენება უბრალო თამასუქი (სოლო) და გადასაყვანი თამასუქი (ტრატა). საბანკო კრედიტისაგან ძირითადი განსხევაეები იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორის როლში ნებისმიერი იურიდიული პირები შეიძლება გამოდიოდნენ (ფირმები, საწარმოები, კომპანიები), კომერციული კრედიტი მხოლოდ სასაქონლო ფორმით მიეწოდება; სასესხო კაპიტალი სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალთან არის ინტეგრირებული.

საბანკო კრედიტი არის ეკონომიკაში საკრედიტო ურთიერთობების ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმა, რომლის ობიექტს ფულადი სახსრების სესხად გაცემა წარმოადგენს. საბანკო სესხები შეიძლება ქვეყნის ცენტრალური (ეროვნული) ბანკის სპეციალური ლიცენზიის მქონე საკრედიტო-ფინანსური დაწესებულებების მეშვეობით გაიცეს. მისი კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგი ნიშნების მიხედვით: დანიშნულების, გამოყენების სფერო, სარგებლობის ვადები, უსრუნველყოფა, გაცემის და დაფარვის მეთოდი, საპროცენტო განაკვეთის სახეობა.

დანიშნულების მიხედვით საბანკო კრედიტი შეიძლება დაიყოს შემდეგ ქვეყნებად: სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, საინვესტიციო, იპოთეკური.

სამრეწველო სესხები მიეცემათ საწარმოებსა და ორგანიზაციებს წარმოების განვითარებისათვის, მასალების შესაძენად, ხარჯების დასაფარავად და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო სესხები მიეცემათ ფერმერებს, გლეხურ მეურნეობებს მიწის დასამუშავებლად. მოსავლის ასაღებად და ა.შ. მათი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

სამომხმარებლო სესხები მიეცემათ ფისიკურ პირებს გადაუდებელ საჭიროებათა დასაფარავად, ბინების, სახლების რემონტისათვის და ა.შ.

იპოთეკური სესხები გაიცემა უძრავი ქონების დაგირავეებით - საცხოვრებლის მშენებლობის, შექმნის ან რეკონსტრუქციის მიზნით.

გამოყენების სფეროს მიხედვით საბანკო კრედიტები შეიძლება იყოს ოტი სახეობის: სესხები ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. თავის მხრივ კრედიტები კაპიტალში იყოფა კრედიტებად საბრუნავ სფეროსა და ბრუნვის (მიმოქცევის) სფეროში.

სარგებლის ვადების მიხედვით საბანკო კრედიტები შეიძლება იყოს ონკოლური (მოთხოვნამდე) და ვადიანი. ონკოლური სესხები ექვემდებარება დაბრუნებას ფიქსირებულ ვადაში კრედიტორისაგან ოფიციალური შეტყობინების მიღების შემდეგ. ისინი მოითხოვენ სტაბილურ პირობებს სასესხო კაპიტალის ბაზარზე. ვადიანი კრედიტები მიღებულია დაიყოს მოკლევადიან (1 წლამდე ვადით), საშუალოვადიან (1-5 წლამდე) და გრძელვადიან (5 წელზე მეტი ვადით) კრედიტებად. თანამედროვე საბანკო საქმეში უპირატესად გამოიყენება მოკლევადიანი კრედიტები.

უზრუნველყოფის მიხედვით კრედიტები იყო არაუზრუნველყოფილად (საბლანკო) და უზრუნველყოფილად. საბლანკო კრედიტები მიეცათ პირველხარისხოვან მსესხებლებს კრედიტის დაბრუნებითობის უზრუნველყოფის რაიმე ფორმის გამოყენების გარეშე. სესხის უზრუნველყოფა წარმოადგენს თანამედროვე საბანკო კრედიტის ძირითად სახესხეობას. უზრუნველყოფის სახეობაზე დამოკიდებულებით მიღებულია მათი დაყოფა საგირავნოებად, გარანტირებულად და დახლეულებად.

გაცემის ხერხის მიხედვით საბანკო კრედიტები შეიძლება დაიყოს კრედიტებად, რომლებიც ატარებენ კომპენსაციურ ან საგადასახდლო ხასიათს, კომპენსაციური კრედიტი გულისხმობს სასესხო სახსრების მიმართვას მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე მის მიერ ადრე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით. საგადასახდლო კრედიტების არსი ისაა, რომ მსესხებელი აუცილებლობისდა მიხედვით გადასცემს ბანკს მასთან შემისულ საანგა საგადასახდლო დოკუმენტებს და სასესხო სახსრები მიემართება უშუალოდ მოცემული დოკუმენტების გასანაღდებად.

დაფარვის ხერხის მიხედვით საბანკო კრედიტები იყოფა სესხებად, რომლებიც იფარება ერთდროულად და სესხებად, რომლებიც იფარება ნაწილ-ნაწილ. სესხები, რომლებიც იფარება ერთდროული გადახდით, წარმოადგენს მოკლე-

ვადიანი კრედიტის დაბრუნების ტრადიციულ ფორმას, რამეთუ მოსახერხებელია იურიდიული გაფორმების პოზიციიდან. სესხები, რომლების იფარება ნაწილ-ნაწილ, გულისხმობს კრედიტის დაფარვას ორი ან მეტი გადასახდელით დაკრედიტების მთელი ვადის განმავლობაში.

საპროცენტო განაკვეთების სახეობის მიხედვით საბანკო კრედიტები შეიძლება დაიყოს კრედიტებად ფიქსირებული ან მცურავი საპროცენტო განაკვეთით. სესხები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით გულისხმობს დაკრედიტების მთელი პერიოდისათვის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრული სიდიდის დაწესებას მისი გადასინჯვის უფლების გარეშე. მოცემულ შემთხვევაში მსესხებელი იღებს თავის თავზე ვალდებულებას, გადაიხადოს პროცენტი უცვლელი შეთანხმებული განაკვეთით იმისგან დამოუკიდებლად, თუ კაპიტალის ბაზარზე რა ცვლილებები მოხდება. დაკრედიტება მცურავი განაკვეთით გულისხმობს საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, რომლის მოცულობაც პერიოდულად გადაისინჯება. მოცემულ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი იქმნება ორი შემადგენელი ნაწილისაგან. ძირითადი განაკვეთი, რომელიც იცვლება ბაზრის კონიუნქტურაზე დამოკიდებულებით და დანამატისაგან, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ სიდიდეს.

სახელმწიფო კრედიტი კრედიტის ისეთი სახეა, როცა სახელმწიფო ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები გამოდიან განსესხებლის ან მსესხებლის როლში. სხვადასხვა ობიექტური მიზეზებისა და გარემოებათა გამო სახელმწიფო მიმართავს სესხებს. სესხებს ღებულობს სახელმწიფო მოსახლეობიდან საფინანსო-საკრედიტოდაწესებულებების მეშვეობით ობლიგაციების გამოშვების გზით. სახელმწიფო კრედიტის ზრდის ან შემცირების კვალობაზე იზრდება ან მცირდება საპროცენტო განაკვეთის დონეც. სახელმწიფო კრედიტი არის სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი. სესხების განთავსების ადგილის მიხედვით განასხვავებენ შინაგან სახელმწიფო სესხს და საგარეო სახელმწიფო სესხს, რომელიც რეალიზებულია უცხოეთის ფულად ბაზარზე (კრედიტორი ქვეყნის, მსესხებელი ქვეყნისა და მესამე ქვეყნის ვალუტაში). შინაგანი სესხის ობლიგაციების შექმნა შეუძლია უცხოეთის მოქალაქესაც.

სესხები შეიძლება დაიყოს საობლიგაციო სესხად და არასაობლიგაციო სესხად. შიდა სახელმწიფო სესხი წვეულებრივ ფორმდება ობლიგაციური სესხის მოსლი თანხით. არასაობლიგაციო სესხი – ეს არის მთავრობის სესხი შემნახველი საღაროებიდან ან სამთავრობოთაშორისო სესხი.

საერთაშორისო კრედიტი ისეთი კრედიტია, რომელიც ერთი ქვეყნის მთავრობის, ბანკების, აგრეთვე სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გაიცემა მეორე ქვეყნის მთავრობაზე, ბანკებზე, აგრეთვე სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გადახდის, დაბრუნებისა და სარბენლონის გადახდის პირობით. საერთაშორისო კრედიტის განვითარებას საფუძვლად დაედო წარმოებისა და ფულად-საკრედიტო რესურსების ინტერნაციონალიზაცია, სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავება, მსარდი საერთო პროდუქტის რეალიზაცია საერთაშორისო ბაზარზე, ეროვნული და სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკის განვითარება.

5.4. დაკრედიტების პრინციპი

საკითხს დაკრედიტების პრინციპების შესახებ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ხოლო თეორიულად საკმაოდ რთულია. ეკონომისტების უმრავლესობა აღიარებს დაკრედიტების ისეთ პრინციპებს, როგორცაა: დაბრუნებითობა, ვადიანობა, მიზნობრიობა, უზრუნველყოფა, ანაზღაურებადობა.

დაბრუნებითობის პრინციპი ითვალისწინებს კრედიტორსა და მსესხებელს შორის დადებული საკრედიტო გარიგების შესაბამისად კრედიტის დაბრუნების აუცილებლობას იმ ვადაში, რაც კონტრაქტით არის გათვალისწინებული. იმის გამო, რომ კრედიტორი – გამსესხებელი გასესხებულ თანხაზე საკუთრების უფლებებს ინარჩუნებს, ხოლო მსესხებელს ეძლევა სესხის დროებით გამოყენების უფლება, არ შეიძლება კრედიტორსა და მსესხებელს გარიგება უვადო იყოს. გარიგების ხელშეკრულებაში სესხის სარგებლის

ვადა რეგლამენტირებულია, რომლის გასვლის შემდეგ კრედიტის მთელი თანხა სარგებელთან ერთად უბრუნდება კრედიტორს.

ვადიანობის პრინციპი უსრუნველყოფს გასესხებული სახსრების თავისდროულად დაბრუნებას. ის მოწოდებულია განსაზღვროს, როგორც კრედიტის გამოყენების დროითი საზღვრები, ასევე მისი დაბრუნების კონკრეტული ვადები. ვადიანობის პრინციპი მიმართულია საგადასახდელი დისციპლინის განმტკიცებისაკენ.

მიზნობრიობის პრინციპი გულისხმობს კრედიტის გაცემას და გამოყენებას წინასწარ დადგენილი მიზნობრივი დანიშნულებით, კრედიტის გამოყენებისას მიზნობრიობის დარღვევა მაღალი საკრედიტო რისკის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

უსრუნველყოფის პრინციპი ასრულებს განსაკუთრებულ როლს საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში, რადგან ის არამარტო იმყოფება მწიდრო ურთიერთკავშირში სხვა პრინციპებთან, არამედ თამაშობს მათ მიმართ განსაზღვრულ როლს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გაცემული კრედიტი როდია დაკავშირებული უშუალოდ მატერიალურ უსრუნველყოფასთან. ამ შემთხვევაში კრედიტის დაბრუნებობითობის უსრუნველყოფის მთავარი პირობაა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი კრედიტუნარიანობა.

ანაზღაურებადობის (ფასიანობის) პრინციპი გულისხმობს კრედიტის სარგებლობისათვის სათანადო საზღაურის, სესხის სარგებელს. სესხის სარგებელი (პროცენტი) მოგების ნაწილია, რომელსაც მსესხებელი უხდის კრედიტორს – სასესხო კაპიტალის მესაკუთრეს. სესხის სარგებლის სიდიდე დამოკიდებულია კრედიტის მოთხოვნასა და მიწოდების შორის თანაფარდობაზე. სწორედ ამის გამო სარგებლის ნორმა ცვალებადი სიდიდეა.

ჩვენ შემთხვევაში განვიხილეთ დაკრედიტების ძირითადი პრინციპები, ეკონომიკურ ლიტერატურაში ასევე ეხვდებით დაკრედიტების დამატებით პრინციპებსაც. კერძოდ როგორცაა: დიფერენცირებულობა, ეფექტიანობა, საკრედიტო სახსრების დაცულობა და სხვა.

კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რამდენი თანამიმდევრული ეტაპი განვლო კრედიტმა თავისი ისტორიული განვითარების პერიოდში?
2. რომელ ძირითად ფუნქციებს ასრულებს კრედიტი?
3. კრედიტის რომელ ფორმებს განასხვავებენ გასესხებულ ღირებულებასთან დამოკიდებულებაში?
4. რით განსხვავდება კომერციული კრედიტი საბანკო კრედიტისაგან?
5. რომელ ძირითად ჯგუფებად შეიძლება დაიყოს საბანკო კრედიტი დანიშნულების მიხედვით?
6. რა თავისებურებებით ხასიათდება სახელმწიფო კრედიტი?
7. დაახასიათეთ დაკრედიტების ძირითადი პრინციპები.
8. როგორი ფორმით არსებობდა კრედიტი კაპიტალიზმამდელ სასოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციაში?

ტესტები

1. ვალს, რომელიც გაიცემა ფულადი ან ნატურალური ფორმით, დაბრუნების, ვადიანობის და ფასიანობის (სარგებლის, პროცენტის) პირობით, ეწოდება.
 - ა) თამასუქი;
 - ბ) კრედიტი;
 - გ) ვექსილი;
 - დ) დებეტი.
2. კრედიტის ძირითად ფუნქციებში არ მოიაზრება:
 - ა) განაწილებული ფუნქცია;
 - ბ) კაპიტალის კონცენტრაციის დაჩქარების ფუნქცია;
 - გ) მიმოქცევის ხარჯების ეკონომიის ფუნქცია;
 - დ) მოგების მიღების ფუნქცია.
3. კრედიტი, რომელიც მხოლოდ სასაქონლო ფორმით მიეწოდება და რომლის დროსაც კრედიტორის როლში ნებისმიერი იურიდიული პირი შეიძლება გამოდიოდეს, არის:
 - ა) კომერციული კრედიტი;
 - ბ) საბანკო კრედიტი;
 - გ) სამომხმარებლო კრედიტი;
 - დ) სახელმწიფო კრედიტი.
4. კრედიტს, როცა სახელმწიფო ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები გამოდიან გამსესხებლის ან მსესხებლის როლში, ეწოდება:

- ა) სახელმწიფო კრედიტი; ბ) ხალომზბარდო კრედიტი;
 გ) საბანკო კრედიტი; დ) ონკოლური კრედიტი.
5. ეკონომიკაში საკრედიტო ურთიერთობების ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმა, რომლის ობიექტს ფულადი სახსრების სესხად გაცემა წარმოადგენს, არის:
 ა) სალომზბარდო კრედიტი; ბ) კომერციული კრედიტი;
 გ) სამომხმარებლო კრედიტი; დ) საბანკო კრედიტი.
6. ვადიანი კრედიტები მიღებულია დაიყოს შემდეგ სამ სახად:
 ა) მოკლევადიან, მიკროვადიან, გრძელვადიან კრედიტებად;
 ბ) მოკლევადიან, საშუალოვადიან, მოხერხებულვადიან კრედიტებად;
 გ) მოკლევადიან, საშუალოვადიან, გრძელვადიან კრედიტებად;
 დ) მოკლევადიან, საშუალოვადიან, მაკროვადიან კრედიტებად.
7. დაკრედიტების ძირითად პრინციპებს 'მორის არ მოიაზრება':
 ა) ეფექტიანობის პრინციპი; ბ) დაბრუნებითობის პრინციპი;
 გ) ვადიანობის პრინციპი; დ) მიზნობრიობის პრინციპი.
8. პრინციპს, რომელიც გულისხმობს კრედიტის გაცემას და გამოყენებას წინასწარ დადგენილი დანიშნულებით, ეწოდება:
 ა) ანაზღაურებადობის პრინციპი;
 ბ) ღიფერენცირებულობის პრინციპი;
 გ) დაცულობის პრინციპი;
 დ) მიზნობრიობის პრინციპი.
9. კრედიტმა თავისი ისტორიული განვითარების პერიოდში გაიარა:
 ა) ორი ეტაპი; ბ) სამი ეტაპი;
 გ) ოთხი ეტაპი; დ) ხუთი ეტაპი.
10. მოცულობის მიხედვით საბანკო კრედიტების დაყოფა მირეზულია:
 ა) მკირე, საშუალო და მსხვილ სესხებად;
 ბ) მკირე, მსხვილ და გიგანტურ სესხებად;
 გ) მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან სესხებად;
 დ) მიკრო, მაკრო და მეგაკრედიტებად.

თემა 6. საკრედიტო სისტემა

ყოველივე გონივრული უკვე მოფიქრებულია, საჭიროა მხოლოდ ვცადოთ მოვიყიტოთ რომ კიდევ ერთხელ

გოეთე

6.1. საკრედიტო სისტემის არსი და სტრუქტურა

საკრედიტო სისტემა არის ფინანსურ საკრედიტო დაწესებულებათა კომპლექსი, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის განვითარებისათვის. იგი სასოგადოებრივი კელაეწარმოების ყველა რგოლის ფუნქციონირებაში, რამდენადაც უზრუნველყოფს დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზაციას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას მეურნეობრივ საქმიანობაში.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა შედგება სხვადასხვა რგოლისაგან, რომლებიც ასრულებენ თითოეულისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ ფუნქციებს ფულადი საშუალებების აკუმულაციისა და განაწილების პროცესში.

საკრედიტო სისტემის ცალკეულ რგოლებს შორის ფუნქციების განაწილება ობიექტურად განპირობებულია მათი საქმიანობისათვის მეთოდებისა და საშუალებების განსხვავებულობითა და კელაეწარმოების პროცესში კაპიტალის სხვადასხვა როლით.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა მოიცავს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების სამ ძირითად ჯგუფს:

1. ცენტრალური (ეროვნული) ბანკი;
2. საბანკო სექტორი (კომერციული ბანკები);
3. სპეციალური არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

ცენტრალურ ბანკს გამორჩეული ადგილი უკავია საკრედიტო სისტემაში. იგი, როგორც წესი, სახელმწიფო საკუთრებაშია და გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ცენტრალურ ბანკს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით მინიჭებულ აქვს საგანგებო ფუნქციების შესრულება (უფრო დაწერილებით ცენტრალური ბანკების შესახებ VIII თავში).

საბანკო სექტორში შედის:

კომერციული ბანკები, წარმოადგენენ საკრედიტო სისტემის ძირითად რგოლს. ისინი პრაქტიკულად ყველა სახის საბანკო ოპერაციებს ახორციელებენ. კომერციული ბანკების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფუნქციებს წარმოადგენენ: ანაბრების მიღება, სამრეწველო და საეკონომიკური ორგანიზაციების დაკრედიტება, მათ შორის ანგარიშწორების განხორციელება და სხვ. (უფრო დავერილებით კომერციულ ბანკებზე IX თავში).

შემნახველი ბანკები (აშშ-ში ურთიერთშემნახველი ბანკები, გერმანიაში - საშემნახველო სალაროები), როგორც წესი, ადგილობრივი დანიშნულების საშუალო საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც ეროვნულ ასოციაციებში ერთიანდებიან და ჩვეულებრივად სახელმწიფოს მიერ კონტროლირდებიან, ხშირ შემთხვევაში მის საკუთრებას წარმოადგენენ. შემნახველი ბანკების პასიური ოპერაციები მოსახლეობიდან მიმდინარე და სხვა ანგარიშებზე ანაბრების მიღებას მოიცავს. აქტიური ოპერაციები წარმოდგენილია სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტებით, საბანკო სესხებით, სახელმწიფო და კერძო ფასიანი ქაღალდების შექენით. შემნახველი ბანკები ასევე საკრედიტო ბართების გამოშვებას ახორციელებენ;

საინვესტიციო ბანკები (დიდ ბრიტანეთში - საემისიო სახლები, საფრანგეთში - საქმიანი ბანკები), სპეციალისირდებიან საემისიო-სადაამფუძვნებლო ოპერაციებზე. იმ საწარმოების ან სახელმწიფოს დაეალებით, რომელთაც გრძელვადიანი დაბანკებები სჭირდებათ და აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებას ახორციელებენ. საინვესტიციო ბანკები დაბანდების მოცულობის, პირობის, ემისიის ვადის, ფასიანი ქაღალდების ტიპის შერჩევის განსაზღვრას, აგრეთვე მათი განთავსებისა და მეორადი მიმოქცევის ორგანიზაციის ვალდებულებებს იღებენ საკუთარ თავზე. ასეთი სახის დაწესებულებები, თავიანთ ხარჯზე შექენისა და გაყიდვის ან ამისათვის საბანკო სინდიკატების შექენის ორგანიზებით, აქციებისა და ობლიგაციების მყიდველზე სესხის გაცემით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შექენის გარანტორები არიან;

იპოთეკური ბანკები, ისეთი სახის დაწესებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც გრძელვადიანი კრედიტების გაცემას

უძრავი ქონების (მიწა, შენობა, ნაგებობა) გირაოს ქვეშ ახორციელებენ. ამ ბანკების პასიური ოპერაციების გამოყენებაში გამოიხატება;

საბანკო პოლდინგი, რომელიც წარმოადგენს სხვა კომპანიების აქციების პაკეტისა და სხვა სახეობის ფასიანი ქაღალდების მფლობელ და ამ ფასიან ქაღალდებთან ოპერაციების განმხორციელებელ კომპანიას. გარდა სუფთა პოლდინგებისა, რომლებიც მხოლოდ აღნიშნულ ოპერაციებს ახორციელებენ, ასევე შერეული პოლდინგებიც არსებობენ, რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში სამეურნეო საქმიანობასაც ახორციელებენ.

სამიწათმოქმედო ბანკები (ძირითადად სპეციალიზაციას ახდენენ აგრარულ სექტორში);

სპეციალური სავაჭრო ბანკები და სხვ.

თანამედროვე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფართო განვითარება აქვია სპეციალურმა არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებმა, რომლებიც აკრედიტებენ მეურნეობრივი საქმიანობის განსაზღვრულ დარგებსა და სფეროებს. მათ საქმიანობაში დომინირებს ერთი ან ორი ძირითადი ოპერაცია, ამიტომ სპეციფიკური კლიენტურა აქვათ. თანამედროვე საკრედიტო სისტემის ამ მესამე ჯგუფს განეკუთვნება:

სადაზღვეო კომპანიები, რომელთა შემოსავალი იქმნება დაზღვევის პოლისების რეალიზაციის გზით. ეს კომპანიები თავიანთ სახსრებს სამრეწველო კომპანიების აქციებში, ობლიგაციებსა და დახელმწიფოს ფასიან ქაღალდებში ათავსებენ. დაზღვევის კომპანიები გრძელვადიან სესხებს აძლევენ საწარმოებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. დაზღვევის ობიექტის მიხედვით ეს კომპანიები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: სიცოცხლის დაზღვევა და ქონების დაზღვევა. დაზღვევის კომპანიების შემოსავალი, როგორც წესი ბევრად აღემატება პოლისების მფლობელთათვის განკუთვნილ გადასახადებს;

საპენსიო ფონდები, რომელსაც ძირითადად ქმნიან კერძო კომპანიები და სახელმწიფო დაწესებულებები მეშეებისა და მოსამსახურეების მოხუცებულობის დროს პენსიებით უზრუნველყოფის მიზნით. კერძო საპენსიო ფონდები იქმნება მეშეებისა და მოსამსახურეების, აგრეთვე მეწარმეთა ფულადი შენატანების საფუძველზე. საპენსიო ფონდები

ერთმანეთისაგან განსხვავდება ორგანიზაციის, მართვისა და აქტივების სტრუქტურის მიხედვით. საქონლიო ფონდებში კაპიტალის დაგროვების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ფორმირება ძირითადად წარმოებს მეწარმეთა და მუშა-მოსამსახურეთა საწევრო შენატანებისაგან. იმის გამო, რომ საქონლიო ფონდები ძირითადად ფლობენ გრძელვადიან ფულად სახსრებს, ისინი ამ სახსრებს აბანდებენ სახელ-მწიფო და კერძო ფასიან ქაღალდებში;

ფინანსური კომპანიები, განსაკუთრებული ტიპის საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც ფუნქციონირებენ სამომხმარებლო კრედიტის სფეროში. მათ მიეკუთვნება ინსტიტუტები, რომლებიც საცალო საბითუმო ეაჭრობაში საქონლის გაყიდვას აკრედიტებენ. ამ კომპანიების ფართოდ გაშლილი ქსელი არსებობს აშშ-ში, ინგლისში, საფრან-გეთში, გერმანიაში, იაპონიაში. ფინანსური კომპანიები ორი სახისაა: საქონლის ნისიად გაყიდვის დაფინანსების და პირადი დაფინანსების სახის. ორივე შემთხვევაში კომპანია სესხებს გასცემს ერთიდან სამ წლამდე ვადით.

საქველმოქმედო ფონდები. მათი განვითარება დაკაე-შირებული იყო მთელ რიგ მიზეზებთან. ჯერ ერთი, ქველ-მოქმედება მეწარმეობის ორგანული ნაწილი გახდა; მეორე, საქველმოქმედო ფონდების შექმნას პრაქტიკული მიზეზები გააჩნდა - მოსახლეების მდიდარი ფენა გაუბოდა გადასა-ხადების გადახდას და საკუთარი ფულადი სიმდიდრის ნაწილს გასცემდა საქველმოქმედო მიზნებისათვის. კერძო პირები და კორპორაციები საქველმოქმედო ფირმების შექ-მნით აფინანსებენ: უნივერსიტეტებს, სკოლებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ხელოვნების, კულტურის, საეკ-ლესიო დაწესებულებებს და სხვ.

საკრედიტო კავშირები, იგივე კოოპერატივებია, რომელსაც აარსებენ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფები პროფესიული ან რელიგიური პრინციპების მიხედვით. მათი კაპიტალი იქმნება საპაიო შენატანების საფუძველზე განსაკუთრებული სახის აქციების შექმნის ფორმით. მას იყენებენ მოკლევადიანი დაკრედიტებისათვის.

თანამედროვე საკრედიტო სისტემაში შემადგენელი რგოლების როლი სხვადასხვაა, მაგრამ საბანკო სექტორის მნიშვნელობა ძალიან დიდია და იგი საკრედიტო რესურ-სების მობილიზაციის მიხედვით პირველ ადგილზეა. ამ

სექტორში გადაიწვევტია კომერციული ბანკები, რომლებიც უპირატესად აკრედიტებს მრეწველობასა და ვაჭრობას. განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო სისტემის სრულყოფა დიდად არის დამოკიდებული საბანკო სექტორის ფუნქციონირების მრავალფეროვნებაზე. მოკლედ განვიხილოთ მსოფლიო მაღალგანვითარებული ქვეყნების საბანკო სტრუქტურა.

სხვა ქვეყნების საბანკო სისტემებთან შედარებით აშშ-ში საბანკო სისტემას, რიგი თავისებურებები აქვს, რომელიც ვლინდება, როგორც ცენტრალური, ასევე კომერციული ბანკების საქმიანობაში. აშშ-ს საბანკო საქმე წარმოიშვა 1776 წ. ე.ი. დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდან. 1781 წელს აშშ-მა სცადა ცენტრალური ბანკის დაფუძნება – ჩრდილოეთ ამერიკის ბანკისა, რომელმაც სულ რამდენიმე წელიწადი იარსება. 1791 წელს შეიქმნა ახალი ბანკი – აშშ-ის პირველი ბანკი, ინგლისური ბანკის ნიმუშის მიხედვით, რომელმაც მიიღო კონგრესის უფლებამოსილება 20 წლით, მოქმედება შეწყვიტა 1811 წელს. 1816 წელს შეიქმნა აშშ-ის მეორე ბანკი 20 წლის კონცესიით. ხანგრძლივი სამუშაოების შემდეგ 1913 წ. გამოვიდა კანონი ცენტრალური ბანკის შექმნის შესახებ და შეიქმნა ფედერალური სარეზერვო სისტემა (ფრს). აშშ-ის კომერციული ბანკები სხვადასხვა ნიშნით იყოფა. ერთ-ერთი ნიშანია ნაციონალური და შტატების განცალკევება. ნაციონალური ბანკები ისეთი ბანკებია, რომელთაც აშშ-ის ხელისუფლების ლიცენზია მიიღეს, ხოლო შტატების ბანკი, რომლებმაც ამ შტატების ხელისუფლების ლიცენზია მიიღეს. საბანკო სისტემა ასევე მოიცავს კომერციულ ბანკებს, საინვესტიციო ბანკებს, შემნახველ ბანკებს, სასესხო-საშემნახველო ასოციაციებს და ა.შ.

იაპონიას აქვს ერთ-ერთი ახალგაზრდა საბანკო კანონმდებლობა, რომელიც აგებულია ამერიკული ნიმუშის მიხედვით. მნიშვნელოვანი განვითარება მან მიიღო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თანამედროვე ტიპის პირველი ბანკები გაჩნდა 1872 წ. კერძო „ნაციონალური ბანკების“ სახით. როგორც კომერციულ ბანკებს, მათ ჰქონდათ ფილიალები მთელ ქვეყანაში და ბანკოტების ემისიის უფლებას ფლობდნენ. იაპონიის ცენტრალური ბანკი შეიქმნა 1882 წ. 30 წლის ვადით. შემდეგ ეს დრო გაგრძელდა კიდევ 30 წლით. ბანკს აქვს ბანკოტების ემისიის მონოპოლიური უფლება.

იაპონიის ბანკის ფუნქციები განსახდერულია 1942 წლის სპეციალური კანონით, რომელიც 1979 წ. მოდერნიზებულ იქნა. ბოლო მოედო ცენტრალური ბანკის უფლებამოსილებათა ვადების დანიშვნას და უკანასკნელმა უკიდურეს სტატუსი მიიღო. იაპონიაში საბანკო საქმის კონცენტრაციამ, კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების შედეგად, განსაკუთრებით ბოლო ასწლეულში, მაღალ დონეს მიაღწია. 1901 წელს აქ იყო 1900 კომერციული ბანკი, 1936 წელს - 418, 1981 წელს - 76. იაპონიის საბანკო სისტემაში გამოიყოფა კომერციული ბანკები, რეგიონული ბანკები, გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები, საშემნახველო ბანკები.

გერმანიის ცენტრალური ბანკი „დოიჩე ბუნდესბანკი“ შეიქმნა 1957 წელს, მისი წინამორბედი იყო გერმანული მიწების ბანკი. ცენტრალური ბანკი ითვლება სახელმწიფო იურიდიულ პირად, იგი არ ეკუთვნის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოებს. არ ემორჩილება არც კანცლერს, არც ფედერაციის მინისტრს, არამედ „მხოლოდ კანონს“. გერმანიაში უპირატესობა აქვს უნივერსალურ საბანკო სისტემას. ბუნდესბანკი გერმანიის ბანკების კვალიფიკაციას ახდენს შემდეგნაირად: ა) კომერციული ბანკები; ბ) შემნახველი საღაროები და საკრედიტო სასოგადოებები; გ) იპოთეკური ბანკები და შემნახველი საღაროები; დ) სამომხმარებლო კრედიტის ბანკები; ე) საინვესტიციო კომპანიები (სასოგადოებები); ვ) განსაკუთრებული ამოცანების საკრედიტო ინსტიტუტები.

დიდ ბრიტანეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საბანკო საქმის განვითარება. 200 წელსე მეტია ინგლისური ბანკები წამყვან როლს თამაშობდნენ მსოფლიოში და ღონდონი დღესაც უმნიშვნელოვანესი და უმსხვილესი საფინანსო ცენტრია. ინგლისის ბანკი - მსოფლიოს ყველაზე ძველი ცენტრალური ბანკია, რომელიც 1634 წელს შეიქმნა. თავდაპირველად ინგლისის ბანკი არ იყო წმინდა საემისიო ბანკი. დიდი მოცულობით იგი ასრულებდა კომერციული ბანკის ფუნქციებს, რომელსაც მრავალრიცხოვანი კერძო კლიენტურა პყავდა, რომლის ექსპილენტსაც თვითონ აღრიცხავდა. 1844 წელს ინგლისის ბანკმა, კანონის თანახმად, ბანკნოტების ემისიის მონოპოლია მიიღო. 1946 წელს ლეობორისტულმა მთავრობამ მოახდინა ინგლისის ბანკის ნაციონალიზაცია. ბრიტანული

კომერციული ბანკების სისტემა ძლიერ დიფერენცირებულია. მასში ბატონობს სპეციალური ბანკების პრინციპი. ბრიტანეთის ბანკების დაჯგუფება არც ისე ადვილია. ინგლისის ბანკი ბანკებს ყოფს სამ ჯგუფად: 1) დეპოზიტური ბანკები (კლირინგული ბანკები, ფინანსური სესხები, საეაჭრო ბანკები); 2) სააღრიცხვო სახლები; 3) აქცივტური სახლები, საზღვარგარეთული ბანკები, სხვა ბანკები.

საფრანგეთში პირველი ცენტრალური ბანკის სახესხეობა იყო შოტლანდიელი ჯონ ლოს მიერ 1716 წელს დაარსებული „ბანკ-ენერალი“, რომელსაც 1718 წელს ეწოდა „სამეფო ბანკი“ და მოხდა მისი ნაციონალიზაცია. რამოდენიმე წლის შემდეგ სამეფო ბანკის აქციები გაუფასურდა და ბანკი აუქციონზე გაიყიდა. XIX საუკუნის დასაწყისში განხორციელდა საფრანგეთის ცენტრალური ბანკის შექმნის ახალი ცდა. ნაპოლეონ ბონაპარტის პირველი კონსულის გადაწყვეტილებით, 1800 წელს შეიქმნა ახალი „ბანკ დე ფრანს“, როგორც სააქციო და კერძო ბანკი. 1806 წელს ამ ბანკმა მიიღო განსაკუთრებული უფლება ბანკნოტების ემისიაზე. 1848 წელს დაიქვემდებარა რა ადრე დამოუკიდებელი პროვინციული ბანკები, იგი გახდა საფრანგეთის ერთადერთი საემისიო ბანკი. ფრანგული ბანკებისათვის ისტორიულად ჩამოყალიბდა საქმიანობის მკაფიო სპეციალიზაცია, რომელიც კანონმდებლობით დაფიქსირდა 1945 წელს. ფრანგულ ბანკებს შორის შეიძლება გამოიყოს 4 ჯგუფი: 1) კომერციული ბანკები; 2) კოოპერატიული ბანკები; 3) ე.წ. ფინანსური დაწესებულებები (სამომხმარებლო კრედიტის ბანკები, საიპოთეკო-საკრედიტო დაწესებულებები); 4) სახელმწიფო და შერეული ბანკები (საფოსტო-საჩეკო დაწესებულებები, შემნახველი საღაროები, საგარეო ვაჭრობის ბანკი).

შვეიცარიაში საბანკო საქმე საფრანგეთთან, ინგლისთან და იტალიასთან შედარებით მოგვიანებით განვითარდა. უძველესი შვეიცარიული ბანკი შეიქმნა 1755 წელს, როგორც სახელმწიფო ციურიხის ბანკი. შემდეგ მისგან, კერძო ინსტიტუტის სახით წარმოიქმნა „ბანკ ლოი ნკ აგ“, რომელიც დღემდე არსებობს. ესაა უნივერსალური ბანკი. ცენტრალური ბანკის სახით 1906 წელს შეიქმნა „შვეიცარიის ნაციონალური ბანკი“, მან მიიღო ბანკნოტების გამოშვების და მიღების განსაკუთრებული უფლება. შვეიცარიის ყოველ

1200 მცხოვრებზე, ერთი საბანკო საყრდენი წერტილი მოდის. შეეიცარია ყველაზე მაღალი მანქანებილი აქვს „საბანკო სიმჭიდროვის მიხედვით“, თუ არ ჩავთვლით საფინანსო ცენტრებსა და საგადასახადო ოაზისებს. შეეიცარიის საბანკო სისტემა განასხვავებს ბანკების 5 ჯგუფს: 1) კანტონალური ბანკები; 2) გროსბანკები (უმსხვილესი ბანკები); 3) რეგიონული ბანკები, შემნახველი საღაროები; 4) სასესხო კანკები და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები; 5) სხვა ბანკები.

იტალიის საბანკო საქმე ყველაზე ძველია მსოფლიოში. მრავალი ცნება და ტერმინი, რომელიც დგესაც იხმარება საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში, იტალიური წარმოშობისაა, მაგ.: „ბანკი“, „ლომბარდი“, „ინდოსამენტი“ და სხვ. უკვე შუა საუკუნეების იტალიაში და პირველ ყოვლისა, ლომბარდიაში არსებობდა განვითარებული საბანკო საქმე. მსოფლიოს ოთხი უძველესი ბანკი იტალიაში წარმოიშვა. 1539 წელს შეიქმნა „ბანკო და ნაპოლი“, 1563 წელს „ინსტიტუტობანკარიო სან პაოლო დი ტურინო“, 1605 წელს „ბანკო და სანტო სპირიტო“ – რომში, რომის პაპის განკარგულებით, 1624 წელს - „მონტე დეი პაში და სიენა“. ცენტრალური ბანკის შექმნა ერთბაშად არ მომხდარა. იტალიის ცენტრალური ბანკი დაფუძნდა 1893 წელს, მაგრამ მას არ მიუღია ბანკოტების იმისიის მონოპოლიური უფლება, ეს მოხდა 1926 წელს. იტალიაში ბანკების სისტემის თანამედროვე სტრუქტურა ძლიერ დიფერენცირებულია და მისი კლასიფიკაციისათვის გამოყენება მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმში, რომელიც ასახვას პოულობს საბანკო სისტემაში. ინსტიტუტებს შორის, რომლებიც დასაქმებული არიან მოკლევადიანი დაკრედიტებით, გამოყოფენ შემდეგ 6 ჯგუფს: 1) სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტები; 2) ნაციონალური ინტერესების ბანკი; 3) არასახელმწიფო კომერციული ბანკები; 4) შემნახველი საღაროები; 5) სარეწაო და სასოფლო-სამეურნეო საღაროები; 6) სპეციალიზირებული კრედიტული ინსტიტუტები.

ავსტრიაში საკითხი ახალი ფულადი სისტემის შექმნის შესახებ დღის წესრიგში დადგა 1811 წელს ნაპოლეონის ომის გამო სახელმწიფოს გაკოტრების შემდეგ. 1916 წელს დაარსდა პრივილეგირებული ავსტრიის ცენტრალური ბანკი,

რომელიც ორმაგი მონარქიის - ავსტრიის და უნგრეთის დროს გახდა ავსტრია-უნგრეთის ცენტრალური ბანკი. ავსტრიის ნაციონალური ბანკის თანამედროვე სტატუსის სამართლებრივი საფუძველი დადგენილი იქნა 1969 წელს. ავსტრიის თანამედროვე საბანკო სისტემა მრავალფეროვანია. მასში ბატონობს უნივერსალიზაციის პრინციპი. უმსხვილესი ბანკები სახელმწიფოს ხელშია ან სახელმწიფოს აქვს მათში მონაწილეობის ყველაზე დიდი ნაწილი. სახელმწიფო გროსბანკები კონცენტრაციას უკეთებენ ავსტრიის საბანკო სისტემის ყველა ანაბრის უმეტეს ნაწილს. ავსტრიის საბანკო სისტემაში გამოიყოფა: შემნახველი საღაროები, სასოფლო-სამეურნეო ბანკები, სოფლის საკრედიტო კოოპერატივები.

6.2. საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემა

საქართველოში საკრედიტო-საბანკო სისტემის ფორმირება დაიწყო XVIII-XIX სს, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა სახელმწიფოებში საქართველოშიც არსებობდა განშტოებული, მრავალსუბიექტიანი საკრედიტო-საბანკო სისტემა, რომელიც იურიდიული და ფიზიკური პირების საკრედიტო და სხვა სახის საბანკო მომსახურების ფართო სპექტრით უზრუნველყოფას ანხორციელებდა, მაგრამ ეს სისტემა ორიარუსიანი მაინც ვერ გახდა. იუხედავად იმისა, რომ საკრედიტო-საბანკო აწესებულებების მართვის სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოები ჯერ კიდევ XIX ს-ის დასაწყისში აღმოცენდნენ (სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებების საბჭო და სხვ.), ისინი ყოველთვის მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ, რადგანაც ამ სისტემის მართვის გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა სახელმწიფო საბჭოს, სახელმწიფო კონტროლ, სხვადასხვა სამინისტროებს (კალკულულ შემთხვევებში სამხედრო სამინისტროსაც). ამ პერიოდისათვის სახელმწიფო ბანკს ისეთი ფუნქციების შესრულებაც უწევდა, რომლებიც სავსებით არ იყო ცენტრალური ბანკისათვის დამახასიათებელი: იგი

კომერციული ბანკების მსგავსად უშუალოდ ახორციელებდა სამეურნეო დაკრედიტებას.

1917–1921 წ.წ. საქართველოში ჩაისახა დამოუკიდებელი საკრედიტო სისტემის კონტურები, რომელიც ვითარდებოდა საბაზრო ეკონომიკის კანონების შესაბამისად, მაგრამ ეკონომიკის კატასტროფული მდგომარეობის და მრავალრიცხოვანი საომარი და შიდაპოლიტიკური სიძნელეების გამო ვერ მოხერხდა თვითმყოფადი საკრედიტო სისტემის შექმნა.

გასაბჭოების შემდეგ, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპ) გატარების პერიოდში სახელმწიფო საკრედიტო სისტემის ფორმირების პროცესში განასხვავებენ სამ ეტაპს:

1) ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის პერიოდი და საბანკო საქმის განვიტარებისათვის საჭირო წინაპირობების შექმნა (1921–1923 წ.წ.);

2) ხასიათდება იმ ელემენტების შექმნით, რომლისგან შემდგომში ქვეყნის საკრედიტო სისტემის აშენება უნდა დაწყებულიყო (1923–1926 წ.წ.);

3) ქვეყნის საკრედიტო ქსელის რაციონალიზაციისა და მისი საკრედიტო სისტემაზე გარდაქმნის პერიოდი (1926–1930). ქვეყნის საბანკო ორგანიზაციების ერთობლიობაში, სხვადასხვა პერიოდებში არსებული ფორმები შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მრავალი საკრედიტო ორგანიზაცია არსებობს:

2. “სახბანკის” სახით ერთადერთი საბანკო ორგანიზაცია ფუნქციონირებს ფართო ქსელით:

3. ქვეყანაში ორსაფეხურიანი (იარუსიანი) საბანკო სისტემის ჩამოყალიბება.

ერთსაფეხურიანი საბანკო სისტემა ბანკებს შორის პორიზონტალურ კავშირებს, მათი ოპერაციებისა და ფუნქციების უნივერსალიზაციას ეფუძნება. ერთსაფეხურიანი საბანკო სისტემის კარჩოებში ყველა საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურების ანალოგიური ფუნქციების შესრულებისას ერთ იერარქიულ საფეხურზე იმყოფება. აგებულების ასეთი ტიპი ძირითადად დამახასიათებელია, როგორც სუსტად განვითარებული ეკონომიკური სტრუქტურების ქვეყნებისათვის, ასევე მართვის ტოტალიტარული, ადმინისტრაციული-მბრძანებლური რეჟიმის ქვეყნებისათვისაც.

ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა ბანკებს შორის ურთიერთობებისორ სიბრტყეში აგებულება'სე არის აგებულ: ვერტიკალურ'სე და ჰორიზონტალურ'სე. ვერტიკალური ურთიერთობები ცენტრალურ ბანკს, რომელიც "ბანკთა-ბანკის", მმართველობის ცენტრსა და დაქვემდებარებულ რგოლებს შორის ურთიერთობას ითვალისწინებს. ჰორიზონტალური ურთიერთობები - კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობებს ითვალისწილებს.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, დღის წესრიგში დადგა არსებულ ეკონომიკური სისტემის შეცვლა საბა'სრო ეკონომიკით, რასაც მოჰყვა ამ სისტემისათვის დამახასიათებელი კომერციული საბანკო სისტემის ფორმირება. ეს პროცესი საქართველოში სტიქიურად დაიწყო. 1989 წ. 20 ბანკი ფუნქციონირებდა, 1990 წლის ბოლოსათვის 200 გადააჭარბა.

საქართველოში საბა'სრო ეკონომიკა'სე გარდამავალი პერიოდისეკონომიკური რეფორმების კომპლექსურ პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი პქონდა დათმობითი საკრედიტო ორგანიზაციას. მიღებულ იქნა კანონები ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ. მ კანონებით ქვეყნის ტერიტორია'სე ბანკებს მიეცა თანაბარ პირობებში ფუნქციონირების საშუალება.

საქართველოს საკრედიტო სისტემის სტრუქტურა XXI საუკუნის დასაწყისისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 1) საქართველოს ეროვნული ბანკი; 2) კომერციული ბანკები; 3) სპეციალიზებული საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

ქვეყანაში შექმნილი მაკროეკონომიკური არასტაბილურობის შედეგად, საკრედიტო სისტემის რაოდენობრივმა პარამეტრებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ამა'სე მეტყველებს ცხრილის მონაცემები /იხ. ცხრილი 6.1/

საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემის ახალი სტრუქტურა შეესაბამება საბა'სრო ეკონომიკის მოთხოვნილებებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო სისტემის ფორმირებას გააჩნდა და დღესაც გაა'შნია რიგი ნაკლოვანებებისა. საწყის ეტაპ'სე იქმნებოდა საფინანსო ინსტიტუტები სუსტი ფინანსური ბაზით, რის გამოც კლიენტების ხარისხიან მომსახურებას ვერ უ'ზრუნველყოფდნენ, ძირითადად იძლეოდნენ მოკლევადიან კრედიტებს,

გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსები ქვეყნის კომერციულ ბანკებს ფაქტობრივად არ გააჩნდათ. თანდათან მიმდინარეობდა ბანკების შერწყმისა და განმსხვილების ტენდენცია. ამით იყო განპირობებული, რომ 228 კომერციული ბანკიდან 2008 წლისათვის ფუნქციონირებდა 19 ბანკი.

რეგისტრირებული კომერციული ბანკების რაოდენობა / წლის ბოლოსათვის /

ცხრილი 6.1

	1993	2001	2002	2003	2004	2005
	წ.	წ.	წ.	წ.	წ.	წ.
ბანკების რაოდენობა სულ	228	29	27	25	21	19
ბანკების ფილიალების რაოდენობა	-	206	199	201	162	159

კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რას წარმოადგენს ქვეყნის საკრედიტო სისტემა?
2. რა ძირითად ჯგუფს მოიცავს თანამედროვე საკრედიტო სისტემა?
3. რა ძირითადი სახეობის ბანკებია გაერთიანებული საბანკო სექტორში?
4. რა ინსტიტუტები მიეკუთვნება სპეციალურ არასაბანკო საკრედიტო საფინანსო ინსტიტუტებს?
5. რა თავისებურებებით ხასიათდება აშშ-ის საბანკო სისტემა?
6. რომელი ქვეყნის საბანკო სისტემაა ყველაზე ძველი?
7. რა თავისებურებებით ხასიათდებოდა საქართველოს საკრედიტო და საბანკო სისტემა XXს-ის 90-იან წლებამდე?
8. როგორ წარმოგვიდგება საქართველოს თანამედროვე საკრედიტო და საბანკო სისტემა?

ტესტები

1) ფინანსურ საკრედიტო დაწესებულებათა კომპლექსი, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის განვითარებისთვის, არის:

- ა) საბანკო სისტემა; ბ) საფინანსო სისტემა;
გ) ფულადი სისტემა; დ) საკრედიტო სისტემა.

2) ქვეყნების საკრედიტო სისტემის შემადგენელ ჯგუფს არ მიეკუთვნება:

- ა) ცენტრალური (ეროვნული) ბანკი; ბ) საფინანსო სექტორი;
გ) საბანკო სექტორი;
დ) სპეციალური არასაბანკო საკრედიტო საფინანსო ინსტიტუტები.

3) სხვა კომპანიების აქციების პაკეტისა და სხვა სახეობის ფასიანი ქაღალდების მფლობელ და ამ ფასიან ქაღალდებთან ოპერაციების განმახორციელებელ კომპანიას ეწოდება:

- ა) საბანკო სინდიკატი; ბ) საბანკო კოოპერატივი;
გ) საბანკო პოლდინგი; დ) საბანკო ტრესტი.

4) “ფედერალური სარეზერვო სისტემა” ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ასრულებს:

- ა) აშშ-ში; ბ) დიდ ბრიტანეთში;
გ) შვეიცარიაში; დ) გერმანიაში.

5) მსოფლიოში ყველაზე ძველია:

- ა) იტალიის საბანკო საქმე; ბ) გერმანიის საბანკო საქმე;
გ) აშშ-ს საბანკო საქმე; დ) შვეიცარიის საბანკო საქმე.

6) ტერმინები: “ინდოსამენტი”, “ლომბარდი”, “ბანკი”, არის:

- ა) გარმანული წარმოშობის; ბ) ინგლისური წარმოშობის;
გ) ფრანგული წარმოშობის; დ) იტალიური წარმოშობის.

7) სპეციალურ არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს არ მიეკუთვნება:

- ა) საპენსიო ფონდი; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტი;
გ) სადაზღვეო კომპანიები; დ) საკრედიტო კავშირები.

8) ორსაფეხურიანი (ორიარუსიანი) საბანკო სისტემა დამახასიათებელია:

- ა) მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვის;
ბ) ტოტალიტარული ქვეყნებისთვის;
გ) ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისათვის;
დ) ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის.

- 9) განვითარების საწყის ეტაპზე საბანკო სისტემა იყო:
- | | |
|--------------------|--------------------|
| ა) ერთსაფეხურიანი; | ბ) ორსაფეხურიანი; |
| გ) სამსაფეხურიანი; | დ) ოთხსაფეხურიანი. |
- 10) საქართველოს თანამედროვე საბანკო სისტემა არის:
- | | |
|--------------------|--------------------|
| ა) ორსაფეხურიანი; | ბ) სამსაფეხურიანი; |
| გ) ოთხსაფეხურიანი; | დ) ხუთსაფეხურიანი. |

თემა 7. ფასიანი ქაღალდები და ფასიანი ქაღალდების ბაზარი

*სიმდიდრე სარგებლობაში
და არა საკუთრების უფლებაში
არისტოტელე*

7.1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის თავისებურებები

ეროვნული ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა საბაზრო ურთიერთობების პირობებში წარმოებს ფინანსური სისტემის მეშვეობით. მარტივად რომ ეთქვათ, ფინანსურ სისტემას ეკონომიკის შეზღუდული რესურსები გადააქვს დამზოგველებიდან (იმ ადამიანებიდან, ვინც საკუთარ შემოსავალზე ნაკლებს ხარჯავს) მსესხებლებამდე (იმ ადამიანებამდე, ვინც საკუთარ შემოსავალზე მეტს ხარჯავს). დამზოგველები ფულს ზოგავენ სხვადასხვა მიზეზით – რამდენიმე წლის შემდეგ სწავლის მისაღებად, ან რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ მშვიდი სიბერის უზრუნველსაყოფად. მსესხებლების სხვადასხვა მიზეზით სესხულობენ – საცხოვრებელი სახლის ყიდვის ან რემონისთვის, კომერციული საქმიანობის წამოწყებისთვის. დამზოგველების საკუთარ ფულს ფინანსურ სისტემას მიაწოდებენ იმ იმედით, რომ მოგვიანებით ამ ფულს სარგებლით დაიბრუნებენ. მსესხებლები ფულს მოითხოვენ

ფინანსური სისტემიდან და იციან, რომ მოგვიანებით ეს ფული უკან უნდა დააბრუნონ სარგებელთან ერთად.

(ფინანსური სისტემა მრავალი ფინანსური ინსტიტუტისაგან შედგება,) რომლებიც ხელს უწყობენ დამსოგველებისა და მსესხებლების კოორდინირებას. (ფინანსური ინსტიტუტები შეგვიძლია ორ კატეგორიად დავეყოთ - ფინანსურ ბაზრებად და ფინანსურ შუამავლებად.)

ფინანსური ბაზრები ის ინსტიტუტებია, რომელთა მეშვეობითაც დასოგვის მსურველებს შეუძლიათ პირდაპირ მიაწოდონ ფული სესხების მსურველებს. განვითარებულ ქვეყნებში მაგ. აშშ-ში) ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზარია ობლიგაციათა ბაზარი და აქციათა ბაზარი. (ფინანსური ბაზარი ეროვნულ მეურნეობაში ფულადი სახსრების მოძრაობის ორგანიზაციის ფორმაა. იგი ფუნქციონირებს სასესხო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახით. (სასესხო ბაზრის ამოცანაა კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული მოსახლეობის (ან საბაზრო სტრუქტურების) საკრედიტო მომსახურება. ფასიანი ქაღალდების ბაზარი სრულყოფილი სახით განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი.

საერთაშორისო პრაქტიკაში მირებული ტერმინოლოგიის თანახმად, ფინანსური ბაზარი ეს არის ფულის ბაზარს პლუს კაპიტალის ბაზარი. ფულის ბაზარზე ხორციელდება მოკლევადიანი (ერთ წლამდე) დაგროვების, ხოლო კაპიტალის ბაზარზე გრძელვადიანი და საშუალოვადიანი (ერთ წელზე მეტი) დაგროვების მოძრაობა. ფასიანი ქაღალდების ბაზარი წარმოადგენს როგორც ფულის ბაზარს, ასევე კაპიტალის ბაზარის სეგმენტს, რომლებიც აგრეთვე მოიცავენ პირდაპირი საბანკო კრედიტების მოძრაობას, ფულადი რესურსების გადააწილების სადაზღვევო დარგის მეშვეობით, შიდა საფირმო კრედიტებს და ა.შ.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ყოფილ საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში არ არსებობდა. მისი წამოყალიბება დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და ცხადია, მისი სრულყოფილი სახით ფორმირება და შემდგომში ორგანიზებული ფუნქციონირება საკმაოდ დროს მოითხოვს, ვინაიდან პირდაპირ უკავშირდება საკუთრებითი ურთიერთობების წამოყალიბებას და სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების ფინანსური პოლიტიკის ცვლილებებს.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ეკონომიკის ყველა სექტორისათვის ხელმისაწვდომს ხდის მათთვის აუცილებელი ფულადი რესურსების მიღებას. აქციების გამოშვება ამ რესურსების უფადოდ მიღების (საწარმოს არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე) შესაძლებლობას იძლევა, ხოლო ობლიგაციების გამოშვება უსრუნველყოფს საბანკო პირობებთან შედარებით კრედიტით უფრო შედაგათიან სარგებლობას.

ფასიანი ქაღალდები ყიველთვის წარმოადგენენ ფულადი კაპიტალის ან სხვა მატერიალური ფასეულობების „სიმბოლოს“. ამიტომ, მას ხშირად უწოდებენ „საფონდო ფასეულობას“. ამასთან ერთად, ფასიანი ქაღალდი — ყოველთვის განსაზღვრული „საფონდო ინსტრუმენტი“.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ბევრი სტიქიურად მიმდინარე პროცესების მარეგულირებელია. ეს პირველ ყოვლისა, შეეხება კაპიტალის ინვესტირებას. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ხელს უწყობს კაპიტალის ყველაზე მეტად საჭირო მიმართულებით მოძრაობას. $\downarrow \times \uparrow \downarrow \uparrow$

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირება შეუძლებელია მისი მომსახურე პერსონალის მაღალპროფესიონალიზმის გარეშე. იგი მოითხოვს რთული პროგრამებისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებას, რამაც უნდა უსრუნველყოს ფასწარმოქმნის და სხვა საჭირო ინფორმაციის გავრცელება.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითად პროფესიონალებს წარმოადგენენ ბროკერები (შუამავლები გარაგების დადებისას), დილერები (გარიგებაში მონაწილენი საკუთარი კაპიტალით), ჯობერები (ბაზრის კონიუნქტურის სპეციალისტები). ფასიანი ქაღალდების ბაზარს ასევე ემსახურებიან ბაზრის მოსამსახურეები, საინვესტიციო ფონდის მომუშავენი, ასევე სახელმწიფო მოხელეები და იურისტები. \downarrow

ბროკერები წარმოადგენენ სპეციალიზებულ ფირმებს, რომლებსაც აქვთ იურიდიული პირის სტატუსი. მათი საქმიანობის სფეროში შედის ფასიანი ქაღალდების განთავსება პირველად და მეორად ბაზარზე, საინვესტიციო ფონდების სექცენა, მართვა და ა.შ. ამასთან ერთად, ბროკერი ფასიანი ქაღალდების ბაზარს უწევს საშუაშაველო მომსახურებას საბანკო კრედიტის და გარიგებების დასრულების სფეროში. თავიანთ საქმიანობას ბროკერები ახორციელებენ სახელ-

შეკრულებო პრინციპებზე დაყრდნობით, რომელთაც აქვთ კანონის ძალა.

დიღერები, ბროკერებისაგან განსხვავებით გარიგებებში მონაწილეობენ თავიანთი კაპიტალით. დიღერების მოქმედება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ბროკერთან შედარებით მასშტაბურობით გამოირჩევა. ისინი ფლობენ მნიშვნელოვან კაპიტალს, რომელსაც აფართოებენ (ზრდიან) საკომისიოსა და ინვესტირებულ კაპიტალზე მოგების მეშვეობით. |

ჯობერები - ფასიანი ქაღალდების ბაზრის კონიუნქტურის პრობლემების კონსულტანტები პირველად გამოჩნდნენ ლონდონი სიტში. მათი საქმიანობა აუცილებელია ბაზრის მასშტაბებისა და სტრუქტურის მუდმივ გაფართოებასთან დაკავშირებით. ჯობერები მხოლოდ ერთჟერად კონსულტაციებს არ იძლევიან, ისინი კომპლექსურად წყვეტენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რთულ პრობლემებს (მაგ. განსაზღვრავენ ბანკების, სამრეწველო საწარმოების, საინვესტიციო ფონდების აქციათა კურსის ცვლილების ტენდენციებს). თავიანთი ფუნქციების სრულფასოვნად განსახორციელებლად, ჯობერები ქმნიან დროებით კვლევით კოლექტივებს ეკონომისტების, ბანკის თანამშრომლების, ფინანსისტების და სხვა სპეციალისტების შემადგენლობით. ჯობერების მომსახურება მიეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად საუშაოს.

რიგ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე (მაგ. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა) ასევე მნიშვნელოვანია მაკლერის საქმიანობაც. ოპერაციული მაკლერის როლში გამოდის ბირჟის წევრი, რომელიც შუამავალი ბროკერის დავალებას ასრულებს და ამისთვის განსაზღვრულ დავალებას ღებულობს.

7.2. ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეები

ფინანსურ ბაზრებზე ხორციელდება ვაჭრობა ფასიანი ქაღალდებით. ფასიანი ქაღალდების ცნებაში ფართო გაგებით იგულისხმება ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია უფლების წარმოქმნასთან, რომელიც არ შეიძლება გაიყიდოს ან გადაეცეს სხვა პირს ასეთი დოკუმენტის გარეშე. ფასიანი ქაღალდებს მიეკუთვნება ჩეკი, ვექ-

სილი, საფონდო ფასეულობები ან სხვა ანალოგიური დოკუმენტები. ფასიან ქაღალდებში ყველაზე მეტად გაერცვლებულია საფონდო ფასეულობები, მათ შორის კი მნიშვნელოვანია: 1) ობლიგაციები (ფიქსირებული შემოსავლის ფასიანი ქაღალდები, საეალო ვალდებულებები); 2) აქციები (მოწმობა კაპიტალში მონაწილეობაზე, ფირმის წილობრივი მფლობელობის უფლება). განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ობლიგაცია. ობლიგაცია ვალდებულებების სერტიფიკატია, როემლიც ადასტურებს მსესხელის ვალდებულებებს ობლიგაციის მფლობელის წინაში. ობლიგაციას ასევე უწოდებენ „მყარპროცენტთან ფასიან ქაღალდებს“, „რენტულ ქაღალდებს“. ობლიგაციის მყიდველი ტაეის ფულს ემიტენტს აძლევს იმ დაპირების სანაცვლოდ, რომ დაპირებულ თანხას (ე.წ. თავიანს) სარგებლით მიიღებს. მყიდველ შეუძლია ვადის გასვლამდე შეინარჩუნოს ობლიგაცია ან სხვას მიჰყიდოს. პრაქტიკაში გაერცვლებულია ობლიგაციების სხვადასვა სახეები (მაგ. გერმანიაში): ა) სახელმწიფო სესხი; ბ) კომუნალური სესხები; გ) სამრეწველო ობლიგაციები. რიგ ქვეყნებში (მაგ. აშშ, შვეიცარია) საფონდო ბირჟებზე ხორციელდება აგრეთვე ვაჭრობა ინვესტიციური ფასიანი ქაღალდებით (სერტიფიკატებით).

ა) სახელმწიფო სესხი. მაგ. გერმანიაში მას მიეკუთვნება ფედერალური მთავრობის, ფედერალური რკინიგზებისა და ფედერალური ფოსტის სესხები, აგრეთვე ე.წ. სპეციალური ფონდების სესხები ფედერალური მთავრობის. ამას გარდა, ამ ჯგუფს მიეკუთვნება ფედერალური მიწის სესხი. გერმანიის მყარპროცენტიანი ფასიანი ქაღალდების მტელი ბუნვის დაახლოებით 75%-ს სეადგენს ფედერალური რკინიგზებისა და ფედერალური ფოსტის სესხები.

ბ) კომუნალური სესხები. არც თუ ისე იშვიათად, სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები იძულებული არიან კომუნალური ამოცანების შესასრულებლად გაადიდონ თავიანთი დაეალიანება. კომუ სესხების ემისიისათვის აუცილებელია ნებართვა ცენტრალური მთავრობისაგან, თუმცა უკანასკნელი ვალდებული არაა სესხის მიცემის გარანტიაზე. კომუნალურ ორგანიზაციებს აქვთ კოტირება ბირჟაზე ან იქ ხორციელდება ოპერაციები ამ ფასიან ქაღალდებზე. ამას გარდა, ხელი-

სუფლებების ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ სესხის მიღება სპეციალური იპოთეკური ბანკებიდან. იპოთეკური ბანკები იძლევიან ხანგრძლივ კრედიტებს მიწის ნაკვეთების საწინდართო ან კომუნალური სამსახურების სავალო პასუხისმგებლობის პირობით.

გ) სამრეწველო ობლიგაციები. სამრეწველო ობლიგაციები - სამრეწველო კომპანიების ფიქსირებული შემოსავლის სავალო ვალდებულებაა. მისი ემიტენტებია მსხვილი სააქციო კომპანიები და განსაზღვრული პასუხისმგებლობის საზოგადოებები. სამრეწველო ობლიგაციების, როგორც ფულადი კაპიტალის მობილიზაციის ინსტრუმენტის მნიშვნელობა, ბოლო ხანებში, საგრძნობლად შემცირდა. მათ ადგილს თანდათან იჭერს საბანკო კრედიტი მისი სხვადასხვა ფორმებით.

სამრეწველო ობლიგაციების შედარებითი მიმსიდველობა მულაენდება იმაში, რომ აქციებისაგან განსხვავებით ისინი შეიძლება გაიყიდოს ნომინალურ ღირებულებაზე დაბალი კურსით. მაგ. 98 ნაკველად 100-სა. ასეთ ფასდაკლებას ჰქვია, დისაუიო. ამას გარდა, შეიძლება მიღებული იქნეს მოლაპარაკება, რომ ობლიგაციის დაფარვა მოხდება არა ნომინალური, არამედ უფრო მაღალი კურსით, მაგ. 103 ნაკველად 100-სა. ამგვარად, წარმოიქმნება ნამატი ანუ აუიო, რომელიც ობლიგაციის შესაბამის ვადასთან ერთად წარმოდგება როგორც დამატებითი შემოსავალი.

ობლიგაციის ჯამური გადასახადები (პროცენტი ან აუიო, შესაბამისად დისაუიო) მნიშვნელოვან მანვენებლად ითვლება ობლიგაციის პირობების შეფასებისას. უმრავლეს შემთხვევაში მუანაბრეები ასეთ ფასიან ქაღალდებს იძენენ ნომინალურისაგან განსხვავებული კურსით. ამის შესაბამისად რენდიტი (შემოსავალი) და ობლიგაციის ნომინალური პროცენტი შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ფასიანი ქაღალდების რენდიტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

რენდიტი = (ნომინალური პროცენტი/საემისიო კურსი) x 100

მაგ. ექვს პროცენტიანი ობლიგაცია 100 ნომინალური კურსის ნაკველად იყიდება 95-ად, 6,3%-ისა ($6 \times 100 / 95$). მაგრამ უფრო სუსტი რენდიტისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე ობლიგაციების დაფარვის ვადა და კურსი. სიმარტივისთვის ვიგულისხმობთ, რომ 8 წის შემდეგ

ობლიგაცია უნდა ანაზღაურდეს 100 ნომინალური კურსით. ამ რვა წლის განმავლობაში შეიძლება პროცენტთან დამატებით კურსის სხვაობას 5% (100-95), ღებულობს, რომელიც რენდის დაგროვებისას თანაბრად ნაწილდება ვალდებულებების მთელ პერიოდზე. ერთ წელზე მოდის საკურსო მოგების 0,62 პუნქტი (5 - 8), ხოლო წლიური ჯამური რენდით გაიზრდება 6,92%-მდე (6,3 + 0,62).

სამრეწველო ობლიგაციებთან განსაზღვრული მსგავსება აქვს კონვერსიულ საგალო ვალდებულებებს და ოპციონერულ სესხებს. ისინი წარმოადგენენ ფიქსირებული შემოსავლების ფასიანი ქაღალდების აქციისაკენ გარდამავალ ფორმას. ამიტომ მათი ემისია ხშირად რეგილირდება სააქციო საქმის შესახებ შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით. ფასიანი ქაღალდების ორივე სახეს აქვს მყარი ფიქსირებული პროცენტი. ამ ფასიანი ქაღალდების სამრეწველო ობლიგაციებისაგან განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მისი სესყიდვა დაკავშირებულია შემდგომი აქციების შექმნის შესაძლებლობებთან. კონვერსიული საგალო ვალდებულებების შემთხვევაში კრედიტორს უფლება ეძლევა შეცვალოს ეს ფასიანი ქაღალდები დადებითი ვალდის შემდეგ და უმრავლეს შემთხვევაში აუიოს ანაზღაურების პირობებით, იმავე კომპანიის აქციებზე განსაზღვრული პროპორციით. მეორე შემთხვევაში ოპციონური სესხის მფლობელს უპირატესი უფლება ეძლევა ფირმის ახალი აქციების შექმნაზე მისი სააქციო კაპიტალის შემდგომი გადიდებისას. ამიტომ მას შეუძლია დამატებით არსებულ მყარპროცენტთან ფასიან ქაღალდებთან ერთად შეიძინოს აქციები კონვერსიული ობლიგაციების აქციებზე გაცვლის გზით.

ფიქსირებული შემოსავლის ფასიანი ქაღალდების განხილვისას წარმოიქმნება კითხვები: როგორ შეიძლება ბირჟაზე საფონდო ფასეულობების ოპერაციების განხორციელება და რატომ აქვთ მათ ცელადი კურსი, რადგან მყარი პროცენტი და კურსის რყევა ურთიერთგამომრიცხავი უნდა იყოს? მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ საბაზო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ციკლური განვითარება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის აღმავლობის ფაზაში აღვილი აქვს კურსის ზრდას (აუიო), ხოლო დაქვეითების (დეპრესიის) ფაზაში კურსის შემცირებას (დიზაუიო).

მიუხედავად იმისა, რომ ეს ობლიგაციები ერთმანეთისაგან განსხვავდება, მათ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება აერთიანებს:

პირველი თვისება ობლიგაციის ვადაა, დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ობლიგაცია განაღდებადია. ზოგ ობლიგაციას მოკლე ვადა აქვს (რამდენიმე თვე), ზოგის ვადა კი რამდენიმე ათეული წელია (მაგ. 30 წელი). ბრიტანეთის მთავრობამ გამოსცა ობლიგაცია, ე.წ. მუდმივი რენტა, რომელიც არასდროს განაღდება. ეს ობლიგაცია უზრუნველყოფს სამუდამო სარგებელს, მაგრამ თავნი არასდროს გაიცემა. ობლიგაციის სარგებლის განაკვეთი, ნაწილობრივ მის ვადაზეა დამოკიდებული. გრძელვადიანი ობლიგაციები უფრო სარისკოა, ვიდრე მოკლევადიანი, ვინაიდან გრძელვადიანი ობლიგაციის მფლობელს უფრო დიდხანს მოუწევს ლოდინი ძირითადი თანხის დაბრუნებისთვის. თუ ობლიგაციის მფლობელს ფული ობლიგაციის ვადის გასულამდე დასჭირდა, მას სხვა არსებანი არა აქვს ობლიგაციის გაყიდვის გარდა, თანაც შესაძლოა ნაკლებ ფასად. ამ რისკის ასანაზღაურებლად, გრძელვადიანი ობლიგაცია უფრო დიდ სარგებელს იძლევა, ვიდრე მოკლევადიანი ობლიგაცია.

ობლიგაციის მეორე მნიშვნელოვანი თვისებაა მისი საკრედიტო რისკი – იმის ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ მოახერხებს სარგებლის ან ძირითადი თანხის ნაწილის გადახდას. მსესხებლებს შეუძლიათ (და ზოგჯერ ასეც იქცევიან) უარი თქვან სესხის გადახდაზე, თუ თავს გაკოტრებულად გამოაცხადებენ. როდესაც ობლიგაციების მყიდველები გრძნობენ, რომ გადაუხდელობის ალბათობა დიდია, ისინი სარგებლის უფრო დიდ განაკვეთს მოითხოვენ ამ რისკის საფასურად. ვინაიდან ითვლება, რომ ცენტრალური მთავრობის რისკი მცირეა, სამთავრობო ობლიგაციების სარგებლის განაკვეთებიც, როგორც წესი მცირეა. და პირიქით, ფინანსურად მერყევი კორპორაციები ფულს სესხულობენ, ე.წ. „ცუდი“ ობლიგაციების გამოშვების გზით, რომელთა სარგებლის განაკვეთი ძალიან დიდია.

ობლიგაციის მესამე მნიშვნელოვანი თვისებაა გადასახადებთან დამოკიდებულება – წესი, რომლითაც საგადასახადო კანონები ობლიგაციიდან მიღებულ სარგებელს ეპყრობიან. ობლიგაციების უმრავლესობის სარგებელი

ობეგრება, ასე რომ ობლიგაციის მფლობელმა ამ სარგებლის ნაწილი საშემოსავლო გადასახადის სახით უნდა გადაიხადოს. მაგრამ, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უშეებს ე.წ. მუნიციპალურ ობლიგაციებს, ობლიგაციების მფლობელებს არ მოეთხოვებათ ფედერალური საშემოსავლო გადასახადის გადახდა ამ ობლიგაციის სარგებლიდან. ამ ობლიგაციების ამ უპირატესობის გამო, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოშვებული ობლიგაციების სარგებლის განაკვეთი ნაკლებია, ვიდრე კორპორაციებისა თუ ცენტრალური მთავრობის ობლიგაციების სარგებლის განაკვეთი.

აქცია. აქცია, მისი კლასიკური განმარტების მიხედვით არის ქაღალდი, გამოშვებული აქციონერული საზოგადოების მიერ, რომელიც აძლევს უფლებას მის მფლობელს, მიიღოს გარკვეული შემოსავალი (დივიდენდი) აქციონერული საზოგადოების მოგებიდან. აქცია ასევე იძლევა აქტივების ნაწილზე საკუთრების ტიტულს. მოკლედ რომ ვთქვათ, აქცია გამოხატავს მათი მფლობელების მონაწილეობას აქციონერული კომპანიის კაპიტალში, ე.ი. მის მოგებაში, ქონებაში.

აქციონერული საზოგადოება არის მსხვილ საწარმოების ორგანიზაციული ფორმა, რომლის კაპიტალი იქმნება აქციებისა და ობლიგაციების გაყიდვით. აქციათა მფლობელები წარმოადგენენ აქციონერული საზოგადოების მუშაობას. აქციონერულ საზოგადოებაში აქციონერებს შორის მოგება ნაწილდება დივიდენდების სახით. არსებობს დახურული და ღია აქციონერული საზოგადოება. დახურულ საზოგადოებაში აქციები ნაწილდება დამფუძნებლებს შორის და არ გაიტანება თავისუფალ ვაჭრობაზე, ხოლო ღიაში - აქციებს თავისუფლად ყიდიან და ყიდულობენ.

ფორმალურად ღია აქციონერული საზოგადოების თანაფლობელი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც იყიდის ამ საზოგადოების თუნდაც ერთ აქციას. ფაქტობრივად წერილი აქციის მფლობელნი საზოგადოების მართვაში გადამწყვეტ როლს ვერ თამაშობენ, რამდენადაც მისი ხელმძღვანელები აირსევა აქციონერთა საერთო კრებაზე მსხვილი აქციების მფლობელებისაგან, რომელთაც აქციათა საკონტროლო პაკეტი გააჩნიათ.

წარმოების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით აქციონერული საზოგადოების ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ

აქციონერული კაპიტალი უფრო მოძრავია და მისი დაყოფა ყოველთვის შეიძლება. თუ საწარმოს მოწყობილობის ღირებულება ასახულია აქციების განსახლვრულ რაოდენობაში, მაშინ გაცილებით გაადვილებულია მყიდველის პოვნა ერთ ან რამდენიმე აქციაზე. კერძო საკუთრება აქციონერულ საზოგადოებაში ღებულობს ასოცირებულ, კოლექტიურ ფორმას. იგი შედარებით დემოკრატიული დაწესებულებაა. აქციების ის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს აქციათა მფლობელების აქციონერულ საზოგადოებაში გადამწყვეტი ხმის უფლებას, ეწოდება საკონტროლო პაკეტი.

ჩვეულებრივ, აქციონერული საზოგადოება ესწრაფვის შესაძლებლობის მიხედვით გადაიხადოს მუდმივი, ყოველ შემთხვევაში მუდმივად მზარდი დივიდენდები და ამით უზენეს საზოგადოებას მისი თანმიმდევრული განვითარება ან შექმნას ასეთი იმიტაცია. იმისათვის, რომ ჰქონდეს ამისი შესაძლებლობა კრიზისის პირობებში, კომპანია განსაკუთრებით მაღალი მოგების პერიოდში შესაბამის რეზერვებს აგროვებს (ხშირად კანონით განსაზღვრულს) და ზრდის ე.წ. „ნასესხებ რეზერვებს“, ძირითადად „ფარული რეზერვების“ ფორმით და მხოლოდ მაშინ, როცა ხანგრძლივი კრიზისის შედეგად ეს დაგროვება ამოიწურება, აქციონერული კომპანია ამცირებს დივიდენდებს. ამას შეუძლია გამოიწვიოს საწარმოს სწრაფი კრახი.

დივიდენდის გამოთვლა ხდება სხვადასხვა მეთოდების საშუალებით. სტანდარტულად დივიდენდი გამოიხატება ფულად ერთეულში (მაგ. ლარში) | აქციაზე გაანგარიშებით, ხოლო აქციის ნომინალური ღირებულება თავიდანვე დგინდება. ვთქვათ ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 50 ლარი, დივიდენდი 6 ლარი, ეს ნიშნავს, რომ აქციონერი ღებულობს წლიური მოცულობის 12%-ს. მაგრამ, რადგანაც აქციონერი ძალზე იშვიათად იძენს თავის ფასიან ქალაქს მინიმალური ღირებულების მიხედვით და ძირითადად მაღალი კურსით ყიდულობს მათ, გამოთვლილი უნდა იქნეს ფაქტობრივად მიღებული რენდიტი. იგი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{რენდიტი} = (\text{დივიდენდი/შეძენის ღირებულება}) \times 100.$$

მაგ., თუ 50 ლარის ნომინალური ღირებულების აქცია შექენილია 250 ლარის კურსით და მის გამო გადასახადია 10 ლარი დივიდენდი, მაშინ იქნება: $(10:250) \cdot 100 = 4\%$.

როგორც მაგალითიდან ჩანს, აქციის შემოსავალი ეერ ჩაითვლება მიმსიდეველად მეანაბრისათვის, მოცემულ შემთხვევაში გაცილებით მნიშვნელოვანია დაცდა იმ იმედით, რომ აქციის საბირჟო კურსი გაიზრდება და ფასიანი ქაღალდის ხელსაყრელი გაყიდვის შედეგად შესაძლებელი იქნება მოგების მიღება.

აქციების კლასიფიკაციისას სხვადასხვა კრიტერიუმში გამოიყენება. თავდაპირველად არჩევენ წარმომდგენისა და სახელობით აქციებს. წარმომდგენის მიერ აქციების ფაქტობრივი მფლობელობა ნიშნავს იურიდიულ რწმუნებას იმისა, რომ მისი წარმომდგენი კომპანიის აქციონერად ითვლება. სახელობითი აქციების შემთხვევაში მისი მხოლოდ ისეთი მფლობელები ითვლება აქციონერად, რომელთა შესახებ მონაცემები შეტანილია კომპანიის აქციონერთა წიგნში. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სააქციო საქმიანობის მარეგულირებელი სხვადასხვა სამართლებრივი აქტი მოქმედებს. ერთი ქვეყნის ბრუნვაში სტაბილურს წარმომდგენის, მეორეში – სახელობითი აქციები. აქციების ორივე სახეს აქვს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. წარმომდგენის აქცია სავაჭრო ოპერაციებში მარტივია, მაგრამ კომპანიისათვის უცნობი რჩება მისი მფლობელი. აქციების შესყიდვა შუამავლების მიერ ან „უხმაურო“ ოპერაციების გზით ხორციელდება. ყველაფერ ამას შეუძლია უზერხულობის შექმნა ფირმის მფლობელებისა და აქციონერებისათვის.

აქციები ასევე იყოფა ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. ჩვეულებრივია აქციები, რომელთა მფლობელებს აქციონერთა წესდებით გათვალისწინებული აქვს ყველა უფლება. პრივილეგირებული აქციები, პირიქით, ითვალისწინებს მისი მფლობელებისათვის განსახლერულ უპირატესობებს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებთან შედარებით. ასეთ უპირატესობებს სხვადასხვა ხასიათი შეიძლება აქონდეს. ერთი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ პრივილეგირებულ აქციებზე გაიცემა წინასწარ დადგენილი დივიდენდი, ე.ი. მანამდე, ვიდრე იგი განისახლერება ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისათვის.

არსებობს პრივილეგირებული აქციების ორი სახე. პირველი - ფიქსირებული დივიდენდის აქცია ე.ი. რომლის მიხედვით გაიცემა წინასწარ დადგენილი შემოსავალი, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა ფირმას შესაძლებლობა უფრო მაღალი დივიდენდების გაცემისა, ან პირიქით ეკონომიკური საქმიანობის შედეგები აიძულებენ მას შეამციროს განაწილებული მოგების დონე. პრივილეგირებული აქციების ეს ფორმა თავისი არსით ობლიგაციებს უახლოვდება. ასეთი აქციები უფრო საიმედოა, მაგრამ პრაქტიკულად გამორიცხავენ დივიდენდის გაზრდას.

მეორე სახეა პრივილეგირებული ფიქსირებული დივიდენდის აქციები, რომელიც ითვალისწინებს დამატებით მონაწილეობას კომპანიის მოგებაში - ე.წ. 'სედივიდენდები. ასეთი აქციების მეორე ვარიანტი ითვალისწინებს განსაზღვრულ დანამატს ფიქსირებულ დივიდენდებზე, რომელიც დამოკიდებულია ჩვეულებრივი აქციის დივიდენდის ყოველ პუნქტზე. თუ კომპანიის ლიკვიდაცია ხდება, მაშინ პრივილეგირებული აქციების მფლობელებს უპირატესი უფლება აქვთ ფირმის წმინდა ქონების განაწილებისას მანამდე, ვიდრე ჩვეულებრივი აქციების დაფარვა მიმდინარეობს.

პრივილეგირებული აქციების მფლობელებს დაერიცხებათ თანხა, რომელიც აღემატება მათ ნომინალურ ღირებულებას ანუ ისინი ნაზღაურდება საბაზრო კურსით. მაგრამ აქციონერებისათვის, რომლებიც პრივილეგირებულ აქციებს ფლობენ, მოცემულ შემთხვევაში აქვს უარყოფითი მომენტიც. თუ ფირმის ლიკვიდაციისას არსებობს მნიშვნელოვანი, კანონმდებლობით ნებადართული ან ფარული რეზერვები, მაშინ ისინი ნაწილდება ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს შორის, რომლის შედეგად ჩვეულებრივი აქციების დაფარვა ხდება იმ კურსით, რომელიც აღემატება მათ ნომინალურ ღირებულებას.

73. ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსების ორგანიზაცია

ფასიანი ქაღალდები არსებითად არსებითად სპეციფიკური საქონელია და წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის ობიექტს. ფასიანი ქაღალდების ბაზარი იყოფა პირველად და მეორად ბაზრად. პირველად ბაზარზე სახელმწიფოს გამოაქვს ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, რომელთა ემიტენტებს წარმოადგენენ კორპორაციები, ქვეყნის ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები. ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი, როგორც წესი, მოიცავს მხოლოდ ახლად გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს, რომელთა განთავსება წარმოებს სავაჭრო-სამრეწველო კორპორაციებში და რომლებს უშუალო კონტაქტში შედიან ფინანსურ ინსტიტუტებთან საინვესტიციო ბანკებისა და ბანკირთა სახლების მეშვეობით, სადაც იძენენ ამ ფასიან ქაღალდებს. საფონდო ფასეულობებს იძენენ ინდივიდუალური ინვესტორები და საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები. ეს უკანასკნელნი, გამოდიან რა აქციებისა და ობლიგაციების მფლობელთა როლში, იქოდებიან ინსტიტუციონალიზირებული ინვესტორებად. მათ შორის მთავარია კორპორაციები და სახელმწიფო დაწესებულებების საპენსიო ფონდები, კომერციული ბანკების ტრასტ-გაიყოფილებები და ა.შ.

ფასიანი ქაღალდები შეიძლება გაერცეულდეს ემიტენტის ინვესტორებთან პირდაპირი გასელის გზით, ან შუამავლების მეშვეობით, რომლებიც თავის თავზე იღებენ ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ფუნქციას. ცენტრალური მთავრობის ობლიგაციების გამოშვება დაკისრებული აქვს ფინანსთა სამინისტროს, დანარჩენი ემიტენტები თავიანთი ქაღალდების ძირითად ნაწილს ავრცელებენ შუამავლების მეშვეობით, რომელთა ფუნქციებს ასრულებენ საინფორმაციო საბანკო ფორმები. კონკრეტული გამოშვების ფასიანი ქაღალდების სარეალიზაციოდ ისინი ქმნიან დროებით ფორმირებას-საემისიო სინდიკატს.

ემიტენტსა და ფირმას შორის მოლაპარაკებებში, რომელსაც სინდიკატი ხელმძღვანელობს, განისაზღვრება პირობები, რომელთაც სინდიკატი იღბს თავის თავზე გამოშვების გაერცელების ვალდებულებას. მსხვილი გამოშვების შემთხვევაში სინდიკატის სათავეში შეიძლება დადგეს

რამდენიმე საინვესტიციო-საბანკო ფირმა. სინდიკატის თითოეული მონაწილეთაგანი მისთვის გამოყოფილი ფასიანი ქაღალდების გამოშვების აწარმოებს ხელმოწერას კლიენტებს შორის. ფასიანი ქაღალდების გაერცელებას საჯარო ხელმოწერით შუამავლების მეშვეობით ეწოდება ანდერაიტინგი. თუ ემიტენტი შეუთანხმდება ინსტიტუციონალური ინვესტორების ჯგუფს მთელი გამოშვების შესყიდვაზე, მაშინ ადგილი აქვს ე.წ. ფასიანი ქაღალდების კერძო გაერცელებას.

აქციონერული საზოგადოების (კორპორაციის) ფასიანი ქაღალდების პირველი მოწოდება თავისუფალი გაყიდვისათვის ატარებს „საწყისი საჯარო მოწოდების“ სახელწოდებას. პრინციპში იგი შეიძლება განხორციელდეს დამოუკიდებლად კომპანია-ემიტენტის მიერ, თუმცა თანამედროვე დასავლეთის პრაქტიკა სხვაგვარად მეტყველებს: ემიტენტები, რომლებიც თავიანთ ქაღალდებს პირველად ათავსებენ საჯარო ხელმოწერისათვის, თითქმის ყოველთვის შუამავლებს მიმართავენ, რომელთა ფუნქციებს საბირჟო ფირმები ახორციელებენ. ფასიანი ქაღალდების საწყისი საჯარო მოწოდების დადებითი მომენტებია:

1) მსხვილი ფინანსური რესურსების ოპერატიული მობილიზაციის შესაძლებლობა;

2) მომავალში დაფინანსების სხვადასხვა წყაროების ფართო ხელმისაწვდომობის უსრუმველყოფა;

3) სხვა ფირმების შთანთქმის შესაძლებლობა - მათი აქციების საკუთრებაზე გაცვლის გზით;

4) იზრდება კომპანიის შესაძლებლობები პერსონალის მიზიდვისა და მისი სტიმულირების საქმეში;

5) მოცემული კომპანიის აქციების ღია გაყიდვაში არსებობა და მათი გადასვლა მესაკუთრეთა ფართო წრის მფლობელობაში, სასურველია ხშირად პრესტიჟის თვალსაზრისითაც;

6) მათ კუთვნილებაში არსებული აქციების ნებისმიერ მომენტში გაყიდვის შესაძლებლობის მიღებით, კომპანიის მფლობელებს ჩამოუყალიბდებათ ფსიქოლოგიური წონასწორობა და საქმიანი წარმოების საზომიც.

ფასების დაწესება, რომლითაც უნდა დაიწყოს ახალი გამოშვების აქციების საჯარო გაყიდვა საბირჟო ფირმითა საქმიანობაში ერთ-ერთი შრომატევადი და დიდ რისკთან

დაკავშირებული პროცესია. ერთის მხრივ ფასზე ზემოქმედებს მრავალი ფაქტორი, სუბიექტური ფაქტორების ჩათვლით. ხოლო მეორეს მხრივ, რამდენადაც მოცემული აქციები თავისუფალ გაყიდვაში გადის პირველად, ძალიან ცოტა ინფორმაციაა ბაზრის რეაგირების პოზიციიდან.

ფასის დაწესებისას შეცდომებიც დასაშვებია, მაგრამ მიაგან თავის დაღწევა შესაძლებელია კომპანია-ემიტენტის ცოდნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ადექვატირო ფასის დადგენით დაინტერესებულია კომპანია-ემიტენტიც, ინვესტორებიც. თუ ფასი ძალზე მაღალია, ზარალობს ინვესტორი და მასთან ერთად – მოცემული კომპანიის რეპუტაცია, როგორც კაპიტალდაბანდების ობიექტი. თუ ფასი დაბალია, კომპანია იძულებულია მობილიზაცია გაუკეთოს საშუალებებს და მეტისმეტად დაანაწევროს საკუთრება.

ფასების დაწესების მეთოდისა, რომელსაც ანდერრაიტერი იყენებს, ფაქტობრივად არასდროს არ მიმდინარეობს წინასწარ მოცემული ფორმულით კომპანიის მიერ დაწესებული აქციის ფასი არ შეიძლება ოპტიმალური იყოს თუნდაც იმის ფაშო, რომ აქცია პირველად გამოდის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ობიექტად. ამასთან ამ ფასების დაწესება ხდება არა კომპიუტერის მეშვეობით, არამედ სუბიექტური მიდგომით მრავალრიცხოვანი ფაქტორების შეწონასწორებით, რასაც საბოლოოდ მოყვება კომერციული გადაწყვეტა.

7.4. ოპერაციათა სახეები საფონდო ბირჟაზე

საფონდო ბირჟა ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული მეორადი ბაზარია, რომელიც ფუნქციონირებს დადგენილი წესის მიხედვით და კოტირების (ფასიანი ქაღალდების ფასის დადგენის) მექანიზმის მეშვეობით განსაზღვრავს ბირჟაზე მიმოქცევაში ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეების (აქცია, ობლიგაცია) საბაზრი კურსს, ფასს ე.ი. მეორად ბაზარზე ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის გარიგებაში ხორციელდება.

ბირჟის წარმოშობა დაკავშირებულია XVIII ს ში, ქბრიუგერში მცხოვრებ ფეუდალ ბორზას სახელთან. ბორზას

ოჯახი, რომლის საგვარეულო ღერბზე გამოხატული იყო ფულის სამი ქისა (Börsen), ვაჭრებისა და გამყიდველების მუდმივი შეხვედრის ადგილი იყო. იქ ერთმანეთს უცვლიდნენ ახალ ამბებს, უფრო გვიან - საქონელსა და ფულს. ამის შედეგად საკუტარი სახელი (Börs) გახდა კომერსანტების შეხვედრის ანალოგიური ადგილის კუთვნილებაც.

ევროპის კონტინენტზე პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ამსტერდამის ბირჟა. გერმანიაში საბირჟო ვაჭრობა განუხრელად ვითარდებოდა ფრანკფურტში, ლაიპციგში, ლიუბეკში, ბრემენში. XIX-ში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად არსებითად გაიზარდა ბირჟების მნიშვნელობა. განსაკუთრებით ეს ეხება გერმანია-საფრანგეთის 1870-1871წწ. ომის დასაწყისის და სამხედრო კომუნიკაციების განვითარების პერიოდს. ცნობილია მეწარმეების ციებ-ცხელების მთელი პერიოდები, რის გამოც 1873წ. ეკონომიკის ციკლური განვითარების ბუნებიდან გამომდინარე მოხდა ე.წ. გრიუნდერობის კრაზი. რაც ბირჟაზე წარმოქმნილმა სპეკულაციამ განაპირობა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე საბირჟო კრაზი ნიუ-იორკში 1929წ. 29 ოქტომბერს, როდესაც დაიწყო მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკური კრიზისი. XXს-ში იყო პერიოდები, როდესაც შეიმჩნეოდა ბირჟების რიცხვის შემცირება, რაც პირველ ყოვლისა განპირობებული იყო იმით, რომ ბირჟის ფუნქციების ნაწილი თავისთავზე აიღო მსხვილმა ბანკებმა. თანამედროვე პირობებში მსოფლიოში უმნიშვნელოვანეს ბირჟებად ითვლება ნიუ-იორკის, ტოკიოს, ლონდონის, მაინის ფრანკფურტის, ციურიხის ბირჟები.

საფონდო ბირჟებზე გარიგებების სახეებად განაწილებისას ეყრდნობიან რამდენიმე კრიტერიუმს. შედარებით მნიშვნელოვან კრიტერიუმად ითვლება ვადა, რომლის მიხედვით ხდება გარიგება. ამასთან არსევენ საკასო და ვადიან ოპერაციებს.

საკასო ოპერაციებისათვის ტიპურია ის, რომ მისი შესრულება ძირითადად ხდება უშუალოდ გარიგების დასრულების შემდეგ. მაგ., გერმანიაში ოპერაცია უნდა შესრულდეს არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა გარიგების შემდეგ ანუ ისე, როგორც ეს სვეულებრივ მიღებულია სავალუტო ოპერაციებში. აშშ-ში არსებობს

საკასო ოპერაციების შესრულების დიფერენცირებული ვადები – დაუწყონებლივი გადახდიდან 5 დღის ვადამდე. ანალოგიური მდგომარეობა არსებობს დიდ ბრიტანეთში. იაპონიაში ხელშეკრულებასთან დამოკიდებულებით საკასო გარიგებებში შეიძლება შესრულდეს 1-დან 14 დღეში, შეეცარიაში გარიგებაზე გათვალისწინებულია 5 დღე. უნდა მიეუთითოთ იმაზე, რომ თეთონ ფასიანი ქაღალდები „არ მონაწილეობენ“ გარიგებებში, ანუ გარიგებების გაფორმების მომენტში ისინი ბირჟაზე არ გამოაქვთ. ფასიანი ქაღალდები, როგორც წესი ბანკის საცავეებში ინახება.

ფასიანი ქაღალდების ვადიანი ოპერაციები ყოველთვის და ყველა ქვეყანაში შესაძლოა არ იყოს ნებადართული. მაგ., გერმანიაში „დიდი დეპრესიის“ დროს 1931წ. ისინი (ვადიანი ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით) აიკრძალა. ვადიანი გარიგებები ფართოდ დაინერგა, პირველ ყოვლისა, აშშ-სა და შეეცარიაში. ვადიან გარიგებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა გარიგება ხდება მოცემულ მომენტში, ხოლო მისი შესრულება გათვალისწინებულია განსაზღვრულ, წინასწარ დათქმულ ვადაში. ვადიან საფონდო გარიგებებს ნათლად გამოკვეთილი სპეკულაციური ხასიათი აქვს. ბირჟის სპეკულიანტები, რომლებიც კურსის დაკვირვებაზე თამაშობენ („დათვები“) დადგენილ ვადაში აფორმებენ ე.წ. ფიქტიურ გარიგებებს. ისინი ყიდნიან ფასიან ქაღალდებს, რომელიც არა აქვთ გარიგების მომენტში. „დათვები“ სპეკულირებენ კურსის დაკვირვებაზე. ბირჟის მოვაჭრენი, რომლებიც თამაშობენ კურსის ამალღებაზე („ხარები“) ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს ვადაზე ადრე კურსის ამალღების იმედით.

„დათვები“ იმედოვნებენ, რომ გარიგების ვადის დამთავრებამდე, ისინი შეძლებენ ფასიანი ქაღალდების ყიდვას უფრო დაბალი კურსით და გაყიდნიან მას უფრო მაღალი ფასით, რომელიც დადგენილია ვადიანი გარიგების ხელშეკრულებით, და ამგვარად, მიიღებენ საკურსო სხვაობას. „ხარები“, ე.წ. რომლებიც თამაშობენ კურსის ამალღებაზე, პირიქით, იმედოვნებენ, რომ ისინი შეძლებენ ფასიანი ქაღალდების უფრო მაღალი კურსით გაყიდვას. ამისათვის ისინი იძენენ ფასიან ქაღალდებს გარიგების დადგენილი კურსით.

დღევანდელ პირობებში, 'სოგადად ფასიანი ქაღალდების ბაზრის სერიოზულ პრობლემად რჩება ფინანსური რისკის ეფექტიანი მართვის ორგანიზაცია. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ნებისმიერი სპეციალისტის წარმატება-წარუმატებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რისკიანია. ფინანსური რისკი ეს არის პირდაპირი ფინანსური დანაკარგებით შემოსაფლდების რისკი, რომელიც წარმოიქმნება ბაზარზე ოპერაციების განხორციელებისას მრავალნაირი შემთხვევითი ფაქტორების ან წარმოების დაბალი ეფექტიანობის შედეგად.

მსოფლიო პრაქტიკით, ფასიანი ქაღალდების ოპერაციებთან დაკავშირებული რისკი იყოფა: სისტემატურ და არასისტემატურ რისკებად.

სისტემატური რისკი, ანუ მოლიანობაში ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემის რისკი უშუალოდ ფასიან ქაღალდებთან არ არის დაკავშირებული. ის საერთო ხასიათის რისკია ფასიანი ქაღალდების მოლიან დაბანდებაში. ასეთ სიტუაციაში სისტემატური რისკის ანალიზი დაყვანილია იმის შეფასებაზე - რომელი უკეთესია: ფასიანი ქაღალდების პორტფელთან გექონდეს საქმე, თუ აქტივების სხვა ფორმებში დაეაბანდოთ კაპიტალი.

არასისტემატური რისკი აერთიანებს ყველა სახის რისკს, რომლებიც უშუალოდ ფასიან ქაღალდებთან არის დაკავშირებული. იგი იყოფა:

მაკროეკონომიკურ რისკად;

დარგობრივ რისკად;

რეგიონალ რისკად;

საწარმოთა რისკად;

პორტფელის მართვასთან დაკავშირებულ და ტექნიკურ რისკად.

კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რა თავისებურებებით ხასიათდება ფასიანი ქაღალდების ბაზარი?
2. დაახასიათეთ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი პროფესიონალები.
3. დაახასიათეთ ობლიგაცია და განმარტეთ მისი ძირითადი სახეები.
4. დაახასიათეთ აქცია და განმარტეთ მისი ძირითადი სახეები.
5. როგორ გამოითვლება ფასიანი ქაღალდების რენდიტი (შემოსავალი)?
6. რა განსხვავებაა სეფულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს შორის?
7. რა თავისებურებებით ხასიათდება ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსების ორგანიზაცია?
8. ოპერაციათა რომელი ძირითადი სახეები ხორციელდება საფონდო ბირჟაზე?

ტესტები

1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის წევრს, რომელსაც აქვს იურიდიული პირის სტატუსი, წარმოადგენს შუამავალს გარიგების დადებისას, რომლის საქმიანობის სფეროში შედის ფასიანი ქაღალდების განთავსება პირველად და მეორად ბაზარზე, საინვესტიციო ფონდების შექმნა და ა.შ. ეწოდება:

- | | |
|-------------|-----------------|
| ა) დისაჟიო; | ბ) ბროკერი; |
| გ) მაკლერი; | დ) ანდერაიტერი. |

2. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საკუთარი კაპიტალით მონაწილეობს და გარიგებებს დებს:

- | | |
|-----------------|------------|
| ა) მაკლერი; | ბ) ჯობერი; |
| გ) ანდერაიტერი; | დ) დილერი; |

3. ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობითაც დაზოგვის მსურველებს შეძლიათ პირდაპირ მიაწოდონ ფინანსური სახსრები სესხების მსურველებს, არის:

თემა 8. ცენტრალური ბანკები

ფედერალური სარეზერვო სისტემის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სახმელი სწორედ იმ მომენტში დამალოს, როცა ხალხის წვეულება განაღებულა

უ. მარტინი

8.1. ცენტრალური ბანკების წარმოშობის რეტროსპექტივა

კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ სტადიაზე ცენტრალურ და კომერციულ ბანკებს შორის ფუნქციონირებად მკვეთრი დანაწევრება არ არსებობდა. მათ შორის ფაქტობრივად პორიზონტალური და არა ვერტიკალური დამოკიდებულება იყო. კომერციული ბანკები ბანკნოტების გამოშვებას, როგორც კაპიტალის მობილიზაციის ერთ-ერთ წყაროს ფართოდ იყენებდნენ. საკრედიტო სისტემის განვითარების შესაბამისად ბანკნოტების ემისიის ცენტრალიზაციის პროცესი რამდენიმე მსხვილ კომერციულ ბანკში დამკვიდრდა, რის შედეგად ბანკნოტების გამოშვების მონოპოლიური უფლება საბოლოოდ ერთი ბანკის პრეროგატივა გახდა. თავდაპირველად ასეთ ბანკებს ემისიურ ბანკებს უწოდებდნენ, ხოლო შემდგომ მათი ფუნქციები ბევრად გაიზარდა, რის შემდეგაც თეორიასა და პრაქტიკაში დამკვიდრდა ცნება- ცენტრალური ბანკი.

მართალია პირველი ცენტრალური ბანკები საკმაოდ ადრეულ პერიოდში წარმოიშვა (ინგლისი - 1634, შვედეთი - 1668), მაგრამ მათი საყოველთაო გავრცელება და თანამედროვე მნიშვნელობა მხოლოდ XX საუკუნეში შეიძინეს. თუ მეუღლე საუკუნის დასაწყისამდე ემისიური ბანკები კერძო იყო, მეორე მსოფლიო ომის წინ დაიწყო მათი ნაციონალიზაციის პროცესი - ეს დაკავშირებული იყო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპთან და სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების გაფართოებასთან. 1938წ. სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა კანადის ბანკი, 1939წ. - გერმანიის რეიხს ბანკი, 1942წ. - იაპონიის ბანკი, 1946წ. - ინგლისის და საფრანგეთის ბანკები. აღნიშნული ბანკები ცენტრალურ ბანკებად ხანგრძლივი ისტორიული ევოლუციის შედეგად გახდნენ. ხოლო სოგეირთი ქვეყნის ბანკები თავიდანვე ემისიურ

ცენტრებად იქნენ დაფუძნებული, მაგ. 1913წ. აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა, მრავალი ლათინოამერიკული სახელმწიფოს ცენტრალური ბანკი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფო საემისიო ინსტიტუტები შეიქმნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში - ბუნდესბანკი (1957წ.) და ავსტრიაში (1960წ.). თანამედროვე პირობებში უმეტეს ქვეყნებში ცენტრალური ბანკები თავისი არსით სახელმწიფო ბანკებს წარმოადგენენ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი ფორმალურად სახელმწიფოს არ მიეკუთვნება. მაგ. სახელმწიფოს კუთვნილებაა შვეიცარიის ცენტრალური ბანკის მხოლოდ ნაწილი, მთავარ აქციონერებად ითვლება კანტონების ხელისუფლება, კანტონალური ბანკები და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები, აგრეთვე 50-ზე მეტი კერძო აქციონერი, სახელმწიფოს საკუთრებაა, ბელგიისა და ავსტრიის ცენტრალური ბანკის კაპიტალის 50%, იაპონიის ბანკის კაპიტალის 55%.

ცენტრალური ბანკი დღეს ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს საფინანსო-საკრედიტო სისტემის ძირითად ელემენტს წარმოადგენს. იგი ოფიციალურად გამოდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამტარებლის როლში. თავის მხრივ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბიუჯეტოსთან ერთად, ეკონომიკის ერთიანი სახელმწიფო რეგულირების საფუძველს წარმოადგენს.

ბრიუსელის საერთაშორისო საფინანსო კონფერენციაზე (1920წ.) აღინიშნა, რომ ქვეყნებში, სადაც ცენტრალური საემისიო ბანკები არ არსებობენ, ისინი უნდა შეიქმნას. აქვე ხაზგასმული იყო, რომ ბანკები და განსაკუთრებით საემისიო ბანკები უნდა განთავისუფლდნენ პოლიტიკური სეწოლისაგან, ისინი გონივრული ფინანსური პრინციპებით უნდა იმართებოდნენ. ამრიგად ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის საკითხი მისი საქმიანობის უწყვეტიანობის გარანტიისათვის არის საჭირო.

უმეტეს შემთხვევაში ცენტრალური ბანკის კაპიტალი მთლიანად სახელმწიფოს კუთვნილებაშია, მაგრამ აქციონერებად შეიძლება იყვნენ კომერციული ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები. ცენტრალურ ბანკს კომერციულ ბანკთან შედარებით მოკრძალებული ოპერაციები და

ბალანსი გააჩნია, მათი ფუნქციებისა და საბანკო სისტემაზე შემოქმედების მეთოდების მოდიფიცირება ხორციელდება.

ყველაზე ხშირად ცენტრალური ბანკი უშუალოდ პარლამენტის ან ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი სპეციალური საბანკო კომისიის წინაშე ანგარიშვალდებულია. ცენტრალური ბანკის მმართველი მთავრობის შემადგენლობაში არ შედის, მისი დანიშვნა ახალი კაბინეტის ფორმირების ვადებს არ ემთხვევა. დანიშვნა შეიძლება განხორციელდეს მონარქის, პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის მიერ, მაგრამ ამასთან. მთავრობას, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობას ეყრდნობა, წვეულებრივ შეუძლია საკუთარი კანდიდატურაც გაიყვანოს. ცენტრალური ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობა თანამდებობაზე ყოფნის ვადებით შეიძლება შეიზღუდოს ან ხანგრძლივი პერიოდით დაინიშნოს, მაგ; ირლანდიაში, ავსტრიაში, კანადასა და პოლანდიაში - 7 წელი, გერმანიაში - 8 წელი.

ის ფაქტი, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობაში ცენტრალური ბანკები სახელმწიფოებრივად ითვლება, არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო შეუზღუდავად მოქმედებს მათ პოლიტიკაზე. ამ გავლენის ხარისხი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ცენტრალური ბანკების მდგომარეობა ორგვარია. ერთი მხრივ, ეკონომიკისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს სფეროებში ისინი „მუშაობენ“ მთავრობასთან ერთად მეორე მხრივ, ტაქტიკის საკითხებში და ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში მათ შორის ხშირად, შეუსაბამობაა. ეს უთანხმოება სოგჯერ პრინციპულ ხასიათს ატარებს.

ცენტრალური ბანკი მიუხედავად იმისა, სახელმწიფო საკუთრებაშია თუ არა, როგორც წესი იურიდიულად დამოუკიდებელია და სახელმწიფოს არ ემორჩილება. ცენტრალური ბანკის პოლიტიკა ყოველთვის იყო სახელმწიფოს, პროფკავშირების და მონოპოლიების დავის საგანი. მაგ.: ექსპორტზე ორიენტირებული მონოპოლიები გამოდიან მათი ქვეყნების ვალუტის კურსის შემცირების მოთხოვნით. სასესხო კაპიტალის წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან ფულის მყიდველობითი უნარის სტაბილიზაციით, სამრეწველო სფეროს წარმომადგენლები მხარს უჭერენ „იაფ ფულს“, რადგან იაფი კრედიტი სტიმულს აძლევს და

აფართოებს მათ ინვესტიციებს. პროფკავშირები გამოდიან სრული დასაქმების ფულადი პოლიტიკის მხარდასაჭერად. სახელმწიფო ესწრაფვის პოლიტიკას, რომელიც დაეხმარება თავიდან იქნას აცილებული საგადასახდლო ბალანსის დეფიციტი. ყველა ეს და სხვა წარმოქმნილი წინააღმდეგობები, თავის მხრივ, აისახება ცენტრალური ბანკის პოლიტიკაზე.

პოლიტიკის გატარებისას პრიორიტეტი ეძლევა ამა თუ იმ მხარის ინტერესს, ძალების კონკრეტული განლაგებისაგან დამოკიდებულებით. ეკონომიკური პოლიტიკის ამ წინააღმდეგობრივმა მიზნებმა ეკონომიკურ ლიტერატურაში მიიღო სახელწოდება „მაგიური ოთხკუთხედი“, რომლის „კუთხეებია“ – ეკონომიკური ზრდა, სრული დასაქმება, ფულის ღირებულების სტაბილურობა და საგადასახდლო ბალანსის დაბალანსება. როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, ამ მიზნების ერთდროულად მიღწევა საკმაოდ რთულია.

82. ცენტრალური ბანკის ფუნქციები

ქვეყნის ცენტრალური ბანკი (ბანკთა-ბანკი) არის ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი გამტარებელი, რომელიც მიმართულია ფულადი მიმოქცევის სტაბილიზაციაზე. მისი უპირველესი მოვალეობა ეკონომიკაში არის დაიცვას ფულის ღირებულება და მსყიდველობითუნარიანობა, შექმნას ნორმალური პირობები ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებისათვის. ცენტრალური ბანკის როლი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში მისი განვითარების კვალობაზე ძლიერდება, რადგან სწორედ ფულის, ფულად-საკრედიტო მექანიზმის საშუალებით მიმდინარეობს ზრდა-განვითარების რეგულირება.

თანამედროვე პირობებში ცენტრალური ბანკის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

ბანკოტების ემისია;

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება;

ფულად-საკრედიტო ინსტიტუტების რეფინანსირება;

სავალუტო პოლიტიკის განხორციელება;

საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირება;

მთავრობის ფინანსური აგენტის ფუნქცია;

საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების ორგანიზაცია.

ბანკოტების (ფულადი ნიშნების) ემისია – ცენტრალური ბანკის უძველეს და მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. ბანკოტების ემისიის უფლება მას კანონმდებლობით აქვს მინიჭებული, ამის შედეგად ცენტრალურმა ბანკმა მუდმივლიკვიდობა მიიღო და კომერციული ბანკებისათვის უმაღლესი ინსტანციის ლიკვიდობის წყარო გახდა. ოქროს მონომეტალიზმის პირობებში ცენტრალური ბანკის ბანკოტებს ოქროთი და კომერციული თამასუქებით ორმაგი უსრუნველყოფა გაანხდა. ოქროს სტანდარტის სისტემაზე უარის თქმის შემდეგ ბანკოტების ემისია უპირატესად სამთავრობო ობლიგაციების ქვეშ ხორციელდება, ამასთან დაკავშირებით ბანკოტების უშუალო კავშირი საქონლის მიმოქცევასთან შესუსტდა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შეადგენელი ნაწილია, რომლის მთავარი მიზანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, უმუშევრობისა და ინფლაციის შემცირება და საგადასახდლო ბალანსის გამოთანაბრებაა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია მიმოქცევაში ფულის მასის, კრედიტის მოცულობის, საპროცენტო განაკვეთის დონის ოპტიმალური ცვლილებების უსარუნველსაყოფად.

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიმართულია ან ფულად-საკრედიტო ემისიის სტიმულირებისაკენ (საკრედიტო ექსპანსია – კონიუნქტურის გამოცოცხლება წარმოების დაცემის პირობებში) ან ფულად-საკრედიტო ემისიის შესღუდვისაკენ (საკრედიტო რესტრუქცია-ეკონომიკური აღმავლობის პირობებში). ცენტრალური ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას იყენებს ინსტრუმენტების კომპლექსს, რომელთაგან განასხვავებენ:

სემოქმედების ფორმის მიხედვით – პირდაპირი და ირიბი;

სემოქმედების უშუალო ობიექტის მიხედვით – ფულის მიწოდებასა და ფულზე მოთხოვნას;

- რეგულირების პროცესში დაწესებული პარამეტრების მიხედვით – რაოდენობრივს და ხარისხობრივს.

ქვეყნების უმეტესობაში საკრედიტო ოპერაციების მართვის და რეგულირების მიზნით, ცენტრალური ბანკი გამოიყენებს შემდეგი სახის ძირითად ინსტრუმენტებს:

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაწესება;

ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთის რეგულირება;

ოპერაციები ღია ბაზარზე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების პრიორიტეტულობა მთლიანობაში იმ მიზნებსზე დამოკიდებული, რომელსაც ცენტრალური ბანკი ქვეყნის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე წყვეტს. მაგ., თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში სააღრიცხვო პოლიტიკა და ოპერაციები ღია ბაზარზე იძენენ, ხოლო მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დადგენა - თანდათან მეორეხარისხოვანი ხდება. საპირისპირო მდგომარეობაა იმ ქვეყნებში, რომლებიც საბაზრო ურთიერთობათა გაფართოების გზას ადგას (უპირატესობა ენიჭება სარეზერვო მოთხოვნების დადგენას).

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაწესება, კომერციული ბანკების საკრედიტო საქმიანობის რეგულირების ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად ითვლება მინიმალური რეზერვების პოლიტიკა. მინიმალური რეზერვები არის კომერციული ბანკების ანაბრები ცენტრალურ ბანკში, რომელთა მოცულობა დგინდება კანონმდებლობით საბანკო ვალდებულებებთან (კლიენტების ანაბრებთან) განსაზღვრული მიმართებით. სოფიერ ქვეყანაში მინიმალური რეზერვების სიდიდის განსაზღვრის ბაზად ითვლება გაცემული კრედიტები. მინიმალური რეზერვების საშუალებით ცენტრალური ბანკი ცდილობს კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობაზე გავლენას. მინიმალური რეზერვების პოლიტიკა პირველად აპრობირებული იქნა აშშ-ში XX ს-ის 30-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სწრაფად დაინერგა ფაქტობრივად ყველა წამყვანი ქვეყნის ცენტრალური ბანკების პრაქტიკაში. 1981 წ. დიდ ბრიტანეთში, რეფორმასთან დაკავშირებით მინიმალური რეზერვების პოლიტიკა, ადრე არსებული ფორმით, გაუქმებული იქნა.

ისტორიულად, სავალდებულო მინიმალური რეზერვები განვითარდა კომერციული ბანკების საერთო აუცილებლობიდან, აქონდა ლიკვიდური რეზერვები ნაღდი ფუ-

ლადი გადასახდელების შემთხვევისათვის. ამჟამად, მინიმალურ რეზერვებს აქვს ორმაგი დანიშნულება: ჯერ ერთი, მან უნდა უზრუნველყოს კომერციული ბანკის ლიკვიდობის მუდმივი დონე, მეორე, იგი (მინიმალური რეზერვი) ითვლება ცენტრალური ბანკის ინსტრუმენტად ფულადი მასისა და კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობის რეგულირებისათვის.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ინდივიდუალურად ადგენს მინიმალური რეზერვების შენარჩუნების წესს, მაგრამ ყველა ეს ერთ მიზანს ისახავს - აიძულოს კომერციული ბანკები შეინარჩუნონ მათი ვალდებულებების განსაზღვრული დიფერენციალური წილი ცენტრალური ბანკის უნაღდო და უპროცენტო ანგარიშებში; ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., აშშ-ში), მინიმალურ რეზერვებს შეუძლიათ გარკვეული სარგებლის (პროცენტის) მოტანა.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშება ხორციელდება თვიური ან კვარტალური ბალანსის მონაცემებით იმის გამო, რომ ერთობლივი ანაბრების სიდიდე მუდმივად იცვლება და მხოლოდ განსაზღვრული პერიოდის ბოლოს შეიძლება უსუსტად იქნეს გამოთვლილი ანაბრების საშუალო სიდიდე.

ოფიციალური საარღიცხვო განაკვეთის რეგულირება. საკრედიტო დაწესებულებებს, უპირატესად კომერციულ ბანკებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ ცენტრალური ბანკის კრედიტი ფასიანი ქაღალდების გირაოთი ან თამასუქების აღრიცხვის გზით. სადისკონტო (განაღდების) და საგირაენო პოლიტიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კომერციული ბანკების რეფინანსირების პირობების შეცვლის მეთოდი გაელენას ახდენს ფულის და კაპიტალის ბაზრებზე არსებულ სიტუაციაზე.

სადისკონტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომლითაც კომერციულ ბანკები აღრიცხავენ თამასუქს ანუ პროცენტის განაკვეთი, რომლითაც ცენტრალური ბანკი აძლევს კომერციულ ბანკებს სესხს. სადისკონტო განაკვეთის გადიდება იქცევის ბანკებზე გაცემული სესხებისა და ამ ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებზე პროცენტების შესაბამისად გადიდებას.

ოფიციალური საარღიცხვო (განაღდების) განაკვეთი წარმოადგენს კრედიტზე საბაზრო განაკვეთის დასადგენად

ორიენტირს. ამით ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს კომერციულ ბანკებში განთავსებული საკრედიტო რესურსების ღირებულებას. რაც უფრო მაღალია სადისკონტო განაკვეთის დონე, მით უფრო დიდია ცენტრალური ბანკის რეფინანსირების კრედიტების ღირებულება და პირიქით. ცენტრალური ბანკის სადისკონტო განაკვეთის ზრდა იწვევს ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების შეფარდებით შემცირებას. მისი შემცირება, პირიქით, იწვევს კრედიტებისა და დეპოზიტების გაიფუბას, ფასიან ქაღალდებზე მოტხოვნისა და მისი საბაზრო ღირებულების გადიდებას. სადისკონტო განაკვეთის რეგულირება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაპირდაპირ მეთოდს მიეკუთვნება. ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგადასხდელ ბალანსის წონასწორობის დარღვევისა და სავალუტო კრიზისის გამწვავების პირობებში.

ოპერაციები ღია ბაზარზე. ოპერაციები ღია ბაზარზე წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას ფულის ბაზარზე გავლენის მოხდენის მიზნით. აღნიშნული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნა-მიწოდების რეგულირებით გამოწვეული იქნეს კომერციული ბანკების შესაბამისი რეაქცია.

ტერმინი „ღია ბაზრის პოლიტიკა“, პირველად განჩნდა აშშ-ში XX ს-ის 20-იან წლებში, როცა ამ პოლიტიკის გატარება დაიწყო აშშ-ში ცენტრალური ბანკის ოპერაციები ღია ბაზარზე, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო მასშტაბური იყო, რადგან ამ ქვეყანაში იყო ფასიანი ქაღალდების დიდი ბაზარი. დიდ ბრიტანეთში ღია ბაზრის პოლიტიკამ არსებითი როლი ითამაშა გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან, ხოლო საადრიცხვო პოლიტიკამ დაქვემდებარებული ხასიათი მიიღო. გერმანიის რეიხსბანკი შეუდგა ღია ბაზრის პოლიტიკის გატარებას 1933 წლიდან, ამ საკითხის გერმანიის დოინზბუნდეს ბანკიც დიდ ყურადღებას უთმობს.

ოპერაციები ღია ბაზარზე განხილული უნდა იქნეს ცენტრალური ბანკის სხვა ინსტრუმენტებთან ერთობლიობაში, რომლის საშუალებით ეს უკანასკნელი შემოქმედებს კვლავწარმოების პროცესის ციკლზე. თუ

სააღრიცხვო პოლიტიკა გლობალურად და დროებითი შეზღუდვებით მოქმედებს, მაშინ ოპერაციები ღია ბაზარზე წარმოადგენს სწრაფი და მოქნილი შემოქმედების იარაღს. ცენტრალური ბანკი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვისას, ადგენს რა მომგებიან განაკვეთებს, ცდილობს გაველენის მოხდენას ცენტრალური ბანკში, კომერციული ბანკების რეზერვების ზომებზე და ამით შემოქმედებს კომერციული ბანკების კრედიტების სიდიდეებზე.

მაღალი ეკონომიკური აქტივობის პერიოდში, ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს სთავაზობს ფასიანი ქაღალდების ყიდვას, რათა შეამციროს მათი საკრედიტო შესაძლებლობები ეკონომიკისა და მოსახლეობის მიმართ. კრიზისის პერიოდში ცენტრალური ბანკი რეფინანსირების შესაძლებლობას ქმნის კომერციული ბანკებისათვის და ისეთ პირობებს აყენებს, როცა მათთვის ხელსაყრელია თავისი ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ ბანკზე მიყიდვა. ამგვარად, კომერციული ბანკები ცენტრალური ბანკისაგან ფულს ღებულობენ ეკონომიკისა და მოსახლეობისადმი კრედიტის მისაცემად. ასეთი ეკონომიკური ინსტრუმენტის გამოყენებით შესაძლებელი ხდება, როგორც ლიკვიდობის, ასევე საპროცენტო განაკვეთების ცვლილება.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკას უპირატესად ანტიინფლაციური ხასიათი გააჩნია. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში უპირველესი ამოცანაა ინფლაციის ტემპის შემცირება. განვითარებად ქვეყნებს საკრედიტო-საფინანსო რეფორმების საწყის ეტაპზე არ შეუძლიათ განახორციელონ ისეთი ფართო ლიბერალიზაცია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შემუშავებული აქვთ ამ ქვეყნებში საკრედიტო-საფინანსო სისტემის დარეგულირების განხორციელების თანამიმდევრობა.

ფულად-საკრედიტო ინსტიტუტების რეფინანსირება, დაკავშირებულია სესხების ისეთი შემთხვევისას გაცემაზე, როდესაც ბანკები დროებითი ფინანსური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდებიან. რეფინანსირების მიზანია ფულად-საკრედიტო სფეროს მდგომარეობაზე შემოქმედება.

რეფინანსირების ფუნქციის შესრულებით, ცენტრალური ბანკი ბოლო ინსტანციის კოორდინატორის ან ბანკების ბანკის როლში გამოდის. რეფინანსირების კრედიტები მხოლოდ მდგრად ბანკებზე გაიცემა, რომლებიც დროებით ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან და შემდეგი სახის ფაქტორებზე დამოკიდებულებით შეიძლება განვასხვაოთ:

- უსრუნველყოფის ფორმით (სააღრიცხვო და ლომბარდული კრედიტები);

მიწოდების მეთოდებით (პირდაპირი კრედიტები და კრედიტები, რომლებიც აუქციონების ნატარების საფუძველზე გაიცემა);

- მიწოდების ვადებით (მოკლევადიანი და საშალოვადიანი);

მიზნობრივი ხასიათით (კორექტირებადი კრედიტები და გახანგრძლივებული სესონური კრედიტები).

სავალუტო პოლიტიკის განხორციელება - გამომდინარეობს იქიდან, რომ ცენტრალური ბანკი სავალუტო პოლიტიკის გამტარებელ ინსტიტუტს წარმოადგენს და იგი თავის თავში ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოზიციების განმტკიცებაზე მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას ითვალისწინებს. სავალუტო პოლიტიკის მიმართულებები ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციებით, მისი საგადასახდლო ბალანსისა და ფულადი მიმოქცევის მდგომარეობით, აგრეთვე საგარეო ვალდებულებებით განისაზღვრება, რომელიც ამ ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციებში მონაწილეობის შედეგად წარმოიშვა. სავალუტო პოლიტიკა მოიცავს:

სავალუტო კურსის რეგულირებას;

სავალუტო რეგულირებისა და სავალუტო კონტროლის განხორციელებას;

- ოფიციალური სავალუტო რეზერვების ფორმირებას და მათ მართვას;

საერთაშორისო სავალუტო თანაშემრომლობის განხორციელებას და საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციებში მონაწილეობას.

საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირება. ბანკების და სოგადად საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობაზე კონტროლი თითოეული მათგანის

მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება და იგი ბანკის მიერ თავისი საქმიანობის მოქმედი კანონ-მდებლობისა და ინსტრუქციების შესაბამისად განხორციელებაზე მიზნობრივ და უწყვეტ ზედამხედველობას ითვალისწინებს. საბანკო ზედამხედველობა ისახავს ორ ძირითად მიზანს:

მენაბრის შესაძლო დანაკარგებისაგან დაცვას;

საფინანსო ბაზარზე სისტემური რისკების თავიდან აცილების მეშვეობით სტიმულირების მხარდაჭერას.

ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციების განხორციელებისას მის ამოცანაში შედის:

- ლიცენზიების გაცემა საბანკო საქმიანობაზე;
- ბანკების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების შემოწმება;

რევიზიები ადგილებზე;

კონტროლი საბანკო ოპერაციების ნორმების დაცვაზე.

მთავრობის ფინანსური აგენტის ფუნქცია. ცენტრალური ბანკი თავისი სტატუსით მთავრობის ფინანსურ აგენტს წარმოადგენს და იგი სახელმწიფო კაღის განთავსებისა და დაფარვის, ბიუჯეტის საკასო გამოყენების, მთავრობის მიმდინარე ანგარიშების მომსახურების, მიმოქცევიდან სახაზინო ბილეთებისა და მონეტების გამოშვებითა და, მიმოქცევიდან მათი ამოღების, აგრეთვე მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებთან ანგარიშსწორების განხორციელებისას საეკონომიკურ სახსრების გადარიცხვასთან დაკავშირებულ ოპერაციებს ახორციელებს. ცენტრალური ბანკის მნიშვნელოვანი როლი ისეთი პრობლემის გადაწყვეტაში, როგორცაა სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვაზე კრედიტების გაცემა, სახელმწიფოს კრედიტორის სახით მის როლს შეესაბამება.

საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების ორგანიზაცია. ცენტრალურმა ბანკმა კომერციულ ბანკებს შორის გადახდების ორგანიზაციაში მონაწილეობა გადახდების ტექნოლოგიებში ფუნდამენტური ცვლილებების – ქალაქის ფულის მიმოქცევაზე გადასვლის პერიოდში დაიწყო. შიდა ღირებულების არ მქონე ქალაქის ფულის გამოყენებამ, ნდობაზე დაფუძნებული საანგარიშსწორებო

სისტემის შექმნა მოითხოვება. გადახდების განხროციელებაზე პასუხისმგებლობა ცენტრალურმა ბანკმა აიღო თავის თავზე, რომელსაც წუნდაუდებელი ფინანსური მდგომარეობა და დიდი ავტორიტეტი გააჩნია.

ქვეყნის საგადასახადო სისტემის ორგანიზაციაში ცენტრალური ბანკის სამ ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

1. ფინანსური სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერა;
2. საგადასახადო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
3. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება.

8.3. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის მთავარი რგოლის ეროვნული ბანკის შექმნა და ცივილიზებული მეთოდებით ამუშავება დაიწყო დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი დღიდან. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა მაშინ, როცა საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე მანამდე არსებული ყოფილი საბჭოთა კავშირის საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა და რგოლი: სახელმწიფო ბანკი, შემნახველი ბანკი, აგროსამრეწველო ბანკი, მრეწველშენბანკი, ბინსოცბანკი, მათი ფილიალები და მოთვლითი ცენტრები.

1991 წლის 2 აგვისტოს გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება: „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების შემოღების წესის თაობაზე. ამ დადგენილებების III და IV თავში საქართველოს საკუთრებად გამოცხადდა სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა და მის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ეროვნული ბანკი.

ქვეყნის დამოუკიდებლობის საწყისი პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს საბანკო სექტორის განვითარება რთული და არაერთგვაროვანი მოვლენებით

აღსაქმე პროცესია, რომელიც დღემდე გრძელდება. დამოუკიდებელი საბანკო სისტემის არსებობის მანძილზე საბანკო საქმიანობის განვითარების პროცესზე ეკონომიკურთან ერთად ისეთი ფაქტორებიც ახდენდნენ გავლენას, რომელთა შინაარსიც სცვილდება ეკონომიკური მოვლენების ფარგლებს. პოლიტიკური დესტაბილიზაციის ფონზე მოიშალა ტრადიციული ეკონომიკური კავშირებიც, ყოველივე ამან წარმოების მკვეთრი დაცემა განაპირობა და ქვეყანა ფინანსური კრიზისის პირდაპირ აღმოინდა. საქართველო ობიექტური მიზეზების გამო, მოექცა ჯერ სამანეთო, შემდეგ კი რუბლის ზონაში, რის შედეგად შეუძლებელი გახდა ავტონომიური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება.

ეროვნულმა ბანკმა ვერ უზრუნველყო შექმნილ მდგომარეობასთან მისადაგებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. აღნიშნული გამოიხატებოდა ე.წ. „ჰაერიდან“ აღებული ურესურსო კრედიტების იაფად გაცემაში, რითაც ისარგებლეს ხელისუფლების სხვადასხვა დონის წარმომადგენლებმა, ბანკებთან დაახლოებულმა პირებმა, კრიმინალურმა ჯგუფებმა. მათ მიერ გატანილი სესხები ეროვნულ ეკონომიკას კი არ ემსახურებოდა, არამედ ყიდვა-გაყიდვის ობიექტად იქცა, რითითაც კიდევ უფრო გამწვავდა ინფლაციური პროცესი. ფულად-საკრედიტო სისტემაში ქაოსის გამო პროცესებმა უმართავე ხასიათი მიიღეს. მდგომარეობას ისიც ამწვავებდა, რომ საბანკო-საკრედიტო სფეროში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოექცნენ არაპროფესიონალები, რომელთაც საბაზრო პირობებში მართვის, კერძოდ კი საბანკო მე-ნეჯმენტის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდათ.

იმისათვის, რომ ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა (ჩვენს შემთხვევაში ეროვნულმა ბანკმა) სრულფასოვნად განახორციელოს თავისი ფუნქციები, აუცილებლად უნდა აქონდეს შემდეგი მინიმალური რესურსები: 1. ფულის საკუთარი (ეროვნული) ნიშანი; 2. რქროსა და უცხოური ვალუტის რესერვები; 3. საკრედიტო რესურსები.

სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ეროვნული ბანკის დაარსების პირველ წლებში, არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილთაგანი ქვეყნის ცენტრალური (ეროვნულ) ბანკს არ გააჩნდა. 1993 წლამდე საქართველო ჯერ კიდევ

სამანეთო (რუბლის) ზონაში იმყოფებოდა და ფულის ნიშნებითაც სწორედ რუსეთიდან მარაგდებოდა.

საკუთარი სავალუტო-საკრედიტო პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთმა შეწყვიტა საქართველოსათვის ფულადი ნიშნების მიწოდება. ქვეყანაში წარმოიშვა ხელფასების, პენსიების და სხვა გადასახდელების დაფარვის პრობლემა. შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა ქვეყნის ხელმძღვანელობას მოექცნა გამოსავალი საბანკო სისტემის სტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტაში, შესაბამისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავების გზით. 1993 წლის გაზაფხულისათვის ხელისუფლება იძულებული გახდა მიემართა საგანგებო ღონისძიებებისათვის. 1993 წლის 1 აპრილიდან მიმოქცევაში შემოიღეს გარდამავალი ფულის ნიშანი - კუპონი. საკუთარი ფულადი ერთეულის შემოღებამ ქვეყანას ფორმულურად დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების საშუალება მისცა, მაგრამ ეს შესაძლებლობა არასწორად იქნა გამოყენებული. კერძოდ, იმის ფონზე, რომ კუპონის შემოღებას არანაირი რეალური ეკონომიკური სამზადისი არ უძღოდა კურსის შემდგომი სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად (ეროვნულ ბანკს არ გააჩნდა საერთაშორისო რეზერვები), ემისიის განხორციელება ხდებოდა ეკონომიკური სოტუაციის გაუთვალისწინებლად, მშპ-ის კლების პირობებში.

შედეგად, 1990 წელს ფულის მასა 30-ჯერ გაიზარდა. შედეგად თუ აგვისტოში 1 აშშ დოლარი 5690 კუპონი ღირდა, 1994 წლის იანვარში მისი კურსი უკვე 102300 კუპონს აღწევდა, ხოლო სექტემბერში - 2,4მლნ კუპონს. ქვეყანაში ინფლაციის წლიური მანქენებული 8000% დაფიქსირდა, რომელიც სარეკორდო იყო როგორც ყოფილ საბჭოთა ქვეყნების, ასევე მსოფლიოს მასშტაბითაც.

საბანკო სისტემა მკვეთრად იცვლება 1994 წლიდან, როცა საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მეთოდოლოგიური და მეთოდური საკითხების მოწესრიგებაში აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო ფონდი. 1995 წლის 28 ივნისს საქართველომ მიაღწია შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სისტემური ტრანსფორმაციის ტრანშით ეკონომიკური რეფორმის პროგრამის დაფინანსებას. ეს დაფინანსება ე.წ. „სტენდ-ბაის“ პროგ-

რამით ხორციელდება. ამ პროგრამით სავალუტო ფონდის მიერ გამოგზავნილია მისიამ საქართველოს მთავრობის მონაწილეობით საქართველოს ეროვნულ ბანკთან (სებ) ერთად შეიმუშავა მეთოდოლოგიურ და მეთოდურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის თანახმად ახლებურად ჩამოყალიბდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანები. წინა პლანზე წამოიწია ინფლაციის ერთნიშნა ციფრამდე დაყვანის, ეროვნული ბანკის უცხოური რესურსების გაჯანსაღების, წარმოების დაცემის შენერების ამოცანამ.

1995 წელს პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, შესაძლებელი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება და საფინანსო-საბიუჯეტო სექტორის სტაბილიზაცია, რაც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო 1995 წლის სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებებს - „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ღარის გამოშვებისა და „ეროვნული ფულადი ერთეულის - ღარის მიმქცევაში დამკვიდრების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

ამავე პერიოდში იწყება ეროვნული ბანკის თანამედროვე ტიპის საბანკო ზედამხედველობის სტრუქტურის ჩამოყალიბება. ერთ-ერთი პირველი პრაქტიკული ნაბიჯი, რომელიც ეროვნულმა ბანკმა ამ მიმართულებით გადადგა 1995 წელს ეროვნული ბანკისა და სომხეთის ცენტრალური ბანკის ინიციატივით შექმნილი „ამიერკავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების საბანკო ზედამხედველობის რეგონალური ჯგუფი“ იყო, რომლის ეგიდითაც ხდებოდა „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ მიერ შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება. იგი გამოიხატებოდა ახალი ეკონომიკური ლიმიტებისა და ნორმატივების შემოღებით. შედეგად, კუპონის კურსი 2400 000-დან 1300 000-ზე ჩამოვიდა და ამავე დონეზე სტაბილური გახდა ერთი წლის განმავლობაში, მოხდა ნაღდი და უნაღდო ვალუტის კურსებს შორის სხვაობის აღმოფხვრა.

სრულყოფილი გახდა საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზაც. 1995 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ კანონი“. 1996 წლის 23 თებერვალს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, რომლის საფუძველზეც დაჩქარდა სრულყოფილი ორდონიანი (ორიარუსიანი) საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. ფულად-

საკრედიტო სფეროში წარმატებული რეფორმები დაგვირგინდა 1995 წლის სექტემბრიდან ახალი ეროვნული ვალუტის - ლარის შემოღებით. აღსანიშნავია, რომ ლარის წარმატება ბევრად განაპირობა კუპონის ერთწლიანმა სტაბილურობამ. ლარის შემოღება განხორციელდა კუპონთან 1:1000 000 კურსით.

ლარის შემოღებით გაგრძელდა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ახალი ეროვნული ვალუტის ემიისა მკაცრად კონტროლდებოდა. ამასთან ეროვნული ბანკი უკვე ფლობდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებულ სავალუტო რეზერვების საჭირო ოდენობას, რაც საშუალებას აძლევდა ხელისუფლებას სავალუტო ინტერვენციები განეხორციელებინა ლარის მიმართ და ამით მისი გაცვლითი კურსის სტაბილურობა უსრუნველყო.

მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბანკო რეგულირების მიმართულებითაც აისახა - საბანკო დაწესებულებებისათვის ამოქმედდა სავალდებულო რეზერვების დახვეწილი სისტემა, რაც გამორიცხავს მათი მხრიდან საკრედიტო ექსპანსიას და რისკების კრიტიკულ დონეს საბანკო სისტემაში.

კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში სებ თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ მის საქმიანობაში გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) შეიმუშაოს, მიიღოს და განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;
- ბ) შეიმუშაოს, მიიღოს და განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის სავალუტო პოლიტიკა;
- გ) განახორციელოს საბანკო საქმიანობისა და ბანკებთან არსებული ვალუტის გადამცვლელთა პუნქტების ლიცენზირება და სუბსიდირება;
- დ) ფლობდეს, ინახავდეს და განკარგავდეს ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს;
- ე) იყოს საქართველოს რესპუბლიკის ბანკირი, მრჩეველი და ფინანსური აგენტი

ე) ხელს უწყობდეს საგადასახადო სისტემების ეფექტიან ფუნქციონირებას;

ს) ხელს უწყობდეს საიმედო და მდგრადი საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებას მუანაბრეთა ინტერესების დაცვის მიზნით.

საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების, კომერციული ბანკების რეალური ფინანსური მდგომარეობის დადგენისა და მათი საქმიანობისათვის სათანადო ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით, სებ-მა შემოიღო კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების, გამოყენების, აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა. ამ დებულების თანახმად სესხების გადაადგილების დღეთა ოდენობის, პროცენტის გადახდის, ვადის გაგრძელების, უზრუნველყოფისა და მსესხებლის კრედიტუნარიანობის გათვალისწინებით, განისაღვრება დანაკარგების რეზერვების დაუყოვნებლივ ფორმირების აუცილებლობა და გადაგადაცილებული სესხების სრული ჩამოწერის საჭიროება.

1995 წლიდან სებ-ის უედამხედველობის პოლიტიკა ეფუძნება მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნებისა და „საბანკო უედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ მიერ დადგენილი ეფექტიანი საბანკო უედამხედველობის ძირითად პრინციპებს, ხოლო საბანკო უედამხედველობის მეოთხედ გამოიყენება CAMEL-ის სისტემა, რიტაც ხდება ბანკების ადგილზე შემოწმება, ცალკეული კომპონენტების შეფასებით: C ნიშნავს კაპიტალს, A - აქტივებს, M - მენეჯმენტს, E - მოგებას, L - აქტივ-პასივების ლიკვიდურობას. კომერციული ბანკების მიერ სებ-ში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შესაფასებლად გამოიყენება ასევე CAMEL-ის სისტემა, რომელიც CAMEL სისტემის მოდიფიცირებული ვარიანტია. CAEL ეყრდნობა იმავე პრინციპებს, რასაც CAMEL იმ განსხვავებით, რომ მასში არ ფასდება მენეჯმენტი.

2000-2001წწ. შემოღებულ იქნა საბანკო საქმიანობის რეგულირების ახალი წესები და პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკების უუსტად დადგენის მიზნით აქტივების კლასიფიკაციის ახალი სისტემის

შექნას, გარე და შიდა აუდიტორული საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტის გამიჯვნას.

კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რა ფაქტორებმა განაპირობა ცენტრალური ბანკების წარმოშობა?
2. რა პერიოდიდან იწყება ცენტრალური ბანკების ნაციონალიზაციის ტენდენცია?
3. თანამედროვე საკრედიტო სისტემაში რა ძირითად ფუნქციებს ასრულებს ცენტრალური ბანკი?
4. ფოლად-საკრედიტო პოლიტიკის რომელ ძირითად ინსტრუმენტებს გამოიყენებს ცენტრალური ბანკი?
5. რომელი ძირითადი საკითხების გადაწყვეტას მოიცავს ცენტრალური ბანკის მიერ სავალუტო პოლიტიკის განხორციელება?
6. რომელ ძირითად კანონმდებლობას ეყრდნობა სებთა თვისი საქმიანობის განხორციელებისას?
7. ჩამოთვალეთ და განმარტეთ სებ-ის ძირითადი ფუნქციები.
8. კომერციული საბანკო სისტემის 'სეღამხედველობის' რომელ ძირითად მეთოდებს გამოიყენებს სებ?

ტესტები

- 1) თანამედროვე განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში ცენტრალური ბანკის კაპიტალი
- ა) სახელმწიფო საკუთრებაა;
 - ბ) უცხოელი ინვესტორების საკუთრებაა;
 - გ) სააქციო საკუთრებაა;
 - დ) კერძო საკუთრებაა.
- 2) ბრიუსელის საერთაშორისო საფინანსო კონფერენცია, სადაც გადაწყდა ცენტრალური ბანკების შექმნის და მათი დამოუკიდებლობის აუცილებლობა, ჩატარდა:
- | | |
|---------------|---------------|
| ა) 1910 წელს; | ბ) 1915 წელს; |
| გ) 1918 წელს; | დ) 1920 წელს. |

3) განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკები თავისი ფუნქციების შესრულებისას ექვემდებარება:

- ა) მთავრობას; ბ) იურიდიულად დამოუკიდებელია;
- გ) პრეზიდენტს; დ) მონარქს.

4) ცენტრალური ბანკის ძირითად ფუნქციებს არ მიეკუთვნება:

- ა) სავალუტო პოლიტიკის განხორციელება;
- ბ) ბანკნოტების ემისია;
- გ) მთავრობის ფინანსური აგენტის ფუნქცია;
- დ) საგადასახადო პოლიტიკის გატარება.

5) ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებს არ მიეკუთვნება:

- ა) ოფიციალური, სააღრიცხვო განაკვეთის რეგულირება;
- ბ) ოპერაციები ღია ბაზარზე;
- გ) ვალუტის კურსის რეგულირება;
- დ) ოპერაციები ღია ბაზარზე.

6) კომერციული ბანკის ანაბრები ცენტრალურ ბანკში, რომელთა მოცულობა დგინდება კანონმდებლობით საბანკო ვალდებულებებთან (კლიენტების ანაბრებთან) განსაზღვრული მიმართებით არის:

- ა) ლიკვიდური რეზერვები; ბ) სადისკონტო განაკვეთი;
- გ) საზედამხედველო განაკვეთი; დ) მინიმალური რეზერვები.

7) განაკვეთი, რომლითაც კომერციული ბანკები აღრიცხავენ თამასუქს, ანუ პროცენტის განაკვეთი, რომლითაც ცენტრალური ბანკი აძლევს კომერციულ ბანკს სესხს, არის:

- ა) სადემოზიტო განაკვეთი; ბ) რენდინტის განაკვეთი;
- გ) სადისკონტო განაკვეთი; დ) დივიდენდის განაკვეთი.

8) “საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ კანონი” საქართველოს პარლამენტმა მიიღო:

- ა) 1992 წლის 2 აგვისტოს; ბ) 1995 წლის 23 ივნისს;
- გ) 1996 წლის 23 თებერვალს; დ) 1997 წლის 1 იანვარს.

9) “კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” საქართველოს პარლამენტმა მიიღო:

- ა) 1994 წლის 1 იანვარს; ბ) 1995 წლის 1 იანვარს;
- გ) 1996 წლის 23 თებერვალს; დ) 1998 წლის 2 ოქტომბერს.

10) საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული საბანკო სისტემის ზედამხედველობის მეთოდებად იყენებს:

- ა) CAIL da CAAL სისტემას; ბ) CAMEL da CAEL სისტემას;
- გ) CALINC da CALIM სისტემას; დ) CAMEL da CAIL სისტემას.

*მეცნიერება აუცილებელია ხალხისათვის.
ქეჟანა, რომელიც არ ცდილობს მის
განვირებას, უჭველად იქცევა კოლონიად.
ჯოლიო-კიური*

9.1. საბანკო საქმის წარმოშობა და ევოლუცია

საბანკო საქმის წარმოშობას ისტორიულად წინ უსწრებდა სავაჭრო კაპიტალი, რომელიც უკვე არსებობდა პირველყოფილი წყობის პერიოდში. პროცენტების მომტანი კაპიტალის მთავარ ფორმად სასესხო კაპიტალი ითვლება. როგორც კი კერძო საკუთრება წარმოიშა, საქონელგაცვლიდან განვითარდა სასაქონლო ფულადი ურთიერთობანი, რამაც გააძლიერა საზოგადოების ქონებრივი უთანაბრობა. სათავეში მდგომმა მდიდარმა წარმომადგენლებმა შესაძლებლობა მიიღეს ფული სესხად მიეცათ მათთვის, ვისაც იგი სჭირდებოდა. სავაჭრო კაპიტალის წარმოქმნასა და განვითარებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საბანკო საქმის წარმოშობა.

ბანკების საწყისი ფუნქცია გადასახადებში შუამავლობა იყო. ასეთი შუამავლობის შედეგად ბანკებმა თავისუფალი ფულადი კაპიტალი პროცენტის მომტანად აქცია. ისინი თავისუფალ ფულად საშუალებებს ყველა შესაძლო წყაროებიდან აგროვებდნენ და კრედიტით აძლევდნენ კრედიტის აღების მსურველებს, პირველ ყოვლისა, გაბატონებულ კლასს. ბანკების მსგავსი ინსტიტუტების წინამორბედები ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში არსებობდა. ეგვიპტეში საბანკო ოპერაციები ხორციელდებოდა ძვ.წ.ად. 2700წ. ბაბილონის და ასურეთის მრავალრიცხოვანი დოკუმენტები, მაგ., ხამურაბის კანონების კრებული (1704-1662წწ. ძვ.წთ.ად.) მოწმობენ, რომ მაშინაც იყო თავისებური ექსიდი და ჩეკი, ხოლო სახსრების შენახვისა და სასესხო ოპერაციების ფორმები კანონებით რეგულირდებოდა. მონათმფლობელურ საბერძნეთში მონასტრები, როგორც ფულის შენახვის ადგილები, წამყვან როლს ასრულებდნენ და კულტის მსახურებიც არსებითად თავისებურ ბანკირებად ითვლებოდნენ, ქურუმები ესწრაფოდნენ მონასტრის წლიური შემოსავლების გაზრდას მათი უნარიანი მართვით, მიწის

არენდით, სესხების მომგებიანი გაცემის საშუალებით განძის წარმოქმნას, რომელიც საკმარისი იქნებოდა არა მარტო წესწვეულებების შესასრულებლად, არამედ მონასტრის ძლიერების განმტკიცებისათვის. მეხუთე ასწლეულში ძვ.წ.თ.დ. რომში ხდებოდა პროცენტის სესხების გაცემა საწინდრის ან მის გარეშე, ხოლო 100 წლის შემდეგ გამოჩნდნენ „ბანკირები“.

საეკლესიო კაპიტალიზმი თავის სრულ განვითარებას მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში მიაღწია. იგი ორი ძირითადი ფორმით არსებობდა: ფულადი სესხის სახით გაბატონებული კლასებისათვის და ფულადი სესხის ფორმით საქონლის მარტივი მწარმოებლებისათვის, ანუ გლეხების და ხელოსნებისათვის. ამ პერიოდისთვის მეეკლესიოებად ძირითადად ეაჭრები, ფეოდალები, ასევე მონასტრები გამოდიოდნენ. საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალი იყო, როგორც წესი 40%-დან 100%-მდე მერყეობდა, ცალკეულ შემთხვევებში უფრო მეტსაც შეადგენდა. მაღალი საპროცენტო განაკვეთი ეწინააღმდეგებოდა საწარმო ძალების განვითარებას. ძირს უთხრიდა საწარმოო ძალების განვითარებას. ძირს უთხრიდა მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფოების მეურნეობას.

ფეოდალიზმის დროს მეფეები და ფეოდალები, ომისა და კრიზისების დროს მიმართავენ მიმოქცევაში არსებული ლითონური ფულის გაფუჭებას. ამის შემდეგ განდა სარაფის პროფესია, რომლებიც ამოწმებდნენ მონეტების ხარისხს და გაცვეთილის შეცვლის აუცილებლობისას, ახდენდნენ ახლის გამოშვებას. ფულის ასეთმა გაცვლამ ბოლოს გამოიწვია დეპოზიტური ოპერაციების განვითარება თანამედროვე გაგებით. კლიენტს შეჰქონდა ბანკში ფული იმისთვის, რომ გარკვეული დროის შემდეგ გადაეტანა იგი თავის საეკლესიო პარტნიორის ანგარიშზე. ამავდროულად მის საბანკო ანგარიშზე შედიოდა გადასახადები კლიენტებისაგან. ანგარიშებში დებიტორული და საკრედიტო ჩანაწერების საშუალებით ხორციელდებოდა ფულის ბრუნვა. წარმოქმნა სპეციალური ინსტიტუტები – ჟირობანკები (ჟირო ბერძნული სიტყვაა და წრეს ნიშნავს), რომლებიც ამ ოპერაციებს ახორციელებდნენ.

საბანკო საქმიანობის ახალი ინსტრუმენტები იტალიაში გაჩნდა, აქვე წარმოიქმნა და განვითარდა ბულალტრული აღრიცხვის ორმაგი სისტემა, რომელმაც თავისი მნიშვნელობა დღემდე შეინარსუნება. პირველი ბანკი, თანამედროვე გაგებით სწორედ იტალიაში, კერძოდ კი ქ. გენუაში წარმოქმნა 1407წ. მევახშეების მონოპოლიური პოზიციები დაირღვა სამრეწველო და ვაჭარი კაპიტალისტების მიერ, რომლებმაც შემოიღეს ერთმანეთისათვის კრედიტების მიცემა ზომიერი პროცენტებით. მათ ბრძოლას მევახშეების წინააღმდეგ მრავალ ქვეყანაში მხარს უჭერდა სახელმწიფო. 1624წ. ინგლისში მიღებული იქნა კანონი, რომლითაც შეიზღუდა განაკვეთი რვა პროცენტით. 1651წ. საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი განისაზღვრა, 1974წ. - ხუთით. არსებობდა სპეციალური წესები იმ მევახშეთა დაჯარიმებისათვის, რომლებიც ეცდებოდნენ ასეთი შეზღუდვის გვერდის აელას.

როგორც მსჯელობიდან ჩანს, თანამედროვე საბანკო საქმიანობის სათავეები უნდა ვეძებოთ, პირველი ყოვლისა იტალიის, უფრო ზუსტად ჩრდილოეთ იტალიის შუა საუკუნეების "ხარაფების საქმიანობაში. ცნება „ბანკი“ მომდინარეობს იტალიური სიტყვისაგან „Banco“ (ხარაფების სკამი, ფულის მაგიდა). ყველაზე გავლენიანი იყო კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ ბანკები - კურიები. საყოველთაოდ ცნობილია მედინის სახელოვანი კლასიკური ლიტერატურის ბანკი, ფლორენციაში.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც მსოფლიოს ყველა ძველ ცივილიზებულ ქვეყნებს სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებები - ხარაფებისა და მევახშეობის ინსტიტუტების სახით გაჩნდა, რომლებიც დღევანდელი საბანკო სისტემისათვის ჩანასახის ფუნქციას ასრულებდნენ. მათი წინამორბედები საქართველოში ჩნდებოდნენ ჯერ კიდევ კოლხეთისა და იბერიის სამეფოში, ჩვ.წთ.აღ. VIს-ში. „ოქროს ხანის“ საქართველოს (XII საუკუნე) ნიშანდობლივი თავისებურება მისი ფულადი სისტემა იყო. კერძოდ ის ფაქტი, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოს ტერიტორიაზე ვერცხლისა და სპილენძის ფულს ერთი და იგივე მსყიდველობითი უნარი გაჩნდათ - ესეც უპრეცედენტო მოვლენა იყო შუასაუკუნეებში, რადგან სხვა

ქვეყნებში სპილენძის ფულს, ნომინალის მიუხედავად, მეტალის ღირებულება კქონდა. XVII-XVIII-სი საქართველოში უკვე საზარაფო დაწესებულებები არსებობდა, რომლებიც საკრედიტო საანგარიშსწორებო ოპერაციებს ასრულებდნენ და ჭრიდნენ ფულს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების (1801წ.) შემდეგ, საქართველოში მოქმედი ეროვნული საკრედიტო სტრუქტურები უქმდება და მათ ადგილზე იწყება რუსეთის სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებების დაარსება. საქართველოში, პირველი ასეთი საკრედიტო დაწესებულება დაარსდა 1810 წელს თბილისში „საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგოს“ - „Приказ общественного призрения“-ს სახელწოდებით, რომელიც იღებდა ანაბრებს და იძლეოდა კრედიტებს. თბილისში 1866 წლიდან ფუნქციონირებდა რუსეთის სახელმწიფო ბანკის (იგი 1860წ. შეიქმნა) თბილისის სამმართველო. 1871 წლიდან თბილისის კომერციულმა ბანკმა დაიწყო მუშაობა ფილიალებით ბაქოში, ბათუმში და ერევანში. ამავე წლიდან საქართველოში შეიქმნა „შემნახველგამსესხებელი ამხანაგობა“, ანუ „სასოფლო ბანკი“ (დაფუძნდა დუშეთის მაზრაში). XIX-ის 80-იან წლებში საქართველოში სულ 85 საკრედიტო დაწესებულება ფუნქციონირებდა, მათ შორის 15 თბილისში.

1872წ. თბილისში გაიხსნა სააქციო-კომერციული ბანკი ფილიალით ბათუმში. 1875 წლის 28 ივნისს თბილისში ი. ჭაეჭავაძის თაოსნობით საქართველოს ეროვნული ინტერესების დამცველი ბანკი - თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი დაფუძნდა, ხოლო ქუთაისში - 1876წ. ნიკოლოზობერიძის თაოსნობით. 1917წ. თბილისში ფუნქციონირებდა „ცენტრობანკი“ ფილიალებით ლანჩხუთში, ბორჯომში, ქუთაისში და ზესტაფონში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლის 3 მაისს დაფუძნდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბანკის საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბანკი, რომელიც 1924 წლის დეკემბრიდან სსრკ-ს სახელმწიფო ბანკის საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბანკად გარდა-

იქმნა. 1922-1925წწ. ქვეყანაში ცალკეული მეურნეობების მომსახურე ბანკების ფართო ქსელი შეიქმნა.

საბანკო სისტემამ 1930-1932წწ. საკრედიტო რეფორმის განხორციელებისას ღრმა ცვლილებები განიცადა, რის შედეგად სპეციალიზირებული სახელმწიფო ბანკის ქსელი შეიქმნა, რომლებიც მათზე „მიმაგრებული“ სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსებაზე იყვნენ ორიენტირებული. 1987 წლიდან საბანკო სისტემის რეფორმის დაწყების პროცესში სახელმწიფო ბანკების სამმართველოები და განყოფილებები თვითანაზღაურებაზე გადაიყვანეს ბანკების მართვის ცენტრალიზებული სისტემის შენარსუნებით. მაგრამ აღნიშნულის განხორციელებული გახდა უპირველეს ყოვლისა იმ რესურსების მკაფიო გამოყოფის შეუძლებლობის გამო რომელთა განკარგვის შესაძლებლობა ექნებოდა მათ. სპეციალიზირებული ბანკების დაწესებულებების უმეტესობამ ერთპიროვნულად დაიწყო კომერციულ ბანკებად გარდაქმნა.

9.2. კომერციული ბანკის ფუნქციები და ორგანიზაციული სტრუქტურა

კომერციული ბანკი ფულადი მიმოქცევის სფეროს ძირითადი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც გაცვლის სფეროში მოქმედებს. ბანკების საქმიანობა მრავლის მომცველია. იგი საქონლის გაცვლის ხელშეწყობის მიზნით „ყიდულობს“ რესურსებს და „ყიდის“ მათ. ბანკი, თავისი „საქონლის (კრედიტის) გაყიდვით“, გასესხებული თანხის მესაკუთრე გამოდის და მისი დაბრუნებისას იგი არა მარტო საწყის ღირებულებას, არამედ სასესხო პროცენტის სახით მასზე დანამატსაც ღებულობს.

საგადასახადო ბრუნვის ზრდის შესაბამისად, ბანკის როგორც საანგარიშსწორებო ცენტრის როლიც მაღლდება. ბანკები, როგორც მსხვილი, ასევე მკირე დანაზოგების მობილსუნებით, ფულადი კაპიტალის დაგროვების ბასას აფართოებენ და მიღებულ სახსრებს ინვესტიციებისა და კრედიტების სისტემის მეშვეობით ეკონომიკის განვითარებაში აბანდებენ. ბანკი ბირჟის აგენტის სახითაც საქმოდ

მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სადაც იგი ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე თავის უფლების რეალიზებას ახორციელებს.

კომერციული ბანკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისაგან განმასხვავებელი მახასიათებელი ნიშანია საკრედიტო ფულის შექმნის და განადგურების უნარი. იგი ხორციელდება ქვეყნის ცენტრალური ბანკთან ერთად საკრედიტო და საინვესტიციო ოპერაციების მეშვეობით. კომერციული ბანკის შესაძლებლობას „შექმნას ფული“ – დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისთვის. ის რეალიზდება მოქნილ საკრედიტო სისტემაში, რომელიც ეკონომიკის შედარებით მყარი ზრდის ტემპის აუცილებელი პირობაა.

ეკონომიკას სჭირდება აუცილებელი და არა ზომასე მეტი ფულადი მასის მიწოდება. თუ ფულის რაოდენობა მიმოქცევაში გაიზარდა უფრო მაღალი ტემპით, ვიდრე საქონლის და მომსახურების წარმოება, მაშინ ადგილი ექნება ინფლაციას ეკონომიკური განვითარების ყველა მხარესე თავისი უარყოფითი უემოქმედებით და პირიქით, თუ ფულის რაოდენობა მიმოქცევაში ჩამორჩება წარმოებას, ეკონომიკა განიცდის დეფლაციას ასევე არასასურველი შედეგებით. ცენტრალური ბანკის პოლიტიკის მიზანია, უსრუნველყოს მიმოქცევაში ფულის რაოდენობის შესაბამისობა ფასების სტაბილიზაციის ეროვნულ ამოცანებთან, ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზრდის ნორმალურ ტემპებს და დასაქმების მაღალ დონეს. ამ პოლიტიკის რეალიზაციაში კომერციული ბანკები უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ: ისინი წარმოადგენენ მიმოქცევაში ფულის რაოდენობის, როგორც აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის საშუალების, გადიდების ან შემცირების აუცილებელ არხს.

კომერციული ბანკის ფუნქციებს შორის ასევე მნიშვნელოვანია საგადასახდელო მექანიზმის უსრუნველყოფა, ანუ სახსრების გადარიცხვა. ამ ფუნქციის მნიშვნელობა მით უფრო სერიოზულია, რამდენადაც მეტია ჩეკებისადმი და საკრედიტო ბარათებისადმი ნდობა. მიუხედავად ფინანსური ოპერაციების ზრდისა, მთლიან შიდა პროდუქტთან შედარებით ფულადი ანაბრების თანდათანობით შემცირება

მოწმობს საგადასახდელო სახსრების გამოყენების მაღალ ეფექტიანობას.

კომერციული ბანკები ახორციელებენ უაღრესად მნიშვნელოვან მომსახურებას ეკონომიკის ყველა სექტორისათვის იმით, რომ უზრუნველყოფენ დანაშოგთა აკუმულაციას და მათ შემდგომ გამოყენებას სხვადასხვაგვარი ეკონომიკური და სოციალური საჭიროებისათვის. ბანკში მოთავსებულ დანაშოგზე, რომელიც სრულ უსაფრთხოებაში და მაღალ ლიკვიდობაში იმყოფება, მეანბრე იღებს გასამრჯელოს სარგებლის სახით. კონცენტრირებული დანაშოგები შეიძლება ისესხონ მეწარმეებმა საწარმოო სიმძლავრეთა გასაფართოებლად და მომხმარებლებმა სახლების ან სამომხმარებლო საქონლის საყიდლად. საშოგადობაში, სადაც შემოსავლის დონე საკმაოდ მაღალია მისი (შემოსვლის) მნიშვნელოვანი ნაწილი დაიშოგება. ამ ფულადი სახსრების დიდი ნაწილი კი თავმოყრილია კომერციულ ბანკებში.

კომერციულ ბანკებს ძირითადი ფუნქციაა საიმედო მსესხებლებზე კრედიტის გაცემა. კრედიტის გაცემით ბანკები მნიშვნელოვან სამსახურს ეწევიან. კრედიტის მკშვეობით ფართოვდება წარმოება, იზრდება კაპიტალი, მიიღწევა ცხოვრების მაღალი დონე. საბანკო სესხები უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის, ვინაიდან ისინი აგრარული სფეროს, ვაჭრობის, მრეწველობის და სხვა დარგების დაფინანსებას ახორციელებენ.

ჩვეულებრივ, კომერციული ბანკების ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები განიხილება საკრედიტო ოპერაციებისაგან განცალკევებით, თუმცა მათი ეკონომიკური ეფექტი და სოციალური შედეგები მაინც არსებითად ერთნაირია, იმის გამო, რომ სახელმწიფოს ხარჯები ყოველთვის ვერ იფარება შემოსავლებით, კომერციული ბანკებისაგან დროებით სესხის აღება არც თუ ისე იშვიათია. მაშასადამე, ბანკის სესხები აადვილებენ მთავრობის ფინანსურ საქმიანობას. მთლიანობაში მსხვილი სამთავრობო პროგრამების დაფინანსება ხორციელდება არა სახელმწიფოს შემოსავლების ხარჯზე, არამედ სესხის ობლიგაციების გამოშვების გზით. ბანკები, ყიდულობენ რა მუნიციპალური ორგანოების ფასიან ქაღალდებს, აძლევენ მათ აუცილებელ სახსრებს სკოლების და საავადმყოფოების

ასაშენებლად, ახალი სახანძრო მანქანების შესაძენად და ა.შ. მსგავსი დანახარჯები ხელს უწყობენ ცხოვრების დონის ამაღლებას. სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შესყიდვისას მიღებული სახსრები გამოიყენება ისეთი მიზნებისათვის, როგორცაა ავტოსტრადების და კაშხალების მშენებლობა, ეროვნული თავდაცვა და ა.შ.

საგარეო ვაჭრობა თავისი არსით არ განსხვავდება საშინაოსაგან, მაგრამ გარკვეული განსხვავებანი მოითხოვენ კომერციული ბანკებისაგან საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ საბანკო მომსახურებას. ეს განსხვავებანი დაკავშირებულია ეროვნული ფულადი სისტემის არსებობასთან, სხვა ქვეყნებში მყიდველების და გამყიდველების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ცნობების უქონლობასთან და ზოგიერთ შემთხვევაში – ენობრივი ბარიერების არსებობასთან. ბევრ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს საზღვარგარეთ მოგზაურობისას ესაჭიროება კომერციული ბანკების განსაკუთრებული მომსახურება. გარდა იმისა, რომ ისინი მოისურვებენ, ღარების გარკვეული თანხა აქციონ უცხოურ ვალუტად, ტურისტები ალბათ შეიძენენ ფულად აკრედიტივებს ან ტურისტულ ჩეკებს. კომერციული ბანკის მიერ საგარეო ვაჭრობის და უცხოური ტურიზმის მომსახურება აადვილებს და აიაფებს ქვეყნებს შორის საქონელგაცვლას. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდასთან ერთად იზრდება კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული საერთაშორისო ანგარიშსწორებათა მოცულობაც.

შემოსავლების ზრდამ გამოიწვია დიდი მატერიალური ფასეულობების აკუმულაცია, რომლებიც თავის მხრივ გადაიქცნენ კომერციული ბანკების მინდობილობითი ოპერაციების ზრდის საფუძვლად. ფიზიკურ პირებს, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული რაოდენობის ქონება, სურვილი აქვთ სიცოცხლეშივე განაგონ იგი. ისინი ადგენენ ანდერძს და ბანკის ტრასტ-განყოფილებებს აძლევენ ქონების მართვის უფლებას მოანდერძის და მემკვიდრის ინტერესებიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, ზოგიერთი ანდერძის მიხედვით ტრასტ-განყოფილებები მინდობილობის პირობების შესაბამისად პასუხს აგებენ შემოსავლიან

აქტივებში კაპიტალის ინვესტირებაზე, ფონდების მართვასა და შემოსავლის განაწილებაზე. ტრასტ-განყოფილებები მთელ რიგ მომსახურებას უწევენ კორპორაციებს. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს საპენსიო ფონდების სახსრების და მოგებაში მონაწილეობის პროგრამების მართვა, რომელთა მნიშვნელობა უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა.

ფასეულობების სეიფებში შენახვა, კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი უძველესი მომსახურებაა. ბანკებს ყველაზე დახელოვნებული ქურდებისთვისაც კი ძნელად მისაღწეობი სეიფები აქვთ და უძველესი დროიდან ფასეულობათა საიმედო შემნახველების რეპუტაციით სარგებლობენ. ფასეულობათა შენახვა ბანკებში ორი ფორმით ხორციელდება: სეიფების გამოყოფა ფასეულობათა შესანახად და ფასეულობათა შენახვა ფოლადის საკანში. კლიენტებს ფასეულობათა შესანახად სეიფები გადაეცემათ იჯარით. ასეთი ხელშეკრულებით კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია შეამოწმოს თავისი ფასეულობა. ფოლადის საკანში შენახვა განსხვავდება სეიფის გამოყოფის მომსახურებისგან, რამდენადაც ამ შემთხვევაში ბანკი დებულობს ფასეულობას შესანახად და გამოდის აგენტის როლში. თუმცა მომსახურება, ისევე, როგორც შესანახად მიღებული ნივთები, მეტად განსხვავებულია, ფოლადის საკანში შენახვის ძირითადი მიზანია ფასიანი ქაღალდების: აქციებისა და ობლიგაციების დაცვის უზრუნველყოფა. ტრასტ-განყოფილება შესანახად მიიღებს, მაგალითად, ბანკიდან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად გადაცემულ ფასიან ქაღალდებს. ფასიანი ქაღალდები, რომელთა მართვაც ხორციელდება ტრასტ-განყოფილების მინდობილობით, ასევე ინახება ფოლადის საკანში. სოფჯერ ფასიანი ქაღალდების მფლობელს შეუძლია მიმართოს ბანკს თხოვნით, არა მარტო შეინახოს ისინი საკანში, არამედ მისი ხანგრძლივი არყოფნის დროს მოჭრას ობლიგაციების კუპონები და წარადგინოს ისინი სარგებლის გასაცემად, მიიღოს დივიდენდები და მიღებული ფული მის ანგარიშზე ჩაირიცხოს.

სემოაღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ შეიძლება დავასკენათ, რომ კომერციული ბანკის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) საკრედიტო ფულის შექმნა;
- ბ) საგადასახდელო მექანიზმის უზრუნველყოფა;
- გ) დანაზოგების აკუმულაცია;
- დ) კრედიტის გაცემა;
- ე) საგარეო ვაჭრობის დაფინანსება;
- ვ) ოპერაციები მინდობილობით;
- ზ) ფასეულობათა შენახვა და სხვ.


საქართველოში კომერციული ბანკები საკუთრების ნებისმიერი ფორმით შეიძლება შეიქმნას: კერძო, კოლექტიური, სააქციო და შერეული. თუ საქართველოს ბანკებისათვის საწესდებო კაპიტალის ფორმირებისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დასაშვებია, მაშინ იქნება:

ერთობლივი ბანკები („საწესდებო კაპიტალი“-ს ფორმირება რეზიდენტებისა და არარეზიდენტების სახსრების ხარჯზე ხორციელდება);

არარეზიდენტი ბანკების ფილიალები.

საწესდებო კაპიტალის ფორმირების ხერხის მიხედვით ბანკი იყოფა: აქციონერულად (ღია ან დახურული ტიპის) და საპაიოებად. აქციონერულ ბანკებში კაპიტალის მესაკუთრედ თვითონ ბანკი გამოდის. ხოლო საპაიო ბანკები თავიანთი კაპიტალის მესაკუთრეებს არ წარმოადგენენ. აქციონერული ბანკები შეიძლება იყოს ღია და დახურული ტიპის. კომერციული ბანკის ორგანიზაციული მოწყობა სააქციო საზოგადოების მართვის მიღებულ სქემას შეესაბამება (იხ. ნახ. 9.1.).

კომერციული ბანკი თავისი საქმიანობიდან, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და ფილიალების, განყოფილებების, წარმომადგენლობებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების სახეობებიდან დამოკიდებულებაში მას შეიძლება პირამიდული, გეოგრაფიული ან კომბინირებული სტრუქტურა აქონდეს.



ნახ. 9.1 კომერციული ბანკის საორგანიზაციო სტრუქტურა

9.3. კომერციული ბანკების ძირითადი ოპერაციები

ბანკის საქმიანობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მისი რესურსების უმეტესი ნაწილის ფორმირება არა საკუთარი სახსრების, არამედ ძირითადად მოზიდული სახსრების ხარჯზე ხორციელდება. ბანკის მიერ რეგულირდება და იგი ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდესე და მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე არის დამოკიდებული. კომერციული ბანკის რესურსები, ჩვეულებრივად განისაზღვრება, როგორც ბანკის განკარგულებაში არსებული საკუთარი და მოზიდული სახსრების ერთობლიობა და მის მიერ მათი აქტიური ოპერაციების განხორციელებისათვის გამოყენების შესაძლებლობა.

საკუთარი სახსრები არის ბანკის საწესდებო ფონდისა და მისი სხვა ფონდების ერთობლიობა, რომელიც ფინანსური მდგომარეობის, კომერციული და სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ბანკის მიერ მიმდინარე წელს და გასულ წლებში მიღებული მოგების ხარჯზე იქმნება.

საკუთარი სახსრების შემადგენლობაში შედის: საწესდებო, სარეზერვო, სპეციალური, ეკონომიკური სტიმულირების ფონდები; საკრედიტო რისკებისა და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების გადასაფარავი რეზერვები; საწარმოო და სპეციალური განვითარების სახსრები; მიმდინარე წლის მოგება და გასული წლების გაუნაწილებელი მოგება.

ბანკის მოზიდული რესურსები პასიური ოპერაციებით იქმნება. საქართველოს პრაქტიკაში კომერციული ბანკის პასიური ოპერაციების მიეკუთვნება:

ანაბრების (დეპოზიტების) ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში მიღება;

- კლიენტების ანგარიშების, მათ შორის ბანკი - კორესპონდენტების ანგარიშების ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გახსნა და მომსახურება;

- საკუთარი ფასიანი ქაღალდების (აქციების და ობლიგაციების) გამოშვება, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების როგორც ფინანსური ინსტრუმენტების (თამასუქების, დეპოზიტური და საშემნახველო სერთიფიკატების) ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში გამოშვება;

მიღებული ბანკთაშორისო კრედიტები, მათ შორის ცენტრალიზებული, აუქციონებზე შექმნილები, ან საქართველოს ეროვნულ ბანკში შექმნილები (გარდა ეროვნული ბანკიდან მიღებული სესხებისა).

ვადიანი ანაბრები ჩირიცხება დეპოზიტურ ანგარიშებზე განსაზღვრული ვადით და მათზე პროცენტების გადახდა ხორციელდება. დეპოზიტის მფლობელი დეპოზიტური სერთიფიკატს დებულობს, რომელზეც ნაღებული თანხა, საპროცენტო განაკვეთი, დაფარვის ვადა და ხელშეკრულების სხვა პირობებია დაფიქსირებული. საპროცენტო განაკვეთი ანაბრის სიდიდეზე და ვადაზეა დამოკიდებული.

საშემნახველო დეპოზიტები არის პროცენტის მომტანი ფიზიკური პირების ანაბარი, რომელთა მიხედვით დივიდენდების მაშინათვე მიღებაც არის შესაძლებელი.

საბანკო რესურსების სხვა წყაროებს ემსახურება ფულადი ფონდები, რომელთაც ბანკი დამოუკიდებლად ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით მოიხიდავს. მათ შორის შეიძლება დაეასახელოთ - სხვა ბანკებიდან მიღებული კრედიტები; უკუ გამოსყიდვის შეთანხმებით გაყიდული ფასიანი ქაღალდები. აღნიშნულმა რესურსებმა მართვადი პასივების სახელწოდება მიიღეს. ასეთი სახის პასივები ბანკებს დეპოზიტური დანაკარგების შევსების, გაუთვალისწინებელი მდგომარეობისადმი მსადაყოფნის მდგომარეობაში ყოფნის (მაგ., დეპოზიტების მოულოდნელი გადინებისადმი, კრედიტების მოთხოვნაზე მოულოდნელი განაცხადის შემოსავლისადმი) შესაძლებლობას იძლევა.

ეროვნული ცენტრალური სარეზერვო ბანკიდან სესხების მიღება - კომერციული ბანკებისათვის ტრადიციულ პასიურ ოპერაციას წარმოადგენს, რომელიც რეზერვების დროებითი უკმარისობის პირობებში მათთვის დახმარების გაწევის მნიშვნელოვან წყაროდ იქცევა.

შეთანხმება უკვე გამოსყიდვის შესახებ როგორც კომერციული ბანკების რესურსების ახალი წყაროები წარმოიშვა. ასეთი შეთანხმება ბანკსა და ფირმას (ან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დილერებს) შორის შეიძლება დაიდოს, მაშინ როდესაც რომელიღაც ფირმას ნაღდი ფულის დიდი მოცულობის მეტად მცირე ვადით ნაღების სურვილი უნდა, იგი მათ უკვე გამოსყიდვის

შეთანხმებით ჩადებს, რადგან იგი მაღალ ლიკვიდურობას ფლობს. ფირმას სეუძლია სახსრები შემდეგ დღეს დაუბრუნოს და მათზე პროცენტები ცოტათი ნაკლები მიიღოს, ვიდრე ეს დეპოზიტური სერთიფიკატიდან იქნებოდა შესაძლებელი. აღნიშნული შეთანხმება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსებისათვის მნიშვნელოვან არხად გადაიქცევა.

რაც შეეხება კომერციული ბანკის აქტიურ ოპერაციებს, მის საფუძველს დაკრედიტების ოპერაციები წარმოადგენენ. საკრედიტო ურთიერთობების სუბიექტებს საბანკო კრედიტის სფეროში მეურნე სუბიექტები, მოსახლეობა, სახელმწიფო და თვით ბანკები წარმოადგენენ.

ბანკი დამოუკიდებელი საკრედიტო დაწესებულებაა და იგი თავის საკრედიტო პოლიტიკას პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების, საბანკო კანონმდებლობის დონის, ბანკთშორისო კონკურენციის საბანკო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხისა და სხვათა გათვალისწინებით ახორციელებს.

ბანკის სტრატეგია და ტაქტიკა კრედიტების მიღებისა და გაცემის სფეროში მისი საკრედიტო პოლიტიკის არსს შეადგენს.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა თავის თავში შემდეგ ელემენტებს მოიცავს:

- მიზნების განსაზღვრას, რომელთაგან გამომდინარე ბანკის საკრედიტო პორტფელის ფორმირება ხორციელდება (სახეობები, ვადები, მოცულობა და უზრუნველყოს ხარისხი);

ბანკის ქვედანაყოფების უფლებამოსილებების კრედიტების გაცემის, მომსახურებისა და დაფარვის პროცესში გამიჯვნას;

საჭირო საბუთების ჩამონათვალს;

კრედიტების უზრუნველყოფის მიღების, შეფასებისა და რეალიზაციის ძირითად წესებს;

დაკრედიტებასთან დაკავშირებული ოპერაციების ლიმიტირებას;

კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების დადგენის პოლიტიკას;

საკრედიტო განცხადების შეფასების მეთოდიკას;

პრობლემური კრედიტების დიაგნოსტიკის, მათი ანალიზისა და შექმნილი სიტუაციებიდან გამოსვლის გზების დახასიათება.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა – ბანკის კომპლექსურ ღონისძიებებს მოიცავს, რომელთა მიზანს – საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ამაღლება და საკრედიტო რისკის შემცირება წარმოადგენს. საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებისას ბანკმა რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს (ნახ. 9.2).

მაკროეკონომიკური ფაქტორები	<ul style="list-style-type: none"> - ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა; - ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; - საქართველოს მთავრობის ფინანსური პოლიტიკა.
რეგიონალური და დარგობრივი ფაქტორები	<ul style="list-style-type: none"> - ეკონომიკის მდგომარეობა ბანკის მიერ მომსახურების რეგიონებში და დარგებში; - კლიენტების შემადგენლობა, მათი მოთხოვნილება კრედიტებში; - ბანკი – კონკურენტების არსებობა.
შიდა საბანკო ფაქტორები	<ul style="list-style-type: none"> - ბანკის საკუთარი სახსრების (კაპიტალის) სიდიდე; - პასივების სტრუქტურა; - პერსონალის შესაძლებლობები და გამოცდილება.

ნახ. 9.2. ბანკის საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორები

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კომერციული ბანკის პასიური ოპერაციებით წარმოიქმნება ბანკის რესურსები, ხოლო აქტიური ოპერაციებით ბანკი ამ რესურსებს იყენებს მოგების მიღების მიზნით.

დაკრედიტების სუბიექტისაგან დამოკიდებულებაში კრედიტებს განასხვავებენ: სახელმწიფო და არასახელმწიფო საწარმოებზე და ორგანიზაციებზე, ინდივიდუალური შრომით დასაქმებულ მოქალაქეებზე, სხვა ბანკებზე, ხელისუფლების ორგანოების ჩათვლით დანარჩენ მეურნეებზე, ერთობლივ საწარმოებზე, საერთაშორისო გაერთიანებებზე და ორგანიზაციებზე.

დანიშნულების მიხედვით კრედიტებს განასხვავებენ: სამომხმარებლო, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო, საინვესტიციო, საბიუჯეტო. გამოყენების სფეროს მიხედვით კრედიტები დაიყოფა: წარმოების სფეროში და მიმოქცევის სფეროში. გამოყენების ვადების მიხედვით კრედიტები შეიძლება დაიყოს: მოთხოვნებამდე და ვადიანებად, რომლებიც იყოფა მოკლევადიანებად, საშუალოვადიანებად და გრძელვადიანებად. მოცულობის მიხედვით კრედიტებს განასხვავებენ: მსხვილი, საშუალო და მცირე (მიკრო) მოცულობის სახით.

არსებობს კრედიტების შემდეგი სახეობებიც: კომერციული კრედიტი, ღომბარდული კრედიტი, სათამასუქო კრედიტი, კრედიტი ოვერდრაფტი, საერთაშორისო კრედიტი და სხვ.

9.4. საბანკო ლიკვიდობა

ტერმინი ლიკვიდობა წარმოდგება ლათინური სიტყვა Liquidus-დან, რაც თხევადს, გამდინარეს ნიშნავს. საფინანსო-საბანკო ლექსიკონში ლიკვიდობა განისაზღვრება, როგორც „ბანკის უნარი, უზრუნველყოს თავისი ვალდებულებების დროული შესრულება“. ბანკის ბალანსის ლიკვიდობა ეკონომიკურ ლიტერატურაში შემდეგნაირად განისაზღვრება: ბალანსი ითვლება ლიკვიდურად, თუ მისი მდგომარეობა შესაძლებლობას იძლევა, აქტივის სახსრების სწრაფი რეალიზაციით დროულად და სრულად დაიფაროს პასივის ვალდებულებები.

ბანკის ლიკვიდობაზე მოქმედებს რიგი ფაქტორებისა. ზოგიერთი მათგანი აშკარაა, მათი ზემოქმედება უუტყველი, სხვები ახდენენ ზემოქმედებას ბანკის ლიკვიდობაზე

ირიბად, ამიტომ მათი გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ანალიზის შემდგომ.

ვალდებულებათა თავისდროული შესრულებისათვის აუცილებელია მაქსიმალური შესაბამისობა ბანკის მოზიდული პასივებისა და დაბანდებების ვადების მიხედვით ისე, რომ აქტივების რეალიზაცია დროის ნებისმიერ მონაკვეთში საკმარისი იყოს იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ბანკის მეანაბრეთა მოთხოვნილებები და ვუპასუხოთ იმ დანარსენი ვალდებულებების მიხედვით, რომელთა ვადაც დადგა. შემოადინიშნული დაბალანსებულობის გარეშე ბანკის ნორმალურ მუშაობაზე საუბარი ზედმეტია, ამიტომ ის დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა საბანკო პოლიტიკის პირველსაფუძვლად. ბანკებს, რომლებსაც აქვთ თავისი პასივების ნაწილში გრძელვადიანი წყაროები, შეუძლიათ განახორციელონ საინვესტიციო ოპერაციები და გასცენ გრძელვადიანი სესხები, ხოლო იმ ბანკებს, რომელთა სარესურსო ბაზასაც მოკლევადიანი სახსრები შეადგენენ, შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ მოკლევადიანი ოპერაციები.

ბანკის ლიკვიდობის შეფასებით დაინტერესებულნი არიან:

ცენტრალური ბანკი, რომელიც ახორციელებს ფულად-საკრედიტო რეგულირებას სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით;

- ბანკის აქციონერები, დაინტერესებულნი ბანკის საწესდებო კაპიტალში ჩადებული საკუთარი სახსრების შენარჩუნებითა და მომრავლებით;

კრედიტორები და მეანაბრეები, რომლებმაც ანდეს ბანკს დროებით თავისუფალი სახსრები;

ბანკის ხელმძღვანელობა და პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კრედიტორებისა და მეანაბრეების წინაშე მათი სახსრების დაცულობაზე;

- პოტენციური პარტნიორები (მ.შ. უცხოელი), რომელთა წინაშეც დგას ბანკთან თანამშრომლობის მიზანშეწონილობის შეფასების პრობლემა.

რამდენადაც საბანკო ლიკვიდობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი; იმ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც აუცილებელია კომერციული ბანკის ლიკვიდობის

შეფასებისათვის, მაჩვენებლთა შემდეგი ჯგუფები უნდა მოიცვას:

საკუთარი სახსრების საკამრისობის მაჩვენებლები;

აქტიური და პასიური ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და შინაარსის მიხედვით უროთერთმიმართების მაჩვენებლები;

- აქტივების ხარისხის, (ვალკეული აქტიური ოპერაციების რისკიანობის დონის მაჩვენებლები;

- მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოსიდულ სახსრებს: დემონსტრირებული ოპერაციების დივერსიფიკაციის დონე, მოსიდული რესურსების მოცულობა და ხარისხი;

მომგებიანობის, რენტაბელობის მაჩვენებლები.

საქართველოს ეროვნული ბანკი დღეისათვის აკონტროლებს ლიკვიდობის სამი სავალდებულო ნორმატივის შესრულებას: 1) ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა საერთო ვალდებულებებთან; 2) მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან; 3) საშუალოთვიური ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა საშუალოთვიურ საერთო ვალდებულებებთან. გარდა ამისა, იმ ბანკებში, სადაც აქციონერად ან კრედიტორად გვევლინება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ასევე სავალდებულოა ლიკვიდური აქტივების საერთო აქტივებთან თანაფარდობის ნორმატივის დაცვა.

ამას გარდა, ყოველ მაშვენებელს, რომელსაც აქვს ნორმატიულად დადგენილი შეზღუდვები, უნდა აქონდეს კრიტერიალური დონე, დადგენილი ყოველი ბანკის მიერ დამოუკიდებლად, გამომდინარე იქიდან, თუ როგორია ფუნქციონირების კონკრეტული პირობები და სტრატეგიული მიზნები, დასახული საკუთარი ლიკვიდობის მართვის შიდასაბანკო ორგანოების მიერ.

9.5 საბანკო რისკები

ეკონომიკის საბაზრო მოდელი ითვალისწინებს, რომ ბანკის მუშაობის მნიშვნელოვან სტიმულს მომგებიანობა წარმოადგენს. მაგრამ საბაზრო ურთიერთობების განვითარება ყოველთვის სხვადასხვა ეკონომიკური პარტნიორების გარკვეული სახის არასტაბილურობასთან არის დაკავშირებული, რაც შესაბამისად საბანკო რისკების სერიას წარმოქმნის. ხშირად იცვლება მოთხოვნა და მიწოდება, გარიგების დადების ფინანსური პირობები, კლიენტების გადახდისუნარიანობა და ა.შ. ამიტომ კომერციული ბანკი გარკვეული გარიგების განხორციელებისას მის შედეგებში ბოლომდის დარწმუნებული ვერასოდეს ვერ იქნება, ანუ სხვა სიტყვებით, გარიგების ფინანსური შედეგების რისკის გაწვევა უხდება.

ბანკები, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მუშაობისას, თავისთავზე არამარტო შიდა რისკების ნაირსახეობის, არამედ გარეშე რისკების (რეგიონალური, სოციალური, პოლიტიკური და სხვ.) ზემოქმედებასაც განიცდიან, რომელთა ზემოქმედება ყველგან ერთნაირი არ არის. კომერციული ბანკების საქმიანობაში სხვადასხვა რისკების ძალიან დიდი რაოდენობა არსებობს, მათ შორის:

ემიტენტის ლიკვიდურობის რისკი - დარწმუნებულობა ან დაურწმუნებლობა იმაში, რომ ბანკის აქტივები შეიძლება საბაზრო ან მასთან დაახლოებულ ფასებში იქნეს გაყიდული;

- სისტემატური რისკი - რისკი, რომელიც ბანკის მუშაობაში ცვალებადობის ან გადახრების შედეგად წარმოიქმნება მთლიანობაში საბანკო სისტემის საბოლოო საქმიანობასთან მიმართებაში;

საპროცენტო რისკი-ფინანსური აქტივების შემოსავლებისა და ფასების ცვალებადობა, რომელიც პროცენტული განაკვეთების დონის ცვლილების შედეგად, არის გამოწვეული, ანუ ეს არის რისკისი იმისა, რომ მოზიდული სახსრების საშუალო ღირებულებამ შეიძლება მუშა აქტივებზე შემოსავალს გადააჭარბოს;

- საბაზრო რისკები - წარმოიშობა მაშინ, როდესაც შიდა რესურსების (საკუთარი კაპიტალის) ღირებულება გარეშე ბაზარზე კაპიტალის ღირებულებაზე უფრო მაღალია;

- ეკონომიკური რისკი - გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი რისკი, რომელსაც კონკურენტუნარიანი ბანკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ან ილენტური გარე საბაზრო ფაქტორების ცვლილებების შედეგად განიცდის;

- პორტფელური რისკი - აქტივების პორტფელის კონცენტრაციის რისკები საქმიანობის ერთ მიმართულებაში;

- გადახდისუნარიანობის რისკი - წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბანკს საანგარიშსწორებო სახსრები არ გააჩნია და მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად ამ მიზნებისათვის საკუთარი სახსრები გამოიყენება;

- სტრატეგიის რისკი - წარმოიშობა ბანკის მიერ ბაზრის საკუთარი სექტორის არაადეკვატურად განსაზღვრისა და ბაზრის იმ სექტორის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, რომელსაც მას მუშაობა სურს;

- საბაზრო კონიუქტურის რისკი - საბანკო მომსახურეობების ბაზრის კონიუქტურის ცვლილებებზე არათავისდროული რეაქციის რისკი;

- მიმდინარე ოპერაციების ეფექტიანობის რისკი - მიმდინარე ოპერაციების არაეფექტურობის რისკი, რაც კორექტული ინფორმაციის და ბანკის საქმიანობის მომგებიანობის ოპერატიულად განსაზღვრის აუცილებლობას საჭიროებს.

უფრო მეტად გავრცელებულ ფინანსურ რისკებს წარმოადგენენ: მსესხებლის გადახდისუნარიანობის, საკრედიტო, პროცენტული, სავალუტო, დაუბალანსებელი ლიკვიდურობის, ტექნოლოგიური, საკანონმდებლო, ინფლაციური, ფინანსური ბერკეტების რისკები.

რისკებთან მიმართებაში მათზე მუდმივი ზედამხედველობის აუცილებლობა, მათი სიმრავლისაგან ისეთების გამოყოფის საჭიროება წარმოიქმნება, რომლებსაც შემცირების მიზნით მათზე ზემოქმედება არის შესაძლებელი. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ყველაზე უფრო შემოსავლიანს სწორედ რისკიანი ოპერაციები წარმოადგენენ, ამიტომ ბანკის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის დაცვა ოპერაციის რისკიანობასა და შემოსავლიანობას შორის ოპტიმალური თანაფარდობის შემუშავებას საჭიროებს.

კითხვები თვითკონტროლისათვის

1. დაახასიათეთ საბანკო საქმიანობის წარმოშობის წინაპირობები.

2. განსაზღვრეთ კომერციული ბანკის ძირითადი ფუნქციები.

3. როგორ წარმოგვიდგება კომერციული ბანკის ზოგადი საორგანიზაციო სტრუქტურა?

4. დაახასიათეთ კომერციული ბანკის ძირითადი ოპერაციები.

5. როგორ და რა გზით იქმნება კომერციული ბანკის რესურსები?

6. ლიკვიდობის რომელი ძირითადი საეკონომიკური ნორმატივების შესრულებას აკონტროლებს საქართველოს ეროვნული ბანკი?

7. განსაზღვრეთ მაჩვენებელთა ჯგუფი, რომლებიც აუცილებელია კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასებისათვის.

8. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ საბანკო საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკები.

ტესტები

1) პირველი ბანკი იტალიაში, ქ. გენუაში წარმოიშვა:

ა) 1400 წელს;

ბ) 1407 წელს;

გ) 1410 წელს;

დ) 1417 წელს.

2) ცნება “ბანკ” მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან “Banco”, რომელიც ნიშნავს:

ა) ფულის დასათვლელ მოწყობილობას; ბ) ფულიან კაცს;

გ) ფულის მაგიდას;

დ) ფულის დასგას.

3) თბილისში ი. ჭავჭავაძის თაოსნობით თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი დაფუძნდა:

ა) 1875 წელს;

ბ) 1878 წელს;

გ) 1880 წელს;

დ) 1890 წელს.

4) ჩამოთვლილთაგან კომერციული ბანკის ფუნქციებს არ მიეკუთვნება:

- ა) საკრედიტო ფულის შექმნა;
- ბ) საგარეო ვაჭრობის დაფინანსება;
- გ) დანაზოგების აკუმულაცია;
- დ) ფულადი ნიშნების ემისია.

5) ბანკის საწესდებო ფონდისა და მისი სხვა ფონდების ერთობლიობა, რომელიც ფინანსური მდგომარეობის, კომერციული და სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ბანკის მიერ მიმდინარე წელს და გასულ წლებში მიღებული მოგების ხარჯზე იქმნება, არის:

- ა) საკუთარი სახსრები;
- ბ) მოზიდული სახსრები;
- გ) ნაწუქარი სახსრები;
- დ) მობილიზებული სახსრები.

6) კომერციული ბანკის ოპერაციები იყოფა:

- ა) აქტიურ და საშუაშავლო ოპერაციებად;
- ბ) პასიურ და დივერსიულ ოპერაციებად;
- გ) დივერსიულ და ნდობით ოპერაციებად;
- დ) აქტიურ და პასიურ ოპერაციებად.

7) ოპერაციებს, რომელთა საშუალებითაც ბანკი რესურსებს იყენებს მოგების მიღების მიზნით, ეწოდება:

- ა) პასიური ოპერაციები;
- ბ) საემისიო ოპერაციები;
- გ) აქტიური ოპერაციები;
- დ) ლიზინგური ოპერაციები.

8) ბანკის უნარს, უზრუნველყოს თავისი ვალდებულებების დროული შესრულება, ეწოდება:

- ა) ბანკის გადახდისუნარიანობა;
- ბ) ბანკის საიმედობა;
- გ) ბანკის ლიკვიდობა;
- დ) ბანკის მომგებიანობა.

9) რისკს, რომელიც ბანკის მუშაობაში ცვალებადობის ან გადახრების შედეგად წარმოიქმნება მთლიანობაში საბანკო სისტემის საბოლოო საქმიანობასთან მიმართებაში, ეწოდება:

- ა) სისტემური რისკი;
- ბ) სტრუქტურული რისკი;
- გ) სავეალუტო რისკი;
- დ) ინფლაციური რისკი.

10) გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი რისკი, რომელსაც კონკურენტუნარიანი ბანკის პოსიციის საპროცენტო განაკვეთის ან იდენტური გარე საბაზრო ფაქტორების ცვლილებების შედეგად განიცდის, არის:

- ა) ფინანსური რისკი;
- ბ) რეგიონული რისკი;
- გ) საპროცენტო რისკი;
- დ) ეკონომიკური რისკი.

<i>პოლიტიკამ</i>	<i>უნდა</i>	<i>უზრუნველყოს</i>
<i>ხალხის</i>	<i>შემოსაუღლით</i>	<i>ანუ</i> <i>საარსებო</i>
<i>საშუალებებით,</i>	<i>ანუ</i>	<i>უფრო</i> <i>სუსტად</i>
<i>უზრუნველყოს</i>	<i>იგი</i>	<i>მათი</i> <i>მოპოვების</i>
<i>შესაძლებლობებით</i>		

ა. სმიტი

10.1. საერთაშორისო სავალუტო სისტემის ელემენტები

კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ფული გახდა ადამიანთა ერთ-ერთი დამაკავშირებელი ელემენტი. თანამედროვე პირობებში ყველა სუვერენულ სახელმწიფოს გააჩნია ეროვნული ფული, ეროვნული ვალუტა, რომლის გამოყენება, როგორც საანგარიშო ერთეულისა და ანგარიშსწორების საშუალებისა, სავალდებულოა. მან შეძლებისდაგვარად უნდა გამორიცხოს სხვა ქვეყნის ფულადი ერთეულების გამოყენება ქვეყნის ტერიტორიაზე. საერთაშორისო გაცვლა სერიოზულ პრობლემებს აყენებს გადასატრედად. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება მოითხოვს გამოინახოს ისეთი ფენომენი, რომელიც უზრუნველყოფს საანგარიშო ერთეულის, მიმოქცევისა და ანგარიშსწორების, აგრეთვე დაგროვების საშუალებისა და ღირებულების საზომის ფუნქციონირების შესრულებას, რომელთა გარეშეც გაცვლა მარტივი მატერიალური, ბარტერული გაცვლის სტადიიდან ვერ გამოვა. თითოეულ სახელმწიფო დონეზე ეს ფუნქციები ხორციელდება ეროვნული ფულის მეშვეობით. ხოლო საერთაშორისო სავალუტო სისტემა წარმოადგენს იმ ქვეყნებისა და წესების ერთობლიობას, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში უზრუნველყოფენ ამ კავშირებს.

საერთაშორისო წესების არსებობა დიდ ზიანს აყენებდა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობას. მაგ. XX საუკუნის ქაოსურმა დევეალვაციამ ხელი შეუწყო საერთაშორისო ვაჭრობის შემცირებას და ქვეყნების ეკონომიკური, სრდის შენელებას, რამაც გაამწვავა

რადიკალური ნაციონალიზმი და გარკვეულწილად კატალიზატორის როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე ანტიმიტლერულ კოალიციაში შემავალმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ჩამოეყაალიბებინათ საერთაშორისო სავალუტი კავშირი და შეექმათ ორგანიზაცია, რომელიც უსრუნველყოფდა ამ სფეროში საერთაშორისო თანამშროლობას.

თუ კაცობრიობის განვითარების საწყისი ეტაპიდან ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ფული, საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი ელემენტია ვალუტა. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია საერთაშორისო სავალუტი სისტემის ანალიზამდე განვიხილოთ, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სავალუტი სისტემის სავალუტო ურთიერთობათა ორგანიზებული ფორმების ისეთი ელემენტები, როგორცაა: ეროვნული ვალუტა, სარეზერვო ვალუტა, სავალუტო ურთიერთშექცევადობის პირობები, ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო ლიკვიდობა და მისი სახელმწიფოთაშორისო რეგულირება, მიმოქცევის საერთაშორისო საკრედიტო იარაღები და მათი გამოყენების წესების ინიციირება.

როგორც წესი სავალუტო სისტემა მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი ფუნქციებით, როლით, ამოცანითა და რეგულირების მეთოდებით. ეროვნულ და საერთაშორისო სავალუტო სისტემათა კავშირურთიერთობები და განსხვავებულობანი მათი ორგანიზაციული ფორმების ელემენტებსა და ფუნქციონირებაში ეკვლინდება.

როგორც ცნობილია, ვალუტა არის ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეული (საქართველოს ლარი, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი, აშშ-დ დოლარი, ევროკავშირის ქვეყნების - ევრო და ა.შ.), რომელიც გამოიყენება საქონლის ღირებულების სიდიდის გამოსათვლელად, მონაწილეობს ყოველგვარ ფულად ანგარიშსწორებასთან. ვალუტის ქვეშ იგულისხმება ასევე ფულის სისტემის ტიპი (ოქროს, ვერცხლის, ქაღალდის და ა.შ.) საერთაშორისო ანგარიშსწორებაში, საერთაშორისო და რეგიონალური ფულადი საანგარიშსწორებო ერთეული და საგადასახდელო საშუალება.

გამოყენებისა და რეჟიმის სფეროების პო'სიციებიდან განასხვავებენ: ეროვნულ და სარე'სერვო ვალუტებს, კონცენტრირებად და არაკონცენტრირებად ვალუტებს.

ეროვნული ვალუტა წარმოადგენს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს ფულად ერთეულს, რომელიც გამოიყენება სხვა დანარჩენი სახელმწიფოების სავალუტო პარიტეტისა და სავალუტო კურსის განსა'სღვრის საფუძვლად და ასრულებს საერთაშორისო მასშტაბით საგადასახდლო და სარე'სერვო საშუალების ფუნქციებს.

იმისათვის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულმა ვალუტამ მიიღო საერთაშორისო სარე'სერვო ვალუტის უფლებამოსილება, აუცილებელია ამ ქვეყანას მსოფლიო საქონლურ წარმოებაში, საქონლის (მომსახურების) და კაპიტალის ექსპორტში, მონეტარული ოქროს რე'სერვში, საბანკო დაწესებულებათა და საფინანსო-საბირჟო ქსელით წამყვანი ადგილი ეკავოს.

კონვერტირებადია ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტა, რომელიც იცვლება ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე და ასრულებს საერთაშორისო საგადასახდლო საშუალების ფუნქციას იურიდიული და ფი'სიკური პირებისათვის ყოველგვარი სახის ოპერაციათა შესრულებისას.

განასხვავებენ თავისუფლად კონვერტირებად, ნაწილობრივ კონვერტირებად და არაკონვერტირებად ვალუტას. თავისუფლად კონვერტირებადია ვალუტა, რომელიც შეუ'ხლუდავად იცვლება ნებისმიერი ქვეყნის ვალუტაზე და ნებისმიერ მფლობელს შეუძლია მისი ყველა ქვეყანაში გატანა ყოველგვარი სახის საერთაშორისო და რეგიონალური ოპერაციების საწარმოებლად.

ნაწილობრივ კონვერტირებადია ვალუტა, რომელიც საერთაშორისო ოპერაციების გარკვეული ნაწილის წარმოებისათვის შენარჩუნებული აქვს სავალუტო შე'ხლუდე-ვები. არაკონვერტირებადი კი ის ვალუტაა, რომელიც ჩაკეტილია ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე და საერთაშორისო სავალუტო ოპერაციებზე შე'ხლუდეები გააჩნია.

როცა განვიხილავთ საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებს, სოგადად საერთაშორისო ფინანსებს, ჯერ განვიხილოთ სავალუტო ბა'სარი და ვალუტით ვაჭრობის თავისებურებები.

საველუტო ბაზარი არის უცხოური ვალუტისა და მისი საგადასახდელი დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობათა მყარი სისტემა. მსოფლიო საველუტო ბაზარი მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის ბანკების საკორესპოდენტო კავშირებს და წარმოადგენს საერთაშორისო ფულადი ანგარიშსწორების განხორციელების მექანიზმს.

განასხვავებენ თავისუფალ საველუტო ბაზარს, სადაც საველუტო შეზღუდვები არ არსებობს და შესაძლებელი (არათავისუფალ) საველუტო ბაზარს, სადაც დომინირებს საველუტო შეზღუდვები. არსებობს აგრეთვე არალეგალური ანუ შავი საველუტო ბაზარიც.

საველუტო ბაზარი მრავალრიცხოვან სიდიდეთა ჯამია, რომელიც მოიცავს განსაზღვრულ რეგიონებსა და საერთაშორისო ვაჭრობისა და საველუტო-საფინანსო კავშირებში ლოკალიზებული მნიშვნელოვანი რაოდენობის ცალკეულ კონკრეტულ ბაზრებს და მასთან ორგანულად დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას. ასეთ ბაზარზე ხორციელდება საგარეო-ეკონომიკურ ანგარიშსწორებათა, ტურიზმის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის მიგრაციის და სხვა მიმდინარე ოპერაციათა ფართო სპექტრი, რომლებშიც გათვალისწინებულია მყიდველების, გამყიდველების, შუამავლების საბანკო დაწესებულებებისა და ფირმების მიერ უცხოურ ვალუტათა გამოყენება.

ტერიტორიული საველუტო ბაზრები ჩვეულებრივად დაკავშირებულია უმსხვილეს საბანკო და საველუტო ცენტრებთან. საველუტო ბაზრებისათვის დამახასიათებელია ორი ძირითადი ოპერაცია: სპოტი, როცა გათვალისწინებულის ვალუტის დაუყოვნებლივ მიწოდება (სპოტი - არის ნაღდ ფულთან დაკავშირებული გარიგება, რომლის დროსაც ვალუტა მყიდველს გადაეცემა გარიგების მეორე დღესვე) და ფორვარდი, როცა ვალუტა გადაეცემა წინასწარ დათქმული დროის შემდეგ იმ კურსით, რა კურსითაც მოხდა გარიგება. ფორვარდი ისეთი გარიგებაა, რომლის განაღდება ხდება გარიგების თარიღიდან ორი დღის შემდეგ. ეს დრო საჭიროა გარიგების დოკუმენტების გასაფორმებლად.

საერთაშორისო ფინანსების მრავალმიხრივი პრობლემები განპირობებულია ეროვნულ ვალუტათა არსებობითა და ფუნქციონირებით. სწორედ აქედან გამომდინარეობს

სფეციფიკაც. ნევეულებრივ მიკროეკონომიკურ დონეზე განიხილება, რომ ერთი საქონლის ფასი როგორ იცვლება სხვა საქონელთან მიმართებაში და რა ფაქტორები განსაზღვრავს ამ ცვლილებებს. მაკროეკონომიკა იკვლევს ფულადი მასა როგორ თანაფარდობაშია საქონელთან, ფასიან ქაღალდებთან, შრომასთან. მაგრამ ფულადი მასა და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკაც იმდენია, რამდენი სახელმწიფოც არსებობს მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, ამდენივე რაოდენობის საპროცენტო განაკვეთები და სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკა არსებობს. მრავალრიცხოვანი ეროვნული სავალუტო სისტემებისა და საფინანსო სტრუქტურების არსებობა განაპირობებს საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო სისტემების შესწავლა-განხილვას.

სავალუტო გარიგება წარმოადგენს ერთი ქვეყნის ფულის გაცვლას მეორე ქვეყნის ფულზე. საერთაშორისო დონეზე ვალუტები იმავე ფორმას ღებულობენ, როგორც ფულადი ერთეული ქვეყნის შიგნით. სავალუტო ბაზარზე გასაყიდი ფულადი აქტივების დიდ ნაწილს წამყვან ბანკებში მოთხოვნამდე დეპოზიტის სახე გააჩნია, ხოლო უმნიშვნელოვანესი ნაწილი ბაზარზე ყიდვა-გაყიდვისა და ნაღდი ფულის სახით იცვლება.

თითოეულ ეროვნულ ვალუტას გააჩნია სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში გამოხატული ფასი. ამდენად ეროვნული ფულადი ერთეული ვალუტის სახით იძენს საერთაშორისო „ფასს“, რაც სხვა არაფერია, თუ არა ვალუტის კურსი. სავალუტო კურსის დონე ისაზღვრება მეორე ქვეყნის ვალუტის კურსის დონით. სავალუტო კურსის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორია ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა და ინფლაციის ტემპი. ეს კი, თავის მხრივ დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებზე.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორიის თანახმად, ნებისმიერი ვალუტის ერთეულს უნდა შეეძლოს საქონლის ერთი და იგივე რაოდენობის ყიდვა ყველა ქვეყანაში. მრავალი ეკონომისტი თვლის, რომ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი იმ ეკონომიკურ ძალებს აღწერს, რომლებიც სავალუტო კურსებს განსაზღვრავენ გრძელვადიან პერიოდში.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტთან დაკავშირებულია ნორმალური და რეალური სავალუტო კურსის ცნებაც. სავალუტო კურსი, რომლითაც პიროვნებას შეუძლია ერთი ქვეყნის ვალუტით შეიძინოს მეორე ქვეყნის ვალუტა, ეწოდება ნომინალური სავალუტო კურსი, ხოლო რეალურია სავალუტო კურსი, რომლითაც პიროვნებას შეუძლია შეიძინოს ერთი ქვეყნის საქონელი და მომსახურება მეორე ქვეყნის საქონლითა და მომსახურებით.

მთლიანობაში, ვალუტის კურსი განხილული უნდა იქნეს, როგორც უცხოური ვალუტის ფასი. ვალუტათა კურსის კოტირების (ფასის დადგენის) შედარებით გავრცელებული ფორმა წარმოიშობა ბანკებს შორის ვაჭრობის შედეგად.

სავალუტო პარიტეტი (ოფიციალური სავალუტო კურსი) წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ფულადი ერთეულის შეფარდებას საკანონმდებლო წესით და სამთავრობოთაშორისო დონეზე. სავალუტო კურსის რეგულირებისათვის მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებულია: ფიქსირებული გაცვლითი კურსი. ფიქსირებული გაცვლითი კურსი ისეთი კურსია, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე და სავალდებულოა მისი გამოყენება ხაერთაშორისო ანგარიშსწორებაში. სავალუტო კურსი იცვლება საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად.

ვალუტის ფიქსირებული გაცვლითი კურსის მთავარი თავისებურებაა ის, რომ ქვეყნის მთავარი ბანკი ღებულობს ვალდებულებას, წინასწარ, ოფიციალურ განსაზღვრული კურსის თანაფარდობით იყიდოს ან გაყიდოს ვალუტა. ე.ი. შიდა სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობა ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება, რითაც იზღუდება სპეკულაციის შესაძლებლობა. კურსის დაწესების ასეთი რეჟიმი თავისი შინაარსით ანტიინფლაციურია და ფასების სტაბილურობის მიღწევას ემსახურება. ამ რეჟიმის შემოღებამ საქართველოში დადებითი როლი შეასრულა პიპერინფლაციის დაძლევისა და მონეტარული და ფისკალური დისციპლინეს განმტკიცებაში (საქართველოში ფიქსირებული გაცვლითი კურსი გამოიყენებოდა ეროვნული ვალუტის ლარის შემოღებიდან 1998 წლამდე).

მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია ფიქსირებული გაცვლითი კურსის რამოდენიმე სახესხვაობა, რომელთაგან

კლასიკურად მიჩნეულია ე.წ. მიბმა, ანუ მყარი გაცვლითი კურსის დაწესება ერთი რომელიმე სარეზერვო ვალუტის მიმართ (მაგ., აშშ-ის დოლართან, ევროკავშირის ევროსთან.

გაცვლითი კურსის რეჟიმის დ ფიქსირებული ფორმის უფრო განვითარებული სახეობაა მყარი კურსის დაწესება არა ერთი რომელიმე ვალუტის, არამედ სავალუტო კალათის მიმართ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კურსი ფიქსირდება რამდენიმე ვალუტის კალათის საშუალო შეწონილ მაჩვენებელთან. სავალუტო კალათა შედგება მოცემული ქვეყნის რამდენიმე ძირითადი სავაჭრო პარტნიორის ვალუტისაგან. სწორედ ამიტომ აღნიშნული ტიპის რეჟიმი ამცირებს ამ ქვეყნის ვალუტის კურსის რყევებს პარტნიორი ქვეყნების ვალუტების მიმართ და ახელს უწყობს ფასების სტაბილურობას, განსაკუთრებით იმპორტზე.

ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმის ერთ-ერთ გავრცელებული სახეა ე.წ. სავალუტო სავაჭო, რომელიც გულისხმობს სარეზერვო ფულის მასის რაოდენობრივ შესაბამისობას ქვეყნის საერთაშორისო რეზერვებთან, წინასწარ ფიქსირებული კურსის საფუძველზე.

იმის გამო, რომ ფიქსირებული გაცვლითი კურსი ვერ უძღვება გარეშე შოკების ზემოქმედებას, მნიშვნელოვნად ეცემა ცენტრალური ბანკის ინტერვენციების როლი და ისრდება მოთხოვნა-მიწოდების რეალური თანაფარდობის ზეგავლენა გაცვლითი კურსის ჩამოყალიბების პროცესზე. ამ ტიპის კურსებს ტრადიციულად მართვად მცურავ კურსებს უწოდებენ, რომელთათვის დამახასიათებელია კურსის რეგულარული ცვლილება სახელმწიფოს, სახელდობრ, ცენტრალური ბანკის კონტროლით. ხაზგასმულია, რომ ამ კურსს არ შეიძლება ეწოდოს მცურავი კურსი. მცურავი საკურსო რეჟიმი გულისხმობს კურსწარმოქმნის პროცესის მაქსიმალურ თავისუფლებას ცენტრალური ბანკის კონტროლისაგან, როდესაც ეს უკანასკნელი უპირატესად არაპირდაპირი მეთოდებით ზემოქმედებს გაცვლით კურსზე და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავს ინტერვენციებს.

სავალუტო სისტემის ერთ-ერთი ელემენტია საერთაშორისო ლიკვიდობა, რომელიც წარმოადგენს ცალკეული ქვეყნის მთელი ქვეყნების შესაძლებლობას

მუეფერხებლად იქნეს განადგებული მათი საგარეო ვალდებულებები მისაღებ საგადასახდლო საშუალებებით. განასხევეებენ საერთაშორისო ლიკვიდობის ორგეარ ვიწრო და ფართო გატებას. ვიწრო გატებით, საერთაშორისო ლიკვიდობა ცალკეული ქვეყნის ან რეგიონის საგარეო მსყიდველობითუნარიანობის დონეს, ხოლო საერთაშორისო ლიკვიდობა ფართო გატებით გეინვენებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მსყიდველთუბარიანობის ხარისხს მთლიანობაში.

ეროვნული სავალუტო სისტემის მახასიათებელთა შორის ერთ-ერთი მნიშენელოვანი ელემენტიია სავალუტო შეზღუდვები, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის რეგულირების ობიექტს საერთაშორისო სავალუტო ფონდის თუ სხვა რეგიონალური დაწესებულებების მეშეეობით.

სავალუტო სისტემასა და მის მარეგულირებელ მექანიზმში მიმდინარე მიზეზების, მამოძრავებელი ძალების, თავისებურებებისა და შიანარსის ცვლილებების გამოვლენა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, როგორც წარმოების ეროვნული და საერთაშორისო ფაქტორების არეული ურთიერთობებისა და სირთულის მხრივ, ასევე იმ არანეეულებრივი დინამიზმით, რომელსაც მოიცავს სავალუტო ურთიერთობათა განეითარება.

სავალუტო ურთიერთობა წარმოადგენს ურთიერთობას იმ ყოველდღიურ კავშირებზე, რომელიც მყარდება სავალუტო ბასარზე კერძო პირებსა, ფირმებსა, ბანკებსა და სხვა სუბიექტებს შორის საერთაშორისო ანგარიშსწორების, საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების განხორციელების პროცესში.

და ბოლოს საერთაშორისო სავალუტო სისტემის ელემენტების განხილვა დაეასრულოთ ისეთი საკითხების განხილვით, როგორიცაა „სავალუტი პოლიტიკა.“ „სავალუტი სისტემა“ და „სავალუტო ურთიერთობა.“

სავალუტო პოლიტიკა არის ეკონომიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებს სახელმწიფო ორგანიზაციები და სახელმწიფოთაშორისი დაწესებულებები მათი საპროგრამო მისნობრივი პროგრამების საფუძველზე.

სავალუტო ურთიერთობანი ეს არის ეკონომიკური ურთიერთობანი, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო ფულის ფუნქციონირებასთან და ემსახურება ქვეყნებს

შორის სამეურნეო კავშირის სხვადასხვა ფორმებს: საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის გატანას, სესხების გაცემას, სამეცნირო-ტექნიკურ გაცვლას, ტურიზმს, სახელმწიფო და კერძო გადარიცხვებს.

სავალუტო სისტემა წარმოადგენს ფულად ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც მსოფლიო მეურნეობის წარმოების სხვადასხვა აგენტებს შორის მიმდინარე საერთაშორისო საგადასახდელო-საანგარიშსწორებო ოპერაციების გამასაშუალებელი ბერკეტი.

10.2. საერთაშორისო სავალუტო სისტემის განვითარების ეტაპები

მეცხრამეტე ასწლეულის უკანასკნელი მეოთხედიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, კაპიტალისტური ქვეყნების საგარეო ვაჭრობაში ოქროს სტანდარტი დომინირებდა. იმის შემდეგ, რაც ბანკმა 1821 წ., მსოფლიოს უძველესმა ცენტრალურმა ბანკმა-ინგლისის ბანკმა დაადგინა მის მიერ გამოშვებული ბანკნოტების დახურდაება ოქროსე, რაც კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს დონეს შეესაბამებოდა; სხვა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა მიბაძეს მის მაგალითს და მეცხრამეტე ასწლეულის ბოლოს გადავიდნენ ოქროს სტანდარტზე: სკანდინავიის ქვეყნები - 1872 1876 წწ., გერმანია - 1875წ., საფრანგეთი - 1878წ., ავსტრია-უნგრეთი - 1892წ., იაპონია - 1897წ., აშშ - 1900წ. ამასთან ამ ქვეყნებმა უარი თქვეს ვერცხლის მიმოქცევაზე.

ოქროს სტანდარტით საფუძველი შეექმნა საერთაშორისო სავალუტო ოპერაციებს, რომელიც მაშინ ხასიათდებოდა მყარი სავალუტო კურსით, რაც ოქროს პარიოტეტის საფუძველზე განისაზღვრებოდა. თუ საგარეო ვაჭრობის დროს სალდო წარმოიქმნებოდა, მაშინ იგი ოქროთი ნაზღაურდებოდა. თუ რომელიმე ქვეყანაში მეტი ოქრო შედიოდა, მაშინ იგი იწვევდა ფულად და საკრედიტო ექსპანსიებს. როცა ოქროსა და ქვეყნის რეზერვები მცირდებოდა, მაშინ იგი განაპირობებდა ფულადი და საკრედიტო მოცულობების შესღუდვებს. ასეთ პირობებში

შიდა ფულად უსრუნველყოფაზე უსარმაზარ გაელენას საგადასახდელო ბალანსი ახდენდა. ოქროს სტანდარტი იყო ტიპური საერთაშორისო სავალუტო წესი, მონოპოლი-სტურამდელი კაპიტალიზმისა და ვალუტის სტაბილურობის შეფარდებითი გამოხატულება. ის ავტომატურად მოქმედებდა ფულის მიმოქცევაზე და კაპიტალის მოძრაობაზე. აღნიშნული ავტომატური დამოკიდებულება არ მოქმედებდა, როცა აუცილებელი გათანაბრება რეალურ პროპორციებს აღემატებოდა, რაც ცალკეული ქვეყნის შიგნით ინფლაციური პროცესების განვითარებას იწვევდა.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ოქროს სტანდარტი სულ უფრო ქმედითი გახდა, რადგან ცალკეულ ქვეყნებში ფულის მიმოქცევის გაფართოება დაკავშირებული იყო ოქროს რაოდენობაზე ცენტრალურ ბანკში. ეს კი ეწინააღმდეგებოდა ერთი მხრივ, ინფლაციურ პროცესებს, მეორე მხრივ - სამრეწველო წარმოებას და „ფულის შიმშილს“ ქმნიდა, „ოქროს ჩარსოები“ უნდა გაფართოებულყო, ამის გარეშე შეუძლებელი იყო შემდგომ მონოპოლიური მოგების მიღება. ამიტომ პირველი მსოფლიო ომი იყო არა მიზეზი, არამედ წინაპირობა და საბაბი ოქროს სტანდარტის მოდიფიკაციისათვის.

იმპერიალისტური მთავრობები სულ უფრო ცდილობდნენ საგადასახდელო ბალანსის განვითარებაზე ზემოქმედებას პოლიტიკურ-ეკონომიკური ღონისძიებების საშუალებით, თუ ადრე აბსოლუტური პრიოპრიტეტი საგარეო ეკონომიკურ დაბალანსებას ქქონდა, ახლა თეორიული გეგმით სულ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა სხვა პრობლემებმა, რომლებიც დაკავშირებული იყო სრულ დასაქმებასა და სამრეწველო ზრდასთან, რომლის გადაჭრა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამას გარდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (ისე, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ) ოქროს რეზერვები, უპირატესად აშშ-ში დაგროვდა, ხოლო სხვა ქვეყნებში წარმოიქმნა ოქროს უკმარისობა, ამან ის გამოიწვია, რომ უმრავლესმა ქვეყნებმა საერთაშორისო ეკონომიკური კონფერაციის გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომელიც გენუაში შედგა 1922 წ., გადასვლა დაიწვეს ოქროს გალუტიდან ოქროს დევისურ სტანდარტზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სოგიერთი კაპიტალისტური ქვეყანა შეეცადა დაბრუნებოდა ძველ ოქროს სტანდარტს და ადრინდელ პარიოტეტებს. მაგ. ინგლისი რომ ღორძინებულიყო, როგორც მსოფლიო სახელმწიფო, დაკარგლი პოზიციების შემდეგ, ოქროს სტანდარტი შემოიღო 1925 წ. სოგიერთმა ქვეყანამ მიბაძა მის მაგალითს, ოღონდ მცირე ხნის განმავლობაში. 1929-1931 წწ. კრიზისის დასაწყისისას დაიწყო ოქროს სტანდარტის სისტემის ნგრევა. მაგ. დიდმა ბრიტანეთმა კრიზისის შედეგად 1931 წელს შეწყვიტა ფუნტ სტერლინგის გაცვლა ოქროზე. 1934 წ. აშშ იზულებული იყო უნცია ოქროს (31,1 გრ. წმინდა ოქრო) ფასი 20-დან 25 დოლარამდე გაზარდა, დაიწყო დოლარის დეველვაცია. ასევე დეველვაცია განიცადა მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყნის ვალუტამ, შედეგად 1936 წელს გაუქმდა ოქროს სტანდარტის უკანასკნელი ნაშთები.

მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოების უმრავლესობა ერთი აზრისა იყვნენ იმაში, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აუცილებელი იყო სავალუტო სისტემის ახალი წესი შრომის საერთაშორისო უპირატესობების გამოყენებისათვის. ამ ინიციატივით პირველ რიგში გამოდიოდა აშშ, იმის იმედით, რომ კიდევ უფრო გააფართოვებდა თავის გავლენას. მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, 1943 წ. დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ხაზინებმა შემოიტანეს ორი გეგმა - ჯ.მ. კეინის ინგლისური გეგმა და პ. უაიტის გეგმა - ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების სავალუტო-საფინანსო კონფერენციაზე განსახილველად, რომელიც უნდა განხილულიყო 1944 წ. ივლისში, ბრეტონ-ვუდსში (ნიუ-გემპშირის შტატი). კონფერენციაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (ნსოფლიო ბანკის) შექმნის შესახებ (უფრო დაწვრილებით ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის ინსტიტუტებზე მეთოთხმეტე თავში).

უაიტის გეგმა უზარმაზარ როლს აკუთვნებდა ოქროს. აშშ-მა ხელშეკრულების დროს უარი თქვა კეინის გეგმის ძირითადი დებულებების მიღებაზე და პოლიტიკური და ეკონომიკური სეწოლის შედეგად გაიტანეს უაიტის გეგმის უმნიშვნელოვანესი დებულებები, ბრეტონ-ვუდსის

შეთანხმება ძალაში შევიდა 1945 წ. 27 დეკემბერს, 35 ქვეყნის ხელმოწერის შემდეგ. ყოფილმა საბჭოთა კავშირმა, რომელიც მონაწილეობდა ამ კონფერენციაზე, უარი თქვა მისი პირობების რატიფიკაციაზე.

ბრეტონ-ეუდსის სავალუტო სისტემის ძირითადი პრინციპები იყო:

1. ოქროდევისური სტანდარტი: დოლარის წამყვანი ვალუტის სახით შემოღება;
2. მყარი სავალუტო კურსის შემოღება გათანაბრებისა და კონვერტირებადობის რეგულირებით;
3. საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო სისტემის შემოღება.

კონფერენციამ შემოიღო ყველა მონაწილე ქვეყნისათვის საგარეო ვაჭრობის მომსახურება ოქროდევისური სტანდარტის საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ სავალუტო რეზერვები (რამდენადაც ეს შესაძლებელია) უნდა შედგებოდეს, ერთი მხრივ ოქროსაგან, მეორე მხრივ – ე.წ. წამყვანი ვალუტისაგან. ბანკოტების გაცვლა ოქროზე მოსახლეობისათვის არ გაუთვალისწინებიათ.

1948 წ. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების (ცენტრალური ბანკების 35 მლრდ დოლარი ოქროს მარაგიდან, აშშ-ზე მოდიოდა 24 მლრდ, დიდ ბრიტანეთზე – 1,6 მლრდ, საფრანგეთზე, იტალიაზე, გერმანიაზე და ბენელუქსის ქვეყნებზე ერთად აღებული – 1,5 მლრდ. ბრეტონ-ეუდსის შეთანხმების შედეგად, დოლარის პარიტეტი ოქროს მიმართ განისაზღვრება სიდიდით – 35 დოლარით უნციაზე და ყველა სხვა ვალუტის პარიტეტები დადგინდა დოლარის საშუალებით.

ბრეტონ-ეუდსის სავალუტო სისტემის პირობებით დასაშვები იყო სავალუტო კურსების ცვლილებების შესაძლებლობა. ეს ცვლილებები მოხდა, როცა წარმოიქმნა „ფუნდამენტური დაუბალანსებლობა,“ რომლის დაძლევა არ შეიძლებოდა რომელიმე სხვა მეთოდებით. მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდს (სსფ) არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა სავალუტო კურსების ცვლილებები. ინიციატივა ეკუთვნოდა შესაბამის სახელმწიფოს, რომელსაც შეეძლო შეეცვალა საკუთარი ქვეყნის კურსი მხოლოდ, სსფ-თან კონსულტაციისა და შეთანხმების შემდეგ.

ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემაში, თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ცალკეული დეველვაცია და რეველვაცია განიცადა. 1949 წ. იყო პირველი მსხვილი დეველვაცია. ინგლისური ფუნტი სტერლინგი გაუფასურდა 30,5%-ით, მას მოჰყვა 26 სხვა ვალუტა. 1967 წლამდე შეიმჩნეოდა შედარებით სტაბილურობა. ერთადერთი გამონაკლისი გახდა ფრანგული ფრანკის დეველვაცია 1958 წელს. 1961 წ. მოხდა გერმანული მარკისა და პოლანდიური გულდენის რეველვაცია 5%-ით.

დეველვაციის ახალი ტალღა აგორდა 1967 წ. ეს იყო ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის რღვევის დასაწყისი. დეველვაციის ტალღა გახსნა დიდი ბრიტანეთის ვალუტის დეველვაციამ 14,3%-ით, მას მოჰყვა კიდევ 14 ვალუტის დეველვაცია. 1969 წ. იანვარში 11%-ით დეველვაცია განიცადა ფრანგულმა ფრანკმა, ხოლო გერმანულმა მარკამ 9,3%-იანი რეველვაცია განიცადა. სსფ-ის მიერ ჩატარებული და მოწონებული იქნა საერთო სირთულის სავალუტო კურსების 70-ზე მეტი კოტირება.

1969 წ. სსფ-ს ყოველწლიურ სესიაზე (რიო-დე-ჟანეიროში) მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ 1970 წლის 1 იანვრიდან საერთაშორისო სავალუტო სისტემაში შემოიღეს ხელოვნურად შექმნილი ინტერნაციონალური ვალუტა ნასესხობის სპეციალური უფლება (SDR - Special Drawing).

SDR-მა მიიღო საერთაშორისო ლიკვიდობის დამატებითი საშუალება. თავდაპირველად მისი ღირებულება აშშ-ის დოლარში გამოხატული შეადგენდა 35 დოლარს 1 უნცია ოქროზე. შემდეგ 1971 და 1973 წ.წ. დოლარისა და გირვანქა სტერლინგის დეველვაციის გამო, SDR-ის ღირებულება გახდა 42 დოლარი 1 უნცია ოქროზე. 1974 წლიდან მან ოქროსთან მიმართებაში დამოუკიდებლობა მიიღო, სსფ-ის წესდების მეორე შესწორებით, რომელიც ძალაში შევიდა 1971 წლიდან, SDR გახდა საერთაშორისო სავალუტო სისტემის ფლაგმანი, ამ ახალი საერთაშორისო ვალუტის წევრები გახდნენ სსფ-ის წევრი ქვეყნები, რომელთაც იგი გაუნაწილდათ მათი კვოტების პროპორციულად.

საერთაშორისო სავალუტო სისტემის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამწვავდა 1971 წლიდან, როცა გაუარესების

ტალღამ გადაუარა ამერიკელ დოლარს. აშშ-ის სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა მიაღწია 3 მლრდ დოლლარს, ხოლო ოფიციალურ ანგარიშსწორებათა ბალანსის დეფიციტი მიუახლოვდა 30 მკრდ-იან ზღვარს. 1974 წელს ოფიციალურად გამოცხადდა ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების მეორე შესწორება, რომელიც ძალაში შევიდა 1978 წლის 1 აპრილს. ბრეტონ-ვუდსის სისტემის რეფორმამ ეკონომიკურ ლიტერატურაში მიიღო იამაიკის სავალუტო სისტემის სახელწოდება. არსებითად იგი წარმოადგენს არსებული სისტემის განვითარებას.

იამაიკის სავალუტო სისტემის პირველ მთავარ ელემენტს წარმოადგენდა ოქროს გამოდევნა საერთაშორისო ანგარიშსწორებიდან და მსოფლიო ფულად ეროვნული ვალუტის წამოწევა. სსფ-ს დაეველა მისი წვერი ქვეყნებისათვის დაებრუნებინა ოქროს მარაგის 1/6 ნაწილი.

სსფ-ის წვერი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს უფლება მიეცათ ოპერაციები ოქროს/სუ განეხორციელებინათ საბაზრო ფასებით, ხოლო ოქროს პარიტეტი და ოქროს საპარიტეტო (ოფიციალური) ფასი შეცვლილი იქნა. სსფ-მ შეწყვიტა ოქროს მიღება კვოტების ანაზღაურებისა და კრედიტების პროცენტის სახით. (ოქროს პარიტეტი არის სხვადასხვა ქვეყნის ფულადი ერთეულების თანაფარდობა მათ ოფიციალურ ოქროს შინაარსთან. 1978 წლის გადაწყვეტილებით გაუქმდა ოქროს პარიტეტი).

იამაიკის სავალუტო სისტემის მეორე უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წვერი ქვეყნების მიერ სავალუტო კურსის რეჟიმის შერჩევა და მცურავი სავალუტო კურსის დაკანონება, რომელიც შემოღებულ იქნა 1973 წლიდან განვითარებული ქვეყნების მიერ. ფიქსირებულ კურსთან განსხვავებით მცურავ კურსს თავის მოძრაობაში იურიდიული საზღვარი არ გააჩნია და მისი ჩამოყალიბება ხდება თავისუფლად საბაზრო მოთხოვნა - მიწოდებით. ამასთან სსფ-ს წესდება ითვალისწინებს განსაზღვრულ ვალდებულებას სავალუტო კურსის რეჟიმის სახით.

თითოეულ ქვეყანას შეუძლია გამოიყენოს თავისი ვალუტის მცურავი კურსი მეორე ექვივალენტთან ურთიერთობაში და არა ოქროსთან. აგრეთვე რამდენიმე ან ერთი წვერი-ქვეყნის ვალუტასთან ურთიერთობაში.

იმის გამო, რომ ქვეყნის ვალუტის პარიტეტი საერთაშორისო სავალუტო ფონდში ფიქსირებული იყო აშშ-ის დოლარში, დოლარი კი ოქროში, დოლარი გახდა საყოველთაო ექვივალენტის პირდაპირ ნიშნად, ხოლო სხვა დანარჩენი ვალუტა – ირიბად, ე.ი. დოლარის მეშვეობით.

საერთაშორისო ლიკვიდობის სტრუქტურაში, იამაიკის შეთანხმებით, არსებითი კორექტივების შეტანამ გამოიწვია ცვლილებები როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ პარამეტრებში. ოქროს მიმართ მიღებული იქნა მისი საბოლოო დემონეტისაციის შესახებ გადაწყვეტილება, ე.ი. საბოლოო გამოდენილი იქნა საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროდან.

აშშ-ის დოლარის მომართ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მას თანდათანობით დაეთმო მთავარი ვალუტის პოზიცია. გათვალისწინებულ იქნა პერსპექტივაში კლექტური საერთაშორისო ვალუტის თანდათანობით გადაქცევა მთავარ საანგარიშგებო, საგადასახდელო და სარეზერვო საშუალებად.

პრაქტიკაში გამოცხადებული სავალუტო რეჟიმები მეტად ჭრელია. 1988 წლის 31 მარტს 58 ქვეყანამ მიიღო გადაწყვეტილება საკუთარ ვალუტათა კურსის დაწესების თაობაზე თავიანთი პარტნიორი ქვეყნის ვალუტასთან მიმართებაში. 39 ქვეყანამ თავის პარტნიორად აშშ-ის დოლარი აირჩია, 17-მა ნასესხობა სპეციალური უფლება, 14-მა ფრანგული ფრანკი და ა.შ.

წამყვანი სახელმწიფოების მთავრობები და საფინანსო ორგანიზაციები დარწმუნდნენ რა „მცურავი“ სავალუტო კურსის პრობლემათა მასშტაბები, გადაწყვიტეს ერთიანი ძალით მართონ ვალუტათა კურსი, შვიდი სახელმწიფოს მეთაურებისა და მთავრობების 1986 წლის ტოკიოს და 1987 წლის ვენეციის შეხვედრაზე გადაწყვიტეს გაატარონ ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიო ეკონომიკის წინასწარობის აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით, რისთვისაც ეკონომიკურ სოტუაციებსა და პერსპექტივებზე უნდა გაძლიერდეს მრავალმხრივი მეთვალყურეობა, გამოყენებული უნდა იქნეს ობიექტური მანიკერბლები ქვეყნების საგადასახდელო ბალანსების, სავალუტო კურსის ინფლაციის, ეკონომიკური ზრდის, ბიუჯეტის დეფიციტის სრულყოფილი შესწავლა-

ანალიზის მიზნით, რათა შემდგომში ერთობლივად იქნეს იღებულნი ეფექტიანი მაკორექტირებელი ღონისძიებები.

კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რა სახეობად ყოფენ ვალუტას გამოყენებისა და რეჟიმის სფეროების პოზიციიდან?
2. რა არის კონვერტირებადი ვალუტა და რა კატეგორიებად იყოფა იგი?
3. რა თავისებურებებით ხასიათდება სავალუტო ბაზარი?
4. რას წარმოადგენს სავალუტო გარიგება?
5. რაში მდგომარეობს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის ცნება?
6. რომელი იყო საერთაშორისო სავალუტო სისტემის პირველი ტიპი და რა თავისებურებებით ხასიათდებოდა იგი?
7. რაში მდგომარეობს რეტონ-ფუდსის სავალუტო სიტემის ძირითადი სიახლეები?
8. რა ცვლილებები შეიტანა იამაიკის სავალუტო სისტემამ ბრეტონ-ფუდსის არსებულ სეთანხმებაში?

ტესტები

1) დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს ფულად ერთეულს, რომელიც გამოიყენება ამ ქვეყნის სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო ეკონომიკური, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობათა უზრუნველსაყოფად, ეწოდება

ა. საერთაშორისო ვალუტა;

ბ. საკრედიტო ვალუტა;

გ. ეროვნული ვალუტა;

დ. მსოფლიო ვალუტა.

2) მსოფლიოში ეკონომიკურად და პოლიტიკურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს ვალუტას, რომელიც გამოიყენება სხვა დანარჩენი სახელმწიფოების სავალუტო პარიტეტისა და სავალუტო კურსის განსასაზღვრის საფუძვლად და ასრულებს საერთაშორისო მასშტაბით საგადასახდელო და სარეზერვოსაშუალების ფუნქციებს, წარმოადგენს

ა. საგარანტიო ვალუტას;

ბ. საანგარიშსწორებო ვალუტას;

გ. მსოფლიო ვალუტას; დ. სარეზერვო ვალუტას.

3) გამოყენებისა და რეჟიმის სფეროების პოზიციებიდან განასხვავებენ კონვერტირებადი ვალუტის შემდეგ სახეებს
ა. თავისუფლად, არათავისუფლად და არაკონვერტირებად ვალუტას;

ბ. თავისუფლად, შეზღუდულად და შეუზღუდავად კონვერტირებად ვალუტას;

გ. თავისუფლად, ნაწილობრივ და არაკონვერტირებად ვალუტას;

დ. შეუზღუდავ, შეუქცევად და არაკონვერტირებად ვალუტას.

4) უცხოური ვალუტისა და მისი საგადასახდელ დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობათა მყარი სისტემა არის
ა. სავალუტო შეთანხმება; ბ. სავალუტო ბაზარი;

გ. ვალუტის მიმოქცევა; დ. ვალუტის ბრუნვა.

5) სავალუტო კურსების თეორიას, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ვალუტის ერთი ერთეულით უნდა შეგვეძლოს საქონლის ერთი და იმავე რაოდენობის შექენა ყველა ქვეყანაში, ეწოდება

ა. მყიდველობითუნარიანობის პარიტეტი;

ბ. მყიდველობითუნარიანობის დონე;

გ. მყიდველობითუნარიანობის კურსი;

დ. მყიდველობითუნარიანობის მანქენებე.

6) სავალუტო კურსის რეგულირებისათვის მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებულ გაცვლით კურსს არ მიეკუთვნება

ა. ფიქსირებული გაცვლითი კურსი;

ბ. მართკადი გაცვლითი კურსი;

გ. მუდმივი გაცვლითი კურსი;

დ. მცურავი გაცვლითი კურსი.

7) საერთაშორისო სავალუტო სისტემის პირველი ისტორიულ ისტორიულ ფორმას წარმოადგენს

ა. იამაიკის სავალუტო სისტემა;

ბ. რეტონ-ვედსის სავალუტო სისტემა;

გ. ოქროს სტანდარტი;

დ. კინგსტონის სავალუტო სისტემა.

8) სსფ-ის სესიაზე საერთაშორისო სავალუტო სისტემაში ხელოვნურად შექმნილი ინტერნაციონალური ვალუტა – SDR (ნახესხობის სპეციალური უფლება) შემოიღეს

ა. 1970 წ.

ბ. 1972 წ.

გ. 1973 წ.

დ. 1975 წ.

9) სხვადასხვა ქვეყნის ფულადი ერთეულების თანაფარდობა მათ ოფიციალურ ოქროს შინაარსთან, არის

ა. ოქროს კურსი;

ბ. ოქროს სტანდარტი;

გ. ოქროს დომინირება;

დ. ოქროს პარიტეტი.

10) იამაიკის სავალუტო სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა ის, რომ ოფიციალურად დაკანონდა

ა. შერყევი სავალუტო კურსი;

ბ. მცურავი სავალუტო კურსი;

გ. მყარი სავალუტო კურსი;

დ. ფიქსირებული სავალუტო კურსი.

თემა 11. საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობები

ჩვენ იმდენი შეგვიძლია, რამდენიც ვიცით, ცოდნა ძალაა.

ბეკონი

11.1. საერთაშორისო კრედიტის არსი და ფორმები

საერთაშორისო კრედიტი არის სასესხო კაპიტალის მოძრაობა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში, რომელიც დაკავშირებულია სავალუტო და სასაქონლო რესურსების გაცემასთან დაბრუნებადობის, ვადიანობის უსრუნველყოფისა და პროცენტის გადახდის პირობებში. კრედიტორებისა და მსესხებლების როლში გამოდიან ბანკები, სახელმწიფო და საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებები.

საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობების არსის გარკვევა შეუძლებელია სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის გარეშე. იგი შეიძლება განხილულ იქნეს უფრო ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით სასესხო

კაპიტალის მსოფლიო ბაზარი სხვა არაფერია, თუ არა ბაზარი, სადაც მიმდინარეობს საერთაშორისო საკრედიტო ოპერაციები. იგი მოიცავს: უცხოური კრედიტებისა და სესხების ბაზარს (აქ გაერთიანებულია ის ეროვნული ბაზრები, სადაც საერთაშორისო ოპერაციები მიმდინარეობს) და ევროვალუტის ბაზარს.

ფართო გაგებით სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზარი წარმოადგენს სასესხო კაპიტალის აკუმულაციისა და გადანაწილების ეკონომიკურ მექანიზმს მსოფლიო მასშტაბით, ე.ი. სასესხო კაპიტალის ეროვნული ბაზრებისა და ევროვალუტის ბაზრის ერთობლიობას. ამ ბაზარზე წარმოებს სასესხო კაპიტალზე მოთხოვნა-მოწოდების კონცენტრაცია მსოფლიო მეურნეობის ჩარჩოებში. სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ევოლუცია თავის გამოხატულებას მეურნეობრივი ცხოვრების ინტერნაციონალური პროცესში პოულობს.

სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის სტრუქტურა ორგანოა: ინსტიტუციონალური და ოპერაციული.

სასესხო კაპიტალის მოძრაობის ვადების მიხედვით მსოფლიო ბაზარი სამ სეგმენტად იყოფა: 1) მსოფლიო სამეფო ბაზარი; 2) მოკლევადიანი და გრძელვადიანი უცხოური კრედიტებისა და ევროკრედიტების ბაზარი; 3) ფინანსური ბაზარი.

მსოფლიო ფულადი ბაზარი წარმოადგენს ერთ წლამდე ვადით გაცემული უცხოური სესხებისა და ევროკრედიტების ბაზარს. აქ დომინირებული პიზიცია უკავია ბანკთაშორის სესხებს და ბანკთაშორის დეპოზიტებს, დეპოზიტურ სერთიფიკატებს, თამასუქებს, საბანკო აქციებებს.

მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან ფართო განვითარება ჰპოვა გრძელვადიანს და მოკლევადიანი კრედიტების ბაზარმა, რომლის შემდგომი განვითარება მიმდინარეობდა მსოფლიო ფინანსური ბაზრის, ე.ი. ობლიგაციური სესხების ბაზრის ფორმირება-განვითარების პარალელურად.

საერთაშორისო კრედიტების ფუნქციებია:

ა) სასესხო კაპიტალის ქვეყნებს შორის გადანაწილება გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად;

ბ) საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროში მიმოქცევის ხარჯების ეკონომია საკრედიტო რესურსების გამოყენებისა და უნაღლო ანგარიშსწორების განვითარების გზით;

გ) კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის დაჩქარება უცხოური კრედიტის გამოყენების გზით;

დ) ეკონომიკის რეგულირება.

საერთაშორისო კრედიტების ფორმების კლასიფიკაცია წარმოებს:

1. დანიშნულების მიხედვით: ა) კონერციული კრედიტები, გამოყენებულია საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობაში; ბ) საფინანსო-კრედიტები-ფასიანი ქაღალდების შესაძენად, საგარეო ვალის დასაფარავად, ცენტრალური ბანკების ინვესტიციების განსახორციელებლად; გ) შუალედური კრედიტები - შერეული ფორმების მომსახურებისათვის;

2. სახეების მიხედვით: სასაქონლო და სავალუტო;

3. გაცემის ტექნიკის მიხედვით: ნაღდი, სააქცეპტო, დეპოზიტური სერთიფიკატების, ობლიგაციური სესხები, კონსორციული კრედიტები;

4. სესხის ვალუტის მიხედვით: მოვალე ქვეყნის ვალუტით, კრედიტორი ქვეყნის ვალუტით ან მესამე სახელმწიფოს ვალუტით;

5. ვადების მიხედვით: მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი კრედიტები;

6. უსრუნველყოფის მიხედვით: უსრუნველყოფილი სესხები და კრედიტები;

კრედიტების კატეგორიების მიხედვით არჩევენ:

ა) კერძო (ფირმის) კრედიტებს;

ბ) საბანკო კრედიტებს;

გ) საბროკერო კრედიტებს;

დ) სამთავრობო კრედიტებს;

ე) შერეულ კრედიტებს;

ვ) საერთაშორისო სავალუტო ინსტიტუტების სახელმწიფოთაშორისო კრედიტებს

11.2. საერთაშორისო სავალურო ფონდის საკრედიტო ურთიერთობები წევრ - ქვეყნებთან

საერთაშორისო სავალუტი ფონდის (სსფ) და ზოგადად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის განხილვის გარეშე საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობების შესწავლა შეუძლებელია.

სსფ აწარმოებს სესხების გაცემას მის წევრ - ქვეყნებზე საგადასახდლო ბალანსის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. სსფ-ის სესხების დაფინანსება ძირითადად წარმოებს ფონდის ჩვეულებრივი რესურსების ანგარიშზე, გამონაკლის შემოხვევაში - ნასესხებით.

ფონდის ძირითადი ფინანსური რესურსები იქმნება წევრი ქვეყნების შენატანებისაგან. სსფ-ის თითოეულ წევრ ქვეყანას გააჩნია ნასესხობის სპეციალურ უფლებებში გამოხატული კვოტა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ამ ქვეყნების ფონდთან ურთიერთობაში. სახელდობრ, კვოტა განსაზღვრავს ფონდის წევრი - ქვეყნის შენატანების სიდიდეს, ხმების რაოდენობას, ფონდის სახსრებით დაკრედიტების უფლებას, ე.ი. ფონდის ფინანსურ რესურსებთან დაშვებას და ნასესხობის სპეციალური უფლებების (SDR) განაწილებაში მის წილს.

სსფ-ის შეთანხმების საფუძველზე კვოტის 75% გადახდილი უნდა იქნეს ფონდის წევრი - ქვეყნის ვალუტით, ხოლო 25% - სარეზერვო აქტივების სახით (SDR - ით ან სარეზერვო ვალუტით). სსფ-ის წევრ - ქვეყნის კვოტის საწყისი სიდიდის განსაზღვრა წარმოებს ამ ქვეყნის მაკროეკონომიკური მონაცემებით, სპეციალურად ამ მიზნისათვის დადგენილი ფორმულების საფუძველზე.

ბრეტონ-უუდსის ზოგადი ფორმულა:

$$Q = (0,01V + 0,25R + 0,05P + 0,2276V \times (1+C1V))$$

ამ ფორმულის გარდაქმნილი ფორმებია:

ა) $Q = (0,0065V + 0,205125R + 0,78P + 0,4052vc \times (1 + C/V));$

ბ) $Q = (0,0045V + 0,389668R + 0,07P + 0,7697vc \times (1 + C/V));$

გ) $Q = 0,005V + 0,04228046R + 0,044(P+C) + 0,8352vc;$

დ) $Q = 0,045v + 0,05281008R + 0,039(P + C) + 1,0432vc.$

- სადაც: Q - არის კვოტა;
 V - მთლიანი შიდა პროდუქტი;
 R - რეზერვის საშუალო თვიური დონე;
 P - მიმდინარე გადასახადები საშუალო-წლიური თანხა;
 C - მიმდინარე შემოსულობათა საშუალო-წლიური თანხა;
 VC მიმდინარე შემოსულობათა ცვლილებები, რომელიც განისაზღვრება როგორც სტანდარტული გადახრა ხუთწლიანი მცროცავი საშუალო სიდიდისაგან.

კვოტის პირველი გაანგარიშებისათვის რამდენიმე ფორმულის გამოყენება გამოწვეულია სხვადასხვა ქვეყნის კვოტების გამოთვლის მანუერირებისათვის. სსფ-ის აპარატი მიღებულ შედეგებს უდარებს ფონდის სხვა წვერი ქვეყნების შესაბამის მონაცემებს (მსგავსი ქვეყნების მონაცემებს) და იძლევა მისაყენებელი კვოტის რეკომენდაციას, რომელსაც იხილავს ფონდის აღმასრულებელი კომიტეტის საბჭო. მომავალ წვერ-ქვეყნებთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ რეკომენდაცია განიხილება აღმასრულებელი საბჭოს სრული შემადგენლობის მიერ და ბოლოს, სსფ-ის მმართველთა საბჭოს ეგზავნება რეზოლუცია განსახილველი ქვეყნის სსფ-ის წევრობის შესახებ. საყურადღებოა, რომ ხუთ წელიწადში ერთხელ წარმოებს კვოტების ყოველმხრივი გადასინჯვა.

სსფ-ის მის წვერ ქვეყნებს ფინანსურ დახმარებას უწევს დაფინანსების პოლიტიკისა და მექანიზმების სხვადასხვა ფორმით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ძირითადად საგადასახდელო ბალანსის პრობლემათა ტიპებით, რომელთა სალიკვიდაციოდ არის ისინი გამიზნული.

სსფ-ის 1962 წლიდან თავის რესურსებს პერიოდულად ავსებს ნასესხები სახსრებით. იმის გამო, რომ კვოტებით შექმნილი საშუალებები ყოველთვის არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, თანაც სსფ-ის წვერი ქვეყნების დაშვება სხვადასხვა საკრედიტო მექანიზმთან სულ უფრო თავისუფალი ხდება. სწორედ ამიტომ სსფ-ის ლიკვიდობა პერიოდულად განიცდის სიძნელეებს, უფრო მეტიც, ფონდს საჭიროდ მიაჩნია ამა თუ იმ ქვეყნის საგადასახდელო

შეწონასწორების დროებით დარღვევისას დამატებითი მოცულობის კრედიტებზე მოთხოვნა განხილული იქნეს, როგორც დროებითი და პრობლემის დაფინანსება მოხდეს დროებითი სესხის ანგარიშზე და არა ფონდის მოცულობის გადიდების გზით.

სსფ-ში სესხების მიღების გაკონტროლება წარმოებს პერიოდული მიმოხილვების გზით, რომლებსაც აღმასრულებელი საბჭო აწარმოებს არსებული წესების შესაბამისად, დაუფარავე სესხებისა და გამოუყენებელმა თანხამ არ უნდა გადაამეტოს სსფ-ის კეოტების საერთო თანხის 50-60%-ს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ეს პროცენტი ფაქტობრივად არაერთხელ არ აღემატება 18-20%-ს, რაც განპირობებულია ამ მიზნით აკუმულირებული თანხის მაღალი ლიკვიდობით, რის გამოც სსფ-ის მიერ დროებით სესხების გაცემის ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ამ თანხების გამოყენების შესაძლებლობა აყვანილია კრედიტორების საერთაშორისო რეზერვების დონეზე.

სსფ-ის მიერ 1962 წლიდან დაწესებულია სესხების შესახებ საერთო შეთანხმების უნიფიცირებული ფორმა. ფონდის პრაქტიკაში მიღებულია საერთო შეთანხმებების პერიოდული გადასინჯვა (1964, 1984 და 1992 წწ.). ამასთან საერთო შეთანხმებები უცვლელი რჩება გარკვეული (5 წლის) პერიოდის მანძილზე. სხვა საერთო რესურსებისა და სპეციელური ანაზღაურების ანგარიშებიდან ფინანსურ დახმარებას გასცემს წევრ-ქვეყნების საგადასახდელო ბალანსის სფეროში საერთო ამოცანების გადასაწყვეტად; აგრეთვე მუდმივი დაფინანსების მექანიზმების ფარგლებში კონკრეტული მიზნებისათვის (გაუთვალისწინებელი შემთხვევების საკომპენსაციო დაფინანსების მექანიზმები და ბუფერული მარაგებისა და გაფართოებული დაფინანსების მექანიზმები) და დროებითი მექანიზმის სახით. დამატებითი დაფინანსების მექანიზმი შეიქმნა 1979 წლის თებერვალში.

სსფ-ის წევრ-ქვეყნებს თავდაპირველად ეხმარება მხოლოდ ე.წ. ტრანშის პოლიტიკის საფუძველზე. სსფ-ის სხვა სახის დახმარების მოქნილ პილიტიკას მაშინ მიმართავს, როცა წევრ-ქვეყნების ფინანსური მდგომარეობა მოითხოვს გადაუდებელ დახმარებას. სსფ-ის მის წევრ-ქვეყნებზე დახმარების მუდმივი მექანიზმის წყაროა

ფონდის ჩვეულებრივი სახსრები, ხოლო დროებითი დახმარების წყაროს წარმოადგენს ნასესხები ფულადი საშუალებები.

როდესაც სსფ-ის წვერი ქვეყანა იყენებს ფონდის სახსრებს, იგი საკუთარი ვალუტით ყიდულობს სხვა წვერი ქვეყნების ვალუტას ან SDR-ს, რომელიც სსფ-ის საერთო რესურსების ანგარიშზე ირიცხება. სსფ-ის ფონდიდან მიღებული დახმარებით იზრდება წვერი ქვეყნის სავალუტი რეზერვი ფონდში და შესაბამისად მცირდება ფონდის აქტივების მოცულობა სხვა კონცენტრირებად ვალუტასა და ნასესხობის სპეციალურ უფლებებში.

სსფ მისი ძირითადი საკრედიტო პოლიტიკის პრინციპების შესაბამისად წვერ-ქვეყნებს აძლევს სესხებს ოთხი ტრანშის სახით, რომელიც საპროცენტო კვოტის 25%-ის ტოლია. საკრედიტო ტრანშების შესყიდვა სსფ-ის წვერი ქვეყნის მიერ ხორციელდება ეკონომიკურ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, საგადასახდლო ბალანსის სფეროში ფინანსური სიძნელეების აღმოსაფხვრელად. საყურადღებოა, რომ პირველი და სხვა მომდევნო საკრედიტო ტრანშების მეშვეობით დასაფინანსებელი ღონისძიებები გამოირჩევა პრობლემათა სირთულით, ე.ი. ისინი მიმართულია უფრო სერიოზული პრობლემების გადასაწყვეტად.

სსფ-ის წვერ ქვეყანას შეუძლია ფონდში პირველი საკრედიტო ტრანშის ანგარიშზე დაუყონებლივ შესყიდოს კონვერტირებადი ვალუტა ან SDR, მაგრამ ჩვეულებრივ მათი შესყიდვა ხორციელდება სარეზერვო ან გაფართოებული კრედიტის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რომლებიც ატარებენ საკრედიტო ხაზის ხასიათს. როცა წვერ-ქვეყანას ეძლევა იმის გარანტია, რომ მას შეუძლია სსფ-ის კრედიტით სარგებლობა, დაწესებულ საზღვრებში და წინასწარ დათქმულ დროში იმ პირობით, რომ იგი სრულად დაიცავს მიღწეული შეთანხმების დებულებებს. კრედიტის შესახებ ასეთი შეთანხმებას „სტენდ-ბაი“ ეწოდება, რომელიც, როგორც წესი, იდება ერთი წლიდან წელიწადნახევრამდე ვადით, ხოლო გაფართოებულ კრედიტზე შეთანხმება 3 წლით.

ჩვეულებრივ წვერი-ქვეყნების მიერ საკუთარი ვალუტის გამოსყიდვა, რომელიც სსფ-მა შეიძინა კრედიტის შესახებ „სტენდ-ბაი“ შეთანხმების ფარგლებში, რვა

ყოველკვარტალური გადასახდელის სახით, რომლებიც იწყება სესხის მიღებიდან 3 წლისა და 3 თვის შემდეგ და შესაბამისად მთავრდება კრედიტის მიღების შემდეგ 5 წელიწადში.

სსფ-ის პრაქტიკაში 1974 წლის სექტემბრიდან შემოღებული იქნა მისი წვერი ქვეყნების გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მათი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უფრო დიდი მასშტაბებით დაკრედიტებას საგადასახდლო ბალანსის წონასწორობის დარღვევის აღსაკეცად, თუ ის გამოწვეულია წარმოების სტრუქტურული დაუბალანსებლობით. ხანგრძლივი ვადით კრედიტის მისაღებად საჭიროა წვერ-ქვეყანამ სსფ-ს წარუდგინოს კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა, სადაც პირველი 12 თვისათვის აუცილებელია გათვალისწინებული ღონისძიებების დეტალური პროგრამის წარდგენა.

სსფ 1989 წლიდან განსაკუთრებულ როლს თამაშობს დავალიანებათა შესამცირებლად ღონისძიებათა შემუშავებაში. თავის წვერ-ქვეყნებს სსფ ეკონომიური პოლიტიკის საკითხებში კონსულტაციასთან ერთად ფინანსურ დახმარებასაც უწევს. სსფ-ის მხრივ დავალიანებათა შესამცირებელი ღონისძიებების განხორციელებაში დახმარება განპირობებულია იმით, რომ ქვეყანას გააჩნია გარდაქმნის საშუალოვადიანი პროგრამა, რომელშიც დომინირებს სტრუქტურული რეფორმები, რომელიც მიღებულია საკრედიტო შეთანხმების შესახებ ხელშეკრულებით.

სსფ-ში 1986 წლის მარტში მიღებულ იქნა კრედიტის გაცემის მექანიზმი იმ განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთაც შემოსავლების დაბალი დონე გააჩნიათ. ასეთი შეღავათიანი სესხები გაიცემა საგადასახდლო ბალანსის სფეროში. ამ მექანიზმით სარგებლობის უფლება მოპოვებული აქვს 62 ქვეყანას, რომელთაც გააჩნიათ საგადასახდლო ბალანსის სიძნელეები ხანგრძლივი პერიოდისათვის. ასეთ ქვეყნებს შეუძლიათ 3 წლის მანძილზე მიიღონ სსფ-ში მათი კვოტის 50%-ის ოდენობით, მეორე წელს - 20%-მდე და მესამე წელს 15%-მდე. ამრიგად, სსფ-ის ფულადი საშუალებები - წვერი-ქვეყნების ვალუტებისა და SDR თანხა, რომლებიც იქმნება საწვეროებითა და სესხებით, ფონდის მიერ წვერი-

ქვეყნებისათვის გასაცემი სესხების დაფინანსების წყაროდ გამოიყენება.

ასეთი სახსრები თავს იყრის სსფ-ის საერთო რესურსების ანგარიშზე. ამ ანგარიშებიდან წარმოებს ფონდის ფინანსური ოპერაციებიც, რომელთა მიზანია გაუწიოს წვერ-ქვეყნებს დროებითი ფინანსური დახმარება საგადასახდელო ბალანსის სფეროში სიძნელეების გადასალახავად. სსფ-ის ოფიციალური ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ წვერ-ქვეყნების ოფიციალურ ორგანოებთან - ხაზინასთან, ცენტრალურ ბანკთან, ვალუტის სტაბილიზაციის ფონდთან.

სსფ-ის ფინანსურ რესურსებთან წვერ-ქვეყნების დაშვების რეგულირების წესი ყველასათვის ერთნაირია. წვერ-ქვეყანა, რომელსაც ესაჭიროება უცხოური ვალუტა მიმდინარე ოპერაციების გადასახდელად, მოვალეა სსფ-ს წარუდგინოს მითხოვნა ფინანსურ სახსრებზე და საგადასახადო ბალანსისა და საერთაშორისო ლიკვიდური რესურსების მიძიმე მდგომარეობის დამადასტურებელი მასალები. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ქვეყანა ღებულობს, ან ყიდულობს მისთვის საჭირო ვალუტას ან SDR-ს საკუთარი ეროვნული ვალუტით. ამ ოპერაციით სსფ ზრდის წვერ-ქვეყნის ეროვნული ვალუტის მარაგს და ამცირებს სარეზერვო ვალუტათა მარაგს.

სსფ-ს საკრედიტო რესურსებთან მისი წვერ-ქვეყნების დაშვება განპირობებულია, ერთის მხრივ, მათი საგადასახდელო ბალანსის გაჯანსაღებისათვის საჭირო აუცილებელი სახსრების მოთხოვნის; სიდიდითა და მეორეს მხრივ ამ წვერ-ქვეყნების მზადყოფნით იმისათვის, რომ შეასრულონ სსფ-ის პირობები.

ეს დაშვება შეზღუდულია გარკვეული პირობებით. წესდებაში ისინი თავდაპირველად ასე იყო სამოყალიბებული:

1. წვერ-ქვეყნის მიერ მოთხოვნილი თანხა უცხოურ ვალუტაში, რომელიც მიღებული უნდა იქნეს 12 თვის განმავლობაში და არ უნდა აღემატებოდეს ამ სახელმწიფოს კოტის სიდიდის 25%-ს;

2. ამ ქვეყნის ვალუტის საერთო თანხა საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტივებში არ უნდა აღემატებოდეს მისი კოტის მოცულობის 200%-ს.

70-იან წლებში სსფ-ს შეტანილი ცვლილებებით ფონდიდან 12 თვეში შესასყიდი ვალუტის კვოტის მოცულობის 25%-ით შეზღუდვა გაუქმდა. დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ წვერი ქვეყანა მოვალეა ფონდიდან უკან შეისყიდოს თავისი ეროვნული ვალუტა SDR-ით ან უცხოური ვალუტით. ადრე აღებული კრედიტის დაფარვა უნდა მოხდეს ვალუტის შესყიდვიდან სამნახევარი წლიდან 5 წლამდე ვადაში. ამასთან, მითითებულია, რომ წვერი ქვეყანა მოვალეა, თუ ამის საშუალებას იძლევა საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, ვადაზე ადრე მოახდინოს ეროვნული ვალუტის გამოსყიდვა, ხოლო სსფ, თავის მხრივ, უფლებამოსილია მოითხოვოს მისგან ამ ოპერაციის განხორციელება.

კრედიტი მაშინაც ითვლება დაფარულად თუ სსფ-ში არსებული დავალიანების წვერი-ქვეყნების ეროვნული ვალუტა სხვა წვერმა-ქვეყანამ შეისყიდა. სსფ-ის წვერი-ქვეყნების ფონდის საკრედიტო ფინანსურ რესურსებთან სხვადასხვა საკრედიტო მექანიზმის ფარგლებში დაშვება შესაძლებელია ღიმიტებით, რომლებიც თითოეულისათვის დაწესებულია მათი კვოტირების მოცულობის გათვალისწინებით.

სარეზერვო წილი: სსფ-ის წვერი ქვეყნის უცხოური ვალუტის პირველი წილი შეადგენს 25%-ს, რომელმაც მიიღო „ოქროს წილის“ სახელწოდება. ეს იმით იყო განპირობებული, რომ საწყის პერიოდში სსფ-ში თავისი კვოტა შექონდათ ოქროს ან სარეზერვო ვალუტის სახით 70-იანი წლების შემდეგ, როცა შეწყდა შეტანა, ეს სახელწოდება შეიცვალა ტერმინით „სარეზერვო წილი.“ ეს წილი განისაზღვრება, როგორც წვერი ქვეყნის მოცულობის გადამეტება სსფ-ის განკარგულებაში არსებული ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტის მარაგებზე. თუ სხვა ეროვნულ ვალუტას სესხად გასცემს სხვა წვერ-ქვეყანაზე, მაშინ ამ ეროვნული ვალუტის წვერ-ქვეყანას ავტომატურად ეზრდება სარეზერვო წილი. წვერმა-ქვეყანამ სარეზერვო წილის ფარგლებში შეიძლება პირველი მოთხოვნისთანავე მიიღოს სსფ-ის სახსრები. ასეთი სახსრების შესყიდვისას საჭირო არ არის ფონდთან წინასწარ შეთანხმება.

სსფ-ის ფინანსურ დახმარებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სტრუქტურულ გარდაქმნათა

გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის შემოღება 1987 წლის დეკემბრისათვის. იგი ეძლევა უღარიბეს ქვეყნებს, რომლებიც ახორციელებენ მაკროეკონომიკური სტაბილსაციის 3-წლიან პროგრამებს. აღნიშნული სესხების მიღების უფლება გააჩნიათ 70 განვითარებად ქვეყანას. კრედიტის მოცულობა დამოკიდებულია საგადასახდელო ბალანსის მოთხოვნით. თანაც მაქსიმალური კრედიტი განსაზღვრულია კეოტის 190%-ის ოდენობით სამწლიანი ხელშეკრულებით. გამონაკლის შემთხვევაში კრედიტის მოცულობამ შეიძლება მიაღწიოს კეოტის 255%-ს.

1963 წლის თებერვლიდან სსფ-ში შეიქმნა სპეციალური დაფინანსების მექანიზმი - სკომპენსაციო დაფინანსების მექანიზმი, რომელმაც 1988 წლის აგვისტოში განიცადა ტრანსფორმაცია და იგი გაერთიანდა გაუთვალისწინებელ საგარეო შემთხვევათა დაფინანსების მექანიზმთან. დახმარება ეძლევა იმ წევრ-ქვეყნებს, რომელთა საფადასახდელო ბალანსის სირთულეები გამოწვეულია იმ ქვეყნებისაგან დამოუკიდებელი მიწების გამო საექსპორტო ვაჭრობასთან შემოსავლების შემცირებით. ამ დახმარების მექანიზმს 1989 წლის მაისში დაემატა იმ ქვეყნების ფინანსური დახმარება, რომელთა საგადასახდელო ბალანსის სიძნელეები გამოწვეულია მართვის იმპორტთან დაკავშირებული ხარჯები.

1969 წლის ივნისში შეიქმნა ბუფერული მარაგების დაფინანსების მექანიზმი. ამ მექანიზმით დახმარება ეძლევა სსფ-ის იმ წევრ-ქვეყნებს, რომლებსაც საგადასახდელო ბალანსის სიძნელეები შეექმნათ სანედლეულო საქონლის ბუფერული მარაგებისათვის დამტკიცებული საწევრო დაფინანსებით. საერთაშორისო ბუფერული მარაგებისათვის კრედიტის საერთო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს კეოტის 35%-ს. დღეისათვის სსფ-ს დამტკიცებული აქვს მისი რესურსების გამოყენება კაკაოს ნატურალური კაუჩუკისა და საქრის ბუფერული მარაგების შესაქმნელად.

1993 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით შეიქმნა სისტემური გარდაქმნების დაფინანსების მექანიზმი, რომლითაც დახმარება გაეწევა სსფ-ის წევრ ქვეყნებს, რომელთაც საგადასახდელო ბალანსის ფინანსური მდგომარეობა გაუუარესდათ ტრადიციული საგარეო ვაჭრობის კავშირების დარღვევისა და ამის ნიადაგზე

საბაზრო ფასების გადიდების შედეგად. აქ შედის ყოფილი ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოს წევრი წევრები და ყოფილი სსრკაეშირის წევრი-სახელმწიფოები.

113. ექსპორტ - იმპორტის დაფინანსება

თანამედროვე პირობებში საბანკო კრედიტის გარეშე, როგორც წესი, ქვეყნის ექსპორტის და იმპორტის განვითარება. სასესხო კაპიტალის შიდა ბაზარზე საგარეო ვაჭრობის დაკრედიტება სვეულბერივი პარამეტრებით მიმდინარეობს. ამასთან, ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება სპეციალური საკრედიტო მექანიზმი, რომელიც გამიზნულია საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის. ექსპორტიორები თავიანთ მყიდველებს არა მარტო საქონელსა და მომსახურებას სთავაზობენ, არამედ საქონლის (მომსახურების) ყიდვის დაფინანსებასაც. სესხებს სთავაზობენ უცხოეთის ქვეყნების მყიდველებს და თვით საქონლის მიმწოდებელსაც, რითაც ექსპორტიორებს საშუალებას ეძლევა მოახდინონ გადასახდელთა გადაადება საქსპორტო სესხების საპროცენტო განაკვეთები, როგორც წესი, დაბალია. სწორედ ამის შედეგია ის, რომ თანამედროვე პირობებში ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ტემპი მაღალია. საერთაშორისო კრედიტი ორივე ქვეყანას (მყიდველს და გამყიდველს) უწყობს ხელს, ასტიმულებს როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კომერციულ ინტერესებს (მოგების მაქსიმიზაციას).

საგარეო - ეკონომიკური კავშირების საკრედიტო მომსახურების სპეციფილურ ფორმებს წარმოადგენს ოპერაციები: ლიზინგი, ფაქტორინგით და ფორფეიტრებით.

ლიზინგი წარმოადგენს უძრავ-მოძრავი ქონების იჯარის შესახებ შეთანხმების სამიდან თხუთმეტ წლამდე. ლიზინგი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, გამოიყენება ხანგრძლივი გამოყენების საქონელთა იჯარით გაცემის დროს. ლიზინგი ეს არის კრედიტი, რომელიც მანქანა მოწყობილობათა შესაძენად გაიცემა, რომელიც იფარება დათქმულ ვადაში;

ფაქტორინგი წარმოადგენს სპეციელიზებულ საფინანსო კომპანიის მიერ ექსპორტის მიერ უცხოელი იმპორტიორის ყველა ფულადი ვალდებულებების შესყიდვას კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის 70-90%-ის ფარგლებში მათი ანაზღაურების ვადის დადგომამდე. ფაქტობრივად ფაქტორინგული კომპანია წარმოადგენს სპეციელზებულ საფინანსო დაწესებულებას, რომელიც მრავალნაირ მომსახურებას უწევს ექსპორტიორს მისი საქონლის რეალიზაციის საქმეში კრედიტის გამოყენებით.

ფორფეიტინგი არის საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების დაკრედიტება ექსპორტიორისაგან იმპორტიორის მიერ აქცეპტებული თამსუქების შესყიდვის ფორმით.

საყურადღებოა, რომ ფორფეიტინგის საფუძველზე გარიგებებმა გაახანგრძლივეს ექსპორტიორის მიერ მყიდველების დაკრედიტების ვადა სათამასუქო კრედიტის პირობით.

1. მყიდველის ავანსები, რომელსაც იმპორტიორები ამა თუ იმ ქვეყნის უცხოელ მწარმოებლებსა და ექსპორტიორებს უწევენ. მაგ., ერთი ქვეყნის ელექტროტექნიკური ფირმა ავანსს იღებს უცხოელი შემკვეთისაგან შეკვეთის ღირებულების ერთი მესამედით ან ერთი მეოთხედის მოცულობით. დიდია მყიდველის ავანსის მნიშვნელობა იმაში, რომ იგი უცხოელი შემკვეთების ვალდებულებათა უზრუნველყოფის ფორმას წარმოადგენს და თანაც ექსპორტიორის კაპიტალის დაგროვების წყაროა;

2. საბანკო დაკრედიტების ფორმით. ა) ექსპორტიორ ქვეყანაში უზრუნველყოფის ფორმით გაიცემა საბანკო კრედიტი, რომელიც ხელს უწყობს ექსპორტიორს მოახდინოს საექსპორტო საქონლის თავმოყრა და მისი საექსპორტოდ მომზადება; ბ) საბანკო სესხები გაიცემა იმ საქონლის ქვეშ, რომელიც გ'საშტ იმყოფება; გ) იმპორტიორ ქვეყანაში სესხების გაიცემა საქონლის ან სასაქონლო დოკუმენტების ქვეშ.

იმპორტის დაკრედიტებს წარმოებს კომერციული და საბანკო კრედიტის ფორმით. კომერციული ან საფინანსო კრედიტი ორი სახისაა:

1. კრედიტი ღია ანგარიშით. ასეთი სახის კრედიტი გამოიყენება საქონლის რეგულარული მიწოდების

შემთხვევაში დავალიანების პერიოდულად დაფარვის მიზნით;

2. სათამასუქო კრედიტის შემთხვევაში ექსპორტიორი, რომელსაც საქონლისა და მომსახურების მიწოდების გარიგების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, იმპორტიორს წარუდგენს ტრატას (გადასაყვან თამასუქს). იმპორტიორი, მიიღო რა სასაქონლო დოკუმენტები, ახდენს ტრატას აქცეპტირებას, ე.ი. იღებს ვალდებულებას თამასუქი დაწესებულ გადაში გაანაღდოს.

იმპორტზე გაცემული საბანკო კრედიტი იყოფა:

1. სააქცენტო კრედიტად - ე.ი. ისეთ კრედიტად, რომელიც გაიცემა ექსპორტიორის ტრატას განაღდების აქცეპტირებისას, ან იმპორტიორი ბანკის შეთანხმებით;

2. აქცეპტურ - რამბურსული კრედიტი, ბანკის მიერ თამასუქის აქცეპტი იმპორტიორის მომსახურე უცხოელი ბანკისაგან გარანტიის მიღების პირობით.

კრედიტორის კატეგორიების გათვალისწინებით განასხვავებენ საერთაშორისო სესხების შემდეგ სახეებს: საფირმო (კერძო) კრედიტი, საბანკო კრედიტი, საბროკერო კრედიტი, სამთავრობო კრედიტი, შერეული კრედიტი, საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტების სახელმწიფოთაშორისო კრედიტი.

საფირმო (კერძო) კრედიტი ექსპორტის მიერ გაიცემა უცხოელ იმპორტიორზე საქონლის შესაძენი გადასახდელის გადავადების სახით. იგი ფორმდება თამასუქით ან ღია ანგარიშით;

სათამასუქო კრედიტის შემთხვევაში ექსპორტიორი იმპორტიორს წარუდგენს გადასაყვან თამასუქს (ტრატას), რომლის აქცეპტირებას ეს უკანასკნელი ახდენს კომერციული დოკუმენტების მიღებისას;

კრედიტი ღია ანგარიშით დაფუძნებულია ექსპორტიორის იმპორტიორთან შეთანხმებაზე მყიდველის ანგარიშზე მისი დავალიანების ჩაწერისა და კრედიტის დაწესებულ ვადაში დაფარვის შესახებ;

საბანკო საერთაშორისო სესხი ბანკის მიერ ეძლევა ექსპორტიორებსაც და იმპორტიორებსაც სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გირაოთი;

საბროკერო კრედიტი არის შუალედური ფორმა საფირმო და საბანკო კრედიტებს შორის. ბროკერები

ბანკისაგან იღებენ სესხს, რითაც ამ უკანასკნელთა როლი ეცემა;

სახელმწიფოთაშორისი კრედიტი გაიცემა მთავრობათა შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე.

უკანასკნელ პერიოდში მოვლენები რადიკალურად შეიცვალა - ფაქტობრივად ცალკეული ქვეყნების ე.წ. „თვითშემოქმედება“ ექსპორტ-იმპორტის განვითარებისათვის შეღავათიანი საბანკო სესხების გაცემაში, შეიცვალა მათი შემცირების პოზიციით. 80-იანი წლებიდან თანდათანობით მოისპო საგალუტო საკრედიტო სფეროში საექსპორტო კრედიტის უპირატესად განვითარების ხელშემწყობი პირობები და მიღწეული იქნა საერთაშორისო დონეზე საექსპორტო სესხების განაკვეთების საწესების საქმეში კონსენსუსი და იგი მიუახლოვდა საბაზრო დონეს. აქ საინტერესო ფაქტს აქვს ადგილი. იმ მიზნით, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს თავიდან აეცილებინათ ექსპორტის დაფინანსებისას კინკურენციული ბრძოლა და შეემცირებინათ სახელმწიფო ფინანსების დამატებითი დანახარჯები, რომლებიც თან ახლავს დოტაციურ დაფინანსებას, 1982-1988წწ. შეამცირეს საექსპორტო კრედიტის სფეროში გავრცელებული შეღავათები.

90-იანი წლებიდან საექსპორტო კრედიტი ჩართული იქნა ბანკებს შორის ჩამოყალიბებული თავისუფალი კონკურენციის ბრუნვაში, სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე - ეხება ეს, როგორც მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე გაცემულ სესხებს, ასევე განვითარებად ქვეყნებზე შეთავაზებულ საექსპორტო კრედიტს.

ცალკე უნდა აღინიშნოს მოწყობილობების დაფინანსებისათვის გაღებული საბანკო სესხი ექსპორტიორ საწარმოს მანამ, სანამ აწარმოებს შეკვეთილ მოწყობილობას, მიეცემა წინასწარი დაფინანსების სესხები მყარი საპროცენტო განაკვეთებით. საპროცენტო განაკვეთებს სტაბილიზაცია უპირატესად მიიღწევა ხაზინის მეშვეობით.

სახელმწიფოთაშორისი კრედიტისათვის გაცემული ხაზინის სესხები ფართოდ ვითარდება განვითარებად ქვეყნებში გავლენის სფეროების მოპოვებისათვის, რომელიც უპირატესად წარმოდგენილია ექსპორტის მოცულობის

გასადიდებლად, ე.ი. განვითარებადი ქვეყნის ბაზრის დასაპყრობად.

ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნები დიდ ყურადღებას აქცევენ საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელებას. საექსპორტო კრედიტების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სისტემა ფართოდ განვითარდა XX-ს-ის 50-იანი წლებიდან. დღეისათვის ხუთი მოწინავე ქვეყნის (ა.შ.შ., დიდი ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი) მიერ საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების დაახლოებით 75% ხორციელდება, მ.შ. საექსპორტო სესხების 70% განვითარებად ქვეყნებზე ნაწიდება.

80-იანი წლების შუა პერიოდიდან, მთელ მსოფლიოში სახელმწიფო კრედიტების როლი შესამჩნევად შემცირდა. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ეს ვითარება ცენტრიდანულმა პროცესებმა გამოიწვია, რაც სისტემის სრული დემონტაჟით დამთავრდა.

განვითარებული ქვეყნების მიერ საექსპორტო ოპერაციების დაკრედიტების შემცირება რამდენიმე გარემოებამ განაპირობა, კერძოდ:

1. პოლიტიკური არედან მთავარი მოწინააღმდეგის (სოციალისტური ქვეყნების) გაქრობამ გასაღების ახალი ბაზრები გამოაჩინა და ექსპანსიის პოლიტიკა შედარებით იაფი მეთოდებით გახდა შესაძლებელი;
2. სახელმწიფო დაკრედიტების ტრადიციული სფეროები საბანკო და საფირმო დაკრედიტების არეალში მოექცა;
3. მთლიანი შიდა პროდუქტის დაფინანსებაში მსოფლიო ბანკის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა და სხვ.

მიუხედავად იმისა, ექსპორტის სახელმწიფო დაკრედიტებამ არსებითი მნიშვნელობა მაინც შეინარჩუნა. ამასთან იგი საერთაშორისო ინსტიტუტების ნორმებისა და შეთანხმებების მკაცრი რეგულირების ობიექტი გახდა. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება.

დიდ ბრიტანეთში საექსპორტო კრედიტების მომსახურების სპეციალური სამმართველო ფუნქციონირებს, რომელიც ქვეყნის ექსპორტიორებს კრედიტუნარიანობის გარანტიას თავდების გაცემით აძლევს. მისი შუამავლობა საექსპორტო კრედიტების მასშტაბურ რეფინანსირებას

(ძველი გრძელვადიანი ვალის დაფარვა ახალი გრძელვადიანი სესხით) უზრუნველყოფს.

აშშ-ში ფუნქციონირებს საექსპორტო-საიმპორტო ბანკი, რომლის ძირითადი ფუნქცია არის გრძელვადიანი საექსპორტო კრედიტების რეფინანსირება და გარანტიები. იგი იძლევა პირდაპირ კრედიტებსაც (საგარეო საეაჯრო გარიგებათა ღირებულების 30-35%-ის ფარგლებში). ბანკის საწესდებო და სარეზერვო კაპიტალი ქვეყნის ბიუჯეტიდან ივსება. თუმცა მოცემული ბანკი თავის ძირითად საკრედიტო რესურსებს თვითონ ქმნის. ამისათვის კი სახელმწიფო ბანკების გარანტიებით სარგებლობს. ყოველ ხუთ წელიწადში აშშ-ის კონგრესი საექსპორტო-საიმპორტო ბანკის კრედიტებისა და დახდევის ზღვრულ თანხებს ამტკიცებს.

საფრანგეთში სახელმწიფო მხარს უჭერს მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში გრძელვადიანი (7 წელზე მეტი ხნით) საექსპორტო კრედიტების გაცემისა და მათ რეფინირებას. დანარჩენი ექსპორტი კომერციული ბანკებით ფინანსდება.

გერმანიაში ფირმა-ექსპორტიორები თვითონ ფლობენ მნიშვნელოვან საკუთარ კაპიტალს და ტრადიციულად, კომერციულ ბანკებთან მჭიდრო კონტაქტი აქვთ. ამის გამო, ექსპორტის სახელმწიფო დაკრედიტებამ დიდ განვითარებას ვერ მიაღწია. საექსპორტო კრედიტების საერთო თანხაში სახელმწიფოს ხვედრითი წილი მხოლოდ 20-25%-ია.

იაპონიაში საექსპორტო-საიმპორტო კრედიტების სპექტრი ძალზე მრავალფეროვანია. კერძოდ: ექსპორტის პირდაპირი დაფინანსება, საფირმო კრედიტების რეფინანსირება, სახელმწიფო კრედიტების გაცემა და სხვ. კრედიტის ოდენობა კონტრაქტის თანხის 70%-მდეა.

საექსპორტო ოპერაციების დაკრედიტების განვითარებული ქვეყნების გამოკვლევა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ: - ექსპორტის მოკლევადიან დაკრედიტების, უმთავრესად კომერციული ბანკები ახორციელებენ. თუმცა მათი კრედიტები შეზღუდულია, ხშირად კი არასაკმარისი:

- საშუალო და გრძელვადიან კრედიტებზე მოთხოვნა უფრო იზრდება;

ფორმების საკრედიტო მოთხოვნებში მომხდარმა ცვლილებებმა ახლებური მიდგომები წარმოშვეს, რომლებიც სახელმწიფოს როლს მნიშვნელოვნად აძლიერებს. შედარებით გავრცელდა განსაკუთრებული, სპეციალიზებული საფინანსო ინსტიტუტების შექმნის პრაქტიკა. ისინი შეიძლება იყოს სახელმწიფოს სტრუქტურები, შერეული საკუთრების ან მთავრობათა უფლებამოსილების სტატუსის მქონენი, რომლებიც, ყველა შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ კონტროლდება. მრავალ ქვეყანაში სწორედ ამგვარი საფინანსო ინსტიტუტები გასცემენ საექსპორტო კრედიტებს (უპიტრატესად, საშუალო და გრძელვადიანს), ეწვეიან კომერციული ბანკების საექსპორტო კრედიტების რეფინანსირებას და იმპორტის დაკრედიტებას.

კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რაში მდგომარეობს საერთაშორისო კრედიტის თავისებურებები?
2. დაახასიათეთ სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ინფრასტრუქტურა.
3. რა ძირითად ფუნქციებს ასრულებს საერთაშორისო კრედიტი?
4. რა ძირითადი ნისნების მიხედვით წარმოებს საერთაშორისო კრედიტის კლასიფიკაცია?
5. რაში მდგომარეობს “ბუფერული მარაგების დაფინანსების მექანიზმის” არსი?
6. როგორ წარმოგვიდგება რეტონ-ეუდსის სოგადი ფორმულა?
7. რომელი ოპერაციები წარმოადგენს საგარეო-ეკონომიკური კავშირების სპეციფიკურ ფორმებს?
8. რა ტენდენციები შეიმჩნევა განვითარებული ქვეყნების საექსპორტო ოპერაციების დაკრედიტებაში?

ტესტები

1) სასესხო კაპიტალის მოძრაობა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში, რომელიც დაკავშირებულია საგაღუტო და სასაქონლო რესურსების გაცემასთან დაბრუნებადობის, ვადიანობის, უზრუნველყოფისა და პროცენტის გადახდის პირობებში, არის

- ა. მსოფლიო კრედიტი;
- ბ. კაპიტალის საერთაშორისო გადინება;
- გ. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა;
- დ. საერთაშორისო კრედიტი.

2) სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის სტრუქტურა ორგვარია

- ა. ინსტიტუციონალური და კონსტიტუციური;
- ბ. ფაქტობრივი და ვირტუალური;
- გ. მიმდინარე და ოპერატიული;
- დ. ინსტიტუციონალური და ოპერატიული.

3) დანიშნულების მიხედვით საერთაშორისო კრედიტის სახეს არ მიეკუთვნება

- ა. კომერციული კრედიტი;
- ბ. საბანკო კრედიტი;
- გ. საფინანსო კრედიტი;
- დ. შუაღედური კრედიტი.

4) სსფ-ის შეთანხმების საფუძველზე წევრი ქვეყნების ვალუტით გადახდილი უნდა იქნეს კეოტის

- ა. 75 %;
- ბ. 80 %;
- გ. 70 %;
- დ. 85 %.

5) კრედიტის შესახებ შეთანხმებას, როცა წევრ ქვეყანას ეძლევა იმის გარანტია, რომ მას შეუძლია სსფ-ის კრედიტით სარგებლობა, დაწესებულ სასაღვრებში და წინასწარ დათქმულ დროში იმ პირობით, რომ იგი სრულად დაიცავს მიღწეული შეთანხმების დებულებებს, ეწოდება

- ა. მიზნობრივი კრედიტი;
- ბ. გეგმიური კრედიტი;
- გ. სტენდ-ბაი;
- დ. დენონსაცია.

6) სსფ-ის ფინანსურ დახმარებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – სტრუქტურულ გარდაქმნათა გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი შემოღებული იქნა

- ა. 1985 წელს;
- ბ. 1987 წელს;
- გ. 1992 წელს;
- დ. 1995 წელს.

7) სსფ-ის მიერ ბუფერული მარაგების დაფინანსების მექანიზმი, რომლითაც დახმარება ეძლევა წევრ-ქვეყნებს, რომ-

ლებსაც საგადასახდელო ბალანსის სიძნელეები შეექმნათ სანედლეულო საქონლის ბუფერული მარაგებისათვის დამტკიცებული საწევროს დაფინანსებით, შეიქმნა

ა. 1960 წელს;

ბ. 1962 წელს;

გ. 1967 წელს;

დ. 1969 წელს.

8) საგარეო-ეკონომიკური კავშირების საკრედიტო მომსახურების სპეციფიკურ ფორმას არ წარმოადგენს შემდეგი ოპერაცია

ა. ნოუ-ჰაუ;

ბ. ლიზინგი;

გ. ფაქტორინგ

დ. ფორფეიტინგი.

9) იმპორტზე გაცემულ საბანკო კრედიტს, რომელიც გაიცემა ექსპორტიორის ტრატას განაღდების აქცეპტირებისას, ან იმპორტიორი ბანკის შეთანხმებით, ეწოდება

ა. აქცეპტურ-რამბურსული კრედიტი; ბ. აკრედიტი;

გ. გადასაგზავნი კრედიტი;

დ. სააქცეპტო კრედიტი.

10) საერთაშორისო კრედიტის (სესხის) სახეს, რომელიც ექსპორტიორის მიერ გაიცემა უცხოელ იმპორტიორზე საქონლის შესაძენი გადასახდელის გადავადების სახით, ფორმდება თამასუქით ან ღია ანგარიშით, ეწოდება

ა. სათამასუქო კრედიტი;

ბ. საფირმო (კერძო) კრედიტი;

გ. ფორფეიტინგი;

დ. საბროკერო კრედიტი

ვეულა მეცნიერის ჰუმანიტარიზმი
 და კანონიერი მიზანი ის არის
 რომ კაცთა ცხოვრებაში შეიძინოს
 ახალი გამსოგონებანი და სიმდიდრენი
 ფ. ბეკონი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შედეგად ცევადმა ტენდენციამ, საქონელწარმოების, საქონელ-მიმოქცევისა და მომსახურების ინტერნაციონალიზაციამ გამოიწვია საერთაშორისო ანგარიშსწორების აუცილებლობა. საერთაშორისო პრაქტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კონტრაქტებს შორის ანგარიშსწორების ფორმების, ვადებისა და გარანტიების შესტად განსაზღვრა.

საერთაშორისო ანგარიშსწორება არის ფულად მოთხოვნილებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადასახადების მოწესრიგება, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოებს, იურიდიულ და ფიზიკური პირებს, აგრეთვე საოჯახო მეურნეობებს შორის სამოყალიბებელი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ბაზარზე.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გარიგებათა სავალუტო-საგადასახადო ურთიერთობები და პირობები ითვალისწინებს შემდეგი ელემენტების გამოყენებას: გადახდის პირობები, ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტა, საგადასახდლო ვალუტა, ანგარიშსწორების ფორმები. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ერთ-ერთი მთავარია გადახდის ფორმები, რომელშიც ანსხვავებენ: ნაღდ გადასახდლებს, ანგარიშსწორებას სესხის გაცემით და ნაღდ გადახდებს კრედიტის არჩევის უფლებით.

ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტის შერჩევა დამოკიდებულია კრედიტის მოცულობაზე, საპროცენტო განაკვეთსა და გარიგების სავალუტო ეფექტიანობაზე. ვალუტის შერჩევის დროს, რომელშიც ფიქსირებულია საქონლის (მომსახურების) ფასი, მთავარია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შემოადინიშნულ

პირობებს, რაც თავის მხრივ დიდ ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებაზე.

ცნობილია საქონლის ფასების განსაზღვრის შემდეგი გზები:

1. ფასების უცვლელობის ფიქსაცია კონტრაქტის შესრულების პერიოდში, ე.ი. ფასის მტკიცე ფიქსაცია კონტრაქტის ხელმოწერის დროს. ამ ხერხს მაშინ მიმართავენ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე შეიმჩნევა ფასების შემცირება;
2. კონტრაქტზე ხელმოწერისას ფასების განსაზღვრის პრინციპების დაფიქსირება. რაც შეეხება თვით ფასები განსაზღვრას, იგი ხდება კონტრაქტის შესრულების პროცესში. ეს გზა გამოიყენება მაშინ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე შეიმჩნევა ფასების ზრდა;
3. ფასის მტკიცე ფიქსაცია კონტრაქტის ხელმოწერის დროს, მაგრამ დასაშვებია მისი ცვალებადობა საბაზრო ფასების ცვლილებებთან დაკავშირებით;
4. მცოცავი ფასის დაწესება ხარჯების ცვლილებებთან მიმართებაში;
5. ფასების ფიქსირების შერეული ფორმა (ფასების ნაწილი მტკიცედ ფიქსირებულია, ხოლო ნაწილი განისაზღვრება მცოცავი ფორმით).

საგადასახდელო ვალუტა არის ის ვალუტა, რომლითაც უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ანგარიშსწორება. ამ ვალუტით იფარება იმპორტიორის (მსესხებლის) გადახდის ვალდებულებები.

ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტის არასტაბილურობის შემთხვევაში ფასებს აფიქსირებენ შედარებით უფრო მყარ ვალუტაში, ხოლო გადახდას ახდენენ იმპორტიორი ქვეყნის ვალუტით. თუ ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტა და საგადასახდელო ვალუტა ერთმანეთს არ დაემთხვა, მაშინ კონტრაქტი ითვალისწინებს ურთიერთგადაყვანის კურსს და ვალუტათა ურთიერთგადაყვანათა პირობებს. ამ უკანასკნელში გაითვალისწინება: სატელეგრაფო გადახდა გზაინილებით, თუ საანგარიშსწორებო თამასუქით; კურსის დათქმა სავალუტი ბაზარზე კოტირების დროს.

საერთაშორისო - ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოიყენება გადასახდელების შემდეგი სახეები:

1. სააგანსო გადასახადელები, რომლებიც ნევეულებრივად გ'საენილებათა საშუალებით წარმოებს;
2. გადასახდელები საქონლის მიწოდებისას, ან მას შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველ'ზე უპირატესად აკრედიტივებისა და ინკასოს საშუალებით;
3. გადასახდელები საქონლის შემოსვლისას, რომელიც გ'საენილების საშუალებით წარმოებს;
4. გადასახდელები გადახდის ვადის დადგომისას, როდესაც მოითხოვნას უ'სრუნველყოფა არ გააჩნია.

გადასახდელების ზემოაღნიშნული სახეები ითვალისწინებს კრედიტის გაფორმებასაც.

საგადასახდელო ბრუნვის სტრუქტურა საერთაშორისო ანგარიშსწორებისას ბევრი ფაქტორით განისაზღვრება, რომელთა შორის ყველა'ზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს ანგარიშსწორების მონაწილეთა გადახდისუნარიანობა. მიმწოდებლისათვის აუცილებელია, მიიღოს გადასახდელი საქონლისათვის (მომსახურებისათვის) სრული მოცულობითა და განსაზღვრულ ვადაში. გარკვეული ურთიერთობები, რომლებშიც შედიან იმპორტიორები დ ექსპორტიორები, მათი ვალდებულებათა მოცულობა და პასუხისმგებლობათა მოცულობა ერთმანეთის წინაშე პირდაპირ იქნება დამოკიდებული საერთაშორისო ანგარიშსწორების კონკრეტული ფორმის არჩევა'ზე.

ანგარიშსწორების ფორმები - ეს არის საერთაშორისო პრაქტიკაში ისტორიულად სამოყალიბებული საგადასახდელო და საქონელგანკარგულებითი დოკუმენტების გაფორმების, გადაცემის, დამუშავებისა და გადახდათა განხორციელების ხერხები.

კონკრეტული ფორმის არჩევა, რომლითაც განხორციელდება ანგარიშსწორება საგარეო-საევაჭრო კონტრაქტის მიხედვით, განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ძირითადად გამოყენებულია შემდეგი ფორმები: საბანკო გზაწერილები (გადარიცხვა), ჩეკი, ინკასო, აკრედიტივი, ღია ანგარიში, თამასუქი.

საერთაშორისო ანგარიშსწორება რეგულირდება ნაციონალური საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით, აგრეთვე საქმიანი ბრუნვის წესებითა და ჩვეულებებით. საერთაშორისო ანგარიშსწორების უნიფიკაციის აუცილებლობა განპირობებულია საბანკო ოპერაციების უნივერსალურობით. ამიტომ, საერთაშორისო სავაჭრო palatis მიერ (პარიზი XX-საუკუნის დასაწყისი) შემუშავებულია უნიფიცირებული წესები და ჩვეულებანი დოკუმენტალური აკრედიტივებისათვის და ინკასოს მიხედვით. მსოფლიო ბანკების უმეტესობა მოერიდა ამ წესებს. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში სათამასუქო და სანეკო მიმოქცევის უნიფიკაცია რეგლამენტირებულია წესებით (ჟენევის კონვენცია, 1930-31 წწ.). ყველაფერი ეს წარმოადგენს ბა'სას ქვეყნების უმრავლესობის ნაციონალური კანონმდებლობისათვის.

საბანკო გზაწერილები (გადარიცხვა) – წარმოადგენს ერთი ბანკის დავალებას მეორისადმი, გადაუხადოს გადარიცხვია მიმღებს განსაზღვრული თანხა. საბანკო გზაწერილების ეკონომიკური დასაბუთებულობა იმა'სეა დამოკიდებული, თუ რა გ'სით ხდება საქონლის (მომსახურების) გადახდა: მათ მიწოდებამდე (საავანსო გადასახდელები), თუ იმპორტიორის მიერ მათი მიღების შემდეგ (ღია ანგარიშის ფორმით ანგარიშსწორება).

ანგარიშსწორების მონაწილეებს წარმოადგენენ:

გადარიცხვის გამცემი (მოვალე);

გადარიცხვის გამცემის ბანკი, რომელმაც მიიღო დავალება;

- ბანკი, რომელიც ახორციელებს გადარიცხვის თანხის ჩარიცხვას გადარიცხვის მიმღებისათვის;

გადარიცხვის მიმღები.

განვიხილოთ საბანკო გზაწერილების სქემა:

1. კლიენტი – გადარიცხვის გამცემი აფორმებს განცხადებას გადარიცხვა'სე სამ ეგ'სემპლარად (მხოლოდ პირველ ეგ'სემპლარს ეწერება ხელი უფლებამოსილი პირის მიერ);

2. განცხადებაში მითითებული მონაცემების შესაბამისად ბანკი ადგენს საგადასახდელო დავალებას სახლფარგარეთელი ბანკი- კორესპოდენტისადმი;
3. იმპორტიორის ბანკი აგზავნის თავისი სახელით საგადასახდელო დავალიანებას ექსპორტიორის ბანკში;
4. ექსპორტიორის ბანკი რიცხავს ფულად თანხას მიმწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

ბანკი ახორციელებს კლიენტურ გადარიცხვებს გადარიცხვის გამკვემის ხარჯზე უცხოელი მიმკვემისათვის (ბენეფიციარისათვის), ბანკი - გადამხდელისათვის მის მიერ გადახდილი თანხის ანაზღაურების ხერხის მითითებით. გადარიცხვის მიმღების ბანკი ხელმძღვანელობს კონკრეტული მითითებებით, რომლებსაც მოიცავს საგადასახდელო დავალება. საგადასახდელო დავალებები გადაიცემა ბანკებს შორის საბანკო ინფორმაციის გადაცემის ტელესაკომუნიკაციო საშუალებების გზით (სვიფტი, სპრინტი, ტელექსი).

საიმპორტო ოპერაციებისას გადარიცხვაზე განცხადებაში მიეთითება შემდეგი მონაცემები:

- გადარიცხვაზე განცხადების ნომერი და თარიღი;
- უცხოური ვალუტის გადარიცხვის თანხა (ციფრებითა და სიტყვიერად) და გადახდის ვალუტა;

შეტყობინების გადაცემის ხერხი (ფოსტა, ტელეგრაფი, ელექტრონული საშუალებები);

- გადარიცხვის მიმღების სრული დასახელება, მისი რეკვიზიტები;

გადარიცხვის მიმღების ბანკის რეკვიზიტები;

- გადახდის დანიშნულება (კონტრაქტის ნომერი და თარიღი);

- გადახდის სასწრაფოობა (რაზე დამოკიდებულებითაც ბანკი იღებს საკომისიო გადარიცხვისათვის).

საბანკო გზავნილების ჩატარებისას, საკომისიო, როგორც წესი, გადაიხდებიან იმპორტიორის ბანკის მიერ. ის დაკავდება გადარიცხვის გამკვემდამ ამ უკანასკნელის მიერ ბანკში გადარიცხვებზე განცხადების წარდგენისას. კლიენტი - იმპორტიორისაგან განცხადების მიღების შემდეგ, ბანკი თავისი სახელით გადაგზავნის საგადასახდელო განცხადებას ექსპორტიორის ბანკში. შემდგომ

ექსპორტიორის ბანკი წარიცხავს ფულად სახსრებს
ექსპორტიორის ანგარიშზე.

საბანკო გზავნილებით ანგარისშწორების შესახებ
დასკვნის გაკეთებისას, აუცილებელია ავლნიშნოთ
ანგარიშსწორების მოცემული ფორმის დადებითი და
უარყოფითი მხარეები. დადებით მომენტს მიეკუთვნება
ოპერაციათა განხორციელების სისწრაფე, სიმარტივე და
სიიარაღე, მაგრამ ამასთან გასათვალისწინებელია გადახდის
გარანტიის არსებობა და შესაბამისად, ანგარიშსწორების
მოცემული ფორმის არასაიმედობა.

ჩეკი. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ფართოდ
გამოიყენება ჩეკები. იმ შემთხვევაში, როცა მყიდველი იხდის
ჩეკის დახმარებით, მას შეუძლია გააკეთოს შემდეგი
არჩევანი:

დამოუკიდებლად წამოაყენოს ჩეკი (კლიენტის ჩეკი);

დაავალოს ჩეკის გამოწერა ბანკს (საბანკო ჩეკი);

წარმოადგენს რა საბრუნავ დოკუმენტს, ჩეკი გადადის
ხელიდან ხელში, ერთი მფლობელიდან მეორესთან და
ასეთნაირად ყველაზე ხანმოკლე ვადაში იძლევა
შესაძლებლობას, დაიფაროს რამდენიმე მფლობელის
საგადასახდელო ვალდებულებები, ცვლის რა საბანკო
გადარიცხვას და აგრეთვე ნაღდ ფულს.

საერთაშორისო დონეზე საჩეკო მიმოქცევაში
გამოსაყენებლად ჩეკის რეკვიზიტები და საჩეკო ნომრები
უნიფიცირებულია ერთგვაროვან საჩეკო კანონში, რომელიც
1934 წ. იქნა დამტკიცებული ქენევის კონვენციით.
სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა
და საქმიანი ბრუნვის ჩვეულებებზე დამოკიდებულებებით
საჩეკო კანონმდებლობის ცალკეული დებულებები
შესაძლოა განსხვავდებოდეს.

საჩეკო ხელშეკრულების მონაწილეთა უფლებები და
მოვალეობები:

ჩეკის გამცემი - ასრულებს საჩეკო წიგნაკის
შენახვის წესებს, აწოდება გადახდელ ბანკს
თავისდროულად, ანუ გადახდის მომენტისათვის, დაფარავს,
თავისდროულად, აცნობებს ბანკს ჩეკების დაკარგვისა და
გაყალბების მისთვის ცნობილი შემთხვევების შესახებ, რათა
თავისდროულად შეეწინააღმდეგონ ასეთი ჩეკების
განაღდებას და ა.შ.

ბანკი - გამყიდველი - ანადლებს მასზე წაყენებულ ნივთებს დაფარვის ხარჯზე ან კრედიტში (ოვერდრაფტი ნივთის გამცემის ანგარიშის მიხედვით) ნივთის სათანადო მფლობელისათვის. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოო ანგარიშით ნივთის განადლებისათვის პასუხისმგებლობას ატარებს არა გადამხდელი ბანკი, არამედ - ნივთის გამცემი.

ნივთების სახეობები. წარმოადგენს რა გადახდის ინსტრუმენტს, ნივთი უპირატესად უნდა იყოს ქალაქი წარმომდგენზე. მაგრამ პრაქტიკა სხვა გზით მიდის: ნივთების უმეტესობა გამოიწერება განსაზღვრულ პირზე, რაც ამცირებს ნივთის მიხედვით სახსრების არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ მიღების რისკს.

სახსრების მიმღების მითითების ხერხის მიხედვით განასხვავებენ შემდეგ ნივთებს:

- სახელობითი - გამოწერილი განსაზღვრულ პირზე (მაგალითად, „გადაუხადეთ მხოლოდ ხარაიშვილს“). ამ დათქმით იკრძალება ნივთის შემდგომი გადაცემა ინდოსამენტით სხვა პირისათვის;

- ორდერული - გამოწერილი განსაზღვრულ პირზე, სხვისთვის გადაცემის უფლებით;

- წარმომდგენისა - ნივთები, რომლებიც შეიცავენ ნიშანს „გადაუხადეთ ამ ნივთის წარმომდგენელს,“ აგრეთვე გამოწერილი საერთოდ მიმღების მითითების გარეშე. მაგრამ უნდა ავლნიშნოთ, რომ სოგიერთ ქვეყანაში ნივთების მითითების გარეშე ბათილად ითვლება.

გადახდის ხერხის მიხედვით განასხვავებენ საანგარიშსწორებო და კროსირებულ ნივთებს.

საანგარიშსწორებო ნივთი. გადახდა ასეთი ნივთის მიხედვით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ნივთის თანხის ჩარიცხვის გზით მიმღების ანგარიშზე ბანკში (ნებისმიერში ან იმაში, რომელიც მითითებულია ნივთზე). ასეთ ნივთს აქვს შეზღუდული ბრუნვალობა, რამეთუ ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ პირებთან ანგარიშსწორებისათვის, რომლებსაც აქვთ ანგარიში გადამხელ ბანკში, ანგარიშსწორებისათვის თავად გადამხდელთან.

კროსირებული ნივთი. (ინგლ. Cross - გადახაზვა) - ნივთი, რომლის პირის მხარე გადახაზულია, ორი პარალელური ან

განივი ხაზით. კროსირების მიზანია – შემცირდეს რისკი, დაკავშირებული შეცდომით არა იმ პირისათვის გადახდის შესაძლებლობასთან ჩეკის მიხედვით, ვსლუდავთ რა ჩეკის შესაძლო მფლობელთა წრეს, რომელთაც უფლება აქვთ წარადგინონ ის გასანაღდებლად, მხოლოდ საბანკო დაწესებულებებით. ასეთნაირად, კროსირებულ ჩეკის მიხედვით ბანკი ვალდებულია განახორციელოს გადახდა მხოლოდ ბანკისათვის ან თავისი კლიენტის ანგარიშზე.

ინკასო. ოპერაცია ინკასო შეიძლება განესაზღვრო, როგორც ექსპორტიორის (კრედიტორის) დავალება თავისი ბანკისადმი, მიიღოს იმპორტიორისაგან (გადამხდელისაგან, მოვალისაგან) უშუალოდ ან სხვა ბანკის საშუალებით გარკვეული თანხა ან იმის დასტური, რომ ეს თანხა გადახდილი იქნება დადგენილ ვადაში. ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ახდენს ოპერაციები მოცემული სახეობის რეგლამენტირებას, არის „ინკასოს უნიფიცირებული წესები,“ შემუშავებული საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ (უკანასკნელი რედაქცია 1993წ.), რომლის შესაბამისადაც, საინკასო ოპერაციები ხორციელდება ბანკების მიერ იმპორტიორისაგან მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე.

განასხვავებენ მარტივ (წმინდა) და დოკუმენტალური ინკასოს. ინკასოს ცნებიდან გამომდინარეობს, რომ ორივე შემთხვევაში ეს არის გადასახდელის გადახდევინების ოპერაცია: წმინდა ინკასოს დროს – მხოლოდ ფინანსური დოკუმენტების მიხედვით, დოკუმენტალური ინკასოს დროს – ფინანსური დოკუმენტების ინკასო, რომელსაც ახლავს კომერციული დოკუმენტები, ან მხოლოდ კომერციული დოკუმენტების ინკასო. ამასთან, ბანკები არ ატარებენ რაიმე ვალდებულებას დოკუმენტების განაღდების მიხედვით, რამეთუ ისინი მოცემულ ოპერაციებში შუამავლის როლში გამოდიან. წარმოქმნილი უთანხმოება საქონლის რაოდენობასა და ხარისხთან მიმართებაში ან ანგარიშსწორების მოცემული ფორმისას წყდება უშუალოდ იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის.

ინკასოს დროს გამოიყენება ტრატა. ტრატა ეს არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კრედიტორის (ტრასანტის) უდავო ბრძანებას მსესხებელისადმი (ტრასანტისადმი), მითითებულ ვადაში ფულის განსაზღვრული თანხის

გადახდის შესახებ თამასუქში დასახელებული მესამე პირისათვის (რემიტენტისათვის) ან წარმომადგენლისათვის.

საინკასო დაეალება, რომელსაც იძლევა ექსპორტიორი, უნდა მოიცავდეს სრულ და 'უსტ ინსტრუქციებს (ბანკები, რომლებიც მონაწილეობენ გარიგებაში, მოქმედებენ მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში). აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც უნდა იყოს საინკასო დაეალებაში, მიეკუთვნება:

- ინკასოს თარიღი და ნომერი;
- გადასახდელის და/ან აქციენტის თანხა (გადახდის და/ან აქციენტის ვალუტის მითითებით);
- გადახდის ვადა;
- ტრასანტი;
- ტრასანტის ბანკი;
- ინფორმაცია აუცილებელი დოკუმენტების შესავსებად;
- საქონლის აღწერა;
- გადახდის მეთოდი;
- გაგზავნის ადგილი
- გაგზავნის თარიღი;
- დანიშნულების ადგილი.

ანგარიშსწორების საინკასო ფორმის განხილვა საშუალებას გვაძლევს, ავლენოთ, რომ ის გაცილებით უფრო საიმედოა, ვიდრე ანგარიშსწორება საბანკო გზავნილებით. მაგრამ ის საკმაოდ ძვირია (ბანკებში გამოიყენება ფიქსირებული ტარიფები მოცემული ოპერაციების მიხედვით; როგორც წესი ეს არის ფიქსირებული პროცენტი 8-10%, კომერციული ბანკის სატარიფო პოლიტიკაზე დამოკიდებულებით) და საკმაოდ რთული საანგარიშებო ფორმაა.

აკრედიტივი არის ბანკის ვალდებულება მყიდველი-იმპორტიორის მითითებით განახორციელოს მისი ანგარიშიდან მიწოდებული საქონლის ღირებულების ექსპორტიორსე გადახდა ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით.

საერთაშორისო ანგარიშსწორებისას ფულადი აკრედიტივის განაღდება წარმოებს მასში მითითებული

ვალუტის მიხედვით, ან ქვეყნის ვალუტით, სადაც აკრედიტივი წარედგინება.

არსებობს სასაქონლო აკრედიტივიც. იგი უპირატესად გამოიყენება საგარეო ვაჭრობაში საქონლის გამყიდველ-მყიდველებს შორის ანგარიშსწორებისას. მყიდველი თავის ბანკს აძლევს სასაქონლო აკრედიტივის გახსნის თაობაზე, სადაც მითითებული უნდა იყოს: მომწოდებლის დასახელება, მისამართი, თანხა, აკრედიტივის მოქმედების ვადა, გასანაღდებელი საქონლის (მომსახურების) სახე, მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების და სხვა.

ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმას საფუძველად უდევს იმისი აუცილებლობა, რომ მომწოდებელი მყიდველისაგან დროულად მიიღებს რეალიზებული საქონლის ღირებულებას. როგორც წესი, სავაჭრო ხელშეკრულების შესაბამისად, ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმის პირობებში მყიდველი მოვალეა საქონლის მიწოდებამდე გადაიტანოს განსაზღვრული თანხა ექსპორტიორის მიერ მითითებლ ბანკში. საქონლის დროულად გაგზავნის შემდეგ ექსპორტიორს შეუძლია მიიღოს გახსნილი აკრედიტივიდან კუთვნილი თანხები.

მსოფლიო პრაქტიკაში საერთაშორისო სააკრედიტივო ანგარიშების ორი ფორმა არსებობს; გამოთხოვილი და გამოთხოვის გარეშე.

გამოთხოვილ აკრედიტივთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ნებისმიერ დროს შეიძლება აკრედიტივის თანხისა და პირობების შეცვლა ან აკრედიტივის ანუღირება.

გამოთხოვის გარეშე აკრედიტივი არის ემიტენტის მტკიცე ვალდებულება იმის შესახებ, რომ აკრედიტივის თანხა არ უნდა შეიცვალოს და გაუქმება არ მოახდინოს დაინტერესებული მხარეების გარეშე. საერთაშორისო ანგარიშსწორების პრაქტიკაში აკრედიტივის ეს ფორმა ფართოდ არის გაერცელებული.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთერთობების პრაქტიკაში ფართოდაა გაერცელებული ანგარიშსწორება და ანგარიში. ამ შემთხვევაში საქონლის ექსპორტიორი (გამყიდველი) იმპორტიორს (მყიდველს) სასაქონლო დოკუმენტებს აწვდის უშუალოდ, ბანკის გარეშე, ხოლო მყიდველი გამყიდველს ღია ანგარიშზე შესაბამისი თანხის

ნარიცხვას ახორციელებს შეთანხმების მიხედვით დადგენილ ვადებში საქონლის მიწოდების პერიოდულად.

ანგარიშსწორება ღია ანგარიშით საბანკო კრედიტის გამოყენების ფორმაა. ამ ფორმას ექსპორტიორები ნაკლებად ეტანებიან, იგი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ საქსპორტო ამონაგები დროულად იქნეს მიღებული. თანაც ექსპორტიორის კაპიტალის ბრუნვადობის შენელებას აქვს ადგილი, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებულია გამოიყენოს ბანკის კრედიტი. ექსპორტიორებისათვის ანგარიშსწორება ღია ანგარიშით ყოველთვის როდია არახელსაყრელი. მაშინ, როდესაც კონტრაქტები მონაცვლეობით გამოდიან მყიდველ-გამყიდველის როლში, იმპორტიორის მიერ ვაღდებულებათა შეუსრულებლობა ექსპორტიორის მხრივ, სხვა თანაბარ პირობებში საქონლის მიწოდების შენერებას იწვევს.

აღნიშნული სახის ანგარიშსწორებისას საქონლის რეალიზაციის შემდეგ, ექსპორტიორი მისი ღირებულების თანხას დავალიანებაში გაატარებს, ხოლო იმპორტიორი აღებულ კრედიტს ექსპორტიორის ანგარიშზე გაატარებს, საქონლის გადახდის შემდეგ უნაღდო საბანკო გზაენილების ფორმით.

ანგარიშსწორების ღია ანგარიშით დავალიანების დაფარვის წესს განსაზღვრავს კონტრაგენტებს შორის შეთანხმება. ამ ანგარიშით დავალიანებათა საბოლოო მოწესრიგება წარმოებს ბანკების მეშვეობით ანგარიშთა სხვა ფორმების გამოყენებით (საბანკო გზაენილების, ჩეკებისა და თამასუქების წარდგენის გზით).

ღია ანგარიშით ანგარიშსწორება ფართოდ ვითარდება მაშინ, როდესაც მყიდველსა და გამყიდველს შორის ნდობის ატმოსფეროა. ეს უპირატესად ხორციელდება საქონლის რეგულარული მიწოდების პირობებში. ანგარიშსწორების ამ ფორმის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ აქ საქონლის მოძრაობა ფულის მოძრაობას წინ უსწრებს. ეს ფორმა ფაქტობრივად გამოიყენება იმპორტიორის დაკრედიტების მიზნით, რაც საბოლოო ჯამში, ექსპორტიორთან ნდობის გამომხატველია.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ფართოდ გამოიყენება თამასუქი.

თამასუქი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იურიდიული ან ფიზიკური პირის წერილობით უპირობო ვალდებულებას, გადაუხადოს თამასუქის მფლობელს ვადის დადგომისას განსაზღვრული თანხა, რომელიც მითითებულია თამასუქში. საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებისას იყენებენ გადასაგზავნ და კომერციულ თამასუქს.

გადასაგზავნი თამასუქი ისეთი თამასუქია, რომელიც წარმოდგენილია ექსპორტიორის მიერ იმპორტიორზე. თანამედროვე პირობებში მრავალი გარიგება ხორციელდება თამასუქების მეშვეობით. მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ეკონომიკური კრიზისების დროს ფართო განვითარებას პოულობს კომერციული კრედიტი. მას ხელს უწყობს ის, რომ ასეთი კრედიტების ორმხრივი ვალდებულება არ ცხადდება და გარეშე პირთაგან დაფარულია.

თამასუქის გამოყენება ეკონომიკურ ცხოვრებაში ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. 1930 წ. სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე მიღებული იქნა ერთიანი, უნიფიცირებული კანონმდებლობა თამასუქის შესახებ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ცალკეულ ქვეყნებს არ გააჩნდეთ განსხვავებული საკანონმდებლო აქტები.

XX ს-ის პირველ ნახევარში ფართოდ იყო გავრცელებული კომერციული თამასუქი, შემდგომ პერიოდში მან დაკარგა თავისი მნიშვნელობა და გ'სა გაუხსნა საბანკო თამასუქს, რომელთაგან მნიშვნელოვანია საბანკო ტრატა. ტრატა ისეთი სახის თამასუქია, რომალსაც იურიდიული პირი გამოწერს ბანკის სახელზე და ეს უკანასკნელი აქცეპტს.

კითხვები თეიტკონტროლისათვის

1. რომელი ელემენტების გამოყენებას ითვალისწინებს საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გარიგებათა სავალუტო-საგადასახადო ურთიერთობები და პირობები?

2. დაასახელეთ საერთაშორისო ანგარიშსწორებისას საქონლის ფასების განსაზღვრის გზები.

3. გადასახდელების რომელი სახეები გამოიყენება საერთაშორისო-ეკონომიკურ ურთიერთობებში?

4. დაასახელეთ საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გამოყენებული ძირითადი ფორმები.

5. რა მონაცემები მიეთითება განცხადებაში საიმპორტო ოპერაციებისას გადარიცხვაზე?

6. რა აუცილებელი ინფორმაცია უნდა იყოს მითითებული საინკასო დავალებაში?

7. დაახასიათეთ მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებული საერთაშორისო სააკრედიტო ანგარიშსწორების ფორმები?

8. დაასახელეთ და დაახასიათეთ საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებისას გამოყენებული თამასუჯის სახეები.

ტესტები

1) საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გარიგებათა სავალუტო-საგადასახადო ურთიერთობები და პირობები ითვალისწინებს:

- ა) ორი ელემენტის გამოყენებას;
- ბ) სამი ელემენტის გამოყენებას;
- გ) ოთხი ელემენტის გამოყენებას;
- დ) ხუთი ელემენტის გამოყენებას.

2) ვალუტას, რომლითაც უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ანგარიშსწორება და რომლითაც იფარება იმპორტიორის (მსესხებლის) გადახდის ვალდებულებები, ეწოდება:

- ა) არეზერვო ვალუტა;
 - ბ) ნეიტრალური ვალუტა;
 - გ) საერთაშორისო ვალუტა;
 - დ) საგადასახადო ვალუტა.
- 3) საერთაშორისო პრაქტიკაში ისტორიულად ჩამოყალიბებულ საგადასახადო და საქონელგანკარგულებითი დოკუმენტების გაფორმების, გადაცემის, დამუშავებისა და გადახდათა განხორციელების წესებს ეწოდება:

- ა) ანგარიშსწორების ფორმები;
- ბ) ანგარიშსწორების მეთოდები;
- გ) ანგარიშსწორების წესები;
- დ) ანგარიშსწორების კანონები.

4) საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ძირითადად გამოიყენება:

- გ) რფხფფრჩჩა;
- ბ) ლექსო ფორმის.

5) ერთი ბანკის დავალებას მეორისადმი, გადაუხადოს გადარიცხვის მიმღებს განსაზღვრული თანხა, ეწოდება:

- ა) საბანკო გზაენილები (გადარიცხვა);
- ბ) ჩეკი;
- გ) ინკასო;
- დ) თამასუქი.

6) საერთაშორისო დონეზე მიმოქცევაში გამოსაყენებელი ჩეკების რეკვიზიტების და სანეკო ნორმების უნიფიცირებული ერთგვაროვანი სანეკო კანონი ჟენევის კონვენციით დამტკიცებულ იქნა:

- ა) 1982 წელს;
- ბ) 1930 წელს;
- გ) 1931 წელს;
- დ) 1932 წელს.

- 7) გადახდის ხერხის მიხედვით განასხვავებენ:
- ა) საგადასახადო და არასაგადასახადო ჩეკებს;
 - ბ) გადაამხდელის და მიმღების ჩეკებს;
 - გ) საანგარიშსწორებო და კორსირებულ ჩეკებს;

დ) საგადასახადო კორსირებულ ჩეკებს.

8) ბანკის ვალდებულებას მყიდველი-იმპორტიორის მითითებით განახორციელოს მისი ანგარიშიდან მიწოდებული საქონლის ღირებულების ექსპორტიორზე გადახდა ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიდევნით, ეწოდება:

ა) ჩეკი;

ბ) აკრედიტივი;

გ) თამასუქი;

დ) ინკასო.

9) საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებისას გამოიყენება:

ა) გასაგზავნი და გადასაგზავნი თამასუქი;

ბ) ღია და დახურული თამასუქი;

გ) საბანკო და კომერციული თამასუქი;

დ) გადასაგზავნი და კომერციული თამასუქი.

10) სახელმწიფოთაშორის შეთანხმების საფუძველზე ერთიანი, უნიფიცირებული კანონმდებლობა თამასუქის შესახებ მიღებული იქნა:

ა) 1930 წელს;

ბ) 1932 წელს;

გ) 1934 წელს;

დ) 1936 წელს.

თემა 13. საზღვასახდლო ბალანსი

*მსოფლიო სიმდიდრე ფულის იდენტური არაა
სიმდიდრე ყოველთვის მეტია ფულზე.
კ. ფროიდი*

საქონლისა და მომსახურებისათვის გადახდები, რომელიც ქვეყნებს შორის ხორციელდება, ძირეულად განსხვავდება ქვეყნის შიგნით გადახდებისაგან. ეს იმიტომ ხდება, რომ ყველა ქვეყანას აქვს თავისი საკუთარი ვალუტა, რომელიც თავისუფლად მიმოიქცევა ამ ქვეყნის შიგნით, მაგრამ გამოუსადეგარია საქონლისა და მომსახურების ღირებულების გადასახდელად სხვა ქვეყნებში. მაგალითად, თუ ქართულ ფირმას სურს საქონლის ყიდვა აშშ-ში, მან ჯერ დოლარები უნდა შეიძინოს. თუ მას სურს იაპონური საქონლისა და მომსახურების ყიდვა, მას იაპონური იენა უნდა გააჩნდეს. სხვა სიტყვებით, ჩვენი იმპორტი გვაიძულებს ჩვენ ეხარჯოთ საზღვარგარეთული ვალუტა.

მეორე მხრივ, სხვა ქვეყნების რეზიდენტებმა, რომლებსაც ქართული საქონლისა და მომსახურების ყიდვა სურთ, თავიანთი ვალუტა ქართულ ლარზე უნდა გადაცვალონ. ამიტომ საქართველოს ექსპორტს ქვეყანაში საზღვარგარეთული ვალუტა შემოაქვს, იწვევს საზღვარგარეთული ვალუტის მოდინებას.

საგადასახდლო ბალანსი არის ფინანსური ანგარიში მსოფლიოს სხვა ქვეყნებისათვის ფულის გადახდისა და იმ ქვეყნებიდან ფულადი შემოსულობების მდგომარეობის შესახებ. ეს ბალანსი მომხდარი გარიგებების სიდიდეს საკუთარი ქვეყნის ვალუტაში გვიჩვენებს, მაგრამ აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ფაქტობრივი გარიგებები შესაბამის საზღვარგარეთული ვალუტით იყო შესრულებული.

ნებისმიერი ქვეყნისათვის მეტად საინტერესო და აუცილებელია საგადასახდლო ბალანსში ნაჩვენები სამი სახის ინფორმაცია:

ა) ქვეყნებს შორის გაცვლის შედეგების ჩანაწერების მეშვეობით შეიძლება დასკვნის გაკეთება „მცურავი“ სავალუტო კურსის სისტემის სტაბილურობაზე.

საგადასახადელო ბალანსი ქვეყნის სამთავრობო ორგანოებს საშუალებას აძლევს გამოავლინოს იმ ადამიანთა ხელში თავმოყრილი ვალუტის შესახებ ინფორმაცია, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მათი შენახვით და ინფორმაცია იმათ შესახებ, რომლებიც ცდილობენ მოიშორონ ეს ვალუტა.

ბ) საგადასახადელო ბალანსი შეუცვლელია ფიქსირებული სავალუტო კურსის პირობებში. იგი ხელს უწყობს უცხოელთა ხელში არსებული მოცემული ვალუტის მოკვლეობის განსაზღვრას და ვალუტის ფიქსირებული კურსის მიზანშეწონილობაზე მხარდაჭერის საქმეს, თუ მას კრიზისი ემუქრება.

გ) საგადასახადელო ბალანსის ანგარიშები იძლევიან დავალთანების დაგროვების,

პროცენტების, ვალის ძირითადი თანხების გადასახდელებსა და ქვეყნის მიერ მომავალი გადასახადელებისათვის კონვერტირებადი ვალუტის შესძლო გამომუშაების შესახებ ინფორმაციებს.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის განმარტების მიხედვით, საქართველოს საგადასახადელო ბალანსი წარმოადგენს სტატისტიკურ ანგარიშს, რომელიც სისტემატურად აღრიცხავს ეკონომიკური ოპერაციების ერთობლიობას ეროვნულ ეკონომიკასა და დანარჩენ სამყაროს შორის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ამდენად, საგადასახადელო ბალანსი არეგისტრირებს ოპერაციებს საქართველოს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. სტრუქტურულად ბალანსი შედგება ორი ძირითადი ანგარიშისაგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში.

ქვეყნის რეზიდენტი ის სამეურნეო ერთეულია, რომლის ეკონომიკური ინტერესების სფერო დაკავშირებულია ამ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიასთან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეზიდენტი შეიძლება იყოს ამ ქვეყნის ეროვნება, ან არა, ოპერაციების განხორციელებისას შეიძლება იმყოფებოდეს ამ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, ან არა. ამერიკელი ეკონომისტის პ. ლინდერტის შეხედულებით, ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც გააჩნია მოცემულ ქვეყანაში მუდმივი

საცხოვრებელი ადგილი, შეიძლება იყოს ამ ქვეყნის რეზიდენტი, მისი მოქალაქეობის და საპასპორტო სტატუსის მიუხედავად.

მიმდინარე ანგარიში მოიცავს საქონლის ბალანსს, მომსახურების ბალანსს, შემოსავლების ბალანსს და მიმდინარე ტრანსფერებს. კაპიტალის და ფინანსური ანგარიში კი მოიცავს: კაპიტალურ ტრანსფერტებს, პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, სხვა ინვესტიციებს და სარეზერვო აქტივებს.

საგადასახადელო ბალანსის ინფორმაციული უზრუნველყოფა ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან, საბაჟო დეპარტამენტიდან, საქართველოს ეროვნული ბანკიდან და სხვა ეკონომიკური ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციით.

საგარეო ვაჭრობაში საქართველოს იყენებს მისი აღრიცხვის „სოგად მეთოდს“, რაც ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთა.

ექსპორტი იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი. იმპორტში იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა, რომელიც გამიზნულია საბოლოო მოხმარებისათვის ან შემდგომი ექსპორტირებისათვის.

ექსპორტი აღრიცხულია FOB, ანუ ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში. იმპორტი აღრიცხულია CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში, რაც ნიშნავს, რომ საქონლის ფასში ჩართულია იმპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე მისი ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯები.

პარტნიორი ქვეყნის დადგენის კრიტერიუმებია: იმპორტის დროს – გამომგზავნი ქვეყანა, ექსპორტის დროს – საბოლოო დანიშნულების ქვეყანა, საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვისას გამოიყენება „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (სეს სნ)“, რომელიც აგებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის საფუძველზე.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი
(ათასი აშშ დოლარი)

ნახ. 13.1.

მაჩვენებლები	2005წ.
მიმდინარე ანგარიში	- 690 071
ა) საქონელი	1213
კრედიტი	903
დებეტი	1472 437
ბ) მომსახურება	- 2 686 341
კრედიტი	72 993
დებეტი	698 337
გ) შემოსავალი	625 344
კრედიტი	92 042
დებეტი	263 325
დ) მიმდინარე ტრანსფერტები	171 283
კრედიტი	358 798
დებეტი	413 195
	- 54 397

მაჩვენებლები	2005წ.
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	678 387
კაპიტალის ანგარიში	58 644
კრედიტი	61 571
დებეტი	- 2927
ფინანსური ანგარიში	619 742
ა) პირდაპირი	539 262
ინვესტიციები	89 477
საზღვარგარეთ	449 785
საზღვარგარეთიდან	15 474
ბ) პორტფელის	13 064
ინვესტიციები	2 410
აქტივები	0
პასივები	0
გ) ფინანსური წარმოებულები	0
აქტივები	176 652
პასივები	15 550
დ) სხვა ინვესტიციები	1992 202
აქტივები	- 111 645
პასივები	

ე) სარეზერვო აქტივები	11 684
<u>წმინდა</u> <u>შეცდომები</u> <u>და</u> <u>გამოტოვებები</u> <u>განსაკუთრებული დაფინანსება -</u> <u>სულ</u>	142 490

საგადასახდელო ბალანსის არსში კარგად გარკვევისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე განვსაზღვროთ მისი ძირითადი ფუნქციები. პირველი ფუნქცია ქვეყანაში ფინანსური რესურსების მიდინებასა და ქვეყნიდან მისი გადინების თანაფარდობის გაზომვით გამოიხატება, მეორე ფუნქცია - საგადასახდელო ბალანსის ხარისხის განსაზღვრით, რაც მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის პოზიციების განმტკიცებით და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობით აისახება. პირველ შემთხვევაში საგადასახდელო ბალანსის დინამიკის რაოდენობრივ შედეგთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში მის ხარისხობრივ შედეგთან.

საგადასახდელო ბალანსის არსის დადგენის საფუძველზე უკვე შეგვიძლია გამოვიყენოთ მისი შეფასების მეთოდოლოგიური პრინციპები, კრიტერიუმები და მანვენებელთა სისტემა.

საგადასახდელო ბალანსის დინამიკის შეფასების პრინციპებიდან უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

- შეფასების სისტემური ხასიათი, რაშიც მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნების მონაწილეობის რაოდენობრივი და თვისებრივი მხარეების გათვალისწინება, ანალიზი იგულისხმება;

- საგადასახდელო ბალანსის დინამიკისა და მისი შეფასების დამოკიდებულება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, ანუ შეფასების კრიტერიუმებისა და მანვენებლების ცვლილება განვითარების კვალობაზე.

- საგადასახდელო ბალანსის ინფორმაციული ხასიათი, ბუნება, რის გამოც იგი ფინანსური და ინფორმაციული სისტემების კანონზომიერებებსაც, ტენდენციებსაც ემორჩილება;

საგადასახდელო ბალანსის დინამიკის სოციალური ორიენტაცია, რაც მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ადამიანის განვითარებაზე, ცხოვრების ხარისხზე, სოციალური კულტურული, ეკოლოგიური, ტექნოლოგიური გარემოს (ველილებაზე მის შემოქმედებას გამოხატავს;

- შეფასების კრიტერიუმებისა და მანვენებლების შესადარისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და ფასეულობებთან;

- შერჩეული კრიტერიუმებისა და მანვენებლების საფუძველზე საგადასახდელო ბალანსის სისტემური რეგულირების განხორციელების შესაძლებლობა.

აღნიშნული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე განსაზღვრულია საგადასახდელო ბალანსის შეფასების კრიტერიუმებისა და მანვენებელთა სისტემა (იხ. ნახ. 13.2). ჩვენ გამოვეყოფთ ოთხ ძირითად კრიტერიუმს:

1. საგარეო ეკონომიკური სექტორის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციისა და მდგრადობის ხარისხი; 2. მიმდინარე ოპერაციების დაბალანსებულობა; 3. კაპიტალის მოძრაობის დაბალანსებულობა; 4. ოქროსაგალუტო რეზერვების დაბალანსებულობა.

საგადასახდელო ბალანსის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებისა და მანვენებლების სისტემა

ნახ. 13.2

№	კრიტერიუმების სისტემა	მანვენებელთა სისტემა
1	საგარეო ეკონომიკური სექტორის მსოფლიო მეურნეო-ბაში ინტეგრაციისა და მდგრადობის ხარისხი	1. ქვეყნის მშპ-ის წილი მსოფლიო მეურნეობის მშპ-ში 2. საგადასახდელო ბალანსის დინამიკა 3. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა 4. საგალუტო რეზერვების დინამიკა 5. საგარეო ვალის მოცულობა და დინამიკა

		6. ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი 7. საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობის ხარისხი
2	მიმდინარე ოპერაციების დაბალანსებულობა	1. მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის ბალანსი 2. საქონლით ვაჭრობის ბალანსი 3. მომსახურებით ვაჭრობის ბალანსი 4. სავაჭრო ბალანსი 5. შემოსავლების ბალანსი 6. ტრანსფერტების ბალანსი
3	კაპიტალის მოძრაობის და- ბალანსებულობა	1. კაპიტალის ბალანსი 2. კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის ბალანსი 3. ფინანსური ბალანსი 4. პირდაპირი ინვესტიციების ბალანსი 5. პორტფელური ინვესტიციების ბალანსი 6. სხვა ინვესტიციების ბალანსი
4	ოქროსავეალუტო რეზერვების დაბალანსებულობა	1. ოქროსავეალუტო რეზერვების ბალანსი

მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში აქტიური
მონაწილეობა უშუალოდ უშემაჯობებელს ქვეყნის
საგადასახდელო ბალანსის დინამიკაზე და
კონკურენტუნარიანობაზე, როგორც წესი, საგადასახადელო

ბალანსის სალდო მერყეობს ეკონომიკური სრდის ხასიათის ცვალებადობის კვალობაზე. დადებითი სალდოთი ხასიათდებიან უპირატესად განვითარებული და წარმატებული ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, მაშინ როდესაც პოსტსაბჭოთა ქვეყნები და ჩამორჩენილი ქვეყნები უარყოფითი სალდოთი ხასიათდებიან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით 1998წ. ფინანსური კრიზისისა და 2001წ. 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, რაც მსოფლიო მეურნეობაში არასტაბილური ტენდენციების გაძლიერებასთან არის დაკავშირებული, ამისათვის საკმაოდ აქტუალური გახდა მდგრადობის მაჩვენებლების უსაფრთხო ზღვრული სიდიდეებისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე ეკოლოგიური ფაქტორების შემოქმედების შეფასების პრობლემა.

საგადასახდლო ბალანსის უსაფრთხოების ზღვრული მაჩვენებლები⁵

ნახ. 133

№	მაჩვენებლები	ზღვრული სიდიდეები
1	მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის ბალანსის უარყოფითი სალდო მშპ-ის მიმართ	არაუმეტეს 10%-ისა
2	საგარეო ვალის სიდიდე მშპ-ის მიმართ	არაუმეტეს 30%-ისა
3	წმინდა ექსპორტი მშპ-ის მიმართ	არაუმეტეს 2-3%-ისა
4	ხარჯების წილი სახელმწიფო ვალის მომ-	არაუმეტეს 20%-ისა

⁵ Сенчагов В.К. Экономическая безопасность, М., Финстатинформ, 2002, стр. 76-77.

	სახურებაზე ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების მოცულობის მიმართ	
5	ინოვაციური პროდუქციის წილი სამრეწველო პროდუქციაში	არანაკლებ 15%-ისა
6	საეკონომიკური რეზერვები საქონლის და მომსახურების იმპორტის მოცულობის მიმართ	არანაკლებ 3-4 თვის იმპორტისა
7	საგარეო ვალი საქონლის და მომსახურების ექსპორტის მოცულობის მიმართ	არაუმეტეს 165%-ისა
8	საგარეო ვალის მომსახურება საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მიმართ	არაუმეტეს 18%-ისა

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებლები არ არის დოგმა, ისინი ცვალებადია, მაგრამ საორიენტაციო მნიშვნელობა მოცემულ სდერულ მაჩვენებლებს საგადასახდელო ბალანსის შეფასებისათვის უდაოდ აქვთ.

კითხვები თვითკონტროლისათვის

1. განმარტეთ საგადასახდელო ბალანსის არსი და ახსენით მისი დანიშნულება.
2. ჩამოთვალეთ საგადასახდელო ბალანსის შემადგენელი ნაწილები.
3. განსაზღვრეთ FOB და CIF ფასები.
4. რას მოიცავს მიმდინარე ანგარიში?
5. რას მოიცავს კაპიტალის და ფინანსური ანგარიში?
6. რას წარმოადგენს ქვეყნის რეზიდენტი?
7. დაასახელეთ საგადასახდელო ბალანსის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები.
8. ჩამოთვალეთ საგადასახდელო ბალანსის ზღვრული მაჩვენებლები.

ტესტები

- 1) სტატისტიკურ ანგარიშს, რომელიც სისტემატურად აღრიცხავს ეკონომიკური ოპერაციების ერთობლიობას ეროვნულ ეკონომიკასა და დანარჩენ სამყაროს შორის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ეწოდება
 - ა. საბუღალტრო ბალანსი;
 - ბ. სახელმწიფო ანგარიში;
 - გ. საგადასახდელო ბალანსი;
 - დ. საანგარიშსწორებო ბალანსი.
- 2) სტრუქტურულად საგადასახდელო ბალანსი შედგება:
 - ა. ორი ძირითადი ნაწილისაგან;
 - ბ. სამი ძირითადი ნაწილისაგან;
 - გ. ოთხი ძირითადი ნაწილისაგან;
 - დ. ხუთი ძირითადი ნაწილისაგან.
- 3) სამეურნეო ერთეული რომლის ეკონომიკური ინტერესების სფერო დაკავშირებულია ამ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიასთან, არის
 - ა. ქვეყნის ეკონომიკური მოკავშირე;
 - ბ. ქვეყნის აგენტი;
 - გ. ქვეყნის რეზიდენტი;
 - დ. ქვეყნის ლობისტი.

4) სტრუქტურულად საგადასახდელო ბალანსი შედგება შემდეგი ანგარიშებისაგან

- ა. მიმდინარე და პერსპექტიული ანგარიში;
- ბ. მიმდინარე და ფინანსური ანგარიში;
- გ. კაპიტალის და ფინანსური ანგარიში;
- დ. ოპერატიული და პერსპექტიული ანგარიში.

5) საგადასახდელო ბალანსის უსაფრთხოების ზღვრული მაჩვენებლების თანახმად, საგარეო ვალის სიდიდე მშპ-ის მიმართ უნდა იყოს

- ა. არა უმეტეს 10 %-ისა;
- ბ. არა უმეტეს 20 %-ისა;
- გ. არა უმეტეს 30 %-ისა;
- დ. არა უმეტეს 80 %-ისა;

6) საგადასახდელო ბალანსის უსაფრთხოების ზღვრული მაჩვენებლების თანახმად, წმინდა ექსპორტი მშპ-ის მიმართ უნდა იყოს

- ა. არა უმეტეს 5-6 %-ისა;
- ბ. არა უმეტეს 7-8 %-ისა;
- გ. არა უმეტეს 6-9 %-ისა;
- დ. არა უმეტეს 2-3 %-ისა;

7) საქონლის ბალანსს, მიმსახურების ბალანსს და მიმდინარე ტრანსფერტებს, მოიცავს

- ა. კაპიტალის ანგარიში;
- ბ. მიმდინარე და კაპიტალის ანგარიში;
- გ. ფინანსური ანგარიში;
- დ. მიმდინარე ანგარიში.

თემა 14. გლობალური პრობლემებით დასაქმებული ორბანიზაციები

*უცხოური ქვეყნებისათვის დახმარება
ის ფულია, რომელსაც მდიდარი
ქვეყნის ღარიბები იხდიან და
ღარიბი ქვეყნის მდიდრები იღებენ.
ევან ეზარი*

14.1. საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემის სტრუქტურა

პილიტიკური ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რომლებიც კაცობრიობის წინაშე გლობალური მასტაბით დგას ადექვატურ პასუხს მოითხოვს. უახლესმა ისტორიამ მთელ მსოფლიოს თვალნათლივ აჩვენა, რომ გლობალური ეკონომიკური კატასტროფების აღკვეთა, მხოლოდ მთელ კაცობრიობის კარგად კოორდინირებულ და ერთობლივ მოქმედებას შეუძლია. პასუხი საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემის შექმნა გახდა. ეს სისტემა შესაძლოა ჯერ ფუბქციურად არასრული და არასრულყოფილია, მაგრამ ჯერჯერობით ეს არის, რაც კაცობრიობამ ახალი ათასწლეულის მრისხანე გამოწვევებს შეიძლება დაუპირისპიროს.

პირველი მსოფლიო ომისა და სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარი რევოლუციების შემდეგ კაცობრიობა შეეცადა საკუარი ძალისხმევის კოორდინირებას და ახალი კატაკლიზმების აღსაკვეთად შექმნა ერთი ლიგა. იგი 1919 წ. ომში გამარჯვებული საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ინიციატივით შეიქმნა. მასში 30-ზე მეტი ქვეყანა გაწევრიანდა (მისი წსერი არ იყო აშშ). 1934 წ. მისი რიგები იტალიამ და გერმანიამ დატოვა. ფაშისტური სახელმწიფოების გამოსვლის შემდეგ ყოფილი სსრ კავშირი ერთა ლიგას შეუერთდა, მაგრამ 1939 წ. ორგანიზაციიდან გაირიცხა ფინეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის გამო. ერთა ლიგამ თავისი ფუნქციები შეასრულა და ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა კვლავ სცადეს საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ქვეყნებს

შორის ურთიერთობების რეგულირებასა და მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტას შეიძლება. 1945 წ. შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), ხოლო ერთი წლით ადრე რეტონ-ეუდსის კონფერენციაზე საერთაშორისო საეკონომიკური ფონდი (სსფ) და მსოფლიო ბანკი (მბ). ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემაში 4 ათასზე მეტი ორგანიზაციაა, მ.შ. 300 სამთავრობათაშორისი.


გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციები რამდენიმე პრინციპით შეიძლება დაჯგუფდეს:

1. სახელმწიფოთაშორისი (მთავრობათაშორისი) და არასახელმწიფოებრივი საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობა არასახელმწიფოებრივია. მათ შორის უამრავი სხვადასხვა ასოციაციები, კავშირები და ფონდებია;
2. უნივერსალური, ყველა სახელმწიფოსათვის ღია და სპეციალიზებული (რეგიონული ან დარგობრივი საერთაშორისო ორგანიზაციები);
3. საერთო კომპეტენციის ორგანიზაციები, რომლებიც პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობების ყველა სფეროს მოიცავს და სპეციალური კომპეტენციის ორგანიზაციები, რომლებიც რომელიმე გარკვეულ სფეროში თანამშრომლობენ;
4. სახელმწიფოთაშორისო და შესახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, რომელთა გადაწყვეტილებები, სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, ორგანიზაციების წევრი ქვეყნების ფისიკურ და იურიდიულ პირებსე უშუალოდ ვრცელდება;
5. ღია ორგანიზაციები, სადაც გაწევრიანება თავისუფლად შეიძლება და დახურული ორგანიზაციები, სადაც მიღება თავდაპირველი დამფუძნებლების მიპატივებით შეიძლება.

საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია მათი საქმიანობის მიმართულებისა და რეგულირების ობიექტის მიხედვით. ამგვარი კლასიფიკაციის ნიშნების შესაბამისად ეკონომიკური საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

1. ორგანიზაციები, რომლებიც კომპლექსური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრას ემსახურება;

2. ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიო ფინანსურ ბაზრებსა და საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური ურთიერთობებს არეგულირებენ;
3. ორგანიზაციები, რომლებიც საქონლის ბაზრებსა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებს არეგულირებენ.
4. რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები.



საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემის სტრუქტურა

14.2. გაეროს და ეთგოსს სისტემის ორგანიზაციები. საერთო

კომპეტენციის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები

კაცობრიობამ გაეროს ჩამოყალიბებით ახალ ეპოქაში შეაბიჯა. 1945 წლის 26 ივნისს სან-ფრანცისკოში 50 სახელმწიფომ ხელი მოაწერა გაეროს ქარტიას. დამფუძნებელი კრება კალიფორნიის შტატში, სანფრანცისკოში, რედუდ გროუსე გაიმართა. 24 ოქტომბერს გაერო დაიბადა.

გაერო სუვერენულ ერ-სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი გარეთიანებაა. იგი საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციაა. მის შემადგენლობაში დღეს 187 ქვეყანა შედის. გაერო თავად არ ფლობს სუვერენიტეტს. გადაწყვეტილებას დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით - კონსენსუსით ან კენჭისყრით იღებენ.

გაერომ ქარტიაზე დაყრდნობით მი'სნად დაისახა:

დაეცვა საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება;

ხალხთა თვითგამორკვევისა და თანამშრომლობის პრინციპის გათვალისწინებით ერებს შორის მეგობრული ურთუერთობები განეკითარებინა;

- გაედრმაეებინა საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პუმანიტარული სახის საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განსავითარებლად

ყოფილი საერთაშორისო ცენტრი ამ მი'სნების შესათანხმებლად და განსახორციელებლად.

გაეროს ოფიციალური ენებია ინგლისური, ფრანგული, რუსული, ჩინური და ესპანური. მოგვიანებით არაბული ენა დაამატეს, როგორც გენერალური ასამბლეის, უშიშროების საბჭოსა და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ოფიციალური ენა.

თავად გაერო ექვსი ძირითადი ორგანოსაგან შედგება. გაეროს სისტემა მთლიანად 15 სპეციალიზებულ სააგენტოს, 50-მდე პროგრამას, ორგანიზაციასა თუ სპეციალურ კომისიას აერთიანებს.

გაეროს ძირითადი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, საერთაშორისო სასამართლო, სამეურვეო საბჭო და გაეროს სამდივნო, გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით.

გენერალური ასამბლეა მის მთავარ ორგანოს წარმოადგენს. იგი უფლებამოსილია ორგანიზაციის წესდების ფარგლებში ნებისმიერი საკითხი გადაწყვიტოს. გენერალური ასამბლეა იღებს რეზოლუციებს, რომლებიც, მართალია მისი წევრებისათვის საგაიდებულო არ არის, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო სამართლის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. მისი არსებობის მანძილზე მიღებულია 10000-ზე მეტი სხვადასხვა რეზოლუცია. გენერალური ასამბლეა საბოლოოდ ამტკიცებს ყველა საერთაშორისო კონვენციას, რომელიც ეკონომიკურ საკითხებს შეეხება. მის სტრუქტურაში ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობს:

1. ეკონომიკური და ფინანსური საკითხების კომიტეტი, რომელიც გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომებისათვის რეზოლუციებს შემუშავებს;
2. საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის გაეროს კომისია - საერთაშორისო ვაჭრობაში სამართლებრივი ნორმების პარმონისაციითა და უნიფიკაციით არის დაკავშირებული;
3. საერთაშორისო სამართლის კომისია საერთაშორისო სამართლის განვითარებასა და კოდინაციაციაზე მუშაობს;
4. ინვესტიციების კომიტეტი გაეროს კონტროლის ქვეშ არსებული ფონდების სახსრების ინვესტირების საკითხებზე მუშაობს.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC) (ესს) გაეროს უმნიშვნელოვანეს ორგანოს წარმოადგენს, რომელიც გაეროს პოლიტიკის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პუმანიტარულ ასპექტებზეა პასუხისმგებელი.

ესს-ს თავის სისტემაში გააჩნია კომისიები კომიტეტები, სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ეკონომიკური საკითხებით არიან დაკავებული. ესენია:

6 ფუნქციური კომისია და ქვეკომისია: სოციალური განვითარების, ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის,

მეცნიერებისა და ტექნიკის, მდგრადი განვითარების ხელსაწყოების, სტატისტიკის, ტრანსეროვნული კორპორაციების;

5 რეგიონული კომისია: ევროპის, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის, დასავლეთ აზიის;

2 მუდმივი კომიტეტი: პროგრამებისა და კოორდინაციისათვის, უშუალოდ ორგანიზაციებისათვის;

7 ექსპერტთა ორგანო: დაგეგმვის განვითარების კომიტეტი, საგადასახადო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი, კომიტეტები - სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სამართლის; ეროვნული რესურსების; ენერჯის ახალი და განახლებადი წყაროების და განვითარების მიზნით ენერჯის გამოყენების; აგრეთვე, სახელმწიფო მართვისა და ფინანსების ექსპერტთა შეხვედრები.

რეგიონული კომისიის მიზნებს წარმოადგენს მსოფლიოს შესაბამისი რეგიონების ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემების შესწავლა, რეგიონული წევრების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დახმარების ზომებისა და საშუალებების შემუშავება მათი საქმიანობის კოორდინაციისა და შეთანხმებული პოლიტიკის გატარების გზით, რომელიც ეკონომიკის დარგებისა და შიდა რეგიონული ვაჭრობის განვითარების კარდინალური ამოცანების გადაწყვეტისაკენ იქნა მიმართული.

გაეროს უშუალო ორგანოების გარდა მის სისტემაში სპეციალიზებული დაწესებულებები და მთავრობათაშორისი ორგანიზაციებიც შედის. ესენია:

1. გაეროს ფონდები;
2. გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები;
3. გაეროსთან დაკავშირებული ავტონომიური ორგანიზაციები.

გაეროს ფონდებიდან და პროგრამებიდან მნიშვნელოვანია:

1) ინვესტიციების განვითარების ფონდი განვითარებად ქვეყნებად ქვეყნებს ეხმარება ფინანსირების არსებული წყაროების შევსების გზით დახმარებისა და სესხების

გაცემით. ფონდის რესურსები ნებაყოფლობითი შენატანებით იქმნება და 40მლნ დოლლარს აღწევს.

2) გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) გაეროს სისტემის ყველაზე მსხვილი ორგანიზაცია, რომელიც აფინანსებს მრავალდარგობრივ ეკონომიკურ და ტექნიკურ დახმარებას, მისი რესურსები 1 მლრდ დოლარს შეადგენს და გამოუღმებით ივსება დონორი ქვეყნების მიერ.

3) გაეროს გარემომცველი სამყაროს პროგრამა (UNEP) ახორციელებს მუდმივ მეთვალყურეობას გარემომცველ სამყაროზე და პასუხისმგებელია ამ სფეროში ყველა საერთაშორისო პროექტის კოორდინაციაზე. მისი საქმიანობა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრისაკენ არის მიმართული.

4) მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP) საგანგებო ვითარებაში საერთაშორისო სასურსათო დახმარების გაწევის კოორდინაციას ახორციელებს. მისი ბიუჯეტი 1,2 მლრდ აშშ დოლლარს აჭარბებს და ძირითადად, აშშ-ის (500მლნ დოლარი), ევროკავშირის (235მლნ დოლარი), და სხვა განვითარებული ქვეყნების შენატანების ხარჯზე ივსება.

გაეროსთან დაკავშირებული სპეციალიზირებული ორგანიზაციებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

1) ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ინტელექტუალური საკუთრების დაცვის 18 სამთაერობათშორისო ორგანიზაციის ძალისხმევას აერთიანებს;

2) გაერთიანებული ერების სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) 168 ქვეყანას აერთიანებს, რათა ხელი შეუწყოს ახალი სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვას, განვითარებადი ქვეყნების, განსაკუთრებით აფრიკელი ქვეყნების, ინდუსტრიალიზაციას, ტექნიკურ დახმარებას. UNIDO-მ შექმნა სამრეწველო და ტექნოლოგიური ინფორმაციის ბანკი და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის სისტემა;

3) სასურსათო და აგრორული ორგანიზაცია (FAO) ხელს უწყობს ინვესტიციებს სოფლის მეურნეობაში, განვითარებადი ქვეყნებისათვის უახლესი ტექნოლოგიების გადაცემას, აგრორულ რეფორმებს;

4) სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობისათვის კრედიტებს გასცემს;

5) მსოფლიო საფოსტო კავშირი (UPU) გაეროს სისტემის უქველესი ორგანიზაციაა ჯერ კიდევ 1865წ. დაარსდა და საფოსტო მომსახურების განვითარებითა და მოდერნიზაციით არის დაკავებული;

6) მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (WMO) მეტეოროლოგიური დაკვირვებების განვითარების სფეროში საერთაშორისო ძალისხმევის კოორდინაციას ახორციელებს;

7) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) ხალხთა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების გადაწყვეტისათვის 190 ქვეყნის ძალისხმევას აერთიანებს;

8) შრომის სართაშორისო ორგანიზაცია (ILO) ვერსალის შეთანხმების საფუძველზე ჯერ კიდევ 1919წ. შექმნა. მის რიგებში 171 ქვეყანაა გაერთიანებული. ILO-მ შრომის საერთაშორისო კიოდექსი შეიმუშავა;

9) განათლების, მეცნიერებისა და კულტურის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UNESCO) - ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციაა - ინფორმაციის, კოდნის, კომუნიკაციისა და ა.შ. სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე მუშაობს.

გაეროსთან დაკავშირებული ავტონომიური ორგანიზაციებიდან მნიშვნელოვანია ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (IAEN), რომლის ფუნქციებში შედის:

მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს ატომური ენერჯეტიკის განვითარებისა და მშვიდობიანი მიზნებისათვის ატომური ენერჯის პრაქტიკულ გამოყენებას, აგრეთვე, ამ სფეროში გამოკვლევების ჩატარებას;

- ატომური ენერჯისა და მისი მშვიდობიანი მიზნებისათვის პრაქტიკული გამოყენების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საჭიროებისათვის უზრუნველყოს მასალები, მომსახურება, აღჭურვილობა და ტექნიკური საშუალებები;

- ხელი შეუწყოს სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის გაცვლას;

- მხარი დაუჭიროს მეცნიერ-მუშაკებისა და სპეციალისტების გაცვლასა და მომსახურებას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია ეთგო ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ბაზასე 1961წ. სექტემბ. იგი ამ უკანასკნელის სამართალმემკვიდრეა.

ეთგო-ს წევრია ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული 28 ქვეყანა: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, მექსიკა, პოლანდია, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სამხრეთ კორეა, აშშ, თურქეთი, ფინეთი, ნეხეთი, შვეიცარია, იაპონია.

ეთგო-ს ოფიციალური მიზნებია: მდიდარი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა, როგორც წევრ ქვეყნებში. ისე ამ ორგანიზაციაში არამონაწილე ქვეყნებში;

წევრ-ქვეყნებში მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპების, დასაქმებისა და ცხოვრების მაღალი დონის ხელშეწყობა ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებით;

- საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, მრავალმხრივ არადისკრიმინაციულ საფუძველზე მსოფლიო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობა;

- განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის სფეროში ქმედებების სტიმულაცია და კოორდინაცია;

ეთგო-ს მმართველი ორგანოა საბჭო, რომელშიც ყველა ქვეყნის თითო წარმომადგენელი შედის. საბჭო იკრიბება ან მუდმივი წარმომადგენლების შემადგენლობით ან წევრი ქვეყნების მინისტრების შემადგენლობით. გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები საბჭოს ყველა წევრის თანხმობით მიიღება და ჩვეულებრივ, სარეკომენდაციო ხასიათისაა.

ეთგოს შემადგენლობაში 20-ზე მეტი სპეციალისებული კომიტეტი ფუნქციონირებს. ესენია: ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და განვითარების, ვაჭრობის, კაპიტალის მოძრაობისა და უხილავი გარიგებების, ფინანსური ბაზრების, კონკურენციის პოლიტიკისა და სამართლის, სამომხმარებლო პოლიტიკის, ტურიზმის, საზღვაო ტრანსპორტის, საერთაშორისო

ინვესტიციებისა და მრავალეროვნული საწარმოების, ენერგეტიკული პოლიტიკის, მრეწველობის, ფოლადის, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკის, ინფორმაციის სფეროში პოლიტიკის, განათლების საკითხების, სახელმწიფო მართვის საკითხების, სოფლის მეურნეობის, გარემომცველი სამყაროს დაცვის, სამუშაო ძალისა და სოციალური პოლიტიკის, კომპიუტერიზაციისა და კომუნიკაციის და სხვა.

ეთგო-ს დაფინანსება ხორციელდება ორგანიზაციის შენატანებით. ეთგო-ს სტრუქტურაში შედის შემდეგი ორგანიზაციები (ნახ. 14.1):

„დიდი შვიდეული“ („G7“) ეთგოს ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი ქვეყნების ორგანიზაციას წარმოადგენს, შეიქმნა 1975წ. გლობალური ფინანსური და სავალუტო საკითხების გადასაწყვეტად. შემდგომში ჯგუფის ფუნქციები იზრდებოდა და ამჟამად მთავრობათა მეთაურების ყოველწლიურ შეხვედრებზე გლობალური საკითხების მთელი სპექტრი განიხილება. ჯგუფში გაერთიანებული დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, აშშ, კანადა, საფრანგეთი და იაპონია მსოფლიოს მშპ-ის 60% აწარმოებს. 1997წ. „დიდ შვიდეულში“ რუსეთი შევიდა და ახლა მას ხშირად „დიდ რვიანს“ უწოდებენ, თუმცა რუსეთი ამ პრესტიჟული ჯგუფის სრულიფლებიანი წევრი არ არის.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო (IEA) ეთგო-ს ორგანიზაციის ჩარჩოში ავტონომიურ ორგანოს წარმოადგენს. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- დახმარების გაწევა წევრი ქვეყნებისათვის ენერჯიის მრავალფეროვანი წყაროების განვითარებაში გრძელვადიანი თანამშრომლობის საფუძველზე ნახშირის, ბუნებრივი გაზის, ჰიდროენერჯიის, ეტომური ენერჯიეს განახლებადი წყაროების ეფექტიანი გამოყენების წახალისების გზით ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით;

- საგანგებო ვითარებების გადალახვისათვის სომების განხორციელება სარეზერვო მარაგების შექმნის, ნავთობის მოხმარების შემცირების ნავთობიდან სათბობის სხვა სახეობებზე სწრაფი გადართვის, ენერჯიის ადგილობრივი წარმოების გაზრდის, საგანგებო ვითარებაში ნავთობის განაწილების მუდმივი სისტემის მხარდაჭერის გზით;

ენერგეტიკის სფეროში წვერი ქვეყნების პოლიტიკის ანალიზი ეფექტიანი გამოყენებისა და ენერგორესურსების დაზოგვის ხელშეწყობის, ნავთობის ალტერნატიული წყაროების გამოყენების ანალიზის მიზნით;

- ნავთობის მსოფლიო ბაზრისა და ენერგეტიკის სფეროში ტექნოლოგიების კვლევა.

ატომური ენერჯის სააგენტო (NAE) ეთგო-ს ფარგლებში მოქმედებს. სააგენტოს საქმიანობის ძირთად მიმართულებას ატომური ენერგეტიკის სფეროში მისი წვერი-ქვეყნების პოლიტიკების კოორდინაცია, რეპტორების უსაფრთხოების პროგრამების განხორციელება და ატომური ენერგეტიკის განვითარება წარმოადგენს. სააგენტოს წვერების წილად ატომური ენერჯის მსოფლიო წარმოების 80% მოდის.

ეთგო-ს სისტემის ორგანიზაციები

ნახ. 14.1

ორგანიზაციის დასახელება	წვერი-ქვეყნების რიცხვი	დაარსების წელი
„დიდი შვიდეული“	7	1975
საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო (IEA)	27	1974
ატომური ენერჯის სააგენტო (NAE)	27	1958

გაეროსა და ეთგო-ს სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა არსებობს საერთო კომპტენციის მთელი რიგი ორგანიზაციები, ანუ ორგანიზაციები, რომლების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მთელი სპექტრით არიან დაკავებულნი (ნახ. 14.2)

ვეროსაბჭო წარმოადგენს ფართოპროფილიან მთავრობათაშორის ორგანიზაციას. მისი წვერი ევროპის 40 ქვეყანაა. ევროსაბჭოს საქმიანობის ძირითადი სფეროებია: ადამიანთა უფლებები; მასობრივი ინფორმაციის საშუალებები; სამართლებრივ სფეროში თანამშრომლობა; სოციალური და ეკონომიკური საკითხები; ჯანდაცვა,

განათლება, კულტურა, სპორტი და რეგიონული მმართველობა; გარემო.

საერთო კომპეტენციის საერთაშორისო ორგანიზაციებინახ.
ნახ. 14.2

ორგანიზაციის სახელწოდება	წევრი ქვეყნების რიცხვი	დაარსების წელი
ევროსაბჭო	40	1949
ერთა თანამეგობრობა	53	1931
ჩრდილოეთის თანამეგობრობა	5	1971
არაბულ სახელმწიფოთა ლიგა	22	1945
ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE)	55	1975
ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია	50	1969

ერთა თანამეგობრობა 53 დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომლებიც ისტორიულად დიდ ბრიტანეთთან არიან დაკავშირებული (ყოფილი კოლონიები და დომინიონები). ერთა თანამეგობრობის მეტაური დიდი ბრიტანეთის მონარქიაა. თანამეგობრობა მონაწილე ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს, ახორციელებს სამეცნიერო, კულტურულ და ეკოლოგიურ პროგრამებს.

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) (OSCE) 1975წ. შეიქმნა, როგორც მო-

ნაწილე ქვეყნებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის ფორუმი. ეუთო-ს წევრი 55 ქვეყანაა. ეუთო-ს ფორუმზე იკრიბება ევროპის ყველა ქვეყანა, აშშ და კანადა, რომლებსაც ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების, დემოკრატიისა და კანონიერების საერთო ნორმები გააჩნიათ.

წევნს მიერ დასახელებული ორგანიზაციების გარდა, ამ ჯგუფს მიეკუთვნება არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, რომელიც ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აფრიკის 22 ქვეყანას აერთიანებს. ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია, რომლის მიზანს მუსლიმური სოლიდარობის განმტკიცება წარმოადგენს და 50 მუსლიმურ სახელმწიფოს მოიცავს ახერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირიგზეთის და ტაჯიკეთის ჩათვლით. ჩრდილოეთის თანამეგობრობა, რომელიც დანიის, ნორვეგიის, შვეციის, ფინეთისა და ისლანდიის ურთიერთქმედებას უწყობს ხელს.

14.3 საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები

საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს შორის ცენტრალური ადგილი მსოფლიო ბანკს (World Bank) უჭირავს, მსოფლიო ბანკის ჯგუფში შედის ხუთი ორგანიზაცია:

1. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რგსბ) (IBRD), რეტონ-უედისის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად შეიქმნა (1944წ. ივლისი, აშშ). რგსბ-ს წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ სსფ-ის წევრები. მის შემადგენლობაში 180 სახელმწიფოა გაერთიანებული, საწესდებო კაპიტალი 182მლრდ დოლარია.

რგსბ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- განვითარებადი ქვეყნებისათვის გრძელვადიანი სესხების და კრედიტების მიცემა საწარმოო მიზნით, სოფლის მეურნეობის და სასოფლო რევიონების, ენერგეტიკის განვითარებისათვის. შესაბამისი მთავრობების დაჯავიანებათა დაფარვაზე გარანტიების გაცემა, სესხების გაცემა კონკრეტული პროექტებისთვის;

- სესხების გაცემა განვითარებად ქვეყნებში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, გზატკეცილების და რკინიგზების, ელექტროკავშირის, ქალაქის პორტების, ენერგეტიკული დანადგარების შესაქმნელად, ასევე განათლების, ჯანდაცვის განვითარებისათვის, კადრების მოსამზადებლად.

- განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რომელიც იყოფა შემდეგ სახეებად: ა) ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება როგორც სესხების და კრედიტების სემადგენელი ნაწილი. უვადო სესხები და კრედიტები ტექნიკურ დახმარებაზე; ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება ფონდის მეშვეობით პროექტების მომზადებისას; ბ) ტექნიკური დახმარება, რომელსაც უწევს რგსბ, მაგრამ არ აფინანსებს - იგი ასრულებს ადმინისტრაციული ორგანოს როლს. აქ ნართულია რგსბ-ს ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტები; გ) ტექნიკური დახმარება ადმინისტრაციული ბიუჯეტის ხარჯზე.

2. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (გსა) (IDA) შექმნა 1960წ. და ფორმალურად რგსბ-სგან დამოუკიდებელია. ამასთან რგსბ-ის პრეზიდენტი გსა-ის პრეზიდენტია, ე.ი. ფაქტობრივად გსა-ს აკონტროლებს რგსბ. გსა-ის შემადგენლობაში 159 ქვეყანა შედის, რომელთაგან 26 განვითარებადია.

გსა-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულება უდარიბეს და ნაკლებად კრედიტუნარიან ქვეყნებში პროდუქტების დაკრედიტება მათი ეკონომიკური განვითარების მიზნით. კრედიტების მიმღები ქვეყნები შეირჩევა ოთხი კრიტერიუმით: ა) ერთ სულ მოსახლეზე ქვეყანაში წლიური შემოსავალი უნდა იყოს 1305 აშშ დოლარზე ნაკლები; ბ) ქვეყანაში დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური სტაბილურობა უნდა იყოს, რომ განვითარების მიზნით გაცემულმა გრძელვადიანმა კრედიტებმა გაამართლოს; გ) ქვეყანა სერიოზულ სიძნელებებს უნდა განიცდიდეს საგადასახდლო ბალანსთან დაკავშირებით; დ) ქვეყნის პოლიტიკა მიზანმიმართული უნდა იყოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ფაქტობრივად, გსა-ის მიერ გაცემული კრედიტების უდიდესი ნაწილი დაბალგანვითარებულ ქვეყნებზე მოდის,

სადაც წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 800 აშშ დოლარია. გასა კრედიტებს გასცემს, როგორც წესი 50 წლის ვადით, წლიური 3%-იანი განაკვეთით. კრედიტები გაიცემა უცხოურ ვალუტაში საქონლისა და მომსახურების იმპორტზე გადასახადებისათვის. კრედიტების ხარჯვა უნდა განხორციელდეს ვაჭრობების, აუქციონების და სხვ. საშუალებებით.

3. საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (სფკ) (IFC) შეიქმნა 1956წ. ფაქტობრივად იგი რგსბ-ს ფილიალია და სპეციალიზდება შემდეგი მიმართულებებით:

- საწარმოების დაფინანსება წვერ-ქვეყნებში უშუალოდ კერძო კომპანიებისათვის სეხების მიცემით და ინვესტირების განხორციელება ამ ფორმებში სფკ-ის საკუთარი სახსრებით, რომელიც არ საჭიროებს გარანტიებს მთავრობათა მხრიდან. სესხები გაიცემა 7-დან 12 წლამდე ვადით ძირითად ვალუტაში ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთებით; სესხების დაფარვა იმ ვალუტით ხდება, რომლითაც სესხი მიიღეს;

- ინვესტიციების განხორციელება საკუთარი სახსრებით გადაამაშუაებულ და მომპოვებულ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კომუნალურ საწარმოებში, ტურიზმში;

კერძო ფინანსური სახსრების მიზიდვა ინფრასტრუქტურის, გარემოს განვითარების პროექტებში ინვესტირებისათვის.

4. ინვესტიციების გარანტიების მრავალმხრივი სააგენტო (იგმს) (MICA) შეიქმნა 1988წ. როგორც მსოფლიო ბანკის ფილიალი. მის შემადგენლობაში 154 ქვეყანა შედის. იგმს-ის ძირითადი მიმართულება რისკებზე გარანტიების გაცემაა, რომლებიც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

- ადგილობრივი ვალუტის არაკონვერტირებადობა; მიმღებ ქვეყანაში საკუთრების ექსპროპრიაცია; მიმღები ქვეყნის კონტრაგენტთა მხრიდან კონტრაქტის დარღვევა;

იგმს შერჩეულ ინვესტორებს წვერ-ქვეყნებში, უპირატესად განვითარებად ქვეყნებში და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში არაკომერციულ რისკებზე აძლევს გარანტიებს, რაც ფაქტობრივად პოლიტიკური რისკისაგან დაზღვევას ნიშნავს.

5. საინვესტიციო დავების და რეგულირების საერთაშორისო ცენტრი (ICSID) საერთაშორისო

ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით 1966წ. შეიქმნა. იგი მთავრობებსა და უცხოელ ინვესტორებს შორის საარბიტრაჟო გარსეგებისა და დაების რეგულირების მომსახურებას აწარმოებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) (IMF)

რეტონ-უდსის ორგანიზაციაა, იგი დაფუძნდა 1944წ. სსფ გაერო-ს სპეციალიზებულ ორგანიზაციად ითვლება, წესდებით გაერო-ს უფლება აქვს მისცეს მას რეკომენდაციები გადატარებელი პოლიტიკის შესახებ. სსფ-ის მთავარ მიზანს ვალუტათა გაცვლითი კურსების მოწესრიგება და საბიუჯეტო დეფიციტების შემცირება წარმოადგენს, რაც საერთაშორისო ბაზარზე კაპიტალის თავისუფალ გადაანაცვლებას შეუწყობს ხელს. ამ მიზრით, მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებამ ომის შემდგომ ეკონომიკურ პროგრესს დიდად შეუწყო ხელი.

ფონდის დღევანდელი კაპიტალი 195 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს და ძირითადად 182 წევრი ქვეყნის შენატანის, ანუ ქვოტისგან შედგება. ამ ქვოტის სიდიდე, სპეციალური ფორმულის მეშვეობით, თითოეული წევრის ეკონომიკური სიძლიერის შესაბამისად დაიანგარიშება. სსფ-ს აქვს უფლება, სპეციალური წესით, წევრ-ქვეყნებს ფინანსური რეზერვებიდან სესხები გამოუყოს. ყოველ სსრკ-ს ქვეყნები სსფ-ში 1992წ. მიიღეს. სსფ-ის წევრობა აუცილებელი წინაპირობაა რგსბ-ში შესასვლელად.

დღეისათვის ფონდის ძირითადი ფუნქცია წევრებისათვის საგადასახადელო ბალანსის შესავსებად მოკლევადიანი კრედიტების გამოყოფაა. უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტის მაქსიმალური ოდენობა თვით ქვეყნის ქვოტის სიდიდებზეა დამოკიდებული. როგორც წესი, იმ ქვეყნებს, რომლებიც ეკონომიკური კორექტირების პროგრამებს ახორციელებენ, სსფ-გან რამდენიმე წლის განმავლობაში საკუთარ ქვოტაზე ოთხჯერ ან ხუთჯერ მეტი კრედიტის მიღება შეუძლიათ.

სსფ-მ ღრმა სტრუქტურული კორექტირების ინსტრუმენტის საშუალებით, აგრეთვე გამოყოფს სახსრებს დაბალი ეკონომიკური მანევრებლების მქონე ქვეყნებისათვის. ამ პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს სამწლიანი პერიოდის განმავლობაში თავისი ქვოტის 190%-ის ტოლი ფინანსური დახმარების მიღება შეუძლიათ. გამონაკლის შემთხვევებში,

დახმარება ქვერტის 255%-ს შეიძლება შეადგენდეს. სტრუქტურული კორექტირების ინსტრუმენტის ფარგლებში ხორციელდება საქართველოსათვის სტრუქტურული დახმარების პროგრამაც.

სსფ-ს მმართველთა საბჭო ხელმძღვანელობს, რომელიც ყველა წვერი ქვეყნის წარმომადგენლისაგან შედგება და წელიწადში ერთხელ იკრიბება. ყოველდღიურ საქმიანობას 24 წვერისაგან შემდგარი აღმასრულებელი საბჭო ხელმძღვანელობს. სსფ-ის შატტი 2600 ადამიანისაგან შედგება და მას მმართველი დირექტორი ხელმძღვანელობს, რომელსაც აღმასრულებელი საბჭო ირჩევს.

სსფ-ის ფუნქციებში შედის:

საგალუტო საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა;

- საერთაშორისო ვაჭრობის დაბალანსებული ხრდის ხელშეწყობა;

- საგადასახდელი ბალანსის გამოსწორებაში მთავრობისათვის დახმარების გაწევა;

- იმის უსრუნველყოფა, რომ სისტემური რეფორმების პროგრამები მოსახლეობის უდარბეს ნაწილზე უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გვერდით მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ანგარიშ-სწორების ბანკი (საბ), რომელიც ჯერ კიდევ 1930წ. დაარსდა. მასში ამჟამად 33 ქვეყანა შედის, მ.შ. დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა, აღმოსავლეთ ევროპის 6 ქვეყანა, აშშ, იაპონია და სხვ. საბ ატარებს კომერციულ ოპერაციებს ამ ქვეყნების ბანკებთან, ორგანიზებას უკეთებს საგალუტო თანამშრომლობას და თვითონ აქტიურად მიიწვევს მასში. საბ, მართალია, სახელმწიფოთაშორის ინსტიტუტად გვევლინება, მაგრამ ფუნქციონირებს წმინდა კომერციულ საფუძველზე, როგორც სააქციო საზოგადოება, იხდის რა დივიდენდებს აქციებზე. მისი აქციების დიდი ნაწილი ეკუთვნის ევროპულ (კენტრალურ ბანკებს).

საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულ ბანკს (რგებ), რომელიც ხშირ შემთხვევაში, რგებ-ს ევროპულ ანალოგად გვევლინება და განვითარე-

ბის ისლამური ბანკი, რომელიც 47 ისლამურ სახელმწიფოს აერთიანებს და მათ განვითარებაზე უემოქმედებს.

ქვემოთ მოვიყვანთ მნიშვნელოვანი საერთაშორისო რეგიონული ბანკების, ფონდების და საფინანსო ორგანიზაციების ჩამონათვალი.

რეგიონული ბანკები: ევროპული საინვესტიციო ბანკი (ესბ), განვითარების აზიური ბანკი (გაბ), არაბულ-აფრიკული საერთაშორისო ბანკი (აასბ), განვითარების აფრიკული ბანკი (გაფბ), ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოების განვითარების ბანკი (კასგბ), განვითარების დასავლეთაფრიკული ბანკი (გდბ), განვითარების კარიბული ბანკი (გკბ), ლათინოამერიკული საექსპორტო ბანკი (ლასბ), განვითარების ამერიკათშორისი ბანკი (გაბ), ეკონომიკური ინტეგრაციის ცენტრალურ ამერიკული ბანკი (ეიკაბ), არაბულ-ლათინოამერიკული ბანკი (ალბ).

რეგიონული ფონდები და საფინანსო ორგანიზაციები: კარიბის საინვესტიციო ფონდი (ასფ), ანდის სარეზერვო ფონდი (ასფ), არაბული სავალუტო ფონდი (ასფ), ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაბული ფონდი (ესგაფ), ნექო-ს სპეციალური ფონდი, სავალუტო კელეუების აფრიკული ცენტრი (სკაფ), ცენტრალური აფრიკის სავალუტო კაეშირი (კასკ), ევროპული სავალუტო სისტემა (ესს), დასავლეთაფრიკული სავალუტო კაეშირი (დსკ), ფრანგული ბანკის ზონა (ფბზ), კარიბის საინვესტიციო კორპორაცია (კსკ), განვითარების ანდის კორპორაცია (გაკ), ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკი (ნსბ), ამერიკათშორისი საინვესტიციო კორპორაცია (ასკ).

14.4. საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები საგარეო სავაჭრო ურთიერთობების რეგულირებისას, მრავალფეროვან მექანიზმებს იყენებენ, კერძოდ: საიმპორტო და საექსპორტო ტარიფებს, ექსპორტის და იმპორტის ქვოტებს, ლიცენზირებას, სუბსიდირებას, რითაც თავიანთ

მწარმოებლებს, მსოფლიო ბაზარზე კონკურენციულ უპირატესობებს უქმნიან და ა.შ. ქვეყნებს შორის ურთიერთობები, სეკულური ირმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებით რეგულირდება. 1920-1933წწ. ხუთი მსოფლიო ეკონომიკური კონფერენცია ჩატარდა, რომლებზეც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს. ეს პროცესი მეორე მსოფლიო ომის გამო შეფერხდა. 1948წ. ფუნქციონირება დაიწყო ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურმა შეთანხმებამ. 1995წ. 1 იანვრიდან იგი გადაკეთდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციად (ვმო).

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) - გაეროს სისტემის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სპეციალიზებული ორგანიზაციაა. ვმო წარმოგვიდგება როგორც ორგანიზაცია და იმაედროულად სამართლებრივი დოკუმენტების კომპლექსი, თავისებური მრავალმხრივი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მთავრობების უფლებამოვალეობებს საქონელთა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში. ვმო-ს წევრებად გვევლინება 132 სახელმწიფო და კიდევ 32 ქვეყნის ემზადება მასში შესასვლელად.

ვმო-ს მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის ღიბერალიზაცია და მისთვის მდგრადი საფუძვლების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას. ეს მიიღწევა, ნაწილობრივ, წესებისა და შეთანხმებების მეშვეობით და დადგენით, რომელიც წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობას ეხება და ნაწილობრივ მოლაპარაკებების გზით, რომელიც იწვევს საქონელთა და მომსახურებით ვაჭრობის შემდგომ ღიბერალიზაციას.

ვმო-ს საქმიანობის ძირითად მიმართულებად გვევლინება:

- კონტროლი იმ მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების გადაწყვეტილების მიღებასა და გამოყენებაზე, რომლებიც ვმო-ს სამართლებრივ ბაზას შეადგენენ;

- ფორუმის როლის შესრულება მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების ჩასატარებლად;

- წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო დაეების რეგულირება;

- დაკვირვება წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკაზე;

- ინფორმაციის მოპოვება, შესწავლა და მიწოდება საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის განვითარებისა და გამოყენების მექანიზმების საკითხებზე.

საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების სფეროში ემო-ს უმნიშვნელოვანესი პრინციპები შემდეგია;

უპირატესი ხელშეწყობის ანუ დისკრიმინაციის უარყოფის პრინციპი. ეს პრინციპი მოითხოვს, რომ ნებისმიერი უპირატესობა, პრივილეგია, შედაგათი ან იმუნიტეტი, რომელსაც ანიჭებს ნებისმიერი წევრი ქვეყანა სხვა ქვეყნებიდან წარმოშობილი ან ნებისმიერი სხვა ქვეყნისათვის გამიზნული ნებისმიერ პროდუქტს, გავრცელდეს დაუყონებლივ და უპირობოდ სხვა წევრი ქვეყნებიდან წარმოშობილ დაყ ველა სხვა წევრი ქვეყნისთვის გამიზნულ ანალოგიურ პროდუქტზე.

ეროვნული რეჟიმის პრინციპი. ეს პრინციპი ადგენს, რომ წევრმა ქვეყნებმა უცხოური წარმოშობის საქონელს უნდა მიანიჭონ იგივე რეჟიმი, რაც ეროვნულ საქონელს შიდა გადასახადებისა და მოსაკრებელის სფეროში, ასევე ვაჭრობის მარეგულირებელ ეროვნულ კანონებთან, განკარგულებებთან და წესებთან დაკავშირებით.

ეროვნული მრეწველობის დაცვის პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ იმპორტზე ტარიფების გზით, ეროვნული მრეწველობის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყანას შეუძლია განახორციელოს დაცვა, რომელიც დაეფუძნება საბაჟო ტარიფებს და არა სხვა სავაჭრო-პოლიტიკურ ზომებს, რაოდენობრივი (ქვოტების) შეზღუდვების, სტანდარტების და ა.შ. ჩათვლით.

ვაჭრობის საფუძვლების მდგარდობის შექმნის პრინციპი. ამ პრინციპის დაცვა უზრუნველყოფილია მოლაპარაკებების მხარეებს შორის შეთანხმებული სატარიფო დონეების დაცვის აუცილებლობით. ეს გულისხმობს, რომ რომ ტარიფები უნდა შემცირდეს მრავალმხრივი მოლაპარაკებების გზით და არ უნდა გაიზარდოს.

სამართლიანი კონკურენციის სემპქმელების პრინციპი. საუბარია სუბსიდიების შემცირებისა და დემინგის დაუშვებლობის შესახებ.

1999წ. საქართველო ემო-ს წევრია. ერთი მხრივ ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაცია ემო-ში ხელს შეუწყობს ეროვნული

ეკონომიკის შემდგომ განვითარებას. კერძოდ, დაიცვას საკუთარი მეურნეობა გარეშე ძალის დისკრიმინაციული ზემოქმედებისაგან, რაც გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია (თუ იგი კონკურენტუნარიანია) რეალურად შევა ევროკავშირის და სხვა ბაზარზე შეღავათიანი პირობებით. ტრანსფორმირებადი ეკონომიკისათვის ეს ძლიერი მხარდაჭერაა, ხოლო მეწარმეებისათვის რეალური სტიმული. წამოჭრილი საერთაშორისო დაგები მოგვარდება ემო-ს დაგების კომიტეტის მეშვეობით.

მეორე მხრივ, ემო-ს წევრობა საქართველოს ავალდებულებს უსრუნველყოს საკუთარი საკანონმდებლო ბაზის პარმონისაცია საერთაშორისო ნორმებთან. ამასთან ეფექტურად ამოქმედდა ორმხრივი ხელშეკრულების ფაქტორი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო მიიღებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს მსო-ს სხა წევრ ქვეყნებთან.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD), 1964 წელს შეიქმნა და მასში 188 ქვეყანაა გაწევრიანებული. მისი წლიური საოპერაციო თანხა 50მლნ აშშ დოლარტ შემოიფარგლება. შემოსავლების ძირთადი წყარო კი გაეროს რეგულარული ბიუჯეტია. ტექნიკური თანამშრომლობის საქმიანობა ფინანსდება სარეზერვო ბიუჯეტიდან, რომლის თანხაც 24მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ძირითადი ამოცანაა მოახდინოს ფოკუსირება ვაჭრობის, ფინანსურ, ტექნოლოგიურ, ინვესტიციებისა და მდგრადი განვითარების სფეროებზე და განვითარებად ქვეყნებში ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარება დააჩქაროს. ყველა ამ საქმიანობაზე პასუხისმგებელია გაეროს ვაჭრობისა და განვითარების საბჭო. 1996 წელს უკანასკნელმა IX კონფერენციამ დაარსა საბჭოს სამი კომისია, რომელთა მიზნებიც შესაბამის სფეროებში ეკონომიკური საქმიანობის განვითარებას ითვალისწინებს.

UNCTAD-ის მისიაა:

დააჩქაროს განვითარებად ქვეყნებში ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარება;

მინიმუმამდე დაიყვანოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული სოციალური თუ ეკონომიკური სახის განსხვავება;

- გააუმჯობესოს სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი არა აქვთ;

- ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის ისეთ აღორძინებას, რომლებიც ქვეყანას კეთილდღეობას მოუტანს.

კითხვები თვითკონტროლისათვის

1. დაასახელეთ საერთაშორისო ორგანიზაციების დაჯგუფების ძირითადი პრინციპები.

2. დაახასიათეთ საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემის სტრუქტურის ორგანიზაციები.

3. დაახასიათეთ გაეროს სისტემის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების სტრუქტურა.

4. დაასახელეთ გაეროს სისტემის სპეციალიზებული დავესებულებები და მთავრობათაშორისი ორგანიზაციები.

5. დაახასიათეთ ეთგო-ს სისტემის ორგანიზაციების ძირითადი მიზნები და საქმიანობის მიმართულებები.

6. განსაზღვრეთ საერთო კომპეტენციის საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი სფეროები.

7. ახსენით რა მიზნებს ემსახურება მსოფლიო ბანკის ჯგუფის ორგანიზაციების საქმიანობა.

8. დაახასიათეთ ემო-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

9) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველო
გაწევრიანდა:

ა) 1997 წელს;

ბ) 1999 წელს;

გ) 2001 წელს;

დ) 2003 წელს.

10) ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე შეიქმნა:

ა)საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი;

ბ)საერთაშორისო სავალუტო ფონდი და პარიზის კლუბი;

გ) მსოფლიო ბანკი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია;

დ) მსოფლიო ბანკი და მსოფლიო სასურსათო პროგრამა.

ლიტერატურა

1. ასათიანი რ. ფული და ფულადი სისტემები, თბ., 1996.
2. გოგოხია მ. საბანკო საქმე თბ., 2007.
3. ვანიშვილი მ. ფინანსები თბ., 2007.
4. კაკულია რ. ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სოგადი თეორია თბ., 2004.
5. მოვსესიანი ა. გ. ოგნიეცევი ს. ბ. მსოფლიო ეკონომიკა ტ. I-II თბ., 2003.
6. მოსიაშვილი ვ. ეკონომიკა თბ., 2008.
7. მოსიაშვილი ვ. ეკონომიკა: დინამიკა, სრდა, განვითარება თბ., 2008
8. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა.
9. საქართველოს სტატისტიკური წელიწდგული 2008.
10. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები. ტ. I-II თბ., 2005.
11. ვააია გ. საბანკო საქმე თბ., 2005.
12. ჭითანაია ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ტ. I-III. თბ., 1996-2002.
13. Антонов Н. Пессел М. Денежное обращение, кредит и банки. М., 1995Ю
14. Банковское дело, под ред. проф. О. И. Лавгушина. Ы., 1999.
15. Финанси, Денежное обращение, Кредит. под ред. проф. Дробозиной А. А. М., 1997.
16. Федоров М., Валюта, валютные система и валютные курсы. М., 1995.
17. WWW.statistics.ge
18. WWW.mof.ge
19. WWW.nbg.ge
20. WWW.ekonomika.ge
21. WWW.un.org
22. WWW.unsyst.org
23. WWW.worldBank.org
24. WWW.infoorg

	წინასიტყვაობა	2
თემა 1.	ფულის წარმოშობა, არსი და ფუნქციები	4
	1.1 რა არის ფული?	4
	1.2 ფულის ფუნქციები და თვისებები	7
	1.3 ფულის სახეები	11
	1.4 ფულის თეორიები	15
	კითხვები თვითკონტროლისათვის	20
	ტესტები	20
თემა 2.	ფულის მიმოქცევა	22
	2.1 ფულის მიმოქცევის კანონი	22
	2.2 ფულის მასა და ფულის მიმოქცევის სინქარე	26
	კითხვები თვითკონტროლისათვის	31
	ტესტები	31
თემა 3.	ფულადი სისტემები	33
	3.1 ფულად სისტემათა ტიპები	33
	3.2 საქართველოს ფულადი სისტემა	43
	კითხვები თვითკონტროლისათვის	46
	ტესტები	46
თემა 4.	ინფლაცია: მიზეზები, დაძლევის გზები	48
	4.1 ინფლაციის არსი და სახეები	48
	4.2 ინფლაციის გამომწვევი მიზეზები	52
	4.3 ინფლაციის შედეგები	57
	4.4 ანტიინფლაციური პოლიტიკა.	
	ფულის რეფორმა	59
	4.5 ჰიპერინფლაციური პროცესის თავისებურებები	
	საქართველოში	63
	კითხვები თვითკონტროლისათვის	66
	ტესტები	66
თემა 5.	კრედიტის ფუნქციები და ფორმები	68
	5.1 კრედიტის არსი და საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების ძირითადი ეტაპები	68
	5.2 კრედიტის ფუნქციები	70
	5.3 კრედიტის ფორმები	74
	5.4 დაკრედიტების პრინციპები	78
	კითხვები თვითკონტროლისათვის	80
	ტესტები	80

თემა 6. საკრედიტო სისტემა	82
6.1 საკრედიტო სისტემის არსი და სტრუქტურა	82
6.2 საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემა	90
კითხვები თვითკონტროლისათვის	93
ტესტები	94
თემა 7. ფასიანი ქაღალდები და ფასიანი ქაღალდების ბაზარი	95
7.1 ფასიანი ქაღალდების ბაზრის თავისებურებები	95
7.2 ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეები	98
7.3 ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსების ორგანიზაცია	107
7.4 ოპერაციათა სახეები საფონდო ბირჟაზე	109
კითხვები თვითკონტროლისათვის	113
ტესტები	113
თემა 8. ცენტრალური ბანკები	115
8.1 ცენტრალური ბანკების წარმოშობის რეტროსპექტივა	115
8.2 ცენტრალური ბანკის ფუნქციები	118
8.3 საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა	126
კითხვები თვითკონტროლისათვის	132
ტესტები	132
თემა 9. კომერციული ბანკები	134
9.1 საბანკო საქმის წარმოშობა და ევოლუცია	134
9.2 კომერციული ბანკის ფუნქციები და ორგანიზაციული სტრუქტურა	138
9.3 კომერციული ბანკების ძირითადი ოპერაციები	145
9.4 საბანკო ლიკვიდობა	149
9.5 საბანკო რისკები	152
კითხვები თვითკონტროლისათვის	154
ტესტები	154
თემა 10. საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები	156
10.1 საერთაშორისო სავალუტო სისტემის ელემენტები	156
10.2 საერთაშორისო სავალუტო სისტემის განვითარების ეტაპები	164

	კითხვები თვითკონტროლისათვის	171
	ტესტები	171
თემა 11.	საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობები	173
	11.1 საერთაშორისო კრედიტის არსი და ფორმები	173
	11.2 საერთაშორისო სავალუტო ფონდის საკრედიტო ურთიერთობები წევრ-ქვეყნებთან	176
	11.3 ექსპორტ-იმპორტის დაფინანსება	184
	კითხვები თვითკონტროლისათვის	190
	ტესტები	191
თემა 12.	საერთაშორისო ანგარიშსწორება	193
	კითხვები თვითკონტროლისათვის	205
	ტესტები	205
თემა 13.	საგადასახდელო ბალანსი	207
	კითხვები თვითკონტროლისათვის	217
	ტესტები	217
თემა 14.	გლობალური პრობლემებით დასაქმებული ორგანიზაციები	219
	14.1 საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემის სტრუქტურა	219
	14.2 გაერო-ს და ეთგო-ს სისტემის ორგანიზაციები. საერთო კომპეტენციის სხვა ორგანიზაციები	222
	14.3 საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები	231
	14.4 საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში	236
	კითხვები თვითკონტროლისათვის	240
	ტესტები	241
	ლიტერატურა	243